

საქართველოს უნივერსიტეტი

# ქვედი კოდხეთი

## არგონავგების თქმუდებუნი

1. გამოქვლევა 2. ბერძნული ტექსტები  
ქართული თარგმანითა და უნივერსიტეტით

თბილისის უნივერსიტეტის გამოცევა

თ ბ ი ლ ი ს ი

1964

კავკასიისა და, კერძოდ, ძველი კოლხეთის გარშემო წერილობითი ცნობები უპირატესად ბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებებშია დაცული. ეს ცნობები, ჩვეულებრივ, არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებითაა წარმოდგენილი და ქართველი ტომების ეთნოგენეზის, მათი უძველესი ბინადრობისა და ცხოვრების პირობების მაუწყებელია.

წინამდებარე წიგნის პირველ ნაწილში მიმოხილულია ზემოხსენებულ ცნობათა შემცველი წყაროები და გამოკვლეულია პელასგებისა და კოლხური ტომების გენეტიური სიახლოვის ზოგი საკითხი.

მეორე ნაწილში თავმოყრილია ბერძნული წყაროების ცნობები არგონავტების თქმულებასა და კოლხეთზე. ბერძნულ ტექსტებს თანახლავს პარალელური ქართული თარგმანი სათანადო შენიშვნებითურთ.

წიგნი გარკვეულ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიისა და ქართულ-ბერძნული ფილოლოგიის მკვლევართ, ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტთა სტუდენტებსა და, საზოგადოდ, ჩვენი წარსულით დაინტერესებულ მკითხველებს.

---

რედაქტორი პროფ. პ. ბერაძე

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ქართველ ტომთა ისტორიის უძველესი ხანების შესწავლის საქმეში ძველ-აღმოსავლურ ეპიგრაფიკულ წყაროებთან ერთად ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებს პელასგებისა, მცირე აზიისა და კავკასიის შესახებ. საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის უცხოურ წყაროებს განსაკუთრებულ მასალად ის გარემოება აქცევს, რომ ჩვენი ქვეყნის შორეული წარსულის ამსახველი საკუთარი წერილობითი ძეგლები ჯერხიხობით არაა გამოვლენილი.

ბერძენ და რომაელ მწერალთა თხზულებებში დაცული კავკასიის შესახებ ცნობების თავმოყრის პირველი ცდა ეკუთვნის თბილისის I გიმნაზიის მასწავლებელს კ. განს, რომელმაც ორ ნაწილად გამოაქვეყნა კრებული—*„Известия древних греческих и римских писателей о Кавказе“*, Тифлис, часть I, 1884; часть II, 1889. ამ კრებულის მთავარი ნაკლი ისაა, რომ წარმოგვიდგენს ცნობათა მეტად მცირე ნაწილს, და ისიც ორიგინალის პარალელური ტექსტის გარეშე, თარგმანში დაშვებულ შეცდომებზე რომ არაფერი ვთქვათ.

სკვითისა და კავკასიის შესახებ ანტიკური ხანის ცნობების ვრცელი კრებული ორიგინალის (ბერძნულ-ლათინური) პარალელური ტექსტებით, რუსული თარგმანითა და სათანადო კრიტიკული აპარატით გამოსცა ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ მ ა—*„Scythica et Caucasica: Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе“*—Том I: греческие писатели (სამ ნაკვეთად, СПб, 1893—1900), Том II: латинские писатели (ორ ნაკვეთად, СПб, 1904—1906). ეს სერია ხელახლა გამოსცა ეურნალმა *„Вестник древней истории“* (1947, 1 (19) და მომდევნო ნომრები) ბერძნულ-ლათინური ტექსტების გარეშე, მცირეოდენი რედაქციული ხასიათის ცვლილებებით.

მრავალი ღირსების მიუხედავად ლატიშევის კრებული თანამედროვე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს: იგი არ არის სრული; ბევრი საყურადღებო ავტორი სრულიად გამოტოვებულია; სკვითისა და განსაკუთრებით კავკასიის (კერძოდ კოლხეთის) თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცნობები ამოკრეფილია ნაკლულოვნად— ტექსტების დამუშავების დროს გათვალისწინებულია სათანადო ცნობათა არა მთელი კომპლექსი, არამედ ამა თუ იმ ტომის, პირთა და გეოგრაფიული პუნქტის ნიშანდობლივი მოხსენიება. ხშირ შემთხვევაში თარგმანიც არ არის ზუსტი; შეიძლება მრავალი მაგალითის დამოწმება; მოვიტანთ ერთს. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ II წიგნის 1267-ე ტაეპის *Κυταινὰς πτόλις Ἀΐης* (*Κυταινὰ τε πτόλιν Ἀΐης*) — „აიას ქალაქი კვტაიისი“ თარგმნილია როგორც *Китайский город Эя*, რაც სწორი არ არის (სწორი იქნებოდა *Китайск. город Эи*). არაზუსტი თარგმანით დაშვებულმა შეცდომამ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მოიკიდა ფეხი. ბერძნული ტექსტის ჩვენებას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს აიას გეოგრაფიული ცნების გარკვევისათვის; სხვა წყაროებიდანაც მტკიცდება, რომ აიას მხარეს გულისხმობს და არა ქალაქს! იგი კოლხეთის უძველესი სახელი ჩანს.

ბერძენი ავტორების ქართველ ტომთა შესახებ ცნობების თავმოყრა, ამ ცნობათა ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტებით და სამეცნიერო აპარატით გამოქვეყნება ჩვენს პირობებში გაცხოველდა. ს. ყაუხჩიშვილმა ხუთ ტომად გამოსცა კრებული „გეორგიკა“, სადაც თავმოყრილია ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ;<sup>1</sup> თ. ყაუხჩიშვილმა 1957 წელს გამოსცა სტრაბონის „გეოგრაფია“— ცნობები საქართველოს შესახებ, 1959 წელს კი— აპიანეს „მითრიდატეს ომების ისტორია“. საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიის ხაზით საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობამ გამოაქვეყნა: თ. ყაუხჩიშვილის „პეროლოტეს ცნობები საქართველოს შესახებ“ (1960), მისივე— მემონის „პერაკლის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, 1962, 137—194), ნ. კეჭალაძის მიერ მოზადებული— ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (1961).

ნ. ლომოურიც გამოაქვეყნა კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოდან“ გამოკრეფილი ცნობე-

<sup>1</sup> ამ სერიის I ტომი გამოსცეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა (თბ., 1961). მზადდება გამოსაცემად „გეორგიკის“ VI და VII ტომები.

ბი (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით: მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1955, 6. 32). ჩვენ ვთარგმნეთ და 1948 წელს გამოიცა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, რომელიც ძველი კოლხეთის შესახებ ძვირფასი ცნობების შემცველ ვრცელ თხზულებას წარმოადგენს. ანტიკური ეპოქის იბერიისა და კოლხეთის შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ იმ ნაწილშიც, რომლის ქართული თარგმანი 1957 წელს გამოვიდა.

\* \* \*

ადრეული ეპოქის ბერძენ მწერალთა ცნობები ქართველი ტომებისა და მათი სამკვიდრებელი ადგილების შესახებ ძნელად მოსაპოვებელია, რადგან სულ სხვადასხვა თხზულებებშია გაფანტული. ეს ცნობები უპირატესად ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებას—კოლხეთს ეხება და უმრავლეს შემთხვევაში არგონავტიკის თქმულების ან მისი რომელიმე ეპიზოდის გადმოცემასთან დაკავშირებითაა წარმოდგენილი. ამ თქმულების წერილობით გადმოცემებში საყურადღებო მასალაა დაკული ქართველ ტომთა ეთნოგენეზისის, მათი დიდ ტერიტორიებზე გავრცელების, ცხოვრების პირობების, პანთეონისა და მისთანათა თვალსაზრისით. ანტიკურ წყაროთა ცნობები გარკვეულ სინათლეს ჰფენენ მედიტერანული კულტურის საწყისებისა და პელასგთა ეთნოგენეზისის საკითხებს. ამ ცნობათა ფონზე რელიეფურად შელავნდება პელასგების გენეტიკური კავშირი იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ტომებთან. აქედან გამომდინარეობს არგონავტიკის თქმულების ყოველმხრივი შესწავლის აქტუალობა.

რეალურ ისტორიულ საფუძველზე აღმოცენებულ არგონავტიკის თქმულებაში ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ დროთა დანაშრევებია წარმოდგენილი, მაგრამ ამ თქმულების ყველა ფენისა და ვერსიის წამყვანი მოტივი ყოველთვის იყო აია-კოლხეთი. ამას ადასტურებს ჰომეროსის ეპოსის მინიშნებები. მეორე და პირველი ათასეულის ძველ აღმოსავლურ ძეგლებში დამოწმებულია კოლხურ ტომთა მსხვილი გაერთიანებების არსებობა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. არგონავტიკის თქმულებაში სწორედ ასეთი რეალურად არსებული კოლხური გაერთიანების სიდიადე და ძლიერება აისახა.<sup>2</sup>

რა შეიძლება გვითხრას არგონავტთა თქმულების წერილობით გადმოცემებში დაკულმა ცნობებმა ისტორიული სინამდვილის და-

<sup>2</sup> Г. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959, 19; ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964.

სადგენად? ძველ ბერძენ ავტორებს (ელინური პერიოდის ლოგო-გრაფოსებს, ალექსანდრიული ხანის ეგჰემერისტ-რაციონალისტებს: პალეფატესა და დიონისიოს სკიტობრაქიონს, სტრაბონს, ზარაქს პერგამონელს, აპიანესა და სხვებს) ეკვი არ ეპარებოდათ თქმულების სინამდვილეში და მისი აღმოცენების მიზეზების ძიება ისტორიულ-სოციალურ ასპექტში გადაჰქონდათ.

კლასიკური ფილოლოგიის ძველი სკოლების, მე-19 საუკუნის მითოლოგების თვალსაზრისით თქმულებებსა და მითებში დაცული ცნობები ნდობას არ იმსახურებენ. ნიშანდობლივია ერთ-ერთი მაშინდელი მკვლევარის განცხადება: *Es wäre tōricht Aia geographisch bestimmen zu wollen*—„უგუნურება იქნებოდა, მოგვენდომებინა აიას გეოგრაფიულად დადგენაო.“<sup>3</sup>

თუ მითოლოგიის მარქსისტული განსაზღვრით ვიხელმძღვანელებთ და ჩვენი ფილოლოგიის მიღწევებს მივიღებთ მხედველობაში, არგონავტების თქმულებაში მეცნიერულად საყურადღებო სინამდვილის ამსახველ მრავალ ფაქტს აღმოვაჩენთ. იყო დრო, როცა თქმულება ტროაზე ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ, მაგრამ არქეოლოგიამ დაადასტურა არა თუ ტროას, არამედ მის გარშემო მითში მოხსენიებული ამბების ისტორიულობაც. კოლხეთის ანტიკური არქეოლოგია ჯერ კიდევ ოცნებაა, მაგრამ არქეოლოგის ბარი საბოლოოდ ჩამოხსნის ზღაპრულ სამოსელს არგონავტების თქმულებასაც და მასში დამოწმებული აია-კოლხეთის უძველესი ქალაქის—ქუთაისის თდინდელ ისტორიას დღის სინათლეზე გამოიტანს. „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში ნათქვამია: „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ზღაპრულ ამბებთან ერთად ამ თქმულებაში ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. კერძოდ, საინტერესოა, რომ თქმულებაში საუბარია კოლხეთში დიდი, ძლიერი სამეფოს, ბრწყინვალე სამეფო კარის, მონებისა და სხვ. არსებობის შესახებ. არგონავტების თქმულებაში კოლხეთის სამეფოს აღწერისას ნაწილობრივ ალბათ აირეკლა რეალურად არსებული დიდი კოლხური გაერთიანების დიდება და ბრწყინვალეობა.“<sup>4</sup> არგონავტების თქმულებაში ასახული ლაშქრობის მიზანდასახულობად სიმდიდრით სახელგანთქმული კოლხეთის ოქროც მიაჩნიათ.<sup>5</sup>

<sup>3</sup> Seeliger, Argonautai und Argonautensage: LM, I, 531.

<sup>4</sup> ბ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1958, 32—33. იხ. აგრეთვე: გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, 143; ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1943, 39—44.

<sup>5</sup> აღ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, ტ. I, 1958, გვ. 137.

ამირან-პრომეთეს თქმულებასთან ერთად არგონავტების თქმულებას, როგორც ფიქრობენ, მნიშვნელობა აქვს ქართულ-ბერძნული სააზროვნო ურთიერთობის თვალსაზრისითაც: „არგონავტების თქმულება მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც ასე თუ ისე უკუყენა იმ საწარმოო დამოკიდებულებისა, რომელიც ადრინდელ ქართველ-ბერძენთა შორის ოდიდგან არსებობდა და რომლის ეკონომიურ-საწარმოებრივ ნიადაგზე ამ ორ ტომს შორის გაიშალა მრავალსახოვანი კულტურული ურთიერთობა და, მათ შორის, სააზროვნოც.“<sup>6</sup>

\* \* \*

წინამდებარე წიგნის პირველ ნაწილში მიმოხილულია არგონავტთა თქმულების ბერძნული და ლათინური წერილობითი გამოცემანი. ეს მიმოხილვა ემყარება უშუალოდ პირველ წყაროებს და მიზნად ისახავს, შეავსოს ხარვეზი, რომელიც ასეთი ფილოლოგიური მიმოხილვის თვალსაზრისით არსებობდა, და წარმოადგინოს შედარებით სრული სურათი იმისა, თუ ვით აისახა თქმულება არგონავტებზე ანტიკურ (ბერძნულ და რომაულ) და ბიზანტიურ მწერლობათა განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე და ამ მწერლობათა სხვადასხვა დარგებში. მიმოხილვაში წარმოდგენილია დაკვირვებები ამა თუ იმ წყაროს წარმომავლობის, მისი ავტორის, არგონავტების თქმულებისა და კოლხეთის თვალსაზრისით ამ წყაროს რაობისა და მისთანათა საკითხებთან დაკავშირებით.

არგონავტების თქმულებისა და ამ თქმულებასთან დაკავშირებული ცნობების საფუძველზე აქვეა წარმოდგენილი სპეციალური გამოკვლევა პელასგებისა და კოლხური ტომების ურთიერთობის შესახებ.

წიგნის მეორე ნაწილი წარმოადგენს არგონავტთა თქმულების გამოცემი ბერძნული წერილობითი წყაროების ცნობათა კრებულს.<sup>7</sup> ეს წყაროები დღემდე სრულად თავმოყრილი არ ყოფილა და არც მონოგრაფიულად შესწავლილა: მათში დაცული კოლხეთის შესახებ ცნობების გამოყენებას სპორადული ხასიათი ჰქონდა; ცნობათა დიდი ნაწილი საერთოდ არც იყო გათვალისწინებული. ამ მოწმობათა ყოველმხრივი შესწავლა, მათი გათავისუფლება ლეგენდარული ჩენჩოსაგან და ზუსტი ინტერპრეტაცია ხელს შეუწყობს ისეთი

<sup>6</sup> შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956. გვ. 67.

<sup>7</sup> ეს კრებული შევადგინეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გადაწყვეტილებით. შედგენილია ლათინურ წყაროთა კრებულის. მისი გამოცემა მომავლისთვისაა განხრახული.

რთული პრობლემის გადაწყვეტის საქმეს, როგორც კოლხეთის პრობლემაა. თავმოყრილი ცნობების შესწავლა საშუალებას მოგვცემს, აგრეთვე, გამოვიყვილოთ თქმულების აღმოცენების ისტორიულ-რეალური ნაფუძვლები, გამოვყოთ უძველესი ელემენტები შედარებით ახალი ფენებისაგან და სისტემაში მოვიყვანოთ უშუალოდ კოლხეთთან დაკავშირებული მოწმობანი.

დამუშავებული მასალა შეიცავს ბერძენ მწერალთა ცნობებს, მოკიდებულს ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის XI საუკუნემდე ჩათვლით: გათვალისწინებულია ელინური, ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების წერილობითი წყაროები, რომელთაგან ზოგი სრული, ზოგი კი ფრაგმენტული სახით მოღწეულა ჩვენამდე. წარმოდგენილია არა მარტო ცნობილი ბერძენი ავტორები, არამედ ისეთი ავტორებიც, ანონიმური თხზულებების ნაწყვეტები და ფრაგმენტებიც, რომლებიც ძნელადაა ხელმისაწვდომი და არც ერთ ენაზე არ გადათარგმნილა. ცნობათა დიდი ნაწილი არგონავტების თქმულებისა და კოლხეთის თვალსაზრისით პირველად არის მოზიდული. ამა თუ იმ ავტორის თხზულების სათანადო აღგილების გარდა დამუშავებულია ძველ ხანებში შედგენილი კომენტარები და სქოლიონები, რომლებშიც ჩვენთვის საყურადღებო ბევრი ძვირფასი დეტალი მოიპოვება. შედარებით გვიან ხანებში შეთხზული ნაწარმოებები და სქოლიასტების განმარტებანი იმით იქცევენ ყურადღებას, რომ მათში, უძველესი მითოლოგიის რესტავრაციის მიზნით, ძველისძველი თქმულებები და ამჟამად დაკარგული წყაროებია გამოყენებული. ელინური პერიოდის ცნობები, როგორც ვთქვით, უპირატესად ეხება ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებას, რომელიც ხან აიასს, ხან კოლხეთის და ხანაც სკვითის სახელით მოიხსენიება. ელინური პერიოდის წყაროებში დაცულია მრავალი საყურადღებო უწყება ძველი კოლხეთის—აიას გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით. უფრო სანდო და ძვირფასია ის ცნობები, რომლებიც ელინისტური პერიოდის ბერძენ მწერალთა და მეცნიერთა თხზულებებში მოიპოვება. ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, გაძლიერდა ბერძნული სამყაროს ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ბერძენთა გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცოდნის პორიზონტიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

კრებულის მასალა განლაგებულია ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით. ელინური პერიოდისათვის ქრონოლოგიური პრინციპი თავისთავად გულისხმობს. დარგობრივ თანმიმდევრობას: ჯერ



წარმოდგენილია ძველ ბერძენ ეპიკოსთა ცნობები, <sup>8</sup> შემდეგ ლირიკოსთა, მერე დრამატურგებისა და პროზაიკოსებისა. დამუშავებულია მრავალი ავტორი, რამდენიმე ანონიმური თხზულება და სქოლიონები. ბერძნულ ტექსტებთან დართული პარალელური ქართული თარგმანი ორიგინალის ზუსტი გაგების ცდაა. ზოგჯერ ტექსტის გაგება დაზუსტებულია არსებულ თარგმანებთან შედარებით.

ბერძნულ ტექსტთან დართულ ქართულ თარგმანში ხანდახან ვხვარობთ კუთხოვან ფრაზილებს; მათში ჩასმული სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის.

საკუთარი სახელები არსებული ტრადიციის მიხედვით გადმოვეცით. გამონაკლისი დაფუძვით ქართულში იშვიათად ხმარებული ბერძნული საკუთარი სახელების მიმართ; ასეთები ბერძნული სახელობით ბრუნვით გადმოვიტანეთ (პელიას-ი, კრიოს-ი, თეტალოს-ი და სხ.). გეოგრაფიული სახელები ორიგინალის ფორმით დავტოვეთ (იოლკოს-ი, არგოოს-ი, აქსეინოს-ი, კვტაია და მისთ.) ქართულში დამკვიდრებულ სახელთა გარდა (ათენი, კორინთო, თებე და მისთ.).

ბერძნული ტექსტები, რამდენადაც ხელი მიგვიწვდა, მოსკოვ-ლენინგრადის, თბილისისა და კერძო ბიბლიოთეკებში დაცული უკეთესი კრიტიკული გამოცემებიდან ავიღეთ.

კრებულს ერთვის შენიშვნები და ვრცელი საძიებელი. შენიშვნების მიზანი რეალური ხასიათის კომენტარების წარმოდგენაა.

გვინდოდა, რაც შეიძლება მაქსიმალური სისრულით შეგვეკრიბა ბერძნულ წყაროთა ცნობები კოლხური გარემოს ამსახველი არგონავტთა თქმულების შესახებ. ზოგი რამ, ალბათ, გამოგვრჩა. თუ ასეთი გამოჩენილი მასალა აღმოჩნდა, კრებულს დამატების სახით შევსება დასჭირდება.

აკაკი ურუშაძე

---

<sup>8</sup> აქ არ შესულა აპოლონიოს როდოსელი დიდი ეპიკური ნაწარმოები „არგონავტიკა“ და ე. წ. ფსევდო-ორფეოსის „არგონავტიკა“. ორივე თხზულებას ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტებით და სათანადო კრიტიკული აპარატით ცალკე წიგნებად სცემს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია.



## ნანილი პიკველი

თავი პირველი

### აკონავეთა თქველების ნაიღობითი გარემოებაანი

ანტიკური მწერლობის წყაროსთვალ მითიური სამყარო იყო. თქმულებებში ასახული წინაპართა საგმირო საქმენი, მითები ღმერთებსა და ღვთაებრივი წარმომავლობის გმირებზე საფუძვლად დაედო უძველეს ბერძნულ პოეზიას. ძველ ბერძნულ გადმოცემებში მოცულობითა და გავრცელებით გამორჩევა თქმულებათა სამი დიდი ციკლი: ხომალდ „არგოს“ მეზღვაურთა მოგზაურობა ოქროს საწმისისათვის აია-კოლხეთში—ე. წ. არგონავტების ციკლი, არგონელთა ბრძოლა თებეს წინააღმდეგ—ე. წ. თებეს ციკლი და ბერძენ ტომთა ლაშქრობა მცირე აზიაში მოსახლე ტროელებისა და მათი ციხე-სიმაგრის გასანადგურებლად —ე. წ. ტროას ციკლი. ბერძნული და რომაული პოეტური შემოქმედების სახელოვანი წარმომადგენელნი თავიანთ უკვდავ ქმნილებებს უპირატესად ამ ციკლებიდან მოზიდულ მასალაზე დაყრდნობით ძერწავდნენ. დიდი პოპულარობით სარგებლობდა არგონავტების ციკლის თქმულებები. თქმულება არგონავტებზე, როგორც ერთ-ერთი უძველესთაგანი და მიმზიდველი, დაუშრეტელ წყაროდ იქცა და უხვად ასახრდობდა ანტიკური ეპოქის სულიერ კულტურას. არ დარჩენილა ამ ეპოქის არა თუ მწერლობის, არამედ საერთოდ ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელსაც ეს თქმულება მთლიანად ან ცალკე ეპიზოდების სახით არ დაემუშავებინოს. თქმულება არგონავტებზე ბერძნული მითოლოგიის ოქროს ფონდში შევიდა, ხოლო „ბერძნული მითოლოგია—ამბობს მარქსი—შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც“\*.

\* კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 296.

არგონავტთა თქმულების ცნობილი ვერსიები ბერძნულსა და მასზე დამოკიდებულ ლათინურ წყაროებშია დაცული. ამ წყაროთაგან ზოგი სრული სახით არის მოღწეული, ზოგი კი—ფრაგმენტულად. ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალა ცხადყოფს, რომ თქმულება არგონავტებზე მრავალფენოვან ძეგლს წარმოადგენს და მასში სულ სხვადასხვა დროის ამბებია გადმოცემული. აქ კარგად ჩანს, თუ როგორ შექმნდა თავისებურებანი თქმულების დამუშავებაში ამა თუ იმ ეპოქას და როგორ უქვემდებარებდნენ საკუთარ მსოფლმხედველობას პოეტები, ისტორიკოსები და მითოგრაფოსები ტრადიციულ მითოლოგიურ სახეებს. არგონავტების თქმულების საფუძველზე ადრეულ ხანებში შეთხზული ნაწარმოებები შედარებით ახლო იდგნენ თქმულების პირვანდელ ბირთვთან, მაგრამ მათგან ძუნწი ფრაგმენტები და სათაურებილა შემოგვენახა. არგონავტთა თქმულების თავდაპირველ სიცხადეს საკმაოდ უცვალა სახე ჯერ ატიკურმა ტრაგედიამ, ხოლო შემდეგ აპოლონიოს როდოსელის სახელმძღვანელომ მწიგნობრულმა პოემამ—„არგონავტიკამ“, რომელიც გავრცელდა, თქმულების სიუჟეტის გადმოცემის თვალსაზრისით დაკანონდა და მერმინდელი მითოგრაფიის უპირატესი დასაყრდენი გახდა.

## I. ბერძნული წყაროები

არგონავტების თქმულების შემცველი ბერძნული წყაროები მწერლობის ისტორიის პერიოდების შესაბამისად სამ ჯგუფად დაიყოფა: 1. ელინური პერიოდის (ეპოსი, ლირიკა, დრამა, პროზა), 2. ელინისტური ანუ ალექსანდრიული პერიოდისა და 3. ბიზანტიური პერიოდის წყაროები<sup>1</sup>.

### 1. ელინური პერიოდი

§1. ეპოსი—პირველ ცნობებს არგონავტების თქმულებისა და კოლხური გარემოს შესახებ ელინური პერიოდის ბერძნული მწერ-

<sup>1</sup> ეს წყაროები მხოლოდ ნაწილობრივ არის მიმოხილული შემდეგ ავტორებთან: G. E. Groddeck, *Disputatio de Argonauticorum Apollonii Rhodii fontibus*; Vilnae, 1823; F. Vater, *Der Argonautenzug, aus den Quellen dargestellt und erklärt*. *ВЗРВН*: I—1844, II—1845; Pyl, *Litteratur des Sagenkreises der Medea*. *Ztschr. f. Altertumswissenschaft*, 1854; *Kennerknecht. De Argonautarum fabula, quae veterum scriptores tradiderunt*: München, 1886; M. Groeger, *De Argonautarum fabularum historia. Questiones selectae*. Breslau, 1889. Jessen, *Argonautai*; RE, II, 743 შმდ.; Seeliger, *Argonautai und Argonautensage*; LM, I, გვ. 503 შმდ.; O. Gruppe, *Gr. Myth.*, I, 540 შმდ.

ლობის ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრინდელ ძეგლებში—ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ვხვდებით. საგმირო ეპოსის ამ ორი ძეგლის შეთხზვის დროს მეცნიერება ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში დგას.

„ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორი რომ არგონავტების თქმულებას იცნობდა, ამის დასამტკიცებლად იმოწმებენ „ოდისეის“ XII სიმღერის 69—70 ტაეებს: *πovτovπovς vης | 'Aρϋών πᾶσι μῆ-  
λισσᾶ*—ყველასთვის სანუკვარი საზღვაო ხომალდი „არგო“. „ოდისეის“ ეს ადგილი იმაზე მიუთითებს, რომ ჰომეროსის ეპოქაში გავრცელებული არგონავტთა თქმულების ძირითადი ბირთვი ჯერ კიდევ ჰომეროსის წინააღმდეგ პოეზიაში იყო ეპიკური სიმღერების სახით დამუშავებული. მართალია, ამ სიმღერებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მაგრამ უნდა ვივლისხმოთ, რომ მათში წარმოდგენილი იყო თქმულების ცალკეული ეპიზოდები: ჰომეროსის წინააღმდეგელი პოეზია მცირე მოცულობის ეპიკური სიმღერებით ხასიათდებოდა.<sup>2</sup> შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ჰომეროსის ეპოქაში არგონავტთა თქმულების პირვანდელი ბირთვი უკვე მთლიანად იყო ეპიკურად დამუშავებული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია დამარწმუნებელი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ოდისეის“ ავტორმა ასეთი პოემა გამოიყენა.<sup>3</sup> ფიქრობენ, რომ არსებობდა პოემა სახელად „მინიადა“, რომელშიაც არგონავტთა თქმულების გარკვეული ნაწილი იყო გადმოცემული. ამ პოემის ავტორად, პავსანიას სიტყვით, ასახელებდნენ პროდიკოს ფოკეელს.<sup>4</sup> ამ პოემის არც ერთი ფრაგმენტი არ მოღწეულა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა, რომ „მინიადას“ არავითარი კავშირი არ ჰქონდა არგონავტების თქმულებასთან.<sup>5</sup> მაგრამ სათაურის გამო შეიძლება სხვაგვარი მოსაზრებაც გაჩნდეს. მინიასი ორქომენელთა ლეგენდარული წინაპარი იყო. მის შთამომავლებად რაცხდნენ—ორქომენის მეფე ათამანტს, ფრიქსეს, ჰელეს, ათამანტის ძმას—იასონის პაპას—თესალიელ კრეთევსსა და ბევრ არგონავტს, რომლებიც ხშირად მინიებად იწოდებიან.<sup>6</sup>

<sup>2</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია. I, თბ., 1950, გვ. 36—37.

<sup>3</sup> Julius Stender, *De Argonautarum ad Colchos usque expeditione fabulae historia critica*. Kiliae, 1874, 19—20.

<sup>4</sup> Preller—Robert, *Gr. Myth.* I, 2, 1, გვ 57. Paus. IV, 33, 7.

<sup>5</sup> Jessen, *Argonautai*, RE, II, 746.

<sup>6</sup> O. Müller, *Orchomenos und die Minyer*, 1844.

„ოდისეის“ სიტყვები „არგო პასი მელუსა“, ჩვენი აზრით, თქმულების ფაბულის სიყვარულს, ამ ფაბულისადმი პოეტთა სწრაფვას უნდა აღნიშნავდეს და არა ხომალდის სიყვარულს, როგორც ეს Stender-ს ეგონა.<sup>7</sup>

„ილიადის“ და „ოდისეის“ შესწავლამ არგონავტთა თქმულების თვალსაზრისით გამოაქვინა ამ პოემების ისეთი ადგილები, რომლებზედაც ყურადღება დღემდე არ გამახვილებულა. ეს ადგილებია: „ილიადის“—I, 590—594; II, 711—715, 851—857; V, 38—39; VII, 467—475; XXI, 34—46; XXIII, 740—749; XXIV, 751—753; „ოდისეის“—I, 253—263; VIII, 283—285, 292—294; IX, 29—33; X, 135—139, 233—236, 302—306; XI, 69—70, 254—259, 538—539; XII, 1-4, 59—72.

ამ ადგილებიდან ჩანს, რომ ჰომეროსი კარგად იცნობდა არგონავტების თქმულებას და კოლხურ გარემოზეც გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა. „ილიადაში“ პირველადაა მოხსენიებული კოლხური ტომი—ვერცხლის სამშობლო ალიბეს მკვიდრი ჰალიძონები (ხალიბები). პოემა იცნობს კუნძულ ლემნოსს როგორც არგონავტების თქმულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პუნქტს. პოეტი მოიხსენიებს ლემნოსის მკვიდრ პელასგსინტიებს, ჰიფსიპილეს, იასონს და ამათ ვაქს—ევნეოსს. დასახელებულია პელიასი, ერთ-ერთი არგონავტთაგანი აღმეტე და კარგად ნაგები იოლკოსი—პუნქტი, საიდანაც არგონავტები კოლხეთს გამოემგზავრნენ.

„ოდისეაში“ მოხსენიებულია არგონავტების თქმულების პერსონაჟები: პელიასი, კრეთევსი, ესონი, ფერეტი, ამითაონი, იასონი, „მოკვდავთ-მანათობელი“ ჰელიოსისა და პერსეს მრისხანე ვაჟი აიეტი და ამისი დაი აიაიელი გრძნეული კირკე. მოიხსენიება: იოლკოსი, ლემნოსი და ლემნოსელი, უცხოურ ენაზე მეტყველი სინტიები. დასახელებულია კუნძული აიაია, საიდანაც მზე ამოდის („სადაც ჰელიოსი აღმოსვლას იწყებს“) და მითიური მოძრავი კლდეები—პლანქტები (იგივე სიმპლეგადები). განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია „ოდისეაში“ მერმეროსისა და ამისი ვაჟის—ეფირეს (კორინთოს) მკვიდრი პატრონის ილოსის მოხსენიება. ტაფიელთა მთავრის მენტესის სახემიღებული ღმერთქალი ათენა ოდისევსის ვაქს—ტელემაქეს ეუბნება: „... პირველად ვიხილე [ოდისევსი] ჩვენ სახლში; სვამდა და მზიარულობდა; იგი მოდიოდა ეფირედან—მერმეროსის ძე ილოსისაგან; იქ ოდი-

<sup>7</sup> Stender, o. c., 20: Argo quae omnibus (scilicet—Iasonis sociis eique ipsi) cordi est—„არგო, რომელიც ყველასათვის (იგულისხმება იასონის მეგობრებისათვის და თვით მისთვისაც) სანუკვარია“.

სეესი სწრაფი ხომალდით წარემართა, ეძებდა რა მამაცთშემშუს-სერელ შსამს (ἄρκαζον ἀνδραγαθόν) სპილენძის ისრებზე წასასმე-ლად; მაგრამ არ მისცა [ილოსმა], შეეშინდა უკვდავი ღმერთების<sup>4</sup> (1, 2:7—263).

აქ დასახელებული ილოსის მამა მერმეროსი მედეას ვაჟია. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ

1. მრავალ გადმოცემაში მედეას ერთ-ერთ ვაჟს მერმეროსი (Μέρμερος) ეწოდება;

2. მედეა მზიდროდ არის დაკავშირებული კორინთოსთან, რომელსაც ეფირეც (Ἐφύρη) ერქვა. აელასგთა ოდინდელი სამკვიდრებელი კორინთო—ეუიზე ძველი წყაროების ჩვენებით (ევემელოსი, ეაიმენიდე და სხ.) ელიოსის ძის აიეტის და მისი შთამომავლობის საგამგებლო მხარე იყო. იასონი და მედეა კორინთოში ჩადიან როგორც წინახვედრ ქვეყანაში;

3. „ოდისეაში“ ილოსი გრძნულ წამალთა მკეთებელია, ე. ი. იმ ხელობის მიმდევარია, რომლითაც სახელგანთქმულია მედეა და ხეობოდ კოლხი ქალები.

ზოგიერთ მედეასარს საეპოდ მიაჩნდა ის, რომ ლომეროსმა არგონავტების ეაოსი გამოიყენა.<sup>5</sup> დამოწმებული ადვილები ასეთი ექვისეისის საფუძველს არ იძლევა. არც იმ მკვლევართა მოსაზრებაა მართებული, რომლებიც ფიქრობენ, რომ არგონავტთა თქმულების ზოგიერთი ენიზოდი (გმირების დაბრუნება სანშობლოში, პლანეტეში გაელა და სხ.) „ოდისეის“ გავლენითაა შეტანილი არგონავტების ეაოსში.<sup>6</sup> ამის საწინააღმდეგო აზრს ჯერ კიდევ სტრაბონი გამოსთქვამდა. მას სწამდა, რომ არგონავტების ბევრი თავგადასავალი ლომეროსმა ოდისეესის ხეობას დაუკავშირა. Strabon-ის აზრით, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, „ოდისეის“ ავტორმა არგონავტთა თქმულებას საფუძველზე შეთხზული ათემა გამოიყენა. ასეთივე მართებული დასკვნებია მიღებული კირსოფისა და კარლ მოილის მიერ.<sup>7</sup> ბევრ მეცნიერს უფელაზე მეტად კირკეს ამბავი მიაჩნია „ოდისეაში“ გადატანილად<sup>8</sup>. მცდარია ჰოკის ვარაუდი, თითქოს ლომეროსის ეაონაში არგონავტთა ეაოსი

<sup>4</sup> Jessen. o. c. RE. II, 7:5: Ob die Verfasser dieser Stellen (ე. ი. „ილიადა“, VII, 467 და შემდგომი) an die A.-Sage gedacht haben, ist allerdings nicht zu entscheiden.

<sup>5</sup> Seeliger, Argonautai und Argonautensage. LM. I.

<sup>6</sup> Kirchhoff. Hom. Odys. 2, 2:7 და შემდგ.; Karl Moulis, Odyssee und Argonautica. Berlin, 1921.

<sup>7</sup> Preller-Robert, Gr. Myth. II, 3, 1, გვ. 827

ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული.<sup>12</sup> ასეთი ეპოსი ამ დროს არსებობს და ძირითად ნაწილში უკვე ჩამოყალიბებული-  
ცაა: ხოლო შემდეგ. დროთა ვითარებაში, ხდება მისი შევსება სხვადასხვა ეპიზოდებისა და მანამდე განცალკევებულად არსებული თქმულებების დართვით.

„ილიადას“ და „ოდისეას“ თან ახლავს ანტიკურ ხანაში შედგენილი სქოლიონები, რომლებშიაც მრავალი საყურადღებო შენიშვნა მოიპოვება. არგონავტების თქმულებისა და კოლხეთის ისტორიისათვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს XII საუკუნის ეგზეგეტიკოსის ევსტათი თესალონიკელის „განმარტებანი“ (Περὲξ ἑξήκωστος) <sup>13</sup>. აქ შედის „ილიადის განმარტებანი“ და „ოდისეის განმარტებანი“. პოემების სათანადო აღვილთა განმარტების დროს ევსტათი სარგებლობდა ისეთი ძველი წყაროებით, რომლებიც მას ჯერ კიდევ ხელთ ჰქონდა და რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

არგონავტთა თქმულებას „ილიადისა“ და „ოდისეის“ შემდეგ იცნობდა კიკლიკური ეპოსი <sup>14</sup>. „ოდისეის“ შემავსებელი კიკლიკური პოემებიდან არგონავტების თქმულებას იცნობს პოემა „დაბრუნებანი“ (Νόστος). ეს პოემა ხუთი სიმღერისაგან შედგებოდა და მიეწერებოდა ჰაგია ტროიძენელს. ევრიპიდეს „მედეას“ პიპოთესისში „ნათქვამია, რომ „დაბრუნებებში“ მოთხრობილი იყო, თუ როგორ გააახალგაზრდავა მედეამ იასონის მამა ესონი.

კიკლიკურ ეპოსში ჩვეულებრივ გადმოცემული იყო ტროის ომისა და თებეს თქმულების ამბები. ზოგიერთი პოემა თავისი ხასიათით კიკლიკური იყო, მაგრამ შინაარსით არ უკავშირდებოდა ტროის ომისა და თებეს თქმულებათა რკალს. ასეთი პოემა იყო ე. წ. „ეპალიის აღება.“ იგი ასახავდა პერაკლეს მიერ ევბეის ქალაქის—ეპალიის აღებას. პოემას სვიდა ჰომეროსს მიაწერს, სხვები კი მის ავტორად აღიარებენ კრეოფილენ სამოსელს. კრეოფილენ, ანტიკური გადმოცემის თანახმად, ჰომეროსის სიძე თუ მეგობარი ეპიკოსი პოეტი იყო (სტრაბონი, IX, 14; ევსტათი თესალონიკელი, „ილიადის“ განმარტ. 730; პლუტარქე, ლიკურგე, 4).

<sup>12</sup> Grillparzer's Werke: Das goldene Vlies. Herausgegeben von Stefan Hoek. Einleitung des Herausgebers. გვ. 8: „Die Sage war noch nicht genügend ausgebildet und verbreitet, als Homer und zyklischen Epiker dichteten: Wir besitzen keine abgeschlossene Darstellung aus dieser Zeit.

<sup>13</sup> Eustathii commentarii ad Homeri Iliadem et Odysseam. ed. Stallbaum, I—VII; Lipsiae 1825—1830.

<sup>14</sup> კიკლიკურ ეპოსის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. 94—104.



ბიოგრაფიაში „ლიკურგე“ პლუტარქე გადმოგვცემს, რომ ლიკურგემ მცირე აზიაში ყოფნის დროს პირველად გაიცნო „კრეოფილეს მემკვიდრეთაგან შემონახული ზოგები ჰომეროსისა. იგი მიხვდა, რომ ამ პოემებში გასართობად მიმოხილულ საამო და ლალ ამბებთან ერთად შერეული იყო არც თუ ისე მცირე ყურადღების ღირსი ჰკუის სასწავლი და სახელმწიფო მოღვაწისათვის გამოსადეგი ამბები. ამიტომ მან ეს პოემები დიდი სიბეჯითით გადაიწერა და სამშობლოში წასაღებად კრებულად შექკრა. ბერძნებს მაშინ უკვე ჰქონდათ ერთგვარი ბუნდოვანი წარმოდგენა ამ პოემებზე; ზოგიერთებს კიდევაც ჰქონდათ ამ ეპოსის ცალკეული ნაწილები, რომლებიც შემთხვევით გადადიოდნენ ხელიდან ხელში; მაგრამ ლიკურგე ის პირველი კაცი იყო, ვინც ეს ეპოსი საყოველთაოდ ცნობილი გახდა.“<sup>16</sup> „ექალიის ალება“ ჩვენამდე მოღწეული არ არის. ევრიპიდეს ტრაგედიის „მედეას“ სქოლიასტი (ad Med. 273) იმოწმებს ძვ. წ. I საუკუნის ალექსანდრიელი გრამატიკოსის დიდიმოსის გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, კრეოფილეს „ექალიის ალებაში“ დაუმუშავებია არგონავტთა თქმულების კორინთული ვერსია, კერძოდ ის ამბავი, თუ რა გარდახდა თავს მედეას კორინთოში. კრეოფილეს მიხედვით, მედეას მოუწამლავს კორინთოს მაშინდელი გამგებელი კრეონტი; თვითონ კი თავისი პაწაწა ვაჟები მამისთვის (იასონისთვის) ჰერას საკურთხეველთან დაუტოვებია და ათენში გაქცეულა. კრეონტის ნათესაებს შურისძიების მიზნით მედეას ბავშვები დაუხოცავთ. დიდიმოსის გადმოცემაში დანარჩენი ნაწილი, ჩვენი აზრით, სქოლიასტის განმარტება უნდა იყოს. აქ ნათქვამია, რომ ბავშვების მკვლელებმა სმა გაავრცელეს, თითქოს მედეამ მარტო კრეონტი კი არ მოკლა. არამედ საკუთარი ბავშვებიც დახოცა.<sup>18</sup>

არგონავტების თქმულებას დეტალებში იცნობს ბერძნული დიდაქტიკური ეპოსის უდიდესი წარმომადგენელი, ელინთა რელიგიისა და მითოლოგიის სისტემატოლოგი ჰესიოდე (VIII საუკ. ძვ. წ.). ჰესიოდესთან პირველად გვხვდება მითი პრომეთეს შესახებ იმ პოემებში, რომლებიც უშუალოდ ჰესიოდეს ხელიდან გამოსულად ითვლება. ეს პოემებია: „სამუშაონი და დღენი“ და „თეოგონია“. მისი სახელით დამოწმებული სხვა პოემები ჰესიოდეს სკოლის პოეტებს ეკუთვნოდათ<sup>17</sup>.

<sup>18</sup> პლუტარქე. რჩეული პარალელური ბიოგრაფიები. I. ძველბერძნულიდან თარგმნა. შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი შრუშაძემ. თბილისი. 1957. გვ. 22.

<sup>16</sup> EGF.

<sup>17</sup> ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. I. 108—124. История греческой литературы. Изд. АН. М. Л. I. 1946. 164—175.

„თეოგონიაში“ (პოემა „ღმერთთა წარმოშობის შესახებ“) მოხსენიებულია ჰელიოსისა და პერსეისის შვილები—[კოლხთა] მეფე აიექი და კირკე; „მოკვდავთ-მანათობელი“ ჰელიოსის ძის აიექისა და იდიას ასული „კოკმშენიერი“ მედეა, რომელიც იასონმა ელადაში გაიტაცა ვერაგი პელიასის უმძიმეს დავალებათა (στυγνῆρας ἀΐψιας) შესრულების შემდეგ. დასახელებულია იასონისა და მედეას ვაგი მედიოსი, არგონავტთა ლაშქრობის საწყისი ჰუნქტი იოლკოსი და მდინარეები—ფაზისი და რესოსი (Φαῖς τε Ῥῆσος τε). ეს ფაზისის პირველი მოხსენიებაა წერილობით წყაროებში.

„თეოგონიაში“ ყურადღებას იაყრობს პელასგური მოდგმის ტირსენელებისა და კირკეს (resp. კოლხთა) ნათესაობის შორეული გამოაახილი: ჰელიოსის ასული კირკე დაუკავშირდა ოდისევსს და შვა აგროსი, ლატინოსი და ტელეგონე, რომლებიც ტირსენელების წინაპრები და გამგებელი გახდნენ<sup>18</sup>.

არგონავტთა მითის ცალკეული დეტალების გადმოცემა მოიპოვება აესიოდეს სკოლის აიექთა ხელიდან გამოსული პოემების (VIII—VII საუკ. ძვ. წ.) შემონახულ ფრაგმენტებში. ეს პოემებია: „ეგიმოსი“, „ასტრონომია“, „ქალთა კატალოგი“ („დიდი ელიები“), „კევქსის ქორწილი“ და „დედამიწის აღწერილობა.“ ფრაგმენტები უაირატესად ააოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სკოლიონებშია დაცული. თითო-ოროლა ფრაგმენტი შემოვინახეს: პიგინუსმა, ფსევდო-ერატოსთენემ და ლომეროსისა და აინდარეს თხზულებათა სკოლიასტებმა.<sup>19</sup> ამ ფრაგმენტებში პირველად მოიხსენიება ოქროს საწმისი: ათამანტის შვილებს, ფრიქსსა და ელეს, დედამ—ნეფელემ მოუგზავნა ოქროს საწმისიანი ვერძი, რომელმაც ბავშვები ელესპონტზე გადაიყვანა. ჰელე წყალში ჩავარდა, ფრიქსე კი ვერძმა აიექთან მიიყვანა. ფრიქსემ ვერძი დაკლა და მისი ოქროს ტყავი აიექს უბოდა. ზევსისთვის შეწირული ვერძი ზეცად აღმალდა და თანავარსკვლაეთა შორის მოთავსდა („ეგიმოსი“, „ასტრონომია“). იასონი (ფრაგმენტში დამოწმებული ტაეპით—იესონი) ესონის ძეა, რომელიც კენტავრმა ქირონმა გამოზარდა ტყიან პელიონზე. ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ფინევსის ეპიზოდი ძველთაგანვე ყოფილა არგონავტთა თქმულების ნაწილი. გადმოცემულია ფინევსთან დაკავშირებული ამბები: ფინევსის წარმომავლობა, ფინევსის დაბრმავება, ძეტესა და კალასის მხრივ დახმარება. 162-ე ფრაგმენტში ნათქვამია: „ფინევსი საპყარი გახდა,

<sup>18</sup> პლუტარქეს ცნობით რომის დაარსება მიეწერება კირკესა და ოდისევსის ვაჟს—რომანოსს. იხ. პლუტარქე, რჩ. ბიოგრაფიები, გვ. XV; 265; 328, შენ. 2.

<sup>19</sup> EGF.

ამბობს ჰესიოდე „დიდ ეოიებში“, რადგან ფრიქსეს გზა უჩვენა სკვითიისკენ.“ 74-ე ფრაგმენტიდან ჩანს, რომ ჰესიოდეს ეპოქაში უკვე არსებობდა აიეტთან მოლაშქრე არგონავტების ვრცელი ნუსხა: „არც პომეროსი, არც ჰესიოდე და არც ფერეკიდე არ იხსენიებენ იფიკლეს არგონავტებთან ერთადო“—ამბობს სქოლიასტი, რომელსაც, ჩანს, ეს ნუსხა ხელთ ჰქონდა. ჰერაკლე აღრევე შეუტანიათ ამ ნუსხაში, მაგრამ, 169-ე ფრაგმენტის მიხედვით, იგი აფეტეში დაუტოვებიათ. 83-ე ფრაგმენტი ვადმოგვეცემს: „ჰესიოდე ამბობს, რომ ისინი [არგონავტები] ფაზისის საშუალებით შენავდნენ [კოლხეთში].“ ვადმოცემულია არგონავტების უკან დაბრუნების ამბები და კირკეს მისვლა ტირენიაში. მოთხრობილია ის, თუ ვით დასასლდა აიეტის შვილიშვილის—არგოსის ძე მაგენტი თესალიაში („პალთა კატალოგი“, „კეკეჰსის ქორწილი“, „დედამიწის აღწერილობა“).

უნდა აღენიშნოთ, რომ ფრაგმენტების შემომნახავი ავტორები დაკარგულ აოენებს ჰესიოდეს მიაწერენ და ამიტომაც ხშირად მიუთითებენ: „როგორც ჰესიოდე ვადმოგვეცემს“, „როგორც ჰესიოდე ამბობსო“. როგორც უკვე ვთქვით, ეს სოემები ჰესიოდეს სკოლის პოეტებს ეკუთვნით, რომლებიც ჰესიოდეს ეპოქის მახლობელ ხანებში ცხოვრობდნენ. ამ სოემების ფრაგმენტები მნიშვნელოვანი წყაროა იმით, რომ აქ არგონავტთა ცქმულების შედარებით ძველი ვერსიაა გამოჯენებული.

არგონავტთა თქმულების უძველესი—კორინთული ვერსია ვრცლად ჰქონდა დამუშავებული ეპიკოს-პოეტს ევმელოსს კორინთელს. ანტიკური წყაროების მიხედვით ევმელოსი სირაკუზის დამაარსებლის, კორინთელი არქიას. თანამედროვე იყო. სირაკუზის დაარსებას ძვ. წელთაღრიცხვის 740/35 წლის მახლობელ ხანებში გულისხმობენ. ასე რომ ევმელოსი ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრის პოეტია. ამავე თარიღს გვაწვდის III საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე კლიმენტი ალექსანდრიელი (Stram. I p.144—333 b). პინდარეს სქოლიასტი ევმელოსს პოეტ-ისტორიკოსს უწოდებს (Schol. ad Ol. XIII, 74). ევმელოსის მთავარი პოემა იყო „კორინთიაკა“, რომელშიაც პოეტი კორინთოს ისტორიას ვადმოგვეცემდა. ამ გენეალოგიური პოემის დაწერის დროს პოეტი ემყარებოდა უძველეს თქმულებებს; მათ შორის—არგონავტთა თქმულების კორინთულ ვერსიას. „კორინთიაკა“ ჩვენამდე არ მოღწეულა. შემონახულია რამდენიმე ფრაგმენტი. ფრაგმენტები დაცულია პინდარეს „ოდებისა“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონებში. „კორინთიაკა“ გამოყენებული აქვს თეოპომპე ქიოსელის დამოწმებით ბიზანტიური ხანის კომპილიატორს იოანე

ცეცეს ლიკოფრონიუსული „ალექსანდრას“ განმარტებებში. იმოწმებს ევმელოსს ევრიპიდეს „მედეას“ სქოლიასტიც (ad Med. 9, 19). პავსანიას, „ელადის აღწერილობის“ ავტორს, როგორც ირკვევა, ხელთ ჰქონდა ევმელოსის „კორინთიაკას“ პროზად გადაკეთებული ტექსტი და კიდეც გამოიყენა (Paus. II, 1, 1; II, 3, 10 (8)). პავსანია ამ ტექსტს „კორინთოს აღწერილობას“ უწოდებს<sup>20</sup>.

ევმელოსის მიერ დამუშავებული კორინთული ვერსია განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წინაბერძნული მოსახლეობის თვალსაზრისით. ამ ვერსიით კორინთო (ეფირე) მერმინდელი ელადის სხვა მხარეთა მსგავსად პელასგების ოდინდელი სამკვიდრებელი იყო. „კორინთიაკის“ დაცული ფრაგმენტი (მე-2) შორეული წარსულის რემინისცენციაა: მზის ღმერთს ჰელიოსსა და ანტიოპეს ჰყავდათ ორი ვაჟი: აიეტი და ალოევსი. ჰელიოსმა შვილებს სამემკვიდრო დაუნაწილა: ალოევსს უბოძა მხარე არკადიაში (ასოპოსი), ხოლო აიეტს მთლიანად მისცა ეფირე (კორინთო). აიეტს არ მოსწონდა საგამგებლო; ამიტომ იგი გადასცა ვინმე ბუნეს დასაცავად, სანამ არ დაბრუნდებოდა თვითონ, ან ვინმე მისთავანი: შვილი ან შვილიშვილი. თვითონ აიეტი კი კოლხეთის მიწისაკენ წაჩემართა. ძვ. წ. III საუკუნის პოეტი ლიკოფრონ ქალკიდელი, ჩანს, ევმელოსს ეყრდნობა, როცა აიეტს აიასა და კორინთოს გამგებელს უწოდებს (Lycophr. ტ. 1024). ბუნეს შემდეგ, პავსანიას გადმოცემით, კორინთოს მართავდა ალოევსის ძე ეაოპევსი, შემდეგ კი—კორინთოსი. ამას მემკვიდრე არ ჰყავდა, ამიტომ კორინთელებს იოლკოსიდან მედეა გამოუხშიათ და ხელისუფლება მისთვის გადაუციათ. ევრიპიდეს „მედეას“ სქოლიასტი შენიშნავს: „მედეა რომ კორინთოს გამგებელი იყო, ამას ევმელოსი მოგვითხრობს და სემონიდეს“. მედეას წყალობით კორინთოში იასონი გამეფებულა. მერე უთანხმოება მოსვლიათ, მედეას სამეფო სიზიფესათვის გადაუცია და კორინთო დაუტოვებია.

აბ. როდოსელის სქოლიასტის ჩვენებით „არგონავტიკის“ III წიგნის 1372—1376 ტაეებები როდოსელ პოეტს ევმელოსისაგან დაუსესხებია. ამ ტაეებში კი გადმოცემულია ის ამბავი, თუ ვით დახოცეს ერთმანეთი იასონის მიერ ხნულში ჩათესილი გველეშაპის კბილებიდან აღმოცენებულმა გოლიათებმა (Schol. ad III, 1372). როგორც ჩანს, ევმელოსს არგონავტების თქმულება დეტალებში ჰქონია დამუშავებული. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იესენის

<sup>20</sup> EGF. I.

მოსაზრებას, თითქოს ევმელოსს მითის ცალკეული ადგილები არ დაემუშავებინოს.<sup>21</sup>

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. კოლხეთის, როგორც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გულში მდებარე მხარის, პირველ მომხსენიებლებად დღემდე პინდარესა და ესქილეს თვლიან. ეს არ არის სწორი. როგორც დავინახეთ, კოლხეთის სახელი, არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებით, უკვე VIII საუკუნეშია მოხსენიებული ევმელოსის მიერ (ფრაგ. 2: *Κολχία γαιαν*).

პავსანიას მოწმობით, ლაკედემონელი პოეტი კინეთონი გენეალოგიური თანრის პოემების ავტორი იყო. მას შეუთხზავს ეპიკური ნაწარმოებები ტროისა და თებეს ციკლის თქმულებათა საფუძველზე. კინეთონს დაუწერია პოემები ჰერაკლეზე, ელენესა და ორესტეზე, ტელეგონეზე. ოიდიპოსზე და აგრეთვე მედეაზე. უკანასკნელი პოემა, ცხადია, არგონავტების ციკლს განეკუთვნებოდა. კინეთონისა ჩვენამდე არაფერი არ მოღწეულა. გვაქვს მხოლოდ პავსანიას ცნობა, სადაც დამოწმებულია კინეთონის სიტყვები, რომ იასონსა და მედეას ორი შვილი შესძენიათ: ვაჟი—მედიოსი და ასული—ერიოპისი. ვაჟის სახელის მიხედვით, შეიძლება, ვიფიქროთ, რომ კინეთონი ჰესიოდეს ემყარებოდა (მედეას ვაჟს „თეოგონიაშიც“ მედიოსი ჰქვია).

კინეთონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროის ზუსტად განსაზღვრა ძნელია. ევსევი კესარიელი კინეთონის მოღვაწეობის ერთ მომენტს 50-ე ოლიმპიადის განაკუთვნებს (ძვ. წ. 580—577 წლები), მაგრამ ანტიკური გადმოცემით კინეთონს უფრო ადრე VIII—VII საუკუნეების მიჯნაზე უნდა ეცხოვრა<sup>22</sup>.

როგორც ჩანს. პავსანიას ხელთ ჰქონდა კინეთონის პოემა მედეაზე, რომელიც მომდევნო ხანებში კიკლიკური პოემების მსგავსად დაიკარგა.

ამოლონიოს როდოსელის სქოლიონებში ხშირადაა დამოწმებული გენეალოგიური პოემა „ნავპაკტიკა“. პოემის უფრო სწორი სახელი დატულია პავსანიასთან. აქ მას ჰქვია „ნავპაკტიკური ეპოსი“ (*τὰ Ναυπάκτιζ ἔπη*—Paus. II, 3, 9; IV, 2, 1; X, 38, 11)<sup>23</sup>. ვარაუდობენ, პოემაში „ქალთა კატალოგის“ („დიდი ეოიების“) მსგავსად ასახული იყო სახელგანთქმული ქალების თავგადასავა-

<sup>21</sup> დასახ. ნაშრ. RE, II, 746: Die Einzelheiten des A.—Zuges hat Eumelos wahrscheinlich nicht näher behandelt.

<sup>22</sup> EGF.

<sup>23</sup> იხ. Kinkel-ის შენიშვნა: EGF, I, 198.

ლი<sup>24</sup>. აბ. როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონში (IV, 86-თან) „ნავბაქტიური ეპოსის“ ხუთი ტაეია სრულად დაცული. სხვა ფრაგმენტები პოემის სათანადო ადგილების არაპირდაპირ დამოწმებას წარმოადგენს. ეს მასალა გვაფარაულებინებს, რომ ზოგმაში, რომელიც თავის დროზე მთლიანად ჰქონდა ხელთ პავსანიას, არგონავტების თქმულება დაწერილებით იყო გადმოცემული. თხრობა იწყებოდა არგონავტების გამომგზავრებით; წარმოდგენილი იყო ლაშქრობის მონაწილეთა სრული ნუსხა (ფრგ. 5); მოთხრობილი იყო კოლხეთში მოსვლის, იასონის მიერ იდმონის წაქეზებით დავალების შესრულებისა და საწმისისა და მედეას გატაცების ამბები (ფრგ. 6, 8). ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამ პოემის მიხედვით ოქროს საწმისი აიეტის სასახლიდან გამოაქვს მედეას, რომელიც სამშობლოს ღვთაების მოწოდებით ტოვებს (ფრგ. 7, 9). ამას მოსდევდა არგონავტების შინ დაბრუნების ამბები. ჰელიასის სიკვდილის შემდეგ იასონი კორკირაზე გადასახლდება (ფრაგმენტთან). აქ ნადირობის დროს იასონისა და მედეას უფროს ვაჟს—მერმეროსს ძუ ლომი დაგლეჯს (ფრგ. 10). „ნავბაქტიური ეპოსის“ ავტორი, ჩანს, ფინევსის ეპიზოდსაც იცნობდა (ფრგ. 11).

პოემის ავტორად აღიარებდნენ ვილაც მილეტელ პოეტს; ლოგოგრაფოსი ქარონ ლამკსაკელი პოემის შემთხზველად აღიარებდა კარკინოსს, კორინთოს უბესთან მდებარე ქალაქის—ნავბაქტოსის მკვიდრს (აქედანვე წარმოდგა პოემის სახელწოდებაცო). პავსანია მხარს უჭერს ქარონს (X, 33, 11). პოემის დაწერის თარიღი დღემდე დაუდგენელია. თუ მოღწეული ხუთი ტაეიას ენობრივი მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენი აზრით, პოემის შეიქმნა იონიური ეპოსის დომინირების დროს უნდა ვივულისწმოთ, დაახ. VIII—VII საუკუნეთა მახლობელ ხანებში. პოემის ავტორი იონიელი ბერძენი ჩანს, მისი ენა კი იონიური დიალექტია. ამას ადასტურებს ფორმები: *μυρήμευχι*, *ἀλχίαια*, *αἰθῶμαίνη* *φρῆσιγ ἦται*, *ἰήσαι*. *ἀρχεμάχοις* *ἐτάροισιν*. *φῆσεμῆμευχι* *μερχῆροιο*. დამაბრკოლებელ გარემოებას ჩვენ მოსაზრებას ის უქმნის, რომ ასეთი იონიური ფორმები გვიან ხანების ბერძნულ ეპოსშიც გვხვდება, მაგრამ მხარს უჭერს შემდეგი ფაქტები: 1. ანტიკური ხანის მრავალი პოეტი პოემის ავტორად სწორედ მილეტელ (იონიელ) პოეტს აღიარებს.

2. პოემის სათაური სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი უთუოდ ნავბაქტოსის მოქალაქე იყო, როგორც ამას ქარონი და

<sup>24</sup> W. v. Christs Geschichte der griechischen Litteratur. I. München, 1911. გვ. 91.

პავსანია ფიქრობდნენ. აპოლონიოს როდოსელმა, მაგალითად, შე-  
თხზა პოემა „ნავკრატისის დაფუძნების შესახებ“, მაგრამ იგი რო-  
დოსელი იყო და არა ნავკრატისელი.

3. პოემის სათაური ჩვენ იმას გვაფიქრებინებს, რომ ნაწარმოე-  
ბის სიუჟეტი უძველეს—კორინთულ ვერსიის ეყრდნობოდა, როგორც  
ევმელოსის „კორინთიაკა“. ნავბაქტოსი კორინთოს გარემოცვაშია,  
კორინთოსთან კი მჭიდრო კავშირში არიან არგონავტთა თქმულე-  
ბის ცენტრალური გმირები: აიეტი, მედეა, იასონი.

3. „ნავბაქტიური ეპოსის“ ავტორი, რომ ჰესიოდესა და ევმე-  
ლოსის ეპოქის მახლობელ ხანების მოღვაწეა, ეს ჩანს პოემის შინა-  
არსობლივი ანალიზიდან, რის საშუალებასაც შემონახული ფრაგ-  
მენტები იძლევა. პოემის ავტორი ეყრდნობოდა არგონავტების  
თქმულების იმ ძველ ვერსიას, რომელიც ჰესიოდემ, მისი სკოლის  
პოეტებმა და ევმელოს კორინთელმა გამოიყენეს და რომელიც მომ-  
დევნო საუკუნეებში თანდათანობით შეიცვალა. „ნავბაქტიური  
ეპოსის“ მისედემთ მედეა სამშობლოს მოლაღატე ქალი კი არ  
არის და აირადი გრძნობების აყლით კი არ სტოვებს აიეტის  
სასახლეს, არამედ ღვთაების მოწოდებით მიჰყვება არგონავტებს  
(ფრგ. 7). აესიოდესთანაც იასონ-მედეას დაკავშირება ზევსის  
განზრასვის შედეგია („თეოგონია“, 1002). ოქროს საწინის აიეტის  
სასახლეშია მოთავსებული (ფრგ. 9). ამასვე უნდა გადმოგვცემდეს  
აესიოდეს სკოლის პოეტის სოფლა „ევინიოსი“ (ფრგ. 1). „ნავბაქ-  
ტიურ ეპოსში“ იასონის წამაჭეზებელ და უშუალო დამსმარე ძა-  
ლად მისანი იდმონი ჩანს და არა მედეა (ფრგ. 6, 7, 8). ასევე  
უნდა ყოფილიყო ევმელოსთანაც (შდრ. ფრგ. 9).

არგონავტთა თქმულების კორინთულ ვერსიას და ევმელოსის  
„კორინთიაკას“ ემყარებოდა პოემა „არგონავტიკა“, რომელსაც  
ანტიკური ტრადიცია ეპიკური ეპოსის (VII—VI საუკ.) მიაწერს.  
ეპიკური ეპოსის ბიოგრაფია ლეგენდარული ამბებითაა დატვირთული.  
იგი წარმოშობით იყო კრეტელი, ქალაქ ფესტოსიდან. ცხოვრობ-  
და და მოღვაწეობდა კნოსოსში. მსახურობდა ქურუმთა კოლეგია-  
ში, როგორც ზევსის ქურუმი—კურეტი. ემსახურებოდა აპოლონის  
კულტსაც.<sup>25</sup> ეპიკური ეპოსის თითქოს ხანგრძლივად ეძინა დიკტეს მღვი-  
მეში, სადაც შეიძინა განმწმენდი ძალა და მრავალზე მრავალ წელს  
იცოცხლა. მის სულს თითქოს შეეძლო, სხეულიდან ამოსულიყო  
და ხეტიალის შემდეგ კვლავ დაბრუნებოდა პატრონს. მეტსახე-  
ლად შეერქვა „თეოლოგოსი“ და „კათარტისი“ („ყოღვათაგან გან-  
მწმენდი“). ზოგჯერ შვიდ ბრძენთა რიცხვშიც მოიხსენიებდნენ.

<sup>25</sup> Suid., s. v.

პლუტარქეს მოწმობით, ღრმად მოხუცებული ეპიმენიდე სოლონს კრეტიდან ათენში გამოუწვევია ქალაქის გასაწმენდად ეგრეთ წოდებული „კილონის ცოდვისაგან“<sup>20</sup>. ეს მომხდარა 46-ე ოლიმპიადაში (596—593 წლებში). ეპიმენიდეს მრავალი პოემის ავტორად თვლიდნენ. შეუთხზავს პროზული ნაწარმოებებიც. პოემათა შორის მოისენიება: „კურეტებისა და კორიბანტების წარმოშობა და თეოგონია“ (5 ათასი ტაეპის შემცველი), „მინოსისა და რადამინთისისათვის“ (3 ათასი ტაეპის შემცველი) და „არგონავტიკა“. დიოგენე ლაერტელის გადმოცემით ეს იყო „[ხომალდ] არგოს“ აგებისა და იასონის კოლხებისაკენ გამგზავრების ამსახველი პოემა ექვსი ათას ხუთასი ტაეპის შემცველი“.<sup>21</sup> ამ პოემიდან ორიოდ ძუნწიცნობა შემოგვინახა აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტმა. Stender-ი ეპიმენიდეს „არგონავტიკას“ სიყალბედ მიიჩნევს<sup>22</sup>.

ეპიმენიდესთან აიეტი კორინთელია; დედა აიეტისა იყო ეფირე (ფრგ. 1). აიეტის შვილიშვილებია: არგოსი, ფრონტისი, მელასი, კიტისორე, პრესბონი (ფრგ. 2).

დიოგენე ლაერტელის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ეპიმენიდეს სახელით ცნობილი „არგონავტიკა“ დაწვრილებით გადმოგვცემდა თქმულებას. პირველი ფრაგმენტი მიგვითითებს, რომ პოემაში, ევმელოსის „კორინთიკას“ მსგავსად, ჩართული იყო კორინთოსა და აიას გამგებლის წარმოშობის ამბავი.

§ 2. ლირიკა. არგონავტების თქმულებას ელინური პერიოდის ბევრი ლირიკოსი ეხება. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ეროტიკული ელეგიის დიდი წარმომადგენელი, VII—VI საუკუნეების პოეტი მიმნერმე. მიმნერმეს პოეტური მრწამსია: სიცოცხლე სიყვარულის გარეშე ფუჭია; მხოლოდ ტრფიალება ანიჭებს ადამიანთა საქმიანობას წარმმართველ ძალას. ამ დებულების დასამტკიცებლად პოეტი იშველიებდა მითებიდან მოზიდულ მაგალითებს. ელეგიების კრებულში „ნანო“ (Νάνω), სხვა მაგალითებთან ერთად, მიმნერმე იმოწმებდა მაგალითს არგონავტების მითიდანაც. ელეგიის ეს ადგილი მოღწეულია ფრაგმენტულად. ფრაგმენტში მოხსენიებულია: პელიასი, იასონი, დიდი საწმისი და აიეტის ქალაქი, სადაც ჰელიოსის სხივები ოქროს დარბაზშია მოთავსებული<sup>23</sup>.

<sup>20</sup> პლუტარქე, „სოლონი“, თ. 12.

<sup>21</sup> Diog. L. I. 10, 5 § 111.

<sup>22</sup> Stender, o. c. 23.

<sup>23</sup> Anth. lyr. Gr. ფრგ. 11.



საგუნდო მელიკის ანუ ქორიკული ლირიკის წარმომადგენელი პოეტები, რომლებიც ქორიკულ სიმღერებში ძველ მითებს ამუშავებდნენ, ცხადია, არგონავტების თქმულებასაც ეხებოდნენ. VII—VI საუკუნეების ქორიკოს პოეტს სტესიქორე ჰიმერელს (ტისიას), რომელიც, კვინტილიანეს თქმით, „ეპიკური პოეზიის ტვირთს ლირით ეზიდებოდა“, არგონავტების ციკლიდან შეუთხზავს საგუნდო სიმღერა „შეჯიბრებები პელიასის საფლავზე.“ აქ დამუშავებული იყო გრძელეული მედეას შეგონებით საკუთარი ასულების მიერ მოკლული თესალიის გამგებლის—პელიასის დაკრძალვის ამბავი.

სიმონიდე კეოსელი (556—468), რომელსაც ძველი ბერძნები საგუნდო პოეზიის კლასიკოსად თვლიდნენ, თავის სიმღერებში ხშირად ეხებოდა არგონავტთა თქმულებიდან აღებულ ამბებს. სიმონიდეს სიმღერებიდან მეტად ძუნწი ფრაგმენტებია შემონახული, მაგრამ ამ ფრაგმენტებიდან და ანტიკური ეპოქის მწერალთა მითითებებიდანაც ჩანს, რომ სიმონიდე არგონავტთა თქმულების კორინთულ ვერსიას ეყრდნობოდა. ევრიპიდეს „მედეას“ სქოლიასტი გადმოგვცემს: „მედეა რომ კორინთოში გამეფებულა (βεβήχασθε) ამას ევმელოსი მოგვეითხრობს და სიმონიდეს“ (ევმელოსი ფრგ. 10). სიმონიდეს აღწერილობით, საწმისი (νᾶχος) ხან თეთრი ყოფილა, ხან კი მეწამული (ფრგ. 21).<sup>30</sup> პოეტი თავის სიმღერებში შეახებია მოძრავ კლდეებს—სინდრომადებს, რომლებშიაც არგონავტებმა გაიარეს (ფრგ. 22); გადმოუცია. თუ ვით შეეჯიბრნენ არგონავტები ლემნოსელ ქალებს (ფრგ. 205), თუ როგორ გაახალგაზრდავა მედეამ იასონი (ფრგ. 204) და ვით გამეფდა იასონი კორინთოში (ფრგ. 48).<sup>31</sup>

პირველი პოეტი ელინურ პერიოდში (მოღწეულ ავტორთაგან), ვინც ყველაზე უფრო ვრცლად დაამუშავა თქმულება არგონავტებზე, იყო საგუნდო ლირიკის უდიდესი წარმომადგენელი პინდარე (522/518—442/433). არგონავტთა თქმულებიდან მედეასა და ხომალდ „არგოს“ პინდარე მოიხსენიებს XIII ოლიმპიურ ოდაში, ხოლო IV პითიურ ოდაში დაწვრილებით გადმოგვცემს ამ თქმულების მთავარ მომენტებს. პინდარეს ეპინიკებში IV პითიური ოდა უძლიერეს თხზულებად ითვლება. იგი პინდარემ შეთხზა 466 წლის მახლობელ ხანებში და მიუძღვნა ჯირითში გამარჯვებულ მეფე არკესილაე კვირენელს (Ἀρκεσίλαος Κυρηνάϊος ἄρχαυς). ამ

<sup>30</sup> Etym. M., 597, 6; ევრიპიდეს „მედეას“ სქოლიონი, ტ. 5.

<sup>31</sup> Anth. lyr. gr.

ოდის კომპოზიცია ისეთივეა, როგორცაა კომპოზიცია პინდარეს სხვა ეპინიკებისა. იგი სამი ნაწილისაგან შედგება: პროლოგი, პიპოთესისი და ეპილოგი. ოდა შეიცავს 13 ტრიადას (ტრიადაში იგულისხმება სტროფი, ანტისტროფი და ეპოდი). 13 ტრიადიდან 8 ეთმობა მითს არგონავტების შესახებ. ოდის პროლოგში პოეტი მიმართავს მუზას და მოიგონებს აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე ქალაქ კვირენეს, რომელშიაც VII საუკუნეში არგონავტ ეფემეს შთამომავალი გადმოსახლდნენ კუნძულ თერადან. პოეტი შემდეგ ხოტბას ასხამს არკესილას, მის გამარჯვებას პითიურ შეჯიბრში და მოიხსენიებს კვირენეს მეფეთა წინაპარს, მინიელთა მოღვმის მეფე ბატოსს, რომელმაც კვირენე დააარსა. პროლოგს მოსდევს პიპოთესისი. არ სწორედ აქ ეძლევა პოეტს საბაზი გადმოგვიშალოს არგონავტთა წარმტაცი თქმულება და ამით ოდის შინაარსი გაამდიდროს. კვირენეს მოხსენიებამ არგონავტთა ამბის გადმოცემა შემდეგი მიზეზით გამოიწვია. როცა კოლხეთიდან დაბრუნებული არგონავტები ლიბიაში ტრიტონის ტბაში მოხვდნენ, ერთ-ერთ არგონავტთან, ხახელად ეფემეს, გამოეცხადა ზღვის ღვთაება, პოსეიდონის ვაჟი ტრიტონი ეგრიპილე და გადასცა მიწის ბელტი. მედიამ ეფემეს უმისნა: თუ ამ ბელტს ტენარეს კონცხზე აღდგის (საიტიოს სამეფოს) გამოქვაბულში ჩააგდებ, შენგან წარმდგინილი მეოთხე თაობა ლიბიაში დასახლდება და ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი შეიქნებაო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ეფემემ ბელტი ტენარეს კონცხზე კი არ ჩააგდო გამოქვაბულში, არამედ ზღვაში გადაისროლა, საიდანაც აღმოცენდა კუნძული კალისტე ანუ თერა. მედიას წინასწარმეტყველება მანაც აღსრულდა, ოღონდ გვიან. ეფემეს მეჩვიდმეტე თაობის წარმომადგენელი, პოლიმნასტეს ძე ბატოსი, რომელსაც პინდარე მოიხსენიებს, დელფოს სამისნოდან მიიღებს წინთქმას, რომ ახლანდელი სამკვიდრებელიდან (ეს იყო კუნძული თერა) ლიბიაში გადასახლდეს. ბატოსი ასეც მოიქცევა, დასახლდება ლიბიაში და დააარსებს კვირენეს.

როგორც ვთქვით, პინდარე ჩვენამდე მოღწეული პირველი ბერძენი ავტორია, რომელიც არგონავტთა თქმულებას ვრცლად გადმოგვცემს. პინდარე ყოველი თავისი ოდის პიპოთესისში რომელსამე მითს ამუშავებს მხატვრულად. ამ მითს პოეტი უკავშირებს ოდის აღრესატს, მის წინაპრებს ან მის სამშობლოს და მითის ფონზე საკუთარ აზრებს ცხადყოფს. საგუნდო ლირიკა, როგორც ცნობილია, ეპოსის მასალითა და მხატვრული სახეებით საზრდოობდა. ამის გამო ამბობდა სტესიქორეს შესახებ კვინტილიანე, რომ „ეპიკური სიმღერის ტვირთს ლირით ეზიდებოდაო“ (epici

carminis onera lyra sustinnit).<sup>32</sup> იგივე და უფრო ხაზგასმით შეიძლება ითქვას პინდარეს შესახებაც. პინდარე იყო ძველი სამყაროს უდიდესი პოეტი — princeps lyricorum და მას არ შეიძლება ღრმად არ სცოდნოდა საკუთარი ქვეყნის მითოლოგია, დეტალებში არ ჰქონოდა შესწავლილი ცალკეული საჭირო მითი და ამ მითის შესახებ უკვე არსებული ლიტერატურული მასალა. არგონავტების ამბავს პინდარე ღრმად იცნობს და სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ II სიმღერის 181-ე ტაეპის განმარტების დროს სქოლიასტი აინდარეს წყაროდ მიიჩნევს ჰესიოდესადმი მიწერილი თხზულების „ქალთა კატალოგის“ („დიდი ეოიების“) მესამე წიგნს.<sup>33</sup> აინდარეს, ცხადია, სხვა წყაროებიც ექნებოდა ხელთ.

მითის გადმოცემისას პინდარესათვის მთავარი იყო მხატვრული მომენტი, მაგრამ მითის მხატვრული დამუშავებისა და ლირიზმის მაღალ ხარისხში აყვანის დროს პოეტი მითის ფაბულის არსებით მხარეებს უცვლელად სტოვებდა. თქმულების, მიოსის მაღალ მხატვრულ ფორმებში განზოგადება, მის ფაბულაში საკუთარი მსოფლმხედველობის ჩაწენა პინდარეს პოეტური კრედიოა. „მე ვფიქრობ, რომ ტკბილმოუბარი ჰომეროსის წყალობით ზოთხრობა ოდისევსზე უფრო დიადი შეიქმნა, ვიდრე თვით ოდისევსის ტანჯუანიო“; — ამბობს პოეტი (ნემეური VII, 20—22).

პინდარე არგონავტების ამბის მხატვრულ გაშლასთან ერთად გვაწვდის მეტად საინტერესო წმინდა ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ დეტალებს. ასეთ შემთხვევებში, უნდა ვივარაუდოთ, პოეტი რეალურ მონაცემებს ეყრდნობოდა.

პოეტი გადმოგვცემს არგონავტთა თქმულების ყველა მთავარ მომენტს. თქმულების სამყაროში მას მეხუთე ტრიადიდან შეყავს მკითხველი. აქ გადმოცემულია მედეას წინთქმა „არგოს“ მგზღვაურებისადმი ლიზიაში დასახლების შესახებ და პელისისთვის მიცემული მისნობა ცალწალიანი ვაჟკაცისგან განრიღების თაობაზე. მეექვსე ტრიადაში პოეტი მოგვითხრობს, თუ ვით ჩამოვიდა იოლკოსში „წყვილი შუბით აღქურვილი საოცარი ვაჟკაცი“ და როგორ გააკვირვბ თავისი ლფაებრივი სილამაზით მოედანზე შეკრებილი ხალხი. მეშვიდე დი მერვე ტრიადებში გადმოცემულია მოსულ ვაჟკაცის, ოცი წლის იასონისა და პელიასის შეხვედრის ამბავი.

<sup>32</sup> Quintilianii institutio oratoria ed. Radermacher, I-II Lips. 1907—1935. X, 1, 62.

<sup>33</sup> Pindar, II. Pythiques. Text établi et traduit par Aimé Puech. Paris. „Les belles lettres.“ 1922. „ბ. შთარგმნელის „Notice“.

სიხარულით ეგებებიან მთიდან ჩამოსულ იასონს მამა, ბიძები და ბიძაშვილები. იასონი მათ ლხინს უმართავს: „ხუთი ლამისა და ამდენივე დღის განმავლობაში იგი აკრეფდა განცხრომის წმინდა ყუავილს“.

მეცხრე ტრიადაში იასონი პელიასს წინადადებას აძლევს, მშვიდობიანი გზით დაუბრუნოს მას უსამართლობით მოპოვებული სკიპტრა და ტახტი. რომელთა კანონიერი მემკვიდრეც თვითონაა: „კლდეთა მეუფის პოსეიდონის ძე, სულსწრაფი მოკვდავნი მზად არიან სანართლიანობა მსხვერპლად შესწირონ მზაკრული გზით წონების შექენას, თუმც ამით მძიმე ხვალისდელი დღისაკენ მიემართებიან: მაგრამ მე და შენ გვმართებს, დავიცხროთ რისხვა და ბედნიერი მერმისი მოვიქსოვოთ“ (სტრ. 7) პელიასი მოთაფლული სიტყვებით უპასუხებს იასონს: „დავემორჩილები შენ სურვილს; მაგრამ მე უკვე გარს მეხვევა სიბერის ასაკი, შენი ახალგაზრდობის ყუავილი კი ახლა იფურჩქნება; შენ შეგიძლია დააცხრო მიწის-ქვეშეთელ ღვთაებათა რისხვა. ფრიქსე მოგვიწოდებს, მივიდეთ აიეტის საბრძანებელში, რათა დავაბრუნოთ მისი სული და წამოვიღოთ იმ ვერძის სქელსაწმისიანი ტყავი (βέρμα βερμαχλιον), რომლის წყალობითაც [ფრიქსე] ოდესღაც გადაურჩა პონტოს და დედნაცვლის უღვთო ისრებს“ (ებ. 7 და მეათე ტრიადის სტრ. 8). იასონი პელიასის დავალებას კისრულობს და ლაშქრობისათვის ემზადება. მის გარშემო ვაჟაკები იკრიბებიან: „ყველა მზად იყო, თვით სიკვდილის ფასად, სხვა ტოლებთან ერთად, თავისი სიქველის უზრუნველესი წამალი მოეძებნა“ (მეთერთმეტე ტრიადა, სტრ. 9). ღონიერი „არგო“ ზღვაში გავიდა და ჩქარა მიაღდა „უცხოთა მოძულე ზღვის შესართავს“; გაიარა მოძრავ კლდეებში და მიაღდა ზღვისათვის ფასის, სადაც არგონავტები „შავგვრემან კოლხებში“ (βερμαχλιον) ბრძოლაში ჩაებნენ. მაგრამ ღმერთ-ბრძოლით არგონავტე იასონისა და მედეას სიყვარულის წყალობით „გაქცნენ“ ამ ბრძოლას. პინდარე აქ პოეტურ ალეგორიას მიმართავს: „უზსარკისი ისრების დედუფალმა, კვიპროსშობილმა, ოთხ-ზარკილიან მრეციე ბორბალს მიაკრა კრელი ბზეწვია“; ე. ი. ბზეწვია სტრ. (სიმბოლო სიყვარულისა) გაეკრა საბრძოლო ეტლსო (ბერმახლიონ) ტრიადა, სტრ. 10). მედეა იასონს აიეტოს დავალე-ბას შესასრულებლად გრძნეულ მალამოს აძლევს (ანტისტრ. 10). აიეტის ვაჟი ავიტონ ხნავს მიწას ცეცხლისმურქვეველი და სი-ბრძოლის სიბრძნით, მერე კი ელინებს სთავაზობს ამ საქ-მის შესრულებას: „იუ შემისრულებს ამ საქმეს, წინამძღოლმა, რო-მელიც; ღონიერის განაგებს, დაე წაიღოს უბრწველი, საფენელი, ოქ-ტაბა სწამლისანი ბრწყინვილე ტყავი“ (ებ. 10). მედეას დახმარებით

იასონი ამ დავალებასაც ასრულებს (მეცამეტე ტრიადა, სტრ. 11) და უსერ ტევრში საწმისის მცველ დრაკონსაც ჰკლავს და პირობის ძალით მედღე მიჰყავს (ეპ. 11).

პიპროტესისის ფინალურ ნაწილს პოეტი მოკლედ გადმოგვცემს. ამას ასაბუთებს იმით, რომ გრძელი ამბის თქმა შეეკუმშულად სჯობს: „...დრო მაჩქარებს; მაგრამ მე ვიცი მოკლე ბილიკი და ბევრ სხვასაც ვუშოაღვრებ [ამ] სიბრძნესო“ (ეპ. 11). არგონავტთა მითის გადმოცემას, პინდარე ამთავრებს იმით, რომ ოკეანესა და მეწყამული ზღვის გავლის შემდეგ არგონავტები მიაღებებიან კუნძულ ლემნოსს და იქაურ ქალებს სატრფიალოდ დაუკავშირდებიან<sup>34</sup>.

არგონავტების ამბავს პინდარე შეახებია სხვა თხზულებათაშიც, რომელიც დაკარგულია და რომლის ერთი ფრაგმენტი (8უთი ტაეპის შემცველი) შემონახულია ევრიპიდეს ტრაგედიის „ანდრომაქეს“ სქოლიონებში (ფრგ. 172). აქ ლაპარაკია იმაზე, თუ ვით გაილაშქრეს ტროაზე პერაკლემ და პელეესმა (აქილეესის მამამ), როგორ ებრძოდა პელეესი ამძინებს და მერე როგორ ილაშქრა კოლხეთში იასონთან ერთად და ვით გაიტაცა მედღე.

პინდარეს ოდებს დართული აქვს ჯერ კიდევ ძველ ხანებში შედგენილი განმარტებები სქოლიონთა სახით<sup>35</sup>. ეს სქოლიონები საყურადღებოა ორმხრივ: 1. შეიცავს მითითებებს არგონავტთა მითის პარალელური ვერსიების შესახებ. რომლებიც ჩვენამდე მოუღწევად თხზულებებში იყო გადმოცემული და 2. მათში დაიძებნება კოლხეთის თვალსაზრისით საინტერესო განმარტებანი.

ოლიმპ. XIII ოდის 53-ე სქოლიონიდან ჩანს, რომ პინდარეს ოდების ზოგიერთი სქოლიონის ავტორი ლიკოფრონის „ალექსანდრას“ სქოლიასტიცაა.

ქორიკული პოეზიის წარმომადგენელთა შორის აქ უნდა დავასახელოთ ნაკლებად ცნობილი პოეტი, დითირამების შემთხვევლი ტელესტე სელინუნტელი, რომელსაც არგონავტების თქმულების საფუძველზე შეუთხზავს დითირამები „არგო“, რომლის ფრაგმენტიც დაცულია<sup>36</sup>.

<sup>34</sup> საგულისხმოა, რომ პინდარესთან არგონავტები ლემნოსს ეწყვიდნენ კლავთიდან დაბრუნების ვაშს. რაც ტრადიციულ გადმოცემას ეწინააღმდეგება.

სხვა ვერსიებით ცნობილია, რომ იასონს ლემნოსელთა დედოფლის ჰიფსიპილესაგან შეეძინება ვაჟი ევმელისი. ხოლო ევმეზე დაუკავშირდება ლემნოსელ ასულს—მალაქეს, რომელიც შობს კვირენეს მეფეთა წინაპარს.

<sup>35</sup> Scholia vetera in Pindari carmina recensuit A. B. Drachmann. Vol. I—II, Lipsiae, 1903—1910.

<sup>36</sup> Anth. lyr. gr.

არგონავტთა თქმულება დამუშავებული ჰქონდა პელოპონესის ომის თანამედროვეს, ეპიკოსსა და ლირიკოს პოეტს — ანტიმაქე კოლოფონელს (V საუკ. მეორე ნახ. ძვ. წ.). II საუკუნის საეკლესიო მწერლის, ტატიანეს, ცნობით, ანტიმაქეს დაუწერია შრომა პომპროსის პოეზიის შესახებ<sup>37</sup>. ანტიკური ხანის ავტორთა უმრავლესობა ანტიმაქეს კოლოფონელ პოეტად და გრამატიკოსად მიიჩნევს; ციცერონი („ბრუტუსი“, 51) და ოვიდიუსი („ტრისტიები“, I, 6, I) კი კლაროსელად თვლიან. შესაძლოა, იგი კლაროსზე დაიბადა, მაგრამ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კოლოფონში. სვიდას მოწმობით, ანტიმაქე იყო ვინმე ჰიპარქეს შვილი. მეგობრობდა ფილოსოფოს პლატონთან, რომელიც მასზე ცოტათი უმცროსი იყო.

ანტიმაქეს მიეწერება: ჩვენამდე უმნიშვნელო ფრაგმენტებით მოღწეული, თავის დროზე ოცდაოთხი წიგნის შემცველი პოემა „თებეიდა“, თხრობითი ელეგიების კრებული „ლიდე“ და ჰომეროსის პოემების ტექსტის ვრცელი კომენტარი.

ანტიმაქე მწიგნობრული პოეზიის ფუძემდებლად ითვლება. ელინისტურ ხანაში მას დიდ ეპიკოს პოეტად თვლიდნენ და ბაძავდნენ კიდეც.

არგონავტთა თქმულება დამუშავებული იყო ელეგიების კრებულში „ლიდე“. თხზულება არ მოღწეულა. მითითებები დატულია აპ. როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონებში. „ლიდე“ ანტიმაქეს მიუძღვნია გარდაცვალებული სატრფოსა თუ მეუღლისათვის და სახელიც ამ ქალისა (Λάνθη) დაურქმევია.

„ლიდეში“ ელეგიური საზომით იყო მოთხრობილი თქმულებებიდან ამოკრეფილი სასიყვარულო თავგადასავლები: ბელერეფონტისა და ანტიას საბედისწერო ტრფობის ამბავი, აფროდიტესა და ადონისის სიყვარულის საეალალო შედეგი და მისთ. არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის ამბავი, ჩანს, იასონისა და მედეას სიყვარულის ამბის ფონზე იშლებოდა.

ანტიმაქეს რომ არგონავტთა თქმულება დაწვრილებით დაუმუშავებია, ეს მტკიცდება აპ. როდოსელის პოემის სქოლიონების მითითებებიდან. თუ თქმულების თანამიმდევრობას დავიცავთ, ამ მითითებების მიხედვით, „ლიდეში“ მოთხრობილი ყოფილა ამბები: „არგონადან“ სიმძიმის გამო ჰერაკლეს გადასმის (ფრგ. 52), ფინევსის (ფრგ. 58), ძეტესა და კალასის (ფრგ. 51), კოლხთა მეფის აიეტის ხარების (ფრგ. 53), მედეასგან საწმისის მცველი დრაკონის მოჯადოების (ფრგ. 54), კოლხეთში იასონისა და მედეას დაქორწინებისა (ფრგ.

<sup>37</sup> Tatiani oratio ad Graecos. ed. Otto, Jenae, 1851. e. 31.

55) და ლიბიაში არგონავტების მიერ „არგოს“ მხრებით ხმელეთზე გადატარების (ფრგ. 56) შესახებ<sup>38</sup>.

§ 3. დრამა. არგონავტების თქმულებას დიდი ინტერესით მოეკიდა ელინური მწერლობის ისეთი მაღალი დარგი, როგორც იყო ატიკური დრამა (ტრაგედია, კომედია და ე. წ. სატირული დრამა). კლასიკური ხანის ბერძნული დრამისათვის, კერძოდ ტრაგედიისათვის, საგმირო თქმულებები სიუჟეტების დაუშრეტელი წყარო იყო: „ბერძნული ტრაგედია მთელი თავისი არსებობის დროს უწყვეტლივ რელიგიურ მითოსთან და საგმირო თქმულებასთან იყო დაკავშირებული და აქა ჰპოვებდა თავის შინაარსს“<sup>39</sup>. მითებსა და ეპოსს გულისხმობდა ესქილე დრამის საფუძვლად, როცა ამბობდა: „ჩემი ტრაგედიები ჰომეროსის ბრწყინვალე სუფრის ნამცეცებიანა“.

ბერძნულმა დრამამ არგონავტების თქმულებიდან უპირატესად სამი მომენტი გამოიყენა: ლემნოსის ეპიზოდი, ფინევსის თავგადასავალი და იასონ-მედეას ტრაგიკული რომანი. ამ ეპიზოდების გარშემო ტრაგედიები შეთხზეს ესქილემ, სოფოკლემ, ევრიპიდემ და ბერძნული ტრაგედიის სხვა წარმომადგენლებმაც. არგონავტების მითის სიუჟეტზე აგებული ტრაგედიებიდან ჩვენამდე სრულად მოაღწია ევრიპიდეს „მედეამ“, დანარჩენებიდან კი მხოლოდ ძუნწი ფრაგმენტები და სათაურებიღაა ცნობილი. გადარჩენილი მასალა საყურადღებოა არა მარტო არგონავტთა თქმულების მნატურული დამუშავების თვალსაზრისით, არამედ, და განსაკუთრებით, იმ მხრივ, რომ დრამატურგია თქმულების დრამატული ანარეკლისათვის რეალისტური—ისტორიული და გეოგრაფიული ფონის შექმნას ცდილობდა.

ბერძნული ტრაგედიის მამა—ესქილე (525—456) განსაკუთრებით იყო დაინტერესებული კოლხურ გარემოსთან დაკავშირებული თქმულებებით და რეალური ხასიათის ცნობებით. მან პირველმა ჩამოძერწა ტრილოგიად თქმულება კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეს შესახებ<sup>40</sup>. არგონავტების თქმულების საფუძველზე ესქილემ შექმნა ტრილოგია: „არგო“, „პიფსიდილე“ და „კაბირები“<sup>41</sup>. გარდა ამისა დაუწერია ტრაგედიები—„ფინევსი“, „ათამანტი“, „ლემნოსელები“ და სატირული დრამები—„კირაკე“ და „დიონისეს ცი-

<sup>38</sup> An h lyr. gr.

<sup>39</sup> გრ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბილისი, 1935, გვ. 35.

<sup>40</sup> ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 287—299.

<sup>41</sup> ეს სამი ტრაგედია ტრილოგიად პირველად ველკერმა მიიჩნია და საერთო სახელად „იასონია“ შეარქვა (Welcker, Die griech. Tragödien. Bonn, 1833).

ძები“<sup>42</sup>. ამ თხზულებათაგან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწყვეტები და სათაურებიღა გადარჩა. მათზე დაყრდნობით მთლიანი ნაწარმოების შესახებ მსჯელობა ძნელი და სავარაუდოა.

ტრაგედიაში „არგო“, როგორც სათაურიდან ჩანს, ალბათ გადმოცემული იყო ხომალდის მომზადების, მოლაშქრეთა შეკრებისა და კოლხეთისაკენ მგზავრობის დაწყების ამბები. ტრაგედიის ფინალური ნაწილი კუნძულ ლემნოსზე მიდგომას მოგვითხრობდა. ამას გვაფიქრებინებს მომდევნო ტრაგედიის სახელწოდება „ჰიფსიპილე“; რომელშიაც ლემნოსზე დატრიალებული ამბები და იასონ-ჰიფსიპილეს რომანი იქნებოდა გადმოცემული.

აბ. როდოსელის პოემის სქოლიასტი გადმოგვცემს; რომ ესქილე ხომალდ „არგოს“ მესაქეს ტრაგედიაში „არგო“ ტიფისის ნაცვლად იფისს უწოდებსო (I, 105); იმავე სქოლიასტის ცნობით „ჰიფსიპილეში“ ესქილე მოგვითხრობდა, თუ ვით შეეგებნენ ლემნოსელი ქალები არგონავტებს კუნძულზე და როგორ დააფიცეს, სატრფიალოდ დაკავშირებოდნენ მათ (I, 769). „ჰიფსიპილედან“ გადარჩენილ ერთ ტაეპში ლაპარაკია „არგოს“ მეტყველი მორის შესახებ (ფრგ. 114).

ტრაგედია „კაბირები“, სათაურის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ; ალბათ ასახავდა არგონავტების მიერ კუნძულ სამოთრაკზე (ლემნოსის მახლობლად) კაბირებისათვის აღსრულებულ წმინდა რიტუალს. პინდარეს სქოლიასტის მოწმობით, ესქილეს „კაბირებში“ ჩამოთვლილი ჰყავდა „არგოს“ მეზღვაურები (ad Pyth. IV, 303b).

ტრაგედია „ფინევსი“ შედიოდა იმ ტრილოგიაში, რომლის მეორე ნაწილს „სპარსელები“, ხოლო მესამეს „გლაფკოს პოტნიეფსი“ შეადგენდა და წარმოგვიდგენდა დრამად დამუშავებულ თქმულებას თრაკიის მეფის ფინევსის შესახებ. ეს თქმულება ავტორმა არგონავტების მითიდან აიღო.

სატირული დრამიდან „ჰირკე“ თითქმის აღარაფერია გადარჩენილი და მისი შინაარსის გამოცნობა ძნელია.

სატირულ დრამაში „დიონისეს ძიძები“ არგონავტების მითიდან ესქილეს დაუმუშავებია ის ამბავი, თუ როგორ გააახალგაზრდავა მდებამ გრძნეულებით დიონისეს ძიძები მათი ქმრებითურთ (ფერეკიდე; ფრგ. 113 და ევრიპიდეს „მედეას“ ჰიპოთესისი).

მეორე დიდმა ბერძენმა ტრაგიკოსმა სოფოკლემ (496—406) არგონავტთა თქმულებას ყველაზე უფრო მეტი თხზულება მიუძღვნა.

<sup>42</sup> „ლემნოსელების“ მიუთვება ესქილესათვის საექვოდაა მიჩნეულა (TGF, 40); მაგრამ საუკეთესო ნუსხა ხელნაწერებისა—Codex Mediceus მასაც ესქილეს ტრაგედიებში მოიხსენიებს.



სამწუხაროდ ჩვენამდე არც ერთი არ მოღწეულა. იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რამდენი ნაწარმოები შექმნა სოფოკლემ არგონავტთა მითის სიუჟეტზე, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი აზრი არ არსებობს. ზეელიგერი ფიქრობდა, რომ არგონავტთა მითის საფუძველზე სოფოკლემ შეთხზა ხუთი ნაწარმოები<sup>43</sup>; იესენი ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს შვიდით განსაზღვრავდა<sup>44</sup>, გრუპე — ოთხით<sup>45</sup>; ხოლო გრ. წერეთელი რვა პიესას ვარაუდობს<sup>46</sup>. შემონახული სათაურებისა და ფრაგმენტების, აგრეთვე, ძველი ავტორების მითითებათა საფუძველზე ჩვენ ვვარაუდობთ თერთმეტ თხზულებას — ათ ტრაგედიას და ერთ სატირულ დრამას. ტრაგედიები იყო: „ტირო“, „ათამანტი“, „ინო“, „ფრიქსე“, „ლემნოსელი ქალები“, „ფინევსი“, „ტიმპანისტები“, „კოლხი ქალები“, „სკვითები“, „პელიასი“ ანუ „რიძოტომოი“ („ფესვთა მჭრელები“). სატირულ დრამას წარმოადგენდა „ამიკოსი“. სათაურები — „ტირო“, „ათამანტი“, „ინო“, „ფრიქსე“, „ფინევსი“, „პელიასი“ და „ამიკოსი“ არგონავტთა თქმულების პერსონაჟთა სახელებიდან მომდინარეობენ. უნდა ვიგულისხმობთ, რომ სოფოკლე ასეთრიგად დასათაურებულ ნაწარმოებში სათანადო პერსონაჟთან დაკავშირებულ ამბებს წარმოგვიდგენდა და ეს ამბები არგონავტთა თქმულებიდან იყო აღებული. „ათამანტში“, მაგალითად, სოფოკლეს დაუმუშავებია ის ეპიზოდი, თუ როგორ უნდა შეეწირათ მსხვერპლად ათამანტი ზეესისათვის შვილების ლალატის გამო და როგორ დაიხსნა იგი ჰერაკლემ ნეფელეს შურისძიებისაგან (მიქაელ მოციქ. ანდაზ. კრებ. Cent. XI, 58). „ათამანტს“, როგორც სოფოკლეს ტრაგედიას, მოიხსენიებს პინდარეს სქოლიასტი, მაგრამ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო, ნეფელეს ფრიქსეს დედინაცვლად მიიჩნევს (ad Puth. IV, 288a).

აბ. როდოსელის პოემის სქოლიასტის მოწმობით, სოფოკლეს „ლემნოსელ ქალებში“ არგონავტების და ლემნოსის მკვიდრი მემომარი ასულების შერკინების ამბავი გადმოუცია (I, 769). პინდარეს სქოლიასტი ამბობს, რომ ამ ტრაგედიაში სოფოკლეს, როგორც „კაბირებში“ ესქილეს, არგონავტების სია ჰქონდაო (ad Puth. 303b). „კოლხ ქალებში“ (Κολχίδες), რომლის სათაური იმას მეტყველებს, რომ ტრაგედიის გუნდი კოლხი ქალებისაგან შედგებოდა, დამუშავებული იყო არგონავტების კოლხეთში ყოფნისა და

<sup>43</sup> LM, I, 504.

<sup>44</sup> RE, III, 747.

<sup>45</sup> Gr. Myth, I, 540.

<sup>46</sup> გრ. წერეთელი, დასახ. ნაშრ. II, 134.

მედვას დახმარებით იასონის მიერ აიეტის დავალებების შესრულების ეპიზოდები<sup>47</sup>. აქვე ყოფილა გადნოცემული აფსირტეს კოლხეთში (აიეტის სახლში) დაკვლის ამბავი (აბ. როდ. სქ. IV, 223 და 228).

ტრაგედია „სკვითები“ კოლხთაგან (resp. სკვითთაგან) არგონავტების დევნისა და არგონავტების ფეაკებთან (ალკინოესთან) თავშეფარების ამბავს წარმოგვიდგენდა<sup>48</sup>. პაროდოსში ალკინოეს სასახლის წინ მდევარ კოლხთა (სკვითთა) გუნდი ფეაკებთან თავშეფარებულ მედვას გაცემას მოითხოვდა. ტრაგედიის ფინალურ ნაწილში აღბათ კოლხთა და არგონავტთა დაზავება ხდებოდა, ისევე როგორც მითშია. ასეთ სიუჟეტურ კომპოზიციას გვაუარაუდებინებს ტრაგედიის სათაური, შემოკჩენილი ფრაგმენტები და ანტიკური ხანის სხვა ტრაგედიების აღნაგობა.

„სკვითებიდან“ გადარჩა მხოლოდ ორნახევარი ტაეპი. შემოგვინახა აბ. როდოსელის სქოლიასტმა (IV, 223): „[მედვა და აფსირტე] ერთი საშოდან არ წარმოვმნილან; [აფსირტე] ნერეიდის ძე ახლახან იშვა, [მედვა] კი ბევრად ადრე გააჩინა ოკეანეს ასულმა ილიამ“. აქ ხაზი პქვეს გასმული იმას, რომ აფსირტე მედვას დედით-ერთი ძმა არ იყო. სხვა წყაროშიც აფსირტეს დედად ნერეიდთაგანი ნეაირა მოიხსენიება (დიონისიოსი, ფრგ. 1 (4)). შესაძლოა, ტრაგედიაში კოლხთა წინაშე მედვა თავს იმით იმართლებდა, რომ მოკლული აფსირტე არ ყოფილა მამამისის, აიეტის, კანონიერი ცოლის შვილი (აბ. როდ. „არგონავტიკა“, III, 242).

აბ. როდოსელის სქოლიასტის მოწმობით, „სკვითებში“ სოფოკლეს არგონავტები უკან იმავე გზით დაუბრუნებია, რომლითაც კოლხეთს გამგზავრებულან (IV, 284).

ესქილესა და სოფოკლეს უმცროსი თანამედროვე ტრაგიკოსის ევრიპიდეს (480—406) ტრაგედიების მასალაც მითები და ლეგენდები იყო.

ევრიპიდე ყველაზე უკეთ მოღწეული ტრაგიკოსია. შემონახულია 17 სრული ტრაგედია, ერთი სატირული დრამა და ათასზე მეტი ფრაგმენტი ცნობილი თუ უცნობი ნაწარმოებებისა. არგონავტების მითის საფუძველზე ევრიპიდესაც რამდენიმე ტრაგედია შეუთხზავს. ეს ტრაგედიებია: „იონი“, „ფრიქსე“, „პითისიპილე“, „პელიასის ქალიშვილები“ (ყველაზე ადრინდელი ტრაგედია ევრიპიდეს თხზულებებში), „მედვა“, „ევგეოსი“. არგონავტების მითის სიუჟეტზე აგებული ტრაგედიებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ „მედვამ“, დანარჩენებიდან ფრაგმენტებილა გადარჩა, ან მხოლოდ სათაურები.

<sup>47</sup> TGF, ფრგ. 311—322.

<sup>48</sup> TGF, 501—505.

„ფრიქსისა“ და „ეგეოსის“ შესახებ მითითებები დაცულია ა.პ. როდოსელის პოემისა და ევრიპიდეს „მედეას“ სკოლაონებში. ტრაგედიის — „ინოს“ მიხედვით ინოს თავგადასავალი მოაზრობილი აქვს ჰიგინუსს (fab. IV). „პელიასის ქალიშვილებში“ დამუშავებული იყო ის ამბავი, თუ როგორ შეაქდინა მედეამ შურისძიების მიზნით პელიასის ქალიშვილები, მოეკლათ მამა ვათომცდა გასაახალგაზრდავებლად: ტრაგედიის მოკლე შინაარსი დაცულია მოსე ხორენელთან (Progymnasmata, III, de confutacione). ეს ტრაგედია გამოუყენებია ჰიგინუსს — fab. XXIV, სადაც ამბობს: „პელიადებმა: ალკესტიდამ, პელოპიამ, მედუზამ, პისიდიკემ, ჰიპოთოემ მედეას წაქეზებით მამა მოკლეს და სპილენძის ქვაბში მოხარშეს. როცა დაინახეს, რომ მოტყუვდნენ, საშობლოდან გაიქცნენ“<sup>49</sup>.

ტრაგედიას „ჰიფსიპილე“ ზეელივერი თებეს ციკლის ტრაგედიებს მიაკუთვნებდა<sup>50</sup>, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს არ იყო სწორი. ოქსირინქოს პაპირუსებში შემონახულ ფრაგმენტებზე დაყრდნობით კარლ რობერტმა ცხადყო, რომ „ჰიფსიპილე“ არგონავტების ციკლის ტრაგედია იყო<sup>51</sup>, რომელშიაც ევრიპიდეს დამუშავებული ჰქონდა არგონავტთა თქმულების ისეთი ვერსია, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა სხვა ვერსიებისაგან. აქ გადმოცემული იყო შემდეგი: იასონს ჰიფსიპილესაგან ლემნოსზე ყოფნის ეპოს შეეძინა ტყუბი ვაჟი — თოანტი და ევენოსი. იასონმა ვაჟები კოლხეთში წაიყვანა, როცა მამა (იასონი) იქ (კოლხეთში) დაიღუპა, ვაჟები ლემნოსზე ღედასთან დაბრუნდნენ.

ბერძნულ დრამატულ ნაწარმოებებიდან, რომლებიც არგონავტების მითის საფუძველზე იყვნენ შეთხზულნი, ჩვენამდე, როგორც ვთქვით, სრული სახით მხოლოდ ევრიპიდეს „მედეამ“ მოაღწია.

არისტოფანე გრამატიკოსი გვაუწყებს, რომ ევრიპიდემ ტრაგედია „მედეა“ წარმოადგინა ათენის თეატრში 87-ე ოლიმპიადის პირველ წელს (= 431 წელს) პითოლორეს არქონტობაში. ტრაგიკულ აგონში პირველი პოეტი იყო ეეფორიონი, მეორე სოფოკლე და მესამე ევრიპიდე, რომელიც გამოვიდა ტეტრალოგიით: „მედეა“, „ფილოქტეტე“, „დიქტისი“ და სატირული დრამა „მომკვლნი“ (არისტოფანე გრამატიკოსის ჰიპოთესისი „მედეასთან“). რაკილა ევრიპიდემ ეეფორიონსა და სოფოკლესთან შეჯიბრში მარცხი განიცადა (მესამე ჯილდო მიიღო), იძულებული გახდა, „მედეა“ გადა-

<sup>49</sup> TGF. 550—554.

<sup>50</sup> LM, I, გვ. 513.

<sup>51</sup> Grenfell—Hunt, The Oxyrhynchus Papyri VI, p. 19 sqq.; Carl Robert, Die Iasonsgage in der Hypsipyle des Euripides (mit einer Abbildung im Text). Herm. XLIV, 1909, გვ. 376—402.

ემუშავენა. ჩვენამდე სწორედ ეს გადამუშავებული ვარიანტია მოღწეული. მასში დარჩენილია ის ნაკლი, რომელზეც არისტოტელე მიუთითებს: „ფაბულების გახსნა თვით ფაბულიდან უნდა გამომდინარეობდეს და მანქანის საშუალებით არ უნდა ხდებოდეს (იგულისხმება deus ex machina), როგორც ეს არის „მედეაში“<sup>52</sup>.

„მედეაში“ ევრიპიდემ დაამუშავა არაგონავტა მითის ნაწილი, რომელშიაც წარმოდგენილი იყო, თუ იოლკოსიდან პელიასის მოკვლის გამო ლტოლვილი მედეა და იასონი კორინთოში როგორ დასახლდებიან. იასონი აქ უღალატებს მედეას და სურს, შეირთოს კორინთოს მეფის, კრეონტის, ასული გლავკე<sup>53</sup>. მედეა შურს იძიებს მოღალატე ქმარზე: კრეოფილეს ევრისით („ექალიის აღებაში“) მოწამლავს კრეონტს, თვითონ კი ათენში გარბის, ხოლო ბავშვებს საკურთხეველთან ტოვებს იმ იმედით, რომ მათ მამა (იასონი) მოუვლის.

ევრიპიდემ ტრაგედიაში სიახლე შეიტანა, ტრაგიკული კოლიზიის გამძაფრებისათვის მედეას შურისძიებას შემადრწუნებელი ხასიათი მისცა და ქალს საზიზღარი ბოროტმოქმედება ჩაადენინა: იასონზე შურისძიების მიზნით მედეა ტრაგედიაში საკუთარ შვილებს ჰკლავს. ერთგვარი როლი ევრიპიდეს მიერ სიახლის შემოტანაში, ვფიქრობთ, იმ გარემოებაშიც შეასრულა, რომ საკუთრივ ბერძნულ თქმულებებში შვილების დახოცვის მოტივი საკმაოდ გავრცელებული იყო (პროკნეს მიერ იტიისის მოკვლა, ჰერაკლეს მიერ შვილების დახოცვა და სხ.). არაგონავტების თქმულების ევრიპიდემდელ გადმოცემებში არსად არ არის ნათქვამი ის, რომ მედეამ სამშობლოს უღალატა (იგი კოლხეთს ტოვებს ღეთაების მოწოდებით — „ნავპაქტიკა“, ფრგ. 7, 9) და მერე შვილები მოკლა. კრეოფილესთან მედეა მხოლოდ და მხოლოდ კრეონტს სწამლავს: აქ კრეონტის ქალის გლავკეს (— კრეუზას) მკვლელობაზეც კი არ არის ლაპარაკი. „მედეას“ არისტოფანე გრამატიკოსისეულ „ჰიპოთესისში“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ასეთი რამ (ე. ი. მედეას მიერ შვილების დახოცვა) არც ერთ სხვა მწერალთან არ გვხვდება. ვფიქრობთ, ძმის (აფსირტეს) მკვლელობაც ტრაგედიამ დააბრალა მედეას. პირველი ავტორი, რომელთანაც მედეა ჩვილ ძმას — აფსირტეს აიეტის სასახლეში ჰკლავს სოფოკლე უნდა იყოს („კოლხი ქალები“ — აბ. როდ. სქ. IV, 223, 228; „სკვითები“, ფრგ. 419). მართალია, ასეთი ამბავი ლოგოგრაფოს ფერეკიდესაც გადმოუცია „ისტორიის“ („თეოგონიის“) VII წიგნში (FGH), მაგრამ ვფიქრობთ, არა ძველი გადმო-

<sup>52</sup> არისტოტელე, პოეტიკა. თარგმ. ს. დანელიასი. 1944, თავი 15.

<sup>53</sup> თქმულების ეს სახელი დამოწმებულია „მედეას“ ჰიპოთესისში.

ცემების მიხედვით, არამედ სოფოკლეს აშკარა გავლენით. ფერეკიდუ სოფოკლეს თანამედროვე მოღვაწე იყო და ასეთი გავლენა სრულიადაც არაა გამორიცხული. ჩვენ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ ფერეკიდუ ჯერ კიდევ აკვანში მწოლიარე, ჩვილი აფსირტეს მკვლელობაზე ლაპარაკობს. მერმინდელი გადმოცემებით აფსირტე ვაჭაკობის ასაკში იღუპება.

ევრიპიდეს მიერ „მედეაში“ ასეთი ახალი მოტივის შემოტანით დარღვეულია არისტოტელეს დებულება, რომ „გადმოცემული მითების გასწორება არ არის საჭირო“<sup>54</sup>.

სწორედ ამ ახალ მოტივზე ააგო ევრიპიდემ თავისი ტრაგედიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. რისთვის დასჭირდა ევრიპიდეს მითის მაგისტრალური ხაზის გამრუდება და მედეას საშინელ ბოროტ-მოქმედად გამოყვანა? ეს უნდა ავხსნათ შემდეგი მიზეზებით:

1. უცხოური წარმომავლობის ადამიანს ბერძნები ქედმაღლურად უყურებდნენ და თავიანთი მაღალი კულტურით უპირისპირდებოდნენ ყველა სხვა, ვითომცდა ბარბაროსულ, ტომებს. მართალია, ევრიპიდესთან მედეა ძლიერი და მტკიცე ხასიათის პიროვნებაა, მაგრამ მისი ვნებები მის გონებაზე უძლიერესია. ამიტომ უსვამს ხშირად ხაზს ევრიპიდე მედეას ბარბაროსულ წარმოშობას, რაც ძლიერ პიროვნებასაც კი შეცდომებისა და ბოროტმოქმედებისაკენ მიაქანებს;

2. ევრიპიდე თავისი სამშობლო ელადის დიდი პატრიოტია და ათენელ მაყურებელს უჩვენებს, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი პატრიოტული გრძნობების დაჩლუნგებამ და სამშობლოს ლალატმა. მედეამ ულალატა მამულს, მოწყდა მშობლიურ კერას და კიდევ დამარცხდა მორალურად ცხოვრებასთან ბრძოლაში. მან თავზარდამცემი, შემადრწუნებელი საქმე ჩაიდინა—ღვიძლი შვილები შეუბრალებლად დაკლა. პოეტი ტრაგედიის გუნდს, რომელიც კორინთელი ქალებისაგან შედგება, ათქმევინებს: „დეე, ნურასოდეს ნუ მოვწყდებით სამშობლოსო“;

3. მედეას სახის დახატვაში დიდი როლი ითამაშა ევრიპიდეს ტრაგედიის მიმართულებამ, ნათლად აესახა ქალის კონტრასტული გრძნობები — ძლიერი და თავდადებული სიყვარულისა, ერთი მხრივ, და ყოველგვარ საზღვარს გადაცდენილი, თავაწყვეტილი შურისძიებისა, მეორე მხრივ. ძველ საბერძნეთში, როგორც ცნობილია, ქალის როლი მეტისმეტად დაკნინებული იყო და ევრიპიდეც აგრძელებს იმ ტრადიციას ქალის მოქი ფერებით დახატვის საქმეში, რომელსაც საფუძველი მწერლობაში ჯერ კიდევ ჰესიოდემ და სიმონიდე ამო-

<sup>54</sup> არისტოტელე, პოეტიკა, თ. 14.

გოსელმა დაუდეს (პანდორას შიტი და „სატირა ქალებზე“). ევრიპიდეს არა მარტო „მედეაში“, არამედ სხვა ტრაგედიებშიც აყავს გამოყვანილი გრძნობებს ზედმეტად აყოლილი, შურისძიებაში თავშეუყავებელი და გონებაშეზღუდული ქალები. არისტოფანეს კომედიაში „თესმოფორიადუსები“ ერთი ქალი უჩივის ევრიპიდეს: იმან ისე გალანძღა და ლაფში ამოსვარა ქალები, რომ ქმრები, თეატრიდან დაბრუნების შემდეგ, ეჭვით აღსავსენი მივარდებიან ხოლმე თავიანთ ცოლებს და ათასნაირ ბოროტმოქმედებაში სდებენ ბრალსო<sup>55</sup>. ვფიქრობთ, საფუძველს არ იყო მოკლებული ის ეპითეტი ქალთა-მოძულისა—*μυθησύνη*, რომელიც ტრადიციამ შეარქვა ევრიპიდეს.

ღვიძლი შვილების დახოცვის ამბავი რომ ევრიპიდეს გამონაგონია, ამას მხარს უჭერს ძველ დროშივე გავრცელებული ამბავი, რომელიც აღუქსანდრიული ხანის გრამატიკოსსა და კომენტატორს, არისტოფანე გრამატიკოსისა და არისტარქეს მოწაფეს პარმენისკეს (ძვ. წ. III საუკუნე) გადმოუცია. პარმენისკეს მიეწერება ჰომეროსის პოემების, ტრაგიკოსთა ნაწარმოებებისა და არატეს თხზულების განმარტებათა ავტორობა. პარმენისკეს განმარტებათა წერის დროს, ცხადია, ხელთ ჰქონდა ძველისძველი წყაროები და კარგად იცოდა, რომ შიშის არც ერთ ვერსიაში არ ჰქლავდა მედეა შვილებს. ევრიპიდეს „მედეას“ სქოლიონში (სქ. 9) დამოწმებულია პარმენისკე: „ფილოსოფოსებში მეტად გავრცელებულია ერთი ამბავი, რომელსაც პარმენისკე გადმოგვცემს: ევრიპიდემ თითქოს კორინთელებისაგან ხუთი-ტალანტი<sup>56</sup> აიღო და ბავშვების დაკვლა მედეას გადააბრალა. მედეას ბავშვები კი მოკლეს კორინთელებმა, რომლებიც აღშფოთდნენ იმით, რომ [მედეას] მეფობა უნდოდა, ვინაიდან კორინთო შისი მამისეული ხეედრი იყო...“ ამასვე გადმოგვცემს რომაული ეპოქის მწერალი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი კლავდიუს ელიანე პრენესტელი თხზულებაში „ნაირნაირი ისტორია“ (*Ποικίλη ἱστορία*—*varia historia*, V, 21. S. V)<sup>57</sup>.

<sup>55</sup> იხ. ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. 343; გრ. წერეთელი, დასახ. ნაშრ. 245; ლ. სანიკიძე, „პრომეთეიდა“ და „არგონავტიკა“ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში; „მნათობი“, 1960, № 9; 66.

„მედეას“ ქართული თარგმანი ეკუთვნის პ. შირიანაშვილს—„მიჯაჭვული პრომეთე“ ესქილესი, „ედიპე მეფე“ სოფოკლესი, „მედეა“ ევრიპიდესი. თბ., 1910. ახალი თარგმანი შეასრულა პ. ბერაძემ.

<sup>56</sup> ტალანტი = 1500 მანეთს.

<sup>57</sup> ed. Hercher, Lipsiae, 1864—1866. იხ. Wilamowitz, Herm. XV, 1830; 495 შმდგ.; Breithaupt, De Parmenisco (Diss.), Heidelb. 1915; გვ. 22 შმდგ.

მედეას ბავშვების დახოცვის თაობაზე პავსანია ამბობს: „გად-  
მოგვეცემენ, რომ ისინი კორინთელებმა ჩააქვავეს იმ საჩუქართა  
გამო, რომლებიც მათ გლავეეს მიუტანესო“ (Pans. II, 3, 6—11).

ევრიპიდეს მიერ დანერგილმა შვილების დახოცვის ამბავმა  
მტკიცედ მოიკიდა ფეხი, გავრცელდა და არგონავტთა თქმულების  
შერმინდელ გადმოცემებში ცენტრალური ადგილი დაიკავა. ამ ამბის  
გავრცელებას ხელი შეუწყო, ცხადია, იმან, რომ ევრიპიდეს „მედეა“,  
როგორც სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, იყო ტრაგედია  $\alpha\alpha\tau' \xi\epsilon\omicron\chi\upsilon$ .

არგონავტების მითთან დაკავშირებულ ამბებს ევრიპიდეს სხვა  
ტრაგედიებშიც ეხება. „ფიგიენია ტავრიდელში“ მოხსენიებულია  
სიმპლეგადები და მითის პერსონაჟი ფინეისი, ხოლო „ტრაგელ ქა-  
ლებში“ დასახელებულია კირკე. „ანდრომაქეში“ საუბარია პე-  
ლევსზე, რომელმაც ხომალდ „არგოთი“ ილაშქრა და გადასერა პონ-  
ტოს შესავალში აღმართული მოძრავი სიმპლეგადები.

თქმულებისა და კოლხეთის თვალსაზრისით საყურადღებო ცნო-  
ბები მოიპოვება ევრიპიდეს თხზულებებთან დართულ „ჰიპოთესი-  
სებსა“ და სქოლიონებში.

ევრიპიდეს უმცროს თანამედროვეს, ტრაგიკოს პოეტს ნეოფ-  
რონ სიკიონელს შეუთხზავს ტრაგედია „მედეა“, რომლის ნაწყ-  
ვეტებიც მოღწეულია (IGF, 565 მმდგ.)<sup>58</sup>. ჯერ კიდევ ანტიკურ  
ხანაში დაიწყეს მტკიცება, რომ თითქოს ევრიპიდემ თავისი ტრა-  
გედია ნეოფრონის მხაძვეით დაწერაო. მეცნიერებაში ეს საკითხი  
უკვე გადაწყვეტილია. ნეოფრონის „მედეას“ ნაწყვეტების შედარე-  
ბამ ევრიპიდეს ტრაგედიის სათანადო ადგილებთან გამოარკვია,  
რომ ნეოფრონს გადაუკეთებია ევრიპიდეს „მედეა“ და იქედან  
ამოუღია ის ადგილები, რომლებიც არისტოტელემ შემდეგში სუსტ  
ადგილებად მიიჩნია. ზოგი ავტორი ნეოფრონის „მედეას“ პლაგია-  
ტადაც კი თვლის<sup>59</sup>. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნეოფრონმა თავის  
„მედეაში“ მითში გადმოცემული ხაზის აღდგენა სცადა.

მოღწეული სათაურებიდან და ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ ევრი-  
პიდეს მომდევნო ხანებში მედეას თემა მტკიცედ დამკვიდრდა დრა-  
მაში. „მედეა“ შეუთხზავს დიკეოგენესაც. მოღწეული ნაწყვეტე-

<sup>58</sup> ტრაგედია სათაურით „ისონი“ შეუქმნია V—IV საუკ. ტრაგიკოს—  
ანტიფონტს (TGF, 792). არგონავტთა მითიდან უნდა ყოფილიყო ტრაგედია  
„ფინეიდები“, რომელსაც არისტოტელე იმოწმებს („პოეტიკა“, 16). ავტორი  
უცნობია. უცნობია აგრეთვე ოვიდიუსთან მოხსენიებული ტრაგედიის „ჰილასის“  
ავტორი (Ovid. Trist. II, 406).

<sup>59</sup> Preller-Robert, II, 3, 1. გვ. 873; Wilamowitz, *Analecta Euripidea*, B. 1875; 155 და Herm. XV, 1880, 487; გრ. წყაროელი, დასა-  
ნაწრ. 240.

ბით (TGF, 775) შეუძლებელი ხდება დავადგინოთ, თუ სად მიმდინარეობდა მოქმედება დიკოგენეს ტრაგედიაში—კოლხეთში, ათენსა თუ კორინთოში. დიკოგენე ლაერტელის ცნობით ტრაგედია „მედეა“ შეუთხზავს ფილოსოფოსსა და პოეტს მენედემე ერეტრიელს და ადგილები ტრაგედიიდან მეგობართა წრეში წაუკითხავს<sup>60</sup>. „მედეას“ სათაურით ტრაგედიები შექმნეს V—IV საუკუნეების სხვა ტრაგიკოსებმაც. ესენია: კარკინე უმცროსი (TGF, 798), დიკოგენე სინოპელი (იქვე, 807), ბიოტოსი (იქვე, 825), მელანთიოსი (იქვე, adesp. 6) მელანთიოსს, როგორც „მედეას“ ავტორს, მონიხენიებს არისტოფანე კომედიაში „ზავი“ და მისი ტრაგედიიდან ორი ტაეპიც მოაქვს<sup>61</sup>.

IV საუკუნის ტრაგიკოს პოეტს ქაირემონ ათენელს მიეწერება ტრაგედია „მინიები“. მოღწეული ნაწყვეტი იმდენად ძუნწია (TGF, 758), რომ ჰირს დადგენა, ამ ტრაგედიაში არგონავტთა თქმულება იყო დამუშავებული, თუ სხვა მითი<sup>62</sup>. ზეელიგერი ფიქრობს, რომ აქ დამუშავებული იყო არგონავტების თქმულების ლემნოსის ეპიზოდი<sup>63</sup>.

არგონავტთა თქმულების ცალკეული ეპიზოდების საფუძველზე აგებული კომედიებიდან, სამწუხაროდ, სათაურების მეტი აღარაფერი გადარჩენილა. გამონაკლისს წარმოადგენს ორიოდენ ძუნწი ნაწყვეტი.

ძველი ატიკური კომედიის წარმომადგენლებს დაუწერიათ შემდეგი კომედიები: არისტოფანეს (445—385)—„ლემნოსელი ქალები“; ნიკოქარეს—„ლემნოსელი ქალები“; სტრატიკოსს—„მედეა“; თეპომპეს—„ფინეესი“; კანთარეს—„მედეა“.

საშუალო ატიკური კომედიის წარმომადგენელთაგან ანტიფანეს (c. 407—333) მიეწერება კომედიები—„ლემნოსელი ქალები“, „იასონი“, „მედეა“; ალექსიკოსს (376—270)—„ლემნოსელი ქალები“, „იასონი“; ევბულეს (IV საუკ.)—„მედეა“.

ახალი ატიკური კომედიის მწერალთა შორის ცნობილია პოეტი დიფილე (c. 355—262), რომელსაც არგონავტთა ციკლიდან შეუთხზავს კომედიები—„ლემნოსელი ქალები“ და „პელიადები“<sup>64</sup>.

<sup>60</sup> Diog. L. II, 134.

<sup>61</sup> Aristoph. Pax, 1009 შედგ.

<sup>62</sup> O. Müller, Orchomenos und die Minyer, 1844, 302, 6; Welcker, Die griech. Tragödien, III, 1091.

<sup>63</sup> LM, I, 513.

<sup>64</sup> ძველი, საშუალო და ახალი ატიკური კომედიების ფრაგმენტები თავმოყრილია შემდეგ გამოცემებში: Meineke, Fragm. com. Graec.; Poetarum comicorum Graecorum fragmenta, ed. Bothe; Parisiis, 1855; Kock, Com. Attic. Fragmenta, I—II.



არისტოფანეს მოღწეულ თხზულებებში ცნობები არგონავტების მითზე არ ჩანს. მხოლოდ ერთ კომედიაში — „სიმდიდრე“ მოხსენიებულია ჯადოქარი კირკე, წამლების შემზავებელი (Plut., 302—315).

ევბულეს კომედიის „ქრისილას“ ფრაგმენტში დასახელებულია „ბოროტი ქალი მედეა“ (1, 2), ნიკოქარეს „ლემნოსელი ქალებიდან“ გადარჩენილ ნაწყვეტში კი იასონი მიმართავს ჰიფსიპილეს: Πλῆσιμην, ὦ ἀρπυ, ἄν! ἀνδ — „გავცუროთ, ასულო; საწმისისაკენ“<sup>65</sup>.

როგორც ჩანს, ბერძნულ კომედიას არგონავტების თქმულებიდან ყველაზე უფრო მეტად იზიდავდა ლემნოსის ეპიზოდი. თქმულებაში გადმოცემული ამბავი კოლხეთს მიმავალი არგონავტების შეხვედრისა ლემნოსელ ქალებთან კარგ მასალას იძლეოდა კომიკური სიტუაციის შესაქმნელად. მედეას თემაზე დაწერილი კომედიები, უნდა ვფიქროთ, ევრიპიდეს „მედეას“ პაროდებს წარმოადგენდნენ.

§ 4. პროზა. არანაკლები ინტერესით ეხებოდა არგონავტთა თქმულებას ბერძნული კლასიკური პროზა, კერძოდ — საისტორიო პროზა. საისტორიო პროზა მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებში ჩაისახა და უკვე V-I საუკუნიდან საპატრიო ადგილი დაიკავა მწერლობაში. პირველი ისტორიკოსები იყვნენ ეგრეთ წოდებული ლოგოგრაფოსები. მათი თხზულებები მითოლოგიურ-გენეალოგური და გეოგრაფიული ხასიათისა იყვნენ და მოგვითხრობდნენ ელინური ტომებისა და წარჩინებულ გეართა წარმოშობაზე, ქალაქების დაარსებაზე და სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. მთავარ მასალას ლოგოგრაფოსებისათვის შეადგენდა არსებული მითები, ნახევრად ლეგენდარული გადმოცემები და ეპიკურ პოეზიაში დამუშავებული თქმულებები არგონავტთა ლაშქრობის, ტროის ომის, თებესა და სხვა მისთანათა შესახებ. ლოგოგრაფოსები. ისევე როგორც ყოველი ძველი ელინი, მითებში საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წარსულის ისტორიას ხედავდნენ. ლოგოგრაფოსის თხზულება ეპიკური ნაწარმოებისაგან ძირითადად განსხვავდებოდა. პომპროსისა და პესიოდეს ებოსი, ე. წ. გენეალოგიური პოემები ლოგოგრაფოსის თვალსაზრისით ჰემმარიტი საისტორიო წყარო იყო. ასეთ თვალსაზრისში გასაოცარი არაფერია. ჩვენ ხომ დღესაც ვეძებთ მითებსა და თქმულებებში ისტორიული სინამდვილის მარცვლებს. ოღონდ ეს იყო, რომ ლოგოგრაფოსებისათვის, განსაკუთრებით უფროსი თაობის ლოგოგრაფოსებისათვის ჯერ კიდევ უცხო ხილს საისტორიო კვლევისათვის საჭირო მეთოდები და წყაროების კრიტიკა წარმოადგენდა. შივალაშიც, მითებისა

<sup>65</sup> Kock, CAF, II; Meineke-Bothe, PCGF.

და თქმულებების გადმოცემის პარალელურად, ლოგოგრაფოსები თანამედროვე ამბებსაც ეხებოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საბერძნეთში ფართოდ გაშლილი საკოლონიზაციო პოლიტიკის გატარების საქმეში თავისი წვლილი შეაქონდათ ამ პირველ ისტორიკოსებს და საკოლონიზაციო პოლიტიკას ასაზრდოებდნენ „ძვირფასი მასალებით იმ ქვეყანათა და ხალხთა ისტორიიდან და გეოგრაფიიდან, რომლებიც კოლონიზაციის ობიექტები გახდნენ ან ხდებოდნენ“<sup>66</sup>. ლოგოგრაფოსები თავიანთ „ისტორიებში“, „გენეალოგიებში“ და „პერიპლუსებში“ („ზღვით მოვლილი ქვეყნების აღწერილობებში“) საინტერესო ცნობებს ათავსებდნენ ისეთი ქვეყნების შესახებ, როგორც იყო: ეგვიპტე, ეთიოპია, სკვითია, კოლხეთი და სხვა. ქვეყნების აღწერის გვერდით ლოგოგრაფოსები აღწერდნენ იქაური ხალხების ყოფაცხოვრებას და ამ ქვეყნებსა და ხალხებთან დაკავშირებულ მითებსა და ლეგენდებს გადმოსცემდნენ. ბერძენ ისტორიკოსთა ცნობები ქვეყნებისა და ხალხების შესახებ მხოლოდ გადმოცემებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ ზოგჯერ ავტოფსიის გზით იყო მოპოვებული.

ლოგოგრაფოსთა თხზულებები ჩვენამდე არ მოღწეულა. ნაწყვეტები მათი თხზულებებიდან დაცულია გვიანი დროის ავტორთა შრომებში. ნაწყვეტთა უმრავლესობა აარლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონებსა და ლექსიკოგრაფოს სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაში“ გვხვდება<sup>67</sup>.

ლოგოგრაფოსთა შორის ცნობილი არიან: ჰეკატე, აკუსილაე, ფერეკიდე, ჰეროდორე, ჰელანიკე, სკილაქს კარიანდელი, სიმონიდე გენეალოგოსი, ასკლეპიადე, ანტიოქე და სხვები.

ბერძნული საისტორიო პროზის განვითარების შემდგომი საფეხური ხასიათდება იმით, რომ ისტორია მითოგრაფიის ტყვეობიდან თავისუფლდება და ამბავთა გადმოცემაში რაციონალისტურ მიმართულებას ადგება. ახალ ეტაპს საისტორიო მწერლობაში იწყებს ჰეროდოტე. მას მოჰყვებიან: თუკიდიდე, ქსენოფონტი, სტენიმბროტე თასოსელი, ეფოროსი, თეობომპე და სხვები.

ჰეკატე მილეტელი (c. 549 — 472) ლოგოგრაფოსთა უფროსი თაობის დიდი წარმომადგენელია. მას მიეწერება შემდეგი წიგნების ავტორობა: „ისტორია“, „გენეალოგიები“, „დედამიწის აღწერა“. „გენეალოგიებს“ ჰეკატემ საფუძვლად დაუდო მითიური

<sup>66</sup> ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. II, 32; 6. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1962.

<sup>67</sup> ფრაგმენტები თავმოყრილია: C. Müllerus, FHG; F. Jacoby, FGH, C. Müllerus, GGM.

გადმოცემები. მოღწეული ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ამ თხზულებაში ვერცხლად იყო გადმოცემული თქმულება არგონავტების შესახებ (FGH, I: ფრგ. 17, 18a—b.). „დედამიწის აღწერა“ ორ ნაწილს შეიცავდა; პირველში აღწერილი იყო ევროპა, მეორეში კი—აზია და დამატების სახით ლიბიაც. „დედამიწის აღწერის“ 300 მდე ფრაგმენტია შემონახული; მათ შორის მოიპოვება ისეთებიც, რომლებშიაც ძვირფასი ცნობებია კოლხეთის—ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანების შესახებ. აქვეა საყურადღებო ცნობები წინაბერძნულ მოსახლეობასა და ლემნოსზე (ფრგ.: 119, 138, 185, 205, 206, 209, 210, 286, 372).

აკუსილაე არგოსელი (c. 575—525) ერთ-ერთი უფროსი ლოგოგრაფოსია. მიეწერება ავტორობა სამი წიგნის შემკველი თხზულებისა „გენეალოგიები“, რომელიც მეტად ძუნწი ფრაგმენტებითაა ცნობილი. ფრაგმენტები ძირითადად აპ. როდოსელის პოეპის სქოლიონებშია დაცული. სხვა ლოგოგრაფოსთა მსგავსად აკუსილაეც მითიურ ხანას ეხებოდა. მისთვის მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ მითები და ეპიკური ნაწარმოებები. უპირატესად ეყრდნობოდა ჰესიოდესა და ჰესიოდეს სკოლიდან გამოსულ პოემებს. აკუსილაე, ჩანს დეტალებში იცნობდა არგონავტების თქმულების ძველ ვერსიებს (ფრგ. 4, 30, 31, 37, 38, 42).

ფერეკიდე (V საუკ.). ფერეკიდეს ვინაობა ბუნდოვანია. სვიდას ლექსიკონი ასახელებს სამ ფერეკიდეს: სიროსელს, ათენელს და ლეროსელს<sup>88</sup>. მკვლევრები იმ აზრისა არიან, რომ იყო ორი ფერეკიდე, ერთი VI საუკუნის ფილოსოფოსი (კუნძულ სიროსიდან თუ სირიიდან — Σίριος) და მეორე—V საუკუნის ლოგოგრაფოსი კუნძულ ლეროსიდან. ეს ფერეკიდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ათენში. სვიდას ლექსიკონი მას მრავალი თხზულების ავტორობას მიაწერს. მოღწეულია 118 ნაწყვეტი იმ თხზულებიდან, რომელიც ძველ წყაროებში რამდენიმე სათაურითაა დამოწმებული: „ისტორია“, „თეოგონია“, „გენეალოგიები“, „ავტობიონები“. ყველაზე გავრცელებული ჩანს სათაური „ისტორია“. თხზულება შეიცავდა 10 წიგნს. I წიგნი წარმოადგენდა თეოგონიას (ღმერთების წარმოშობის ისტორიას) და გიგანტომაქიას; II წიგნში გადმოცემული იყო პრომეთეს თქმულება, III—მითი ჰერაკლეზე, IV და V წიგნები არგოსისა და კრეტის თქმულებებს მოგვითხრობდა, VI, VII და VIII წიგნები ეთმოზობდა ეოლიურ თქმულებებს და არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მითს. დანარჩენი ორი წიგნი (IX და X) არკადიულ, ლაკედემონურსა და ატიკურ თქმუ-

<sup>88</sup> Suid., s. v.

ლებებს წარმოგიდგინდა ფერეკიდეს „ისტორიას“ დიდი სიმპათიით ეკიდებოდნენ და ხშირად იმოწმებდნენ ანტიკური და ბიზანტიური ხანის მწერლები. ფერეკიდეს „ისტორიის“ ფრაგმენტები, რომლებიც აპოლონიოსის „არგონავტიკის“ სქოლიონებშია დაცული, ცხადყოფს, რომ ფერეკიდე არგონავტიკის თქმულებას გადმოგვცემდა ab ovo და დაწვრილებით (ფრაგმენტები FGH, I: V წიგნიდან 22 a, b, c; VI—25 a, b; 26, 27, 28, 29, 30; VII—31, 32 a, b, c; VIII—36. სხვადასხვა წიგნებიდან: 44, 47, 62, 98, 99, 100, 101, 103 a, b; 104 a, b; 105 a, b, c; 106, 107, 108, 110, 111 a, b; 112, 113 a, b; 161, 171).

ჰეროდოტე (VI—V საუკ.), ჰეროდოტეს წინამორბედი ისტორიკოსი და მითოგრაფოსი, პონტოს ჰერაკლეიდან იყო. მას მოიხსენიებენ არისტოტელე (Hist. an. VI, 5, p. 363, a 7; IX, 11 p—615, a 10: „ჰეროდოტე ჰერაკლეელი, მითოლოგოსი, სოფისტ ბრისონის მამა“), პლუტარქე („თესესის“ 26; „რომულუსი“ 9: „ჰეროდოტე პონტოელი“) და სხვები. ყველაზე უფრო ხშირად ჰეროდოტე აპოლონიოსის „არგონავტიკის“ სქოლიონებშია დამოწმებული. ანტიკური ტრადიციამ ჰეროდოტეს მიაწერს ორ პროზულ თხზულებას: „ჰერაკლეს გარშემო“ და „არგონავტიკა“ (Ἀργοναυτικά ან Ἀργοναυται ან Ὁ κατὰ τοὺς Ἀργοναυτὰς).

პირველი თხზულება 17 წიგნს შეიცავდა და ჰერაკლეს შესახებ არსებულ თქმულებათა მთავარი კრებული იყო. სხვა ამებთან ერთად ყველაზე ვრცლად აქ ყოფილა გადმოცემული ჰერაკლეს ლაშქრობა ამპონების წინააღმდეგ. მეორე თხზულება—„არგონავტიკა“ („არგონავტები“) არგონავტთა მითს მოგვითხრობდა. ჩვენამდე ორივე თხზულებიდან ფრაგმენტებილია მოღწეული.

ჰეროდოტე მეტად საყურადღებო ავტორია თქმულებათა თავისებური და უძველესი ვერსიების გადმოცემის თვალსაზრისით.

კოლხებთან გეოგრაფიული სიახლოვე ჰეროდოტეს საშუალებას იძლევა, კარგად გასცნობოდა ამ ხალხის წარსულს, ცხოვრების წესს, თქმულებებს მის შესახებ და მერე გამოეყენებინა ეს ცოდნა სამწერლობო საქმიანობაში. ამიტომაც, რომ ძველი ავტორები ხშირად იმოწმებენ ჰეროდოტეს როგორც ეთნოგრაფიულ წყაროს.

თხზულებაში „ჰერაკლეს გარშემო“ ჰეროდოტე გვაწვდის პრომეთეს მითის განსაკუთრებულ ვერსიას, ჰეროდოტეს მიხედვით, პრომეთე სკვითების მეფე იყო (ჰეროდოტესთან „სკვითთა“ და „კოლხეთი“ იდენტური ცნებებია). იგი ქვეშევრდომებმა ბორკილებში ჩაჭედეს, ვინაიდან ვერ შეძლო მდინარე აეტოსის („არწივის“) ალაგმვა და სახნავ-სათესის გადარჩენა. პრომეთეს დაეხმარა ჰე-

რაკლე; მდინარე კალაპოტში ჩაადო და ზღვისაკენ აბრუნა, ხოლო პრომეთე ბორკილებიდან დაიხსნა (FGH, I: ფრგ. 18, 30)<sup>60</sup>.

არგონავტების მითი, ცხადია, დაწვრილებით იქნებოდა გადმოცემული ამ თქმულებისადმი მიძღვნილ საგანგებო ნაწარმოებში. მოღწეული ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ თქმულების ზოგიერთი ეპიზოდის თხრობა უძველეს ვერსიებს ეყრდნობოდა (ფრგ.: 5, 6, 7, 8, 9, 10, 38, 39, 40, 41 a—b, 42, 43, 44, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 57, 64).

ჰელანიკე მიტილენელი (c. 480—395) ლოგოგრაფოსთა უმცროსი თაობის წარმომადგენელია. მისი სახელით ცნობილია ოცდაათამდე თხზულების სათაური. მოღწეულია ფრაგმენტები. ჰელანიკეს თხზულებები სამ ჯგუფად იყოფა; 1. გენეალოგიური თხზულებები („ფორონიდი“, „დევეკალიონია“ — „თესალიკა“, „ატლანტიდი“, „ტროიკა“), 2. ჰოროგრაფიული თხზულებები („ეოლიკა“ ანუ „ლესბიკა“, „პერსიკა“, „ატისი“ — „ატიკის ქრონიკა“, 3. ქრონოლოგიური თხზულებები („პერას ქურუმი ქალები“ ანუ „ქურუმი ქალები არგოსში“ და სხ.).

ჰელანიკემ საბერძნეთის მითური ისტორიის დიდძალ მასალას თავი მოუყარა და სისტემაში მოიყვანა. მითოგრაფიულ თხზულებებში ჰელანიკე გადმოგვცემდა საბერძნეთის ამა თუ იმ კუთხის გენეალოგიურ პრინციპზე აგებულ ისტორიას. მოღწეულ ფრაგმენტებში მოიპოვება ძვირფასი ცნობები წინაბერძნული ტომებისა და არგონავტების მითის შესახებ (FGH, I; ფრაგმენტები; „ფორონიდი“: 1 a—b, 4, 89, 106; „დევეკალიონია“ — „თესალიკა“: 6, 126, 127, 128, 129, 130, 131 a—b, 132, 133; „ტომთა შესახებ“: 69, 70; „ქიოსის დაფუძნების შესახებ“: 71 a, b, c; „ტროიკა“: 156, 189).

სკილაქს კარიანდელის—VI—V საუკუნეების ლოგოგრაფოსთა უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლის სახელით ძველ ხელნაწერებში დაცულია თხზულება „პერიპლუსი“ ანუ „ზღვაზე მოგზაურობით დასახლებული ევროპის, აზიისა და ლიბიის აღწერა“. გამორკვეულია, რომ ეს თხზულება ეკუთვნის არა სკილაქს კარიანდელს, რომელსაც ჰეროდოტე (IV, 44), არისტოტელე (Polit. VII, 13, 2) და სხვა ავტორებიც იმოწმებენ, არამედ ძვ. წ. IV საუკუნის რო-

<sup>60</sup> ა. ურუშაძე. პრომეთეს მითის ერთი თავისებური ვერსიის შესახებ. თსუ „შრომები“, ტ. 45, 1951, გვ. 225 შმდგ.

მელილაც გეოგრაფოსს, ვისაც ჩვეულებრივ ფსევდოსკილაქსის სახელით მოიხსენიებენ<sup>70</sup>.

ძველში დაცულია ძვირფასი ცნობები კოლხეთში მოსახლე ტომების შესახებ. 81-ე ფრაგმენტიდან ჩანს, რომ ავტორი იყენებდა არგონავტთა თქმულებას: „ფაზისის აღმა აყოლებით 180 სტადიონია დიდ ბარბაროსულ ქალაქამდე, საიდანაც იყო მედეა“.

სიმონიდე გენეალოგოსს (V საუკ.) მიეწერება 3 წიგნის შემცველი თხზულების „გენეალოგიების“ ავტორობა. დაცული ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ავტორი იცნობდა არგონავტების მითს (FGH, I; ფრგ. 2, 3).

ასკლეპიადე ტრაგიკელის (IV საუკ.) თხზულებაში „ტრაგოდუმენა“, რომელიც 11 წიგნს შეიცავდა, დაწვრილებით მოითხრობდა ტრაგიკოსთა ნაწარმოებებში გამოყენებული მითები, მათ შორის არგონავტების მითიც (FGH, I: 2a—b, 14, 22, 31).

უცნობი ავტორი ანტიოქე, რომლის მოღვაწეობის დროც დაუდგენელია, პროზულ ნაწარმოებში „მითიკა“ გადმოგვცემდა იმას, თუ როგორ გაეჯიბრა სილამაზეში მედეა აქილევსის დედას თეტიდას თესალიაში (FGH, IV; ფრგ. 1).

ჰეროდოტე (484—425). ბერძნული საისტორიო პროზის უდიდესი წარმომადგენელის ჰეროდოტე პალიკარნასელის თხზულებაში („ისტორიები“ ანუ „მუზები“) მრავალი ძვირფასი ცნობა მოიპოვება ქართველი ტომების (კოლხების, მოსხების, ტიბარენების, ხალიზების, მაკრონების, მოსინიკებისა და მარების) და არგონავტთა მითის შესახებ<sup>71</sup>.

ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ თქმულება არგონავტებზე მეგზურებმა უამბეს აქეის ალოსში (თესალიაში) მოსულ ქსერქსეს<sup>72</sup>.

ჰეროდოტეს თხზულების პირველ ოთხ წიგნში მოთხრობილია ბერძენ-სპარსელთა ომების წინამორბედი ამბები, ბერძნული სამყაროსა და „ბარბაროსთა“ ქვეყნების ურთიერთობის ამბები, მოკიდებული იმ დროიდან, როცა ფინიკიელებმა ბერძენთა მევის ასული იო მოიტაცეს, ხოლო ბერძენებმა სამაგიეროდ ფინიკიელებს ჯერ ევროპე, ხოლო შემდეგ კოლხებს აიეტის ასული მედეა წაართვეს (I, 2—3).

<sup>70</sup> კ. მიულერის ახრით თხზულება დაწერილია 338—335 წლებს შუა (GGM, I, XXXIII—LI); უნგერი თარიღს 356 წლით ახუსტებს (Philologus, ტ. 33, გვ. 29 შნდგ).

<sup>71</sup> იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1962.

<sup>72</sup> Herod. VII, 197.

ჰეროდოტე იცნობს ათამანტის, ინოსა და ფრიქსეს თქმულებებს, რომლებიც არგონავტთა მითის შესავალ ნაწილს წარმოადგენენ. ფრიქსეს დაი ჰელე აქ მოხსენიებული არაა; გადმოცემულია სამსხვერპლოდ განმზადებული ათამანტის დახსნის ამბავი ფრიქსეს შვილის კიტისორესაგან (VII, 197).

არგონავტების თქმულებას ჰეროდოტე უწოდებს ამბავს, რომელიც ხშირად ითქმის (ἀργοναυτικὴ ἱστορία) და მოგვითხრობს იასონზე, რომელიც „არგოს“ აგების შემდეგ დელფოს გაემგზავრა, მაგრამ ლიბიაში ტრიტონთან მოხვდა და თავი სპილენძის სამფეხით დაიხსნა (IV, 179). შემდეგ გადმოცემულია, თუ როგორ დატოვეს ჰერაკლე მაგნესიასთან აიაში (კოლხეთში) მიმავალმა არგონავტებმა (VII, 193). გზად არგონავტებმა შეიარეს კუნძულ ლემნოსზე და იქაურ ქალებთან შეიღებები გაიჩინეს; მერე მიჩიებო—„არგოს“ მებღაურების შვილთა შვილები პელასგებმა ლემნოსიდან გააძევეს. გაძევებულნი წავიდნენ ლაკედემონში „მამებთან“—ტინდარიდებთან (კასტორი და პოლიდევეკე ანუ ტინდარიდები, რომლებიც იასონს კოლხეთში ახლდნენ, პელოპონესიდან იყვნენ) და იქ დასახლდნენ (IV, 145). ჰეროდოტე მოგვითხრობს მიდიელების გადმოცემასაც, თუ როგორ მიიღეს უწინ „არიებად“ წოდებულებმა ახალი სახელი („მიდიელები“) ათენიდან მათთან მისულთა კოლხი მედეასაგან (VII, 62).

ქსენოფონტი (444—354), ცნობილი ათენელი ისტორიკოსი, „ანაბასისში“ ფაზიანთა გამგებელს აიეტის შთამომავალს უწოდებს (V, 6, 36—37) და მოიხსენიებს „იასონის კონცხს“, რომელსაც „არგო“ მიაღდა (VI, 2, 1).

სტესიმბროტე თასოსელი (V საუკ.) წიგნში „წმიდა საიდუმლოებათა შესახებ“ არგონავტების მითიდან ჰერაკლეს ამბავს გადმოგვცემდა (FGH, II, B: ფრგ. 19).

ატიდოგრაფოსი კლიდემე (კლიტოდემე), რომელიც V—IV საუკუნეებში მოღვაწეობდა, პლუტარქეს ცნობით, თავის თხზულებაში იასონის „არგოთი“ ლაშქრობის მიზანს ზღვის მეკობრეთაგან გაწმენდაში ხედავდა („თესესი“, 19).

სახელმწიფოებრივი ისტორიკოსი ეფოროს კვიმელი (IV საუკ.) 30 წიგნის შემცველ „საზოგადო ისტორიაში“, როგორც ფრაგმენტებიდან ჩანს, არგონავტთა თქმულებას დაწვრილებით იცნობდა და იყენებდა კიდევ (FGH. II, B: ფრგ. 14a—b, 42a, 61, 185). ეფოროსის „ისტორიის“ ფრაგმენტები უპირატესად აპ. როდოსელის პომპის სქოლიონებშია შემონახული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 61-ე ფრაგმენტი, რომელშიაც დოლიონთა ტომი.

ვისაც არგონავტები ესტუმრნენ, ელინების მიერ თესალიიდან გამო-  
წვევებულ პელასგურ ტომადაა გამოცხადებული.

არგონავტთა თქმულების ძველი ვერსიებისა და კოლხური ვა-  
რემოს თვალსაზრისით საყურადღებო ცნობებია დაცული თეოპომ-  
პე ქიოსელის (IV საუკ.) თხზულებებიდან გადარჩენილ ნაწყ-  
ვეტებში. თქმულების გადმოცემის დროს თეოპომპე ჩანს, ეგე-  
ლოსს ეყრდნობოდა (F.G.H. II B: 356 a—b).

არგონავტების თქმულებას კარგად იცნობდნენ ბერძნული ფი-  
ლოსოფიის უდიდესი წარმომადგენლები პლატონი (427—347)  
და არისტოტელე (384—322). არისტოტელე თხზულებაში „სას-  
წაულებრივი ხმების შესახებ“ ეხება იასონის მგზავრობის მარშრუტს.  
არისტოტელეს სახელით ცნობილ ეპიტაფიების კრებულში „პელო-  
სი“, რომელიც ელინისტურ ხანაშია შედგენილი, მოიპოვება ერთი  
საინტერესო ადგილი. აქ დასახელებულია ოქროთი მდიდარი კოლ-  
ხების მეფე აიეტი.

## 2. ელინისტური პერიოდი

არგონავტების თქმულების საფუძველზე მხატვრულად დამუშა-  
ვებულ ელინური პერიოდის ძეგლთაგან ჩვენამდე სრული სახით  
მოდლწეული ნაწარმოებები, როგორც დაინახეთ, პინდარეს IV პი-  
თიური ეპინიკი და ევრიპიდეს ტრაგედია „მედეაა“. დანარჩენი  
მასალა ან ფრაგმენტებშია წარმოდგენილი, ანდა თქმულების  
შესახებ ცალკეულ ცნობებსა და ამა თუ იმ მწერლის მიერ თქმულე-  
ბის ცალკეული ეპიზოდების გადმოცემას გვაწვდის. გაცილებით  
უკეთესი მდგომარეობაა, ჩვენთვის საყურადღებო ძეგლებს მოღწე-  
ვის თვალსაზრისით. მომდევნო ელინისტური ანუ ალექსანდრიული  
პერიოდისათვის. ელინისტური პერიოდი, ელინიზმი, რომელიც  
მოასწავებდა ახალი კულტურის; ახალი საზოგადოებრივი ყოფისა  
და ახალი ეკონომიური ცხოვრების ჩამოყალიბებას, ხასიათდება  
ზუსტ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების აღმოცენებით და  
განვითარებით. ახალი პერიოდის, ელინისტური კულტურის უძლი-  
ერეს ცენტრში ალექსანდრიაში დაარსებულმა ორმა სამეცნიერო  
დაწესებულებამ. ბიბლიოთეკამ და მუზეუმმა, აგრეთვე პერგამონის  
ბიბლიოთეკის მძლავრმა სამეცნიერო სკოლამ დიდი მუშაობა გას-  
წიეს წარსული კულტურის, კერძოდ ელინური პერიოდის ბერძნული  
მწერლობის ძეგლთა დაცვისა და შესწავლის საქმეში<sup>1</sup>. ამ პერიო-

<sup>1</sup> ს. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ. II, 85 შმდგ.; В. Тарп, Эллини-  
стическая цивилизация. М. 1949; История греческой литературы, изд.  
АН. III. М. 1960 (Введение). Рапович А. Б. Эллинизм и его истори-  
ческая роль. М. Л. 1950, გვ. 286 შმდგ.



დის მწერლობა, მართალია, მონუმენტალური ქანრების შემდგომ განვითარებას ვეღარ ახერხებს, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების რეალისტური ასახვის პარალელურად კვლავ მიჰყვება ელინური პერიოდის ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს და უხვად საზრდოობს ფოლკლორით, ძველი ეპოსის სიუჟეტებით, მითოლოგიით.

თქმულება არგონავტების შესახებ კვლავ უხვად მასაზროლებელ წყაროს წარმოადგენდა ელინისტური პერიოდის მწერლობის დარგებისათვის. ამ თქმულების საფუძველზე აღმოცენდება ფართო ეპიკური ტილოები. განსაკუთრებით დაინტერესდა არგონავტების მითით ელინისტური პროზის დარგები: ისტორია, გეოგრაფია, მითოგრაფია. არგონავტების მითის გარშემო შექმნილი ამ პერიოდის წერილობითი ძეგლები ყურადღებას იპყრობს მეტადრე იმ მხრივ, რომ მათ ავტორებს, ჩვენთვის ცნობილი მასალების გარდა, ხელთ ჰქონდათ ისეთი ძველი ლიტერატურული წყაროები, რომლებიც შემდგომ სრულიად დაიკარგნენ.

ელინისტური პერიოდის სათანადო ძეგლების მიმოხილვას მწერლობის დარგებისდა მიხედვით წარმოვადგენთ. ეს პრინციპი, ცხადია, გამორიცხავს ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქ არცა აქვს. ჯერ განვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო ძეგლებს პოეზიაში (ეპოსი და წვრილი ქანრები), შემდეგ პროზაში (ისტორია, მითოგრაფია, გეოგრაფია).

§ 1. პოეზია. ელინისტური პოეზიის მიმოხილვის დასაწყისში უნდა დავასახელოთ ორი ავტორი, რომელთაც არგონავტების თქმულებისათვის მთელი თხზულებები მიუძღვნიათ. ერთია — თეოლიტე მეთიმნელი, მეორე — კლეონ კურიონელი (კვიპროსელი). ამ ავტორებისა და მათი თხზულებების შესახებ ბევრი აღარათყურია ცნობილი. აპოლონიოსის „არგონავტიკის“ სქოლიასტის გადმოცემით თეოლიტეს თხზულება აპოლონიოსის წყარო ყოფილა (სქ. I, 623: აპოლონიოსს გადმოუღია ლემნოსის ეპიზოდთან დაკავშირებული ამბები). თუ მწერლობის რომელ დარგს განეკუთვნებოდა თეოლიტეს თხზულება, გადაწყვეტილი არაა.<sup>2</sup> ათენეოს ნავკრატისელი ასახელებს თეოლიტეს ათემას „ბაკქიკას“ (VIII, 296 a). აქედან ჩანს, რომ თეოლიტე პოეტი იყო.

კლეონს შეუთხზავს „არგონავტიკა“, რომელიც აპოლონიოსს გამოუყენებია<sup>3</sup>. ამაზე მიგვითითებს აპოლონიოსის „არგონავტიკის“ სქოლიონები (I. 77, 587 და 623). პროზული ნაწარმოები იყო კლეონის

<sup>2</sup> Iossen, დასახ. ნაშრ. RE. II, 747.

<sup>3</sup> კ. მიულერის აზრით კლეონს გამოუყენებია თეოლიტე. აპოლონიოსის კი — კლეონი (FHG, IV, გვ. 515.)

„არგონავტიკა“, თუ პოეტური, ამას ძნელად დასადგენ საქმედ მიიჩნევენ<sup>4</sup>. რაკი სქოლიონები კლეონსა და თეოლიტეს ერთ კონტექსტში მოიხსენიებენ, ხოლო თეოლიტე ათენეოსის მოწმობით პოეტი (ეპიკოსი) ჩანს, კლეონიც პოეტი უნდა ყოფილიყო და მისი „არგონავტიკაც“ პოეტური ნაწარმოები. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს Etym. M.-ს ცნობა, სადაც კლეონი პოეტად, „ელეგიების მთხზველად“ (ἐλεγοποιός) მოიხსენიება (389, 26). დაბრკოლებას ქმნის ის გარემოება, რომ არაა გარკვეული, აქ კლეონ კურიონელი, თუ სხვა ვინმე იგულისხმება.

ლიკოფრონი. გრამატიკოსი და პოეტი ლიკოფრონი ქალკიდელი III საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა ალექსანდრიის სამეცნიერო დაწესებულებებში—ბიბლიოთეკასა და მუზეუმში. იგი აპოლონიოს როდოსელის უფროსი თანამედროვე ჩანს. სამეცნიერო ხაზით ლიკოფრონი შეუთხზავს წიგნი „კომედიის შესახებ“, ხოლო როგორც პოეტს ოცამდე ტრაგედია დაუწერია (დაცულია ფრაგმენტები). სრულადაა მოღწეული ლიკოფრონის პოეტური თხზულება „ალექსანდრა“ ანუ „კასანდრა“, რომელიც გამართულია იამბიკური ტრიმეტრით და 1.474 ტაეპს შეიცავს. ნაწარმოები წარმოადგენს ტროის მეფის, პრიამოსის, ასულის გრძნეული კასანდრას ანუ ალექსანდრას წინასწარმეტყველურ მონოლოგს. იგი მეტად ღვლარქნილი ენითაა დაწერილი, რის გამოც მის ავტორს „ბნელი“ შეარქვეს.

„ალექსანდრა“ საყოვალდებო წყაროა. მასში მრავლადაა მითოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობები. ალექსანდრა (კასანდრა) თავის მონოლოგში მოიხსენიებს არგონავტების თქმულების ამბებს. ოცდაათიოდე ტაეპით თითქმის მთელი ფაბულაა გადმოცემული. ნათქვამია, რომ იასონმა მოამზადა ხომალდი ორმოცდაათი მეზღვაურით (ტ. 871), ხოლო შემდეგ მივიდა „ლიგისტისკურ კვტაიაში“, დააძინა ურჩხული, დაიმორჩილა ცეცხლმფრქვევი ხარები და „მეტყველი კაქკაპით“ (ხომალდით „არგო“) გაიტაცა ცხვრის ტყავი და „ნათესავთმკვლელი ჩიტი“ (მედეა). არგონავტები უკან დაბრუნების ჟამს მოხვდებიან ტრიტონის თავთხელ წყალში. თავის დასადწევად კოლხი ასული (მედეა) ტრიტონს საჩუქრად აძლევს ოქროს დიდ თასს (ტ. 1309—1321). აიასა და კორინთოს გამგებლის — აიეტის მიერ მედეას საძებრად გამოგზავნილი კოლხები დასახლდებიან პოლაში (ტ. 1021—1026). „ალექსანდრა“ მოიხსენიებს იმ გადმოცემასაც, რომლის

<sup>4</sup> Susemihl, Geschichte der griechischen Litteratur in der Alexandrinerzeit, I. 1891. გვ. 382—383.

მიხედვითაც აქილევსი საიქიოს სამეფოში შეირთავს კვტაიელ ასულს (ტ. 174—175).

ლიკოფრონის „ალექსანდრას“ XI საუკუნის ხელნაწერს (Marcianus 476) თან ახლავს ძვირფას ცნობათა შემცველა სქოლიონები<sup>5</sup>. მათ შემდგენელთა შორის დასახელებულია ძვ. წ. I საუკუნის მოღვაწე თეონ ალექსანდრიელი.

ამ სქოლიონებისა და სხვა ძველი წყაროების საფუძველზე ბიზანტიურ ხანაში დაიწერა ლიკოფრონის „ალექსანდრას“ „განმარტებები“, რომელსაც უწინ ისააკ ცეცეს მიაკუთვნებდნენ. გამოიკვავა, რომ „განმარტებათა“ ავტორი იყო XII საუკუნის ცნობილი პოეტი და კომპილატორი იოანე ცეცე<sup>6</sup>. „განმარტებებში“ საყურადღებო მითოგრაფიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები მოიპოვება<sup>7</sup>.

კალიმაქე კვირენელი (c. 315—240). ელინისტური ეპოქის თვალსაჩინო მოღვაწის, აპოლონიოს როდოსელის მასწავლებლის კალიმაქეს უმთავრესი თხზულება იყო ოთხი წიგნის შემცველი ეპილიონების კრებული „მიზეზები“. მოღწეულია ნაწყვეტები<sup>8</sup>. ნაწარმოები წარმოგვიდგენდა ალექსანდრიული ერუდიციისა და პოეზიის სინთეზის ნიმუშს. აქ პოეტს მწიგნობრულად ჰქონდა დამუშავებული ძველი თქმულებები. „მიზეზების“ II წიგნში კალიმაქე გადმოგვცემდა არგონავტთა თქმულების ნაწილს, როგორც ეს ეპილიონს შეეფერებოდა. მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტი გადმოგვცემდა არგონავტების კოლხეთიდან დაბრუნების ამბავს. აიეტის მიერ არგონავტების დაწყველა, კოლხთა დაღევნება, ფეაკების კუნძულზე (კერკირაზე) მისვლა და იქ იასონისა და მედეას დაქორწინება და არგონავტების იოლკოსში გამგზავრება კალიმაქეს მიერ დამუშავებული ამბის ეპიზოდები უნდა ყოფილიყო. „მიზეზების“ პაპირუსზე დაცულ ერთ ფრაგმენტში მოხსენიებულია: კოლხეთი, აიაში მოსახლე კოლხები, კვტაიელიები, ფაზისი, მედეა<sup>9</sup>.

<sup>5</sup> გამოსცა Bachmann-მა: Grosse Stadtschule zu Rostock 1848—Scholia vetusta in Lycophronis Alexandram. იხ. აგრეთვე: Lycophronis Alexandra, rec. scholia vetera codicis Marciani addidit God. Kinkel. Lipsiae, 1880.

<sup>6</sup> Krumbacher, Geschichte d. Byzant. Litt., München. 1891, გვ. 240.

<sup>7</sup> Anecdota Graeca. Ed. L. Bachmanus. II, Lip., 1828, გვ. 198—386.

<sup>8</sup> ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. II, 115—132.

<sup>9</sup> Pap. Berol. 11521.

თეოკრიტე ელინისტურ პერიოდში წარმოცენებული იდი-ლიური პოეზიის მამამთავარია. იგი იყო კალიმაქესა და აპოლო-ნიოს როდოსელის თანამედროვე პოეტი (III საუკუნის მეორე ნახევარი) და მათთან ერთად მოღვაწეობდა ალექსანდრიაში პტო-ლემეაიოს ფილადელფოსის კარზე. თეოკრიტეს შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეკავა ეგრეთ წოდებულ ბუკოლიკურ მიმებს ანუ იდილიებს, რომლებიც შეთხზულია ბერძნული ენის დორიულ დია-ლექტზე და გამართულია დაქტილური მეტრით. ჩვენამდე მოღწეულია თეოკრიტეს 32 იდილია და 24 ეპიგრამა. არგონავტე-ბის ციკლიდან თეოკრიტეს შეუთხზავს ორი იდილია-ეპილიო-ნი: „ჰილასი“ (XIII იდილია) და „დიოსკურები“ (XXII იდილია).

მითოლოგიური ეპილიონი „ჰილასი“ იწყება ლირიკული პრო-ლოგით და მიედგნის თეოკრიტეს მეგობარ ექიმს ნიკიას. „ჰილას-ში“ გადმოცემულია არგონავტების კოლხეთისაკენ მგზავრობის დროს ნიმფების მიერ ჰერაკლეს საყვარელი ჭაბუკის ჰილასის მო-ტაცების ეპიზოდი. ჰილასის დაკარგვის შემდეგ, რაც სხვა წყაროე-ბიდან ჩანს, ჰერაკლე ფეხით მიდის კოლხეთში და ათავისუფლებს კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვეულ პრომეთეს.

ვარაუდობენ, რომ თეოკრიტეზე ადრე ჰილასის ეპიზოდი დაა-მუშავა აპოლონიოს როდოსელმა „არგონავტიკაში“ (I, 1207—1272)<sup>10</sup>. იგივე ეპიზოდი წარმოგვიდგინა შემდეგ ვალერიუს ფლა-კუსმა („არგონავტიკა“ III, 480—725). გვხვდება იგი აპოლოდორეს „ბიბლიოთეკაშიც“ (I, 9, 19) და ჩვ. წ. II საუკუნის მწერლის ანტონინუს ლიბერალის „მეტამორფოზებშიც“. ჰილასის ეპიზოდს გადმოგვცემს ორფიკული „არგონავტიკაც“ (ტ. 646 შმდგ.). ჰილასის მოიხსენიებენ რომელი პოეტები ვერგილიუსი („ეკლოგა“—VI, 43; „გეორგიკები“—III, 6), პროპერციუსი (I, 20, 17 შმდგ).

იდილია-ეპილიონი „დიოსკურები“ ორ ნაწილად იყოფა; პირველ ნაწილში წარმოდგენილია პოლიდევეკსა და ამიკოსის კრივში შერკინების სურათი, რაც აპოლონიოს როდოსელის „არგო-ნავტიკის“ II წიგნის შესავალშია გადმოცემული, მეორე ნაწილი კი კასტორისა და ლინკევსის ბრძოლას ასახავს.

იდილიაში „გრძნეული ქალები“ დასახელებულია არგო-ნავტთა მითის პერსონაჟები—კირკე და მედეა, ხოლო „თალი-სიაში“ მოხსენიებულია კავკასია, როგორც უკიდურესი მხარე-თითო-ოროლა საყურადღებო ცნობა მოიპოვება თეოკრიტეს თხზუ-

<sup>10</sup> Феокрит, Мосх, Бион, Идилли и эпиграммы. Перевод и ком-ментарий М. С. Грабарь-Пассек. М. 1958, 275.

ლებათა განმარტებებში, რომლებიც სხვა და სხვა დროს შეუდგენიათ (1 საუკ. ძვ. წ.—X საუკ. ჩვ. წ.) და ზოგ ხელნაწერს თან ახლავს სქოლიონებისა და გლოსების სახით.

ე ვ ფ ო რ ი ო ნ ქ ა ლ კ ი დ ე ლ ს (275—?)—ალექსანდრიული ხანის ერთ-ერთ მწიგნობარსა და კალიმაქეს წირის პოეტს არგონავტების თქმულებიდან ეპიკურად დაუმუშავებია ბებრიკებთან არგონავტების მისვლისა და ამიკოსთან შერკინების ამბავი. ევფორიონის თხზულება, როგორც ფიქრობენ, ეპილიონი უნდა ყოფილიყო. იგი ჩვენამდე არ მოღწეულა.<sup>11</sup>

ა პ ო ლ ო ნ ი ო ს რ ო დ ო ს ე ლ ი (c. 295—215). არგონავტოგრაფოსთა შორის საპატიო ადგილი უკავია ელინისტური ხანის გამოჩენილ მეცნიერსა და ეპიკოს პოეტს აპოლონიოს როდოსელს (Ἀπολλώνιος ὁ Ῥόδιος). მან ყველაზე უფრო ვრცლად დაამუშავა თქმულება არგონავტებზე და თანმიმდევრული თხრობით გადმოგვცა იგი „არგონავტიკაში“.

„არგონავტიკა“ (Ἀργοναυτική)<sup>12</sup> მონუშენტალური პოეტური ნაწარმოებია, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა კალიმაქესა და მისი სკოლის პოეტების მიერ ელინისტურ ეპოსში დანერგილ ეპილიონის ეანრს. პოემა სრულადაა მოღწეული. იგი ოთხი წიგნისაგან შედგება და დაქტილური ჰექსამეტრით გამართულ 5.835 ტაეპს შეიცავს. მასში თქმულების დიდი მასალაა დამუშავებული. პოემა იწყება პროლოგით (ეპიკური შესავლით): პოეტი მიმართავს აპოლონ-ფებოსს და მკითხველი უშუალოდ შეჰყავს in medias res. ავტორი არ მოგვითხრობს თქმულების დასაწყის ნაწილს—ათამანტისა და მისი შვილების—ფრიქსესა და ჰელეს—თავადასაგვალს, იმ ამბავს, თუ ვით მოხვდა კოლხეთში ოქროს ვერძი. პოეტი პირდაპირ გვამცნობს, რომ თესალიის გამგებელმა პელიასმა იასონს ოქროს საწმისის ჩამოსატანად სახიფათო ნაოსნობა დააკისრა. შემდეგ დაწვრილებითაა გადმოცემული: ელინთა მზადება ლაშქრობისათვის, იოლკოსის ნავსადგურიდან—პავასედან ხომალდ „არგოს“ ვასელა ზღვაში, მგზავრობა აია-კოლხეთისაკენ ევქსინის პონტოს სამხრეთი სანაპიროებით, კოლხეთში გარდამხდარი ამბები. იასონ-მედეას გამიჯნურება, ოქროს საწმისისა და მედეას გატაცება, აფსირტეს მკვლელობა, კირკესთან ყოფნა აიაიაზე. ფეაკების კუნძულზე მდევარ კოლხებთან დაზავება, იასონ-მედეას დაქორწინ-

<sup>11</sup> Meineke, *Analecta alexandrina*. B. 1843. P. 1880.

<sup>12</sup> პოემის ძველი სათაური იყო „არგონავტები“ (Ἀργοναυταί); სახელწოდება „არგონავტიკა“ შემდეგაა დამკვიდრებული. იხ. Knaack, *Vita et opera d. Ap. Rh* RE II, 126.

ნება და ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ არგონავტების სამშობლოში დაბრუნება. თქმულების მომდევნო ნაწილები (იასონი და მედეა იოლკოსში. პელიასის დაღუპვა, კორინთოში გადასახლება, იასონის ლალატი და მედეას შურისძიება, ასევე მედეას ყოფნა ეგეოსთან ათენში და მისი შემდგომი ბედი) პოემაში წარმოდგენილი არ არის.

„არგონავტიკაზე“ მუშაობის დროს აპოლონიოსმა, როგორც ჩანს, მრავალი წყარო გამოიყენა. მას ხელთ ჰქონდა არგონავტთა თქმულების გარშემო არსებული და ალექსანდრიის საუკეთესო წიგნთსაცავში დაცული დიდძალი მასალა. თქმულება ოქროს საწმისისათვის არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ ფართოდ იყო დამუშავებული ადრინდელ ბერძნულ მწერლობაში და აპოლონიოსმა, უნდა ვივარაუდოთ, ისარგებლა როგორც ელინური პერიოდის მწერალთა, ისე თანამედროვე ავტორთა თხზულებებით. აპოლონიოსის მიერ გამოყენებული წყაროების დადგენის საქმეში დახმარებას გვიწევს „არგონავტიკის“ სქოლიონებში დაცული მითითებები. სქოლიონებში დამოწმებულია ელინური და ელინისტური პერიოდების ავტორები (პომპროსი, ჰესიოდე, ეგმელოსი, ეპიმენიდე, ანტიმაქე, პინდარე, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, ჰელანიკე, ჰეროდორე, ჰეროდოტე, სიმონიდე გენეალოგოსი, ფერეკიდე, სტესიმბროტე, კტესია, სკიმნე, ეფოროსი, ასკლეპიადე, დურისი, ტიმეოსი, თეოლიტე მეთიმნელი, კლეონ კურიონელი [კვიპროსელი], კალისტენე ოლინთიელი, დეილოქე [დეიოქე?], ტიმონაქსი, დემარატე II დემაგეტე, [ტიმაგეტე?], ერატოსთენე, კალიმაქე, თეოკრიტე, ნიმფოდორე და სხვები) და „არგონავტიკის“ სათანადო ადგილები ხშირადაა შეპირისპირებული მათ გადმოცემებთან. ზოგჯერ პირდაპირაა მითითებული, თუ რომელ ავტორს უბაძავენ ან იმეორებს აპოლონიოსი. დავიმოწმებთ რამდენიმე სქოლიონს: I სიმღერის მე-14 ტაეპის განმარტებაში ნათქვამია: [„აპოლონიოსი] ჰერას პელასგიდს უწოდებს პომეოროსისებურად (Πομεορος)“; სქ. I, 623-თან: „თანტი რომ [ენოაზე] გადარჩა, ამას მოგვითხრობს კლეონ კურიონელი და ასკლეპიადე მირლეანელიც“; სქ. II, 399: „ამარანტები რომ კოლხთა მთებია, ამას გადმოგვცემს კტესია მეორე წიგნში“; სქ. III, 202: „კოლხებს წესად არ ჰქონდათ მამაკაცთა გვამების დაწვა ან დამარხვა; მამაკაცთა გვამებს გამოუქნელ ტყავებში ახვევდნენ და [ხეებზე] ჰკიდებდნენ. დედაკაცთა გვამებს კი მიწას აბარებდნენ, როგორც ამბობს ნიმფოდორე, რომელსაც [აპოლონიოსი] მიჰყვა (ἤμαχισθησε). [კოლხები] ყველაზე მეტად თაყვანს სცემენ ურანოსსა და გეას (—ზეცასა და დედამიწას)“; სქ. III, 594 (=III,605):

„ჭე რო დ ო რ ე მოგვი თხრობს „არგონავტებში“, აიეტს რომ საკუთარ შთამომავალთაგან დალუპვა უმისნეს“; სქ. IV, 277: „[არგონი] ამბობს, რომ აია სესონქოსისის დროიდან მოკიდებული ურყევად დგას და მისი მკვიდრნი სესონქოსისის მიერ ჩამოსახლებულ [ევგვიპტელთა] შთამომავალნი არიან. სკი მ ნ ე ც ამბობს „აზი-აში“, რომ კოლხები ევგვიპტელთაგან არიან წამოსულნი. ჰე რ ო დ ო ტ ე მეორე წიგნში მოიხსენიებს ასოთა წინადაცვეთას. სელის ქსოვილს და ამბობს, რომ [კოლხები] ევგვიპტელთა კანონებს იყენებენო“; სქ. IV, 284: „[აპოლონიოსი] ამბობს, რომ ისტროსი ჩამოედინება ჰიპერბორეების [ქვეყნიდან] და რიპეოსის მთებიდან: (ასე სთქვა მან, მიჰყვა რა ესქილეს სიტყვებს „განთავისუფლებულ პრომეთეში“)“. ზოგჯერ სქოლიონში დამოწმების გარეშე ხერხდება აპოლონიოსის წყაროს დადგენა. ასე, მაგალითად, „არგონავტიკის“ ცნობები კოლხური ტომის—მოსინიკების შესახებ ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ი ს „ანაბასისს“ (V, 4) ეყრდნობა<sup>13</sup>.

აპოლონიოსის „არგონავტიკა“- ელინისტური პერიოდის ბერძნული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ავტორის მიზანი იყო ძველი და წინააღმდეგობების შემცველი გადმოცემების საფუძველზე ერთი მთლიანი თხრობა შეედგინა. პოემის შეთხზვის დროს იგი იყენებდა კომპინირების მეთოდს — სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მრავალი მოტივის კომბინაციები წარმოავიდგინა. აპოლონიოსი ცდილობდა ელინური პერიოდისათვის დამახასიათებელი საგმირო ეპოსი შეექმნა და თავისი დროის ჰომეროსი გამხდარიყო. ამიტომაც ჰბაძავს იგი ჰომეროსს და მის მხატვრულ ხერხებს სანიმუშოდ იყენებს. მაგრამ მის პოემას აკლია ის შინაგანი პოეტოკური მთლიანობა, ერთიანი მხატვრული კონცეფცია, რითაც „ილიადა“- და „ოდისეა“- გამოირჩევა. აპოლონიოსის პოემის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ამბავთა დაწვრილებითი აღწერაა, რაც ცალკე ეპიზოდების, მითების, გენეალოგიებისა და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული დეტალების გადმოცემაში გამოიხატება. მწიგნობარი კაცის პედანტურობით გადმოგვეცემს პოეტი დეტალებს და როგორც სწავლული კომპილიატორი ალექსანდრიული ეპოქის მეცნიერის ერუდიციას ამჟღავნებს. აპოლონიოსი ანგარიშს უწევდა საკუთარი ეპოქის ინტერესებს და ჰომეროსის ეპოსს ბრმად კი არ ჰბაძავდა. არამედ პოემაში წარმოდგენილი, ელინისტური საზოგადოების მხატვრული გემოვნების შესაფერი, ორიგინალური მხატვრული კონცეფციით თანამედროვე ცხოვრებას ეხმაუ-

<sup>13</sup> Knorr Aem. De Apollonii Argonautica fontibus (Diss.) Lipsiae, 1902.

რებოდა. ამით აიხსნება ის, რომ პოემის ძლიერი მხატვრული სურათები ხშირად ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული პასაჟებითაა დამძიმებული<sup>14</sup>. მართალია, აპოლონიოსის პოემას აკლია პოეტიკური ერთიანობა, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც „არგონავტიკის“ მხატვრულ ღირსებას სრულიად ამცირებენ. ასე, მაგალითად, იესე ნის აზრით, აპოლონიოსი თითქოს არ ცდილობდა მხატვრული ღირსების მქონე პოემის შექმნასა და ხასიათების გამოკვეთას<sup>15</sup>. „არგონავტიკის“ მესამე წიგნი, რომელიც იასონისადმი მედეას ტრფობას მიეძღვნება, მსოფლიო მწერლობაში შედევრად შეიძლება ჩაითვალოს. აპოლონიოსი აქ გვევლინება ქეშმარიტ შემოქმედად, რომელმაც ეპოსის ჩარჩოები გაათართოვა, ვნებათა ფსიქოლოგიური ანალიზი წარმოგვიდგინა და ბერძნულ მწერლობაში პირველად დაუმორჩილა სიუჟეტის განვითარება სიყვარულის მოტივს. პოეტმა მშვენივრად გვიჩვენა ტრფობის ძალა და იასონ-მედეას რომანი რეალისტური ელფერით აგვისახა. დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა გადმოცემული მედეას სულიერი ბრძოლა, სამშობლოდან მიმავალი ასულის მძიმე განცდები. ლამაზად და იდილიურ მანერაზე დაგვიხატა პოეტმა ისეთი საჟანრო სურათები, როგორიცაა რეალისტური იერით წარმოდგენილი ღმერთქალების ათენასა და ჰერას სტუმრობა აფროდიტესთან, ცელქი ეროსისა და განიმედეს კოქაობა ოლიმპოს მთაზე, ორფევის სიმღერები და მისთ.

კალიმაქესა და მისი წრის კრიტიკის მიუხედავად აპოლონიოსის პოემამ დიდი სახელი მოიხვეჭა. იგი გავრცელდა, არგონავტთა თქმულების სიუჟეტის გადმოცემის თვალსაზრისით დაკანონდა და მერმინდელი მითოგრაფიის უპირატესი დასაყრდენი გახდა. აპოლონიოსსა და მის პოემას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ რომაელი მწერლები და პოეტები. ვარონ ატაცინუსმა „არგონავტიკა“ ნებისმიერად თარგმნა ლათინურ ენაზე; ასევე თარგმნა იგი ვალერიუს ფლაკუსმა. აპოლონიოსს ჰბაძავდნენ დიდი პოეტები—ვერგილიუსი და ოვიდიუსი. ნაზონი. ვერგილიუსის „ენეიდაში“ მრავალი ადგილი „არგონავტიკიდან“ ვადაღებული ჩანს, ენეასისა და დიდონას რომანი კი იასონ-მედეას ტრფობის მიხედვითაა ასახული. აპოლონიოსს ჰბაძავს ოვიდიუსი

<sup>14</sup> ჰომეროსის ეპოსისა და აპოლონიოსის „არგონავტიკის“ ურთიერთობის შესახებ იხ.: ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 107—110. აკ. ურუშაძე, აპოლონიოს როდისელის „არგონავტიკა“ და ცნობები კოლხეთის შესახებ (საკანდ. დისერტ.) თბ., 1945.

<sup>15</sup> Nicht besteht, neue poetische Werte und Charakteristiken zu schaffen... I e s s e n, Argonautai, RE, II, 748.



„მეტამორფოზების“ VII წიგნში. აპოლონიოსის პოემა საფუძვლად დაედო ე. წ. ორფიკულ „არგონავტიკას“. VI საუკუნეში, იმპერატორ ანასტასი I დროს, მარიანოსმა გააკეთა აპოლონიოსის პოემის მეტაფრასი 5.608 იამბიკური ტრიმეტრით.

ჩვენთვის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იგი წარმოადგენს ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული თქმულების ვრცელ ეპიკურ დამუშავებას და მრავალ ძვირფას ცნობას გვაწვდის ძველი ქართველი ტომებისა და მათი სამკვიდრებელი ადგილების შესახებ. „არგონავტიკა“ ერთ-ერთი უძველესი და ბერძნულ წყაროებში ყველაზე უფრო ვრცელი დოკუმენტია, სადაც მოხსენიებულია ქუთაისი და აღწერილია ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანება აიაკოლხეთი. ისტორიულ-რეალური ვითარების საფუძველზე აღმოცენებული თქმულება აპოლონიოს როდოსელს დამუშავებული აქვს, როგორც ითქვა, ელინისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი მწიგნობრული თვალსაზრისით. თქმულების ფანტასტიკურ ჩარჩოებში პოეტი უხვად გამოგვეცემს სინამდვილის ამსახველ გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ ფაქტებს. აქ მას გამოყენებული აქვს სხვადასხვა რიგის წყაროები და ამათ შორის სხვათა მიერ ავტოფსიის გზით მოპოვებული მასალა. აპოლონიოსი დაწვრილებით აღწერს ყველაფერს, რაც კი არგონავტებს გზაში შეხვდებოდა; იგი განმარტავს ამა თუ იმ ადგილის სახელწოდებას, გვამცნობს მდინარეთა მიმართულებას, კუნძულთა მდებარეობას და საკმაო სისრულით გვიხასიათებს დასახლებულ ადგილებს, ამ პუნქტებში მობინადრე ტომებს, მათი ცხოვრების ნირს. „არგონავტიკაში“ დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს უძველესი ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. ამ ცნობათა საფუძველზე შესაძლებელი ხდება ქართველ ტომთა განსახლების საკითხის გათვალისწინება.

„არგონავტიკის“ სქოლიონები. აპოლონიოსის პოემას მრავალი კომენტატორი ჰყავდა. მათი განმარტებები, რომლებიც სხვა და სხვა დროსაა შედგენილი, ხელნაწერებში სქოლიონთა (σχολια) სახითაა წარმოდგენილი. სქოლიონები დაცულია ნუსხებში: Scholia Laurentiana, Scholia Florentina, Scholia Parisina.

სქოლიონები პოემის ტექსტის ამა თუ იმ ადგილის მცირე მოცულობის განმარტებებია. ამ განმარტებებს უმრავლეს შემთხვევაში პირველ წყაროებზე დაყრდნობით. წერდნენ სხვადასხვა დროს მცხოვრები გრამატიკოს-კომენტატორები. აპოლონიოს როდოსელის პირველი კომენტატორი იყო მისი მოწაფე ქარესი. მომდევ:

ნო საუკუნეებში „არგონავტიკის“ განმარტებებს ადგენდნენ: ასკ-  
ლეპიადე, თეონ ალექსანდრიელი (I საუკ. ძვ. წ.), ლუკი-  
ლუსი (II საუკ. ახ. წ.), გრამატიკოსი სოფოკლე (I—II სს.  
ახ. წ.)<sup>16</sup>, ეირენეუსი (=მინიციუს პაკატუსი), კომენტატორი  
ქალი ჰიპატია და სხვები. ამათი განმარტებებით სარგებლობდ-  
ნენ ძირითადად მომდევნო ხანათა ანონიმური სქოლიასტები. Cod.  
Laurentianus-ს ასეთი მინაწერი აქვს: Παράχαιται δὲ τῶν  
Λουκίλου Ταρραίου καὶ Σιφοκλῆους καὶ Θέαιου—„[პომეის] ახლავს  
სქოლიონები, რომლებიც ლუკილუს ტარსელის, სოფოკლესა და  
თეონის [განმარტებებიდან] მომდინარეობენ“.

სქოლიონები კარგადაა მოლწეული. მათი მნიშვნელობა ფას-  
დაუდებელია: 1) ხშირადაა დამოწმებული და ციტირებული ისეთი  
ავტორები ანტიკური ხანისა, რომელთაც მხოლოდ აქედანღა ვიც-  
ნობთ; 2) შემონახულია მრავალი ფრაგმენტი ცნობილ ბერძენ  
მწერალთა (ჰესიოდეს, ჰეროდორეს, ესქილეს, სოფოკლესა და სხვა-  
თა) დაკარგული თხზულებებისა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ძველ მწიგ-  
ნობართა მიერ „არგონავტიკისათვის“ შედგენილ კომენტარებში  
დაცულია ბევრი ცნობა ქართველ ტომთა და მათი საცხოვრისის  
შესახებ.

სქოლიონებში დაცული ცნობების მნიშვნელობა ზემოაღნიშნუ-  
ლით როდი შემოიფარგლება; ისინი გარკვეულ სინათლეს ჰფენენ  
წინაბერძნული მოსახლეობის პრობლემას—მედიტერანული კულტუ-  
რის საწყისებისა და პელასგთა ეთნოგენეზისის საკითხებს<sup>17</sup>.

ნიკანდრე კოლოფონელი (II საუკ.). ნიკანდრე ეპიკოსი  
პოეტი იყო. მისი სახელით მოლწეულია ორი თხზულება: „თერია-  
კა“ და „ალექსიფარმაკა“ („შხამსაწინააღმდეგო საშუალებანი“).  
პომეებს თან ახლავს სქოლიონები. ნიკანდრეს მიეკუთვნებოდა  
აგრეთვე ჩვენამდე ნაწყვეტებადღა მოლწეული „ჰეტერიუმენა“  
 („გარდაქმნანი“), რომელიც 5 წიგნს შეიცავდა და საფუძვლად  
დაედო ოვიდიუს ნაზონისა და ანტონინუს ლიბერალის „მეტამორ-  
ფოზებს“. „ალექსიფარმაკაში“ ნიკანდრე მოიხსენიებს კოლხი მედეას  
სამკურნალო ხელოვნებას. სქოლიონში ნათქვამია, რომ მედეამ  
აღმოაჩინა წამალი, რომელსაც კოლხურ წამალს ანუ ნავთს (νάρθηκ)  
უწოდებენო (ტ. 249—251)<sup>18</sup>.

<sup>16</sup> გრამატიკოსი სოფოკლეს განმარტებები გამოყენებულ: აქვს სტეფანე ბი-  
ზანტიელს გეოგრაფიულ ლექსიკონში—„ეთნიკაში“.

<sup>17</sup> აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ დაწვრილებითი განხილვა წარ-  
მოდგენილი ვაკეს საეციალურ გამოცემაში. იბ. წინასიტყვაობა, შენ. 8.

<sup>18</sup> Nicandrea. Rec. et em. Otto Schneider, Lips., 1856.

აპ. როდოსელის პოემის სკოლიონებში (II, 98, 1088 და Zosim. V, 29, 2—3) დამოწმებულია ეპიკოსი პოეტი პისანდრე, რომელსაც პოემაში Ἡρακλᾶς μισοῦμαι, არგონავტების შინ დაბრუნების თავისებური ვერსია დაუმუშავებია. კარგა ხანს ეგონათ, რომ პისანდრე იყო ძვ. წ. VII საუკუნის პოეტი კამიროსიდან<sup>19</sup>. უკვე დადგენილია, რომ პისანდრე იყო ლიკაონის ლარანდადან და მოღვაწეობდა ახ. წელთაღრიცხვის III საუკუნეში ალექსანდრე სევერუსის დროს.

ორფიკული „არგონავტიკა“. არგონავტთა თქმულების საფუძველზე შექმნილ ძველბერძნულ ეპიკურ ძეგლებში გარკვეული ადგილი უჭირავს ჩვენამდე სრულად მოღწეულ პოემას, რომელიც დაქტილური ბექსამეტრით გამართულ 1384 ტაეის შეიცავს და ფსევდო-ორფევის ანუ ორფიკული „არგონავტიკის“ სახელით არის ცნობილი (Ὀρφθαῶς Ἀργοναυτικᾶ). პოემის ავტორის ვინაობა და შეთხზვის დრო დაუდგენელია. პოემის ავტორობას ძველად მიაწერდნენ თრაკიელების ლეგენდარულ პოეტსა და მომღერალს, მდინარის ღმერთის ეაგრესა და მუზა კალიოპეს შვილს—ორფევსს. ბერძნული მითოლოგიური ტრადიცია ორფევსის სამშობლოდ ასახელებს პიერიას (ოლიმპოს მთასთან). თქმულების მიხედვით, ღვთაებრივი წარმომავლობის ორფევსი ღირაზე დაკვრის გრძნეული ხელოვნებით ხეებსა და კლდეებსაც კი ამოძრავებდა და თავისკენ იზიდავდა<sup>20</sup>. საიქიოს სამეფოს დედოფალმა პერსეფონემ სიმღერის ჯადოქარს გარდაცვლილი მეუღლე (ევრიდიკე) დაუბრუნა სულთა სამყაროდან<sup>21</sup>.

არგონავტთა თქმულების ყველა ვერსიის მიხედვით გრძნეული ორფევსი ოქროს საწმისისათვის კოლხეთში ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილეა. იგი დიდ შემწეობას უჩენს არგონავტებს ჯადოსნური ჩანგით და მომწუსხველი სიმღერებით. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ორფევსი „ქალთმოძულების გამო“ (იგი მხოლოდ ევრიდიკეს ერთგული იყო) დედაკაცებმა დაგლიჯეს და მისი თავი და ღვიძლი ზღვაში გადააგდეს. მომღერლის სხეულის ეს ნაწილები შემდეგ პოეზიით სახელგანთქმულ კუნძულ ლესბოსზე გაირიყა<sup>22</sup>.

პისისტრატეს მომდევნო ხანებში ორფევსი მიიჩნეის ქურუმად და მისტიკური სექტის (ე. წ. ორფიკული სექტის) დაარსებაც მიაწერეს. ეს სექტა ძვ. წ. VI საუკუნეში წარმოიშვა და ემყარებოდა

<sup>19</sup> LM. I, 512.

<sup>20</sup> Aesch. Agam. 1629; Eur. Bacch. 364; Iph. Aul. 1211.

<sup>21</sup> Verg. G. IV, 454 შმდგ.; O V. Met. 10,1 შმდგ.

<sup>22</sup> Paus. IX, 30, 7, 9.

დიონისე-ძაგრევის კულტს მისმა მიმდევრებმა შექმნეს სპეკულიაციური თეოლოგია, რომელიც პომეროსის პანთეონს დაუპირისპირეს; განსაკუთრებით ებრძოდნენ პომეროსის ეპოსში ასახულ წარმოდგენებს სულთა სამეფოზე. ორფიკული სექტის წევრები ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ (პსიჯ Ὀρφικῶς) და ორფეუსს მისტიკური თხზულებების, ორაკულებისა და მისთანათა ავტორობას მიაწერდნენ.

ფილოსოფოსი პლატონი ორფეუსს რეალურ პიროვნებად მიიჩნევს და ვითომცდა ორფეუსის მიერ შეთხზულ ნაწარმოებთა სათაურებსაც კი ჩამოგვითვლის. ორფეუსს მიეწერებოდა შემდეგი თხზულებები: „ტელეტები“ („შესაწირაფნი“), ჰიმნები, „ქრეზმოდები“ (გალექსილი ორაკული), „თეოგონია“, „არგონავტიკა“, „ლითიკა“ (პოემა მაგიური ქვების შესახებ). პლატონს დიალოგში „კრატილე“ მოაქვს ორი ტაეპი ვითომცდა ორფეუსის თხზულებიდან:

„პირველად ქორწილი იწყა ოკვანემ ტალღებით ლაღმა.  
შერთო ტეთისი, ლვიძლი, ერთ დედისგან ნაშობი დაი“<sup>23</sup>  
(Crať. 402)

„ორფეუს თრაკიელი“ მოხსენიებულია ძველ ქართულ მწერლობაშიც: „პრომიტეუს და ორფეუს თრაკი, უფროჲსად ბრძენნი იგი ელლენთანი“ (ხრონოგრაფი გიორგი მონოზონისაჲ, 68,1—2); „ორფეუსის ჯმათ დამსწელი“ (იეზიკიელი: კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 282)<sup>24</sup>.

ბერძნულ წყაროებში ორფეუსი მოხსენიებულია როგორც ლინოსის მოწაფე და პელასგური დამწერლობის გამავრცელებელი პირი<sup>25</sup>.

ორფეუსის რეალურ არსებობაში ეჭვი ჯერ კიდევ არისტოტელემ შეიტანა. ციცერონი გადმოგვცემს: Orpheum potam docet Aristoteles nunquam fuisse—„არისტოტელე გვასწავლის, რომ პოეტი-ორფეუსი არასოდეს არ არსებობდა“<sup>26</sup>.

სამეცნიერო კვლევა-ძიებამ დაადგინა, რომ ის თხზულებები, რომელთა ავტორობასაც ანტიკური ტრადიცია ლეგენდარულ ორფეუსს მიაწერდა, დაწერილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ. ამიერიდან ეს ანონიმური თხზულებები გააერთიანეს კრებულში, რომელსაც Ὀρφικῶν (Orphica) უწოდეს. გამოირკვა ისიც,

<sup>23</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, 38.

<sup>24</sup> ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. I, 38.

<sup>25</sup> Diod. III, 66, 67. იხ. ნ. კეკელიძე, პომეროსის წინაღობის დროინდელი პოეზიის საკითხისათვის, თსუ „ზრამები“, ტ. 63, გვ. 277—286.

<sup>26</sup> Cic. De nat. deor., I, 38, 107.

რომ ორფევის სახელთან დაკავშირებულ პოეზიას პირდაპირი კავშირი ჰქონდა მისტიკურ მოძრაობასთან — ორფიზმთან, რომელსაც საფუძველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრევე ჩაეყარა<sup>27</sup>. ორფიკული კულტის მისტიკური სექტები განსაკუთრებით გავრცელდა ახალი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში. ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებული ორფიკული სექტები ახლად ფეხადგმული ქრისტიანული რელიგიის სერიოზული მოწინააღმდეგე ძალა იყო. დაწვრილებითი ცნობები ორფიკული კულტის შესახებ არ მოგვეპოვება. როგორც ჩანს, საკულტო რიტუალს უაღრესი საიდუმლოებით იცავდნენ. ამ კულტის მსახური ორფევეს ღვთაებად აღიარებდნენ და მოიხსენიებდნენ ეპითეტით — *πρωτεσπασμας* („ძველთაგანტკბილ-რითმოვანი“).

ფსევდო-ორფევის სახელით ცნობილი პოემა „არგონავტიკა“ ორფიზმის აშკარა ნიშნებს ატარებს. პოემის ავტორი პოეტთა იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც ორფიკულ კულტს ემსახურებოდა და რომელსაც IV საუკუნეში იულიანე განდგომილი მფარველობდა. ფ. იაკობსი პოემის შეთხზვის დროს II—IV საუკუნეების შუახანებით განსაზღვრავდა. გოტფრიდ ჰერმანმა პოემის ენობრივი და მეტრიკული შესწავლის საფუძველზე მიღებული არგუმენტებით წარმოადგინა დღესაც მისაღები დასკვნა, რომ „არგონავტიკა“ შეთხზულია ახ. წ. IV საუკუნეში და რომ მისი ავტორი კვინტოს სმირნელის შემდეგ და ნონოს პანოპოლელზე ადრე ცხოვრობდა<sup>28</sup>.

არგონავტთა თქმულების ყველა ვარიანტის მიხედვით ლეგენდარული მომღერალი ორფევის მზიურ კოლმეტში ლაშქრობის ძირითადი მონაწილეა. „არგონავტიკის“ ავტორი ამ ტრადიციას იყენებს იმისათვის, რომ მითი ორფიკულ სამოსელში გახვიოს და პოემის ცენტრალურ ფიგურად ორფევის წარმოგვიდგინოს: ორფევეს ეკისრება ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინებისა და არგონავტების ცოდვებისაგან განწმენდის საქმე. აქ კარგად ჩანს, თუ ვით შეჰქონდა თავისებურებანი მითის დამუშავებაში ამა თუ იმ ეპოქას და როგორ ჰხვევდა ესა თუ ის პოეტი საკუთარი მსოფლმხედველობის სამოსში ტრადიციულ მითოლოგიურ სახეებს. ვარაუდობენ, რომ პოემაში ორფიზმი მზის თაყვანისმცემლობისაკენ იხრე-

<sup>27</sup> История греческой литературы, т. III, М. 1960, 345—348.

<sup>28</sup> Orphica. Recensuit Godofredus Hermannus; Lips. I, II, 1805. იხ. აგრეთვე: Weinberger Guil. Quaestiones Orphei quae feruntur Argonauticis. Diss. phil. Vindob, III, 239... (zur Syntax); Rosenboom I. Quaestiones de Orphei Argonauticorum elocutione. Diss. phil. Hallens. IX, 67 შმდგ.

ბა<sup>29</sup>. პოემა მზის ქვეყანაში (აიაში—კოლხეთში) არგონავტების ლაშქრობის შესახებ მიეჭლებება მზისა და სინათლის მეუფეს აპოლონს. განსაკუთრებით ხაზგასმულია კოლხთა მთავრის, პელიოსის ძის (მზის ვაჟის) აიეტისა და მისი დის კირკეს მზიური ხასიათი. არგონავტების შესახებ დრად ფაზისის ნაპირთან მისული „აიეტი პელიოსის დარად ბრწყინავდა ეტლზე ოქროს პეპლოსიდან ათინათებულ ელვარებით; თავს ედგა ცეცხლოვანი სხივებით შემოკბილი ფოჩებიანი გვირგვინი“ (ტ. 814—817). აიეტის დას, შორით მანათობელი ჰიპერიონის [პელიოსის] და ასტეროპეს ასულს—კირკეს, „თავზე ცეცხლის ისრების დარი თმები ედგა, ლამაზი სახე უბრწყინავდა; ხოლო მისი სუნთქვა ირგვლივ ელვარე ნათელს აფრქვევდა“ (ტ. 1220—1226).

ორფიკული „არგონავტიკა“ ბერძნული წარმართული ეპიკური პოეზიის ერთ-ერთი უკანასკნელი და საყურადღებო ძეგლია. ანტიკური ხანის პოემებში იგი გამოირჩევა იმით, რომ დაწერილია პირველ პირში. პოემა იწყება მიმართვით აპოლონ ღმერთისადმი:

„პითონის მფარველო მეუფევე, შორსმსროლელო მისანო, ვისაც წილად გხვდა პარნასის კლდის უმაღლესი მწვერვალი, შენ სიქველეს ვუმღერ. შენ კი კეთილი სახელი მიბოძე; შთამიდე გულში ქეშმარიტების მღალადებელი ხმა, რათა წკრიალა სიმღერა ვუმღერო მრავალრიცხოვან მოკვდავთ მუზის შეგონებით და ტანმსხვილი პექტიდით“ (ტ. 1—6). ნაწარმოების შესავალის თემა კოსმოგონია; გადმოცემულია სხვადასხვა მითები. უმთავრეს ღვთაებად და ყოვლის საწყისად, თანახმად ორფიკული მოძღვრებისა, აღიარებულია სიყვარულის ღმერთი ეროსი—„ორბუნებოვანი, ცეცხლსახიერი და მრისხანი“. აქვე ჩანს ავტორის ეპოქის რელიგიური სინკრეტიზმი; მითში ზევსის წარმოშობის შესახებ მოხსენიებული არიან კიბელე და ოსირისი. შესავალი ნაწილის შემდეგ პოემის მთავარი გმირი ორფევსი ხომალდ „არგოს“ მოგზაურობის ამბავს მოუთხრობს თავის მოწაფეს, ლეგენდარულ პოეტსა და მომღერალს—მუსეოსს. ორფევსი ჰყვება, თუ როგორ მივიდა მასთან იასონი და სთხოვა მიეღო მონაწილეობა მის მგზავრობაში „უცხოთმოძულე ტომებთან, მდიდარ და პირქუშ ხალხთან, რომელზედაც გამგებლობდა მოკვდავთმანათობელი პელიოსის ძე აიეტი“ (ტ. 50—55). წინასწარმეტყველებით დამფრთხალმა ვერაგმა მეფე პელიასმა იასონს კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა დაავალა „ცხენკეთილ თესალიაში“. იასონს დაეხმარა ღმერთქალი ჰერა, რომლის რჩევითაც

<sup>29</sup> История греческой лит., III, 346.

ათენამ ააგო პირველი ხომალდი „არგო“. ორფევისი თანახმაა, გაჰყვეს იასონს „უცხოთმოდულე პონტოს უკიდურესი ყურისა და მშვენიერი ფაზისისაკენ (ἸΑΨόνος ἔξ ἰόντου μαχίσις καὶ Φάσιον ἐπαυσόν). ორფევისი პოემის მთავარი ფიგურაა. მას ეკისრება არგონავტების ცოდვად მიჩნეული ლაშქრობის განწყობენდა (ასეთ როლს სრულიადაც არ ასრულებს ორფევისი თქმულების ადრინდელ გადმოცემებში).

ორფევისი იასონს მიჰყვება პაგასეს სანაპიროზე, სადაც მიჩნები (არგონავტები) სალაშქროდ იკრიბებიან. ჩამოთვლილია სალაშქროდ მიმავალი გმირები: ჰერაკლე, ტიფისი („არგოს“ მესაჰე), კასტორი და პოლიდევეკე (ტინდარიდები), მოფსოსი. პელევსი, ეთალიდე, ერიტე, ექიონი, კორონე, იფიკლე, ბუტე. კანთოსი, ფალერე, იფიტე, ლაოდოკე, ტალაე, არეიოსი, ამფიდამანტი, ერგინე, პერიკლიმენე, მელეაგრე, მეორე იფიკლე, ასტერიონი, ევრიდამანტი, პოლიფემე, ენეიოსი, ადმეტე, ევრიტიონი, იდასი, ლინკევსი, ტელამონი, იდმონი, მენეტოსი, ოილევისი, ფლიასი, კეფევსი, ანკეოსი, ნავპლიოსი, ეფემე, მეორე ანკეოსი, პალემონიოსი, ავგეი, ამფიონი, ასტერიოსი, ძეტე, კალასი, პელაისის სისხლთავანი [კაკასტე], ჰილასი. იასონისა და ორფევისის ჩათვლით სულ 52 გმირი მიემგზავრება კოლხეთში. თითოეული გმირის დასახელებას მოსდევს ამ გმირის წარმომავლობის და პირადი თვისებების მოკლე აღნუსხვა<sup>20</sup>. არგოსის რჩევით<sup>21</sup> არგონავტები ხომალდს ზღვაში შეატყურებენ და „საამოდ მეტყველი არგო“ (ἐνλαῖος Ἄργος) იასონის წინამძღოლობით პაგასეს ნავსადგურიდან გადის. მცირე ხნის ცურვის შემდეგ „არგო“ მიადგება ღვთაებრივ კუნძულ ლემნოსს, სინტიურ მალალ სანაპიროსთან (Σινταχαιδὲς ἔαρ' ἄφ' Ἰσθμοῦ Ἀἴμου ἐν Ἰγγαῖσιν). აქ არგონავტები დაუკავშირდებიან ლემნოსელ ასულებს. იასონის სიყვარულით მოიხიბლება ლემნოსელთა დედოფალი პითესიპილე. მინიებს ქალთა ალერსი მოვალეობას ავიწყებს, მაგრამ ორფევისის სიმღერით შეგონებულნი კვლავ ავლენ ხომალდზე და გზას აგრძელებენ (აპოლონიოს როდოსელის პოემაში არგონავტებს ლემნოსელი ქალების ალერსისაგან ჰერაკლე გამოიხსნის). ხომალდი მიადგება დოლიონების ქვეყანას. დოლიონთა გამგებელია კიზიკოსი—ენეოსისა და ენეტეს (ევსორეს ასულის) ძე. კიზიკოსი მინიებს სტუმართმოყვარეობით მიიღებს: უბოძებს დაკლულ ცხვრებს, ხარებს, ღორებს და პურსა და ღვინოს. დინდიმონის მთაზე არგო-

<sup>20</sup> K. Hoffmann, De Pseudo-Orphei Catal. Argon. Nürnberg. 1884.

<sup>21</sup> წესბაში არაა მოხსენიებული არგოსი.

ნაკტები მსხვერპლს შესწირავენ ღმერთჲალ რეას (კიბელეს)<sup>32</sup>. შემდეგ გადმოცემულია ჰილასის დაკარგვისა ლა ჰერაკლეს მიზიაში მიტოვების ეპიზოდი. ბებრიკების მეფის—ამიკოსის დამარცხების შემდეგ არგონავტები მიაღებებიან ბითინიის ნაპირს და აქ დაეხმარებიან ფინევსს. მერე „არგო“ გაივლის კიანეს კლდეთა შუა და ევქსინის პონტოში შესული ჩაუვლის შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ტომებს. ეს ტომებია: ხალიბები, ტიბარენები, მოსინები, ბექირები, მაკრონები, მარიანდინები, კოლხები, პენიოხები, აბასგები, ურები, ხინდები, ხარანდები, სოლიმები, ასირიელები, ფილირები, ნაპატები, საპირები, ბიდერები, სიგინები. ბოლოს ხომალდი შედის თაზისში და მდინარეს აჰყვება აღმა, ვიდრე არ მიაღწევს აიეტის ციხე-სიმაგრეს—კვტაისს (Κυτταῖς γὰρ ἔστι, ἀκρωτήριον ἑσθρῶν—Κυτταῖς γὰρ ἔστι, ტ. 824).

არგონავტების მგზავრობა აღწერილია მეტად მშრალად და ძირითადად აპოლონიოს როდოსელის მიერ მოცემული მარშრუტის შემოკლებული გადმოცემით. ოქროს საწმისის მოპოვების საქმეში, ტრადიციული გადმოცემისაგან განსხვავებით, მთავარ როლს ორფევესი ასრულებს. იასონ-მედეას სახეები გარდამეტებულად ფერმკრთალია და მეორე პლანზე არის გადაწეული. ორფევესი „არგონავტიკა“ ამ მხრივ მეტად განსხვავდება აპოლონიოს როდოსელისა და ვალერიუს ფლაკუსის პოემებისაგან. მედეას ბედი ტრაგიკულ ფერებშია ასახული: აიეტის ასული ხშირად მოიხსენიება როგორც „ბედლამწვარი“ და „სარეცელაწყველილი“ (ἀνὴρ γὰρ ἄστυ, δεισιπλοῦς Μυθία).

პოემაში დაწვრილებითაა აღწერილი არტემიდეს<sup>33</sup> ამწვანებული ხეებით დაჩრდილული ჭალაკი. გრძნეული მედეა აქ არტემიდეს (ჰეკატეს) შემწეობით სამკურნალო, ჯადოსნურ ბალახებს აგროვებდა. ჩამოთვლილია მცენარეები, რომლებიც ამ ჭალაკში ხარობს: „დაფნა, შინდი და ტანაყრილი ჭადრები; ასფოდელოსი, კლიმენისი და სურნელოვანი ადიანტოსი; თრიონი, კიპირონი, არისტერეონი და ანემონი; პორმინონი, ირისიმონი და იისფერი კიკლამისი;

<sup>32</sup> არ არის მართალი მ. ე. გრაბარ-პასკვი, თითქმის ორფევესი „არგონავტიკაში“ „Новым является то, что в Кизике жертву приносят Рее, т. е. матери богов, иначе Кибеле“ (История греческой литературы, т. III, гл. XIV, § 8: Орфическая поэзия, გვ. 347). ჩანს, ამ სტრიქონების ავტორი კარგად არ იცნობს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ის, თუ ვით სწირავენ არგონავტები მსხვერპლს ღმერთმონხე რეა—კიბელეს!

<sup>33</sup> არტემიდესთან ხშირად იდენტიფიცირებულია კოლხური სამყაროს სამბუნებოვანი ღვთაება—ღმერთჲალი ჰეკატე.



სტეჟასი, პეონია და მრავალტოტა კატერნესი; მანდრაგორა, პოლიონი და მტერიანი დიკტამონი; კეთილსურნელოვანი კროკოსი და კარდამონი; კემოსი, სმილაქსი, ქამემელონი და შავი მეკონი; ალკია, პანაკესი, კარპასონი და აკონიტონი. აქვეა მრავალი შხამიანი ბალახი“ (ტ. 915—926). წარმოდგენილი ბოტანიკური ნომენკლატურიდან ჩანს, რომ ავტორი ბუნების კარგი მცოდნე იყო. ქალაქში მდგარ ცადაზიდულ და ტოტებგაშლილ მუხაზე ეკიდა ოქროს საწმისი, რომელსაც: დრაკონი იცავს. ორფევსი საგანგებო მსხვერპლშეწირვის შემდეგ დრაკონს მოაჯადოებს და იასონი შედეგად შეგონებით ოქროს საწმისს მუხიდან ჩამოიღებს. აიეტის ძის—აფსირტეს მოკვლის შემდეგ არგონავტები მოტაცებული საწმისით ზღვაში გადიან. პოემაში მეტად თავისებურადაა გადმოცემული „არგოს“ სამშობლოში დაბრუნების მარშრუტი. აქ საქმე გვაქვს ჯადოსნურ ზღაპართან, რომლითაც ავტორი მისტიკურ და მექკოლორიტში ჰხვევს სხვადასხვა არსებულ და არარსებულ მხარეთა აღწერას. არგონავტები ბევრს მოგზაურობენ მდინარეებით; ზღვებით და ხმელეთითაც კი. მიდიან შორს ჩრდილოეთში—ჰიპერბორეებთან და კასპიებთან. მრავალი ტომის მოხილვის შემდეგ მიდინარე ისტროსით და როდანოსით არგონავტები შევლენ ხმელთაშუა ზღვაში. მიაღებებიან აიაიას კუნძულს, სადაც ცხოვრობდა ჰელიოსის ასული, აიეტის გრძნეული დაი—კირკე. კირკე მოგზაურებს საქმელ-სასმელით აუვსებს ხომალდს. შემდეგ „არგოს“ მიაღება ფეაკების კუნძულს—ეერკირას. აქ ეწყობა იასონისა და შედეგად ქორწილი. იასონი და შედეგად ერთმანეთს შეეუღლებიან ხომალდზე გამართულ კარავში (აპოლონიოს როდოსელით მათი დაქორწინება მღვიმეში ხდება). ქორწილის შემდეგ არგონავტები და მღვეარაკოლხები, რომლებსაც ერავეები და სოლიმები ახლავან, დაზავდებიან. კირკეს რჩევით და ორფევსის შემწეობით არგონავტები აიეტის წყევლისაგან და ცოდვებისაგან განიწმინდებიან მალეას კონცხზე და ბოლოს იოლკოსის ნავსადგურს დაუბრუნდებიან.

ორფიკული „არგონავტიკა“ ძველ მითოლოგიურ ტრადიციას ემყარება. მის ავტორს ბევრი რამ აპოლონიოს როდოსელის პოემისაგან გადაუღია, მაგრამ ძირითადი საყრდენი მისთვის უძველესი ორფიკული მისტერიები იყო. თავისებურია პოემის მითიური ტოპონომიკა და ტომთა სახელწოდებების გადმოცემა. ბევრი რამ ამ შემთხვევაში რეალურ-ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის მონაცემთა საფუძველზე, უაღრესად გარდამეტებული ფანტასტიკურობის გამო, აუხსნელია<sup>24</sup>.

<sup>24</sup> გამოცემები: I. O r p h i c a, cum notis H. Stephani, A. Chr. Eschenbachii, I. M. Gosneri, Th. Tyrwhitti; Recensuit Godofredus Hermannus. Lipsiae

§ 2. პროზა. ა. საისტორიო პროზა. ელინისტური ხანის თითქმის ყველა ისტორიკოსი ეხება მეტნაკლებად თქმულებას არგონავტებზე.

კალისტენე ოლინთიელი (370—327), რომლის „პერიპლუსის“ ფრაგმენტები აბ. როდოსელის სქოლიონებშია დაცული (FGH, II B: ფრგ. 6,7), ნეანთე კიზიკოსელი (III საუკ.) და დეილოქე (თუ დეიოქე) კიზიკოსელი (III საუკ.) არგონავტების კიზიკოსზე ყოფნის ამბავს გადმოგვცემენ (FGH, I: ფრგ. 12,39). დურის სამოსელი (c. 340—275), რომელიც დიოდორე სიცილიელის მთავარი წყარო იყო და მენეკლე არგონავტების ლიბიაში ყოფნას ეხებოდნენ (FGH, I: ფრგ. 11,47, 86, და IV, ფრგ. 449).

სიცილიელ ისტორიკოსს ტიმეოსს (c. 352—256) მიეკუთვნებოდა რამდენიმე ათეული წიგნის შემცველი „ისტორია“, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა: „სიცილიის ისტორია“ და „იტალიის ისტორია“. ამ მხარეთა აღწერამ, ჩანს საბაბი მისცა ტიმეოსს, დაწვრილებით გადმოეცა არგონავტთა მოგზაურობის ამბავი, რამდენადაც, თქმულების მიხედვით, კოლხეთიდან დაბრუნებული არგონავტები იტალიის სანაპიროებთან მისცურავენ. ტიმეოსის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ 149 ფრაგმენტში (FHG, I) ხშირადაა ტიმეოსის სახელი აღრეული დღემდე დაუდგენელი ვინაობის ისტორიკოს ტიმონაქსის სახელთან. კ. მიულერი ტიმეოსსა და ტიმონაქს აიგივებს, რაც სწორი არაა<sup>35</sup>. ჩვენ აზრს მხარს უჭერს აბ. როდოსელის პოემის სქოლიონში (IV, 1217-თან) დაცული მითითება, სადაც ნათქვამია, რომ ტიმონაქსით იასონმა მედეა შეირთო კოლხეთში აიეტის ნებართვით, ხოლო ტიმეოსის მოწმობით ქორწინება ფეაკებთან კერკირაზე მოხდა (ფრგ. 7). ფრაგმენტებში მოიპოვება კოლხურ გარემოსთან დაკავშირებული საყურადღებო ცნობები (ფრგ. 5, 6, 7, 8, 9, 13).

პოლიბიოსი (c. 205—123) „მსოფლიო ისტორიაში“ მოიხსენიებს იასონს, რომელმაც ჰიერონთან მსხვერპლი შესწირა თორმეტ მთავარ ღმერთს კოლხეთიდან მშვიდობით დაბრუნების გამო (IV, 39; 5—6).

გამოჩენილი ფილოსოფოს-პერიპატეტისკოსისა და ისტორიკოსის ნიკოლოზ დამასკელის (დაიბ. ძვ. წ. 64 წ.) თხზულებათა

1805—Partes: I, II (აქვეა მოთავსებული ორფიკული „არგონავტიკის“ ლათინური მეტაფრასი კრიბელუსისა); 2. Ὀρφικάς Ἀργοναυτικῆς. Editione stereotypa Car. Tauchnitii. Lipsiae 1829; 3. Ὀρφικά. Recensuit Eug. Abel. Pragae—Lipsiae 1885.

<sup>35</sup> FHG, I.

ფრაგმენტებში საყურადღებო ცნობებია წინაბერძნული მოსახლეობის (პელასგების), არგონავტების მითისა და კოლხეთის შესახებ. ნიკოლოზის მთავარი შრომის „საზოგადო ისტორიის“ ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ თხზულებაში დაწვრილებით იყო გადმოცემული მითი არგონავტების შესახებ. ამ გადმოცემიდან გადარჩენილია ლემნოსის ეპიზოდის აღწერა (FGH. II: ფრგ. 11), იასონისა და მედეას იოლკოსში მისვლის, მედეას გრძნეულებით პელიასის დალუპვის, ამის გამო იასონ-მედეას კორინთოში გადახვეწისა და პელეგისისა და იასონის იოლკოსზე გალაშქრების ამბები (ფრგ. 54, 55), აქვეა საუბარი პელასგებზე (ფრგ. 37, 41).

„ზნე-ჩვეულებათა კრებულის“ (Παραδόξων ἔθων Συναγῆγῆ) ნაწყვეტებში საუბარია კოლხური ტომის „მოსინების“ გარშემო და კოლხთა პანთეონის—მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდებით დაკრძალვის წესზე (ფრგ. 103 h, 121).

ახ. წ. III საუკუნის კომპილტორი ათენეოს ნავკრატისელი ასახელებს თხზულებას „ამიძონებზე“, რომელსაც მიაწერს სრულიად უცნობ ავტორს პოსის მაგნესიელს. ეს თხზულება, როგორც ათენეოსი ამბობს, აღწერდა არგონავტების ბრძოლას ლემნოსზე დამკვიდრებულ ტირენელებთან; ხომალდ „არგოს“ ამგებად და შესაქედ გამოცხადებული იყო გლავკოსი (VIII, 296 d; XII, 533 d).

კეფალიონი (II საუკ. ახ. წ.). კეფალიონის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სვიდა და ფოტიოსი (Bibl. 68). კეფალიონი იყო გერგითელი ისტორიკოსი. მოღვაწეობდა სიცილიაში ადრიანეს იმპერატორობის დროს (117—138). შეუთხზავს იონურ დიალექტზე მსოფლიო ისტორია, რომლისთვისაც ჰეროდოტეს თხზულების მიბაძვით „მუზები“ შეურქმევია. თხზულება შეიცავდა 9 წიგნს და გადმოსცემდა ამბებს ნინოსისა და სემირამიდეს დროიდან ვიდრე ალექსანდრე მაკედონელამდე ჩათვლით. ბიზანტიელი მწერლის გიორგი სინგელოზის „ქრონიკაში“ დაცულია ფრაგმენტი კეფალიონის თხზულებიდან<sup>36</sup>. აქ ლაპარაკია არგონავტების კოლხეთში გამგზავრების დროისა და ეგეოსისა და მედეას ძის მედოსის შესახებ (FGH. I.).

პლუტარქე (c. 46—120). არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებულ ამბებს პლუტარქე ეხება „პარალელურ ბიოგრაფიებში“<sup>37</sup>. ბიოგრაფიაში „თესევსი“ გადმოცემულია კორინთოდან ლტოლვილი მედეას ეგეოსთან ყოფნის ამბავი (თ. 12). მოტანილია კლიდემეს

<sup>36</sup> ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ის „გეორგიკაში“. ტ. IV, 1, სადაც გიორგი სინგელოზის ცნობებია, ეს ადგილი არ არის დამოწმებული.

<sup>37</sup> პ ლ უ ტ ა რ ქ ე, რჩ. პარალელური ბიოგრაფიები. I, 1957.

ცნობა (თ. 19) და დამოწმებულია ზოგიერთთა აზრი იმის შესახებ, რომ იასონთან ერთად კოლხეთში თესევისი იყო (თ. 29). ბიოგრაფიაში „რომულუსი“ პლუტარქე გვაწვდის საყურადღებო ცნობებს იმის თაობაზე, თუ ვის მიეწერება რომის დაარსება. ჩვენთვის უცნობ წყაროებზე დაყრდნობით პლუტარქე გადმოგვცემს სხვადასხვა შეხედულებებს ამ საკითხზე. ზოგიერთების აზრით, რომი დაუარსებიათ ბალკანეთიდან ლტოლვილ პელასგებს, ანდა გადარჩენილ ტროელებს (თ. 1); ზოგიერთების მიხედვით კი—ოდისევისა და კოლხთა მეფის აიეტის დის კირკეს ვაჟს—რომანოსს (თ. 2). ბიოგრაფიაში „კიმონი“ ავტორი იასონზე თქმულებას დიდი ნდობის ღირსად აცხადებს (თ. 3). ხოლო ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების აღწერაში მედეას ჯადოსნური წამლების მასალად ნავთს თვლის (თ. 35).

ფსევდოპლუტარქეს თხზულებაში „მდინარეთა და მთათა სახელების შესახებ“ დაცულია ცნობები პრომეთეს ბალახის, მედეასა და ფრიქსეს და ოქროს ვერძის შესახებ („ფაზისი“, 4; „ტანაისი“, 4.)

ისტორიკოსი აპიანე (90—170) „რომის ისტორიის“ XII წიგნში („მითრიდატეს ომების ისტორია“) ეხება თქმულებას არგონავტებზე და მას რეალური საფუძვლით ხსნის. „მითრიდატემ,—ამბობს აპიანე,—ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. კოლხებს ეს ქალაქი მიაჩნიათ არგონავტებთან ერთად დიოსკურების (კასტორისა და პოლიდევეკეს, ა. უ.) აქ ყოფნის საბუთად“ (§ 101). კავკასიონის მდინარეების მიერ ჩამოტანილი ოქროს ქვიშის შეგროვების წესის აღწერის დროს აპიანეს ისეთივე დასკვნა გამოაქვს ოქროს საწმისზე თქმულებასთან დაკავშირებით, როგორც ჯერ კიდევ სტრაბონმა და ანტიკური ხანის ზოგიერთმა სხვა ავტორმაც გამოიტანა: „[პომპეუსმა] მოიარა კოლხები არგონავტთა. დიოსკურებისა და ჰერაკლეს აქ ყოფნის ამბების შესატყობად; განსაკუთრებით კი სურდა, გასცნობოდა იმ ტანჯვის [ამბავს], რაც, ამბობენ, პრომეთეს გარდახდა კავკასიონის მთაზე. კავკასიონიდან [გამომდინარე] მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. გარშემო მცხოვრებლები ნაკადში ხშირმატყლოვან ცხვრის ტყავებს დებენ და მათზე შეკავებულ ქვიშას აგროვებენ. სწორედ ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“ (§ 103)<sup>28</sup>.

არგონავტების მითზე საყურადღებო ცნობებია დაცული ხ. ა. რაქს პერგამონელის (II—III სს. ახ. წ.) თხზულების ფრაგმენტებში.

<sup>28</sup> შდრ. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია; გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1959.

ხარაქსის შესახებ გარკვეულად არაფერი ვიცით. სვიდა მას უწოდებს „ქურუმსა და ფილოსოფოსს“ — *X á ρ α ξ Περγαμῆος, ἐξείας αἰῶς φιλοσοφῶς*. სვიდას მოწმობით, ხარაქსს შეუთხზავს 40 წიგნის შემცველი „საბერძნეთის ისტორია“ („ჰელენიკა“), „ქრონიკა“ და სხვ.<sup>39</sup> არგონავტების თქმულებას ხარაქსი ეხებოდა „ჰელენიკაში“ და მას რეალური ამბის საფუძველზე ხსნიდა.

ბ. მითოგრაფია. ელინისტურ ხანაში ბერძნული რელიგიისა და კულტურის დაახლოებამ აღმოსავლეთის ქვეყნების რელიგიასა და კულტურასთან შეარყია ძველი ელინური წარმოდგენები და რწმენები ღმერთების კულტისა და მითების სფეროში. ამან ხელი შეუწყო მწერლობაში არეტალოგიის ჟანრის განვითარებას. ეს ჟანრი ემყარებოდა ფილოსოფოს-ათეისტის ევკემეროსის მიერ შემუშავებულ პრიციპებს, რომელთა არსებითი დებულება იყო მითების განმარტება ისტორიული თვალსაზრისით. ევკემერისტი მითოგრაფოსები არგონავტების მითს (ასევე სხვა მითებსაც) ისტორიულ საფუძველებს უძებნიდნენ.

ჩვენამდე მოღწეულია ევკემერისტული თხზულება, მითოგრაფიული ტრაქტატი სათაურით „დაუჯერებელთა შესახებ“ *Περὶ ἀπίστων*. ტრაქტატი, რომელიც მეტად დამახინჯებული სახით და ნაირნაირი ვარიანტებითაა შემონახული, წარმოადგენს მითებისა და განმარტებების კრებულს. იგი თავის დროზე გავრცელებული მითოგრაფიული სახელმძღვანელო იყო. მისი ავტორი. ისევე როგორც სხვა ევკემერისტები (დიონისიოს სკიტობრაქიონი, დიოდორე, მნასეა და სხვები), ცდილობს, ყოველი მითის, თქმულებისა და ლეგენდის ალეგორიულ-ისტორიული განმარტება მოგვეცეს, ზღაპარულ გადმოცემაში ჰემმარიტების (ἡ ἄληθεια) მარცვლები დაძებნოს. ყოველგვარ თქმულებას წინ საქმე უძღვისო (*πρῶτον ἐχέτω τὸ ἔργον, εἰμ' οὐτως ὁ λόγος ὁ περὶ ἀπίστων*)—, აცხადებს ავტორი კრებულის შესავალ ნაწილში. ამადონების შესახებ, მაგალითად, ამბობს, რომ ამადონები ნამდვილად არსებობდნენ, მაგრამ ლეგენდარული ქალები კი არ იყვნენ, როგორც მითებშია მოთხრობილი, არამედ ბარბაროსული ტომის წვერდაპარსული მეომარი ვაჟკაცები, რომლებიც გრძელ თმებსა და ქიტონებს ატარებდნენ. ქალთა საბრძოლო ლაშქრობა არც უწინ გავიწინა და არც ახლა. ის, რაც ახლა არ ხდება, არც უწინ მომხდარა, ხოლო რასაც წინათ ჰქონია ადგილი, ახლაც შეიძლება მოხდეს რალაცნაირადო<sup>40</sup>. ასეთივე შეხედულებებითაა ახსნილი არგონავტების მითის ამბებიც:

<sup>39</sup> იხ. Schwarz, Charax, 19: RE, III, 2122.

<sup>40</sup> Mythographi Graeci, III, 2 Palaephatous, Περὶ Ἀπίστων, ed. N. Festa. Lipsiae. 1902.

„ლინკევსზე“ (IX. 10), „ფინევსზე“ (XXII. 23), „ფრიქსესა და ჰელეს შესახებ“ (XXX, 31), „მელეას შესახებ“ (XLIII, 44).

სვიდას ლექსიკონის ცნობით კრებულის ავტორი უნდა ყოფილიყო არტაქსერქსეს (358—337) თანამედროვე მწერალი პალეფატე პაროსელი (თუ პრიენელი). პალეფატეს სახელით რამდენიმე მწერალია ცნობილი. კრებულის ავტორს ჩვენ პირობითად პალეფატე II ვუწოდებთ. კრისტის ვარაუდით იგი ძვ. წ. IV საუკუნის მოღვაწის, ზემოხსენებული ევპემეროსის თანამედროვეა<sup>41</sup>. შრადერის აზრით კრებული „დაუჯერებელთა შესახებ შეთხზულია არა უადრეს ძვ. წელთაღრიცხვის 295 წლისა“<sup>42</sup>, ზუზემილი კი პალეფატე II ცხოვრების დროს ძვ. წ. I საუკუნით განსაზღვრავს<sup>43</sup>. ყველაზე უფრო მისაღები კრისტის ვარაუდი ჩანს: იგი ემთხვევა სვიდას ცნობას. ყოველ შემთხვევაში დღეს ფიქრობენ, რომ მითოგრაფოსი, ფილოსოფოს-რაციონალისტი პალეფატე II ევპემეროსის თანამედროვე და არისტოტელეს მოწაფე იყო<sup>44</sup>.

ძვ. წ. III—II საუკუნეების მითოგრაფოსი ჩანს ნაკლებად ცნობილი ავტორი დემარატე, რომლის სახელიც ხშირადაა დამოწმებული სხვადასხვა ავტორებთან და უპირატესად აბ. როდოსელის პოემის სქოლიონებში. ერთ ადგილას (FGH. I, ფრგ. 3) დემარატეს ნაცვლად დასახელებულია დემაგეტე, რასაც იაკობი პალეოგრაფიული შეცდომით ხსნის (Αημαράτης—Αημαρήτης), ხოლო მიუღერი სწორ სახელად ტიმაგეტეს (Τιμαγήτης) მიიჩნევს (FHG, IV)<sup>45</sup>.

დემარატეს, როგორც ფიქრობენ, პროზად შეუთხზავს „არგონავტიკა“. ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ამ თხზულებაში მითი დაწვრილებით იყო გადმოცემული (FGH. I, ფრგ.: 1, 2, 3, 4).

დიონისიოს სკიტობრაქიონი (II—I საუკ). დიონისიოს სკიტობრაქიონს, ალექსანდრიული ხანის გრამატიკოსსა და მითოგრაფოსს. სვიდა მიაწერს 6 წიგნის შემცველი პროზული თხზულების „არგონავტების“ ავტორობას: „დიონისიოს მიტილენელი, ეპოსის მოთხველი; მეტსახელად შეერქვა სკიტობრაქიონი და სკიტევისი. [შეთხზა] „დიონისესა და ათენას ლაშქრობა“, „არგონავტები“ (Αργοναυται) ექვს წიგნად. ესაა პროზად (ταυτα εν βρω παρτα...)“<sup>46</sup>. ამასვე გადმოგვცემდა დიონისიოსის ეპოქაში მოღვაწე

<sup>41</sup> W. Christ, დასახ. ნაშრომი. გვ. 577 შმდგ.

<sup>42</sup> I. Schrader, Palaephata, Berl., 1896.

<sup>43</sup> Susemihl, დასახ. ნაშრ. ტ. II, გვ. 54 შმდგ.

<sup>44</sup> История греческой литературы, изд. АН, М. III. 1960, 403—404.

<sup>45</sup> Susemihl, დასახ. ნაშრ. I. 53.

<sup>46</sup> Suid., s. v.

დიოდორეც: „დიონისიოსს შეუკრებია ამბები არგონავტებისა და დიონისეს შესახებ და ბევრი სხვა რამ ძველისძველ დროებში მომადარ ამბავთა გარშემო“ (III, 52, 3)<sup>47</sup>. კვებით დიოდორე გვამცნობდა: „დიონისიოსი ძველი თქმულებების შემკრები. მან შეადგინა ამბები დიონისესა და ამიძონების შესახებ, აგრეთვე არგონავტებისა და ტროის ომის გარშემო და მრავალი სხვა; დაურთო თხზულებები ძველი მითოლოგიებისა და პოეტებისა“ (III, 66). დიოდორეს ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ დიონისიოსს ხელთ ჰქონდა როგორც სხვა მითების, ისე არგონავტების მითის შესახებ არსებული ძველი წერილობითი გადმოცემები.

დიონისიოს მიტილენელს, მეტსახელად სკიტობრაქიონს, ხშირად ურევენ ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის ლოგოგრაფოს დიონისიოს მილეტელში, რომელსაც სვიდასვე ცნობით „სამყაროს აღწერილობა“ შეუთხზავს. არ არის გამორიცხული, რომ არგონავტთა მითს ეს დიონისიოსიც ეხებოდა.

დიონისიოს სკიტობრაქიონის „არგონავტები“ ჩვენამდე არ მოღწეულა. მის შესახებ მსჯელობა გადარჩენილი ფრაგმენტებით ვფიქრობთ. ფრაგმენტები დაცულია აპოლონიოს როდოსელის პოემის სქოლიონებში (FGH, I). სწორედ ამ სქოლიონებშია აღრეული დიონისიოს მიტილენელისა და დიონისიოს მილეტელის სახელები.

დიონისიოს სკიტობრაქიონი დიოდორე სიცილიელის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. დიოდორე მთლიანად იზიარებდა დიონისიოსის ევჰემერიტულ მიმართულებას მითების განმარტების საქმეში.

ელნისტურ ბანაში საკმაოდ გავრცელდა ძველი მითების გადმოცემა ისტორიულ პლანში. ამას საფუძვლად ედებოდა მითის ალევგორიული განმარტების მეთოდი, ევჰემერიზმი. ამა თუ იმ თქმულების გმირები (მაგალითად, ჰერაკლე, იასონი, მედეა და სხ.) ევჰემერიტ-რაციონალისტის ხელში ჩვეულებრივ ადამიანებად იქცეოდნენ, მათ მოქმედებას რაციონალური ნიადაგი ეძებნებოდა. ხოლო მითის ზღაპრულ ელემენტებს რეალური შესაძლებლობის ჩარჩოებში ათავსებდნენ.

შემორჩენილი ფრაგმენტებიდან და დიონისიოსის დიოდორესეული გადმოცემიდან ამჟამად ჩანს, რომ „არგონავტების“ ავტორი ევჰემერიტი იყო და არგონავტების მითს რაციონალისტური პოზიციებიდან ხსნიდა.

დიოდორე სიცილიელი (I საუკ. ძვ. წ.). დიოდორე იულიუს კეისრისა და ავგუსტუსის თანამედროვე ისტორიკოსი და

<sup>47</sup> Diodori bibliotheca historica edd. Vogel-Fischer I—V. Lips. 1848—1906.

მითოგრაფოსია. მოუვლია, როგორც თვითონ ამბობს, აზისა და ევროპის დიდი ნაწილი; ყოფილა ეგვიპტეში. 30 წლის მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ შეუთხზავს 40 წიგნის შემცველი მსოფლიო ისტორია, რომელიც „ისტორიული ბიბლიოთეკის“ სახელითაა ცნობილი. თხზულება წარმოგიდგენდა აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორიას მითიური ხანებიდან იულიუს კეისრის მიერ გალიის დაპყრობამდე. მოღწეულია პირველი დეკადის ნახევარი (I—V წიგნები) და მეორე დეკადა მთლიანად (XI—XX წიგნები). დანარჩენი დეკადებიდან მეტნაკლები მოცულობის ნაწყვეტებილა შემოგვრჩა. „ისტორიული ბიბლიოთეკის“ I—III წიგნები აღმოსავლეთის ხალხების მითოლოგიასა და ისტორიას გადმოგვცემს. IV წიგნი ბერძნულ მითოლოგიას შეიცავს. თქმულება არგონავტების შესახებ გადმოცემულია IV წიგნის 40—56 თავებში. დიოდორე სიცილიელს, როგორც კომპილატორს, ხელთ ჰქონდა მრავალი წყარო. „ისტორიულ ბიბლიოთეკაში“ გამოყენებულია: ჰეკატე, ჰეროდოტე, ეფოროსი, ჰელანიკე, თეოპოპზე, ტიმესი, აგათარქიდე, ეგჰემეროსი, დიონისიოსი და სხვები.

მითების გადმოცემის დროს დიოდორე უპირატესად დიონისიოს სკიტობრაქიონს ემყარება და მის ეგჰემერისტულ მეთოდს იყენებს. თქმულება არგონავტებზე დიონისიოსის „არგონავტების“ მიხედვითაა გადმოცემული. შიგადაშიგ სხვა ავტორთა მიერ მოთხრობილი ვერსიებიც არის ჩართული. თხრობა გაბმულია და თავისებურ მითოლოგიურ რომანს წარმოადგენს. ცენტრალური ფიგურა, არგონავტების ხელმძღვანელი, დიოდორეს თხრობაში ჰერაკლეა და არა იასონი.

არგონავტების თქმულების გადმოცემის გარდა, დიოდორესთან შოიპოვება ფრიად საყურადღებო ცნობა პელასგური დამწერლობის შესახებ (III, 67) <sup>46</sup>.

აპოლოდორე (ძვ. წ. II ს). აპოლოდორე ათენელი ალექსანდრიული ხანის გამოჩენილი მითოგრაფოსი, ისტორიკოსი და ლექსიკოგრაფ-კომენტატორია. იგი იყო ზოწაფე არისტარქესი და სტოეელი ფილოსოფოსის დიოგენე სელეგკიელისა. აპოლოდორეს მრავალი თხზულების ავტორობა მიეწერება. მის უმთავრეს ნაწარმოებებად ითვლებოდა: ოთხი წიგნის შემცველი „ქრონიკა“, ტრაქტატები „ღმერთთა შესახებ“ (24 წიგნად) და „დედამიწის შესახებ“, 12 წიგნის შემცველი „ილიადის“ II სიმღერის კომენტარი

<sup>46</sup> ნ. კ ე კ ა ლ მ ა ძ ე, ჰომეროსის წინადროინდელი პოეზიის საკითხისათვის—1. დიოდორე სიცილიელი პელასგური დამწერლობის შესახებ. თსუ „შრომები“, ტ. 63, 1956; გვ. 278 შნდ.



„ხომალდთა შესახებ“ და სხვ. ეს თხზულებები ფრაგმენტებითაა ცნობილი.

აპოლოდორეს მიაწერდნენ აგრეთვე ჩვენამდე მოღწეულ, სამი წიგნის შემცველ „ბიბლიოთეკას“. დღეს გამოკვეულია, რომ ეს თხზულება შედგენილია ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში უცნობი ავტორის მიერ, მაგრამ პირობითად კვლავ აპოლოდორეს სახელით მოიხსენიებენ. ამ ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ „ბიბლიოთეკა“ შეიძლება ბიზანტიურ ხანაში იყოს შექმნილიო<sup>49</sup>.

„ბიბლიოთეკა“ სხვადასხვა წყაროებიდან გამოკრეფილი მითების კომენტირებულ კრებულს წარმოადგენს. I წიგნის მე-9 თავი ეთმობა არგონავტების მითს. აქ დაწვრილებითაა გადმოცემული მითის ყველა ნაწილი და შიგადაშიგ სხვადასხვა ვარიანტებიცაა დამოწმებული. ავტორი თხრობას იწყებს ახ ივი-თქმულებიდან ათამანტ-ინოსა და ფრიქსე-ჰელეს შესახებ და ამთავრებს კოლხეთში მედეას დაბრუნების ამბით (თავები: 1, 2, 10, 11 და 16—28). არგონავტების მითთან და კოლხურ სამყაროსთან დაკავშირებულ ამბები გადმოცემულია „ბიბლიოთეკის“ სხვა ადგილებშიც (I, 2 და 8; II, 6; III, 13 და 15 თავები).

კოლხეთის თვალსაზრისით საყურადღებო ცნობები დაკრულია აპოლოდორეს დაკარგულ თხზულებათა ნაწყვეტებში („ღმერთთა შესახებ“: III, 4; XX, 16, 24, 25, 26; „ხომალდთა ანუ ხომალდთა კატალოგის შესახებ“: I, 152).

იმ ნაწყვეტებში, რომლებიც აპოლოდორეს თხზულებიდან „ღმერთთა შესახებ“ გადარჩა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ავტორის მსჯელობა კვრებებზე. აპოლონიოს როდოსელისა და აპოლოდორეს ცნობები კვრებებთან დაკავშირებით ძველი ქართული დამწერლობის არსებობის მაუწყებელია.

„ბიბლიოთეკის“ ავტორს არგონავტთა მითის გადმოცემის დროს ხელთ ჰქონდა მრავალი ძველი და ახალი წყარო. ამას ადასტურებს მის მიერ სხვადასხვა მწერალთა დამოწმება, ან სახელდებით (ასახელებს: ჰესიოდეს, აქუსილაეს, ფერეკიდეს, ჰეროდორეს, აპოლონიოს როდოსელს, დემარატეს, დიონისიოსს), ანდა ზოგადად (ხმარობს გამოთქმებს: „ზოგიერთები ამბობენ“, „სხვებიც გადმოგვცემენ“, „ამბობენ“ და მისთანათ).

ვილამოვიცი ამტკიცებდა, „ბიბლიოთეკის“ ავტორმა დიოდორე სიცილიელის შრომა გამოიყენა არგონავტების მითის გადმოცემის

<sup>49</sup> История гр. лит., III, 1960, 405.

დროს ისევე, როგორც მერე რომელიმე ჰიგიენურმა<sup>50</sup>. „ბიბლიო-თეკის“ და დიოდორეს სათანადო ტექსტების შეჯერება ვილამო-ვიცის მტკიცებას ამართლებს (იქვე იწვევს მხოლოდ დიოდორეს დაუმოწმებლობა „ბიბლიოთეკაში“). აქედან ის გამომდინარეობს, რომ „ბიბლიოთეკის“ ავტორი დიოდორე სიცილიელის თანამედროვე თუ არა, მის მომდევნო ხანაში მცხოვრები პირია.

არგონავტების თქმულება არგონავტების სამშობლოში დაბრუნებამდე „ბიბლიოთეკაში“ უპირატესად მაინც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაზე“ დაყრდნობითაა მოთხრობილი. ავტორისეულ დამოწმებებში, როგორც ვთქვით, აპოლონიოს როდოსელი მოხსენიებულიცაა.

„ბიბლიოთეკაში“ მოთავსებული გადმოცემა არგონავტების თქმულებისა სხვა მხრივაცაა საყურადღებო. იგი საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ არგონავტთა მგზავრობის მარშრუტის ევოლუციას, რაც ინტერესს იწვევს ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, კერძოდ კი—შავი ზღვის აუზისა და მასთან მდებარე მხარეთა ისტორიის თვალსაზრისით.

კონონი. კონონი დიოდორე სიცილიელის თანამედროვე ავტორია (I საუკ. ძვ. წ.). მას მიეწერება თხზულება სათაურით „მოთხრობანი“ („დიეგესები“), რომელშიაც მოთავსებული იყო 50 მითოგრაფიული მოთხრობა. მოღწეულია კონსტანტინეპოლის პატრიარქის ფოტიოსის (ც. 820—891) ექსცერპტებით, რომელიც მოთავსებულია მის „ბიბლიოთეკაში“. ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ კონონი გადმოსცემდა არგონავტების თქმულებასაც (FGH, I, ფრგ. 1) თხზულების 41-ე და 49-ე თავებში.

ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის მითოგრაფოსს, იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138—161) აზატს, ანტონინუს ლიბერალს 150 წლის მახლობელ ხანებში შეუთხზავს მითების კრებული *Μεταμορφώσεων συγγραφή*—„მეტამორფოზების (გარდაქმნათა) კრებული“. არგონავტების თქმულებას ეხება კრებულის XXIII და XXVI თავები<sup>51</sup>.

კრებულის შედგენის დროს ავტორს ხელთ ჰქონდა სხვადასხვა წყაროები, რომელთაც იმოწმებს კიდევ. ანტონინუსი შემდეგ წყაროებს ასახელებს: ჰესიოდეს „დიდ ეოიებს“, დიდიმარქეს — „მეტამორფოზებს“, ანტიოგონეს „გარდაქმნებს“, აპოლონიოს როდოსელის ეპიგრამებს და პამფილეს თხზულებას.

<sup>50</sup> Herm. XV, 1880, 485, შენ. 2. იხ. აგრეთვე Susemihl, დასახ. ნაშრ. II, 50.

<sup>51</sup> Mythographi graeci, II, 1: Antoninus Liberalis ed. Ed. Martini, Lips., 1896.

ჩვენამდე მოღწეულია ახ. წ. II საუკუნეში შედგენილი ე. წ. ჰერაკლიტეს კრებული „დაუჯერებელთა შესახებ“, რომლის XXIV თავში გადმოცემულია თქმულება ფრიქსესა და ჰელეზე ევჰემერისტული პოზიციებიდან; ფრიქსეს დამხსნელი „კრიოსი“ (ვერძი) ათამანტის ბავშვების გამძლეია და არა ცხვარი. რაციონალისტურადაა ახსნილი ოქროს საწმისზე თქმულება ანონიმური ავტორის მითების კრებულშიც, კერძოდ III თავში „ოქროს საწმისის შესახებ“<sup>52</sup>. ანონიმური ავტორიც ახ. წ. II საუკუნის მოღვაწე და ხარაქს პერგამონელის წყარო უნდა იყოს.

მითოლოგიასა და მითების საფუძველზე აღმოცენებულ ხელოვნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ახ. წ. II—III საუკუნეთა მოღვაწეების ფილოსტრატების სახელი. ბერძნული მწერლობის ისტორიაში ცნობილია ოთხი ლემნოსელი ფილოსტრატე. ფილოსტრატე II (დაიბ. დაახ. 170 წ.) მიეწერება თხზულება „აპოლონ ტიანელის ცხოვრება“, რომელიც სავსეა არეტალოგიური მოტივებით და რომელშიაც მოთხრობილია კავკასიის ტომებში გავრცელებული თქმულება მთაზე მიჯაჭვული გმირის შესახებ. ფილოსტრატე III სეიდა მიაწერს თხზულებას „სურათები“ (Εἰκόνες) ორ წიგნად. ამ ფილოსტრატეს შვილიშვილს ფილოსტრატე IV (უმცროსს) დაუწერია შრომა ანალოგიური სათაურით („სურათები“). ორივე ფილოსტრატეს თხზულებებში, რომლებიც სამუზეუმო შეგზურებს წარმოადგენენ, აღწერილია და ხელოვნებათმცოდნის თვალთ განხილულია სხვადასხვა დროის მხატვართა ის სურათები, რომლებიც მაშინ ნეაპოლში ინახებოდა. სურათთა აღწერილობებში ჩვენს სურადლებას იპყრობს არგონავტების მითის მასალაზე შექმნილ ფერწერის ძეგლთა მიმოხილვა: ფილოსტრატე III, II, 15—„გლაუკოს პონტოელი“, ფილოსტრატე IV, 8—„მოთამაშენი“, 11—„არგო“ ანუ „აიეტი“<sup>53</sup>.

სატირიკული ჟანრის წარმომადგენელს ლუკიანე სამოსატელს არგონავტების მითზე შენიშვნა აქვს თხზულებაში „ტოქსარისი ანუ მეგობრობა“<sup>54</sup>.

ცალკეული ეპიზოდები არგონავტების მითიდან მოთავსებულია ანდაზების კრებულში. ანდაზების კრებულებს ჯერ კიდევ არისტოტელე, პერიპატეტიკოსი კლავარქე, სტოელი ქრისიპე და სხვები

<sup>52</sup> იქვე. III, 2. Heracliti qui fertur libellus *Περὶ ἀπίστων*. Excerpta Vaticana (vulgo Anonymus De incredibilibus). Lips., 1902.

<sup>53</sup> Philostratorum et Calistrati opera. recogn. Westermann. I par. 187S.

<sup>54</sup> Luciani opera ed. Jacobitz. I—III. Lip. 1909—1913.

ადგენდნენ. ახ. წ. II საუკუნეში აპ. როდოსელის სქოლიონთა ერთ-ერთ ავტორს ლუკილე ტარსელს და სოფისტ ძენობიოსს ცალ-ცალკე შეუდგენიათ ასეთი კრებულები. საშუალო საუკუნეებში მოღწეული კრებულები გააერთიანეს ერთ კორპუსად, რომელშიაც ანდაზები ცენტურიებად (ასეულებად) არის დალაგებული<sup>55</sup>. Cent. IV, 38 გადმოგვცემს თქმულებას ფრიქსესა და ჰელეზე, Cent. IV, 92 კი მოკლედ მოგვითხრობს მთელ მითს არგონავტებზე (ძენობიოსის გამონაკრეფი ანდაზების კრებულთაგან). წყაროდ აპ. როდოსელის „არგონავტიკა“ ჩანს. Cent. XI, 58-ში თქმულება ფრიქსესა და ოქროს საწმისზე ევჰემერიზმის პრინციპებზე დაყრდნობითაა განმარტებული. აქ ყურადღებას იპყრობს კოლხეთისა და ფრიგიის იდენტიფიკაცია.

გ. გეოგრაფია. თქმულებას არგონავტებზე ხშირად ეხებოდნენ ელინისტური ხანის გეოგრაფოსები. მეცნიერული გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის ფუძემდებელს ერატოსთენე კვირენელს (c. 284—200) თხზულებაში „გეოგრაფიკა“ დაწვრილებით უნდა ჰქონოდა გადმოცემული არგონავტების მითი. ეს ჩანს დატული ფრაგმენტებიდან<sup>56</sup>. ხომალდ „არგოს“ შესახებ ლაპარაკია ფსევდო-ერატოსთენეს სახელით ცნობილ „კატატერისმებში“<sup>57</sup>.

სტრაბონი (64|63 ძვ. წ.—23|24 ახ. წ.). სტრაბონის 17 წიგნის შემკველ „გეოგრაფიაში“ (Γεωγραφικα) ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა კავკასიისა და კასპიის ზღვის სანაპირო მხარეთა აღწერა. აქ წარმოდგენილია, როგორც ფიქრობენ, ავტოფსიის საფუძველზე მოპოვებული მრავალი ძვირფასი ცნობა საქართველოს, სომხეთის, ალბანიისა და ჩრდ. კავკასიის შესახებ<sup>58</sup>.

საქართველოს შესახებ ცნობათა შორის დიდი ადგილი ეთმობა არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის და პრომეთეს თქმულებებს. არგონავტების მითოსზე სტრაბონი მსჯელობს როგორც რეალური სინამდვილის ამსახველ თქმულებაზე და ეკამათება III—II საუკუნეების ბერძენ ისტორიკოსს დემეტრიოს სკეფსისელს. სტრაბონის ცნობით კოლხეთი იყო მდიდარი ქვეყანა, სადაც ყველაფერი მოიპოვებოდა ზღვაოსნობისათვის და, რაც მთავარია, მდიდარი იყო იგი ოქროს, ვერცხლისა და რკინის საბადოებით. თქმულებას ოქ-

<sup>55</sup> Corpus paroemiographorum graecorum. Ed. E. A. Leutsch et F. G. Schneidewin. 1—II, Gött. 1839—1851.

<sup>56</sup> Die geographischen Fragmente des Eratosthenes; von H. Berger. Leipzig, 1880.

<sup>57</sup> Mythographi graeci, III, 1. Lips., 1897.

<sup>58</sup> თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია“ (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ. 1957.

როს საწმისზე სტრაბონი ხსნის იმით, რომ კოლხეთის მდინარეებით ჩამოტანილ ოქროს ქვიშას ადგილობრივი მცხოვრებლები გრძელბეწვიანი ტყავებით აგროვებდნენ. ამ სიმდიდრისთვის ილაშქრეს თესალიელმა არგონავტებმა კოლხეთში: „როგორც ყველანი ამბობენ, პელიასის მოწყობილ მგზავრობას ფაზისში თავიდანვე ახლავს რალაც სარწმუნო; ასევე უკან დაბრუნება, ნაოსნობაში გზადაგზა კუნძულთა დაპყრობა და, ვფიცავ ზეესს, ეგზომ გახანგრძლივებული მოგზაურობაც [ნამდვილად იყო], ვით ოდისევსისა და მენელაოსისა, რასაც ჯერ კიდევ მიუთითებენ და რაც სარწმუნოდაა მიჩნეული ჯერ კიდევ ჰომეროსის სიტყვიდან გამომდინარე. ფაზისთან ხომ ნიუთითებენ ქალაქ აიას; ხოლო ის, რომ კოლხეთზე შეფობდა აიეტი, სარწმუნოდაა მიჩნეული. იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია. მოგვითხრობენ გრძელ მელდაზე. იქაური ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ საბაბით პირველი მგზავრობა ფრიქსემ მოაწყო. მოიპოვება ორივე ლაშქრობის ძეგლებიც: ფრიქსეას მიუთითებენ კოლხეთისა და იბერიის საზღვრებზე, ხოლო იასონისას—ბევრგან: არმენიის, მიდიისა და მათ მეზობლად ნდებარე ქვეყნების ადგილებში“ (I, 2, 39).

სტრაბონის აზრით, არგონავტების ლაშქრობამ გაულო ბერძნებს ევქსინის პონტოს კარი. სტრაბონი ხაზს უსვამს იმას, რომ ჰომეროსმა კარგად იცოდა იასონის კოლხეთში მგზავრობის ამბავი, ამ თქმულების მილეტური ვერსია—მილეტური ეპოსი, რომელიც „ოდისეის“ IX და X სიწგვრებს საფუძვლად დაედო.

მიფუთითებთ სტრაბონის „გეოგრაფიის“ იმ ადგილებს, რომლებშიაც არგონავტების თქმულება, მისი პერსონაჟები, ამ თქმულებასთან დაკავშირებული ამბები და ავტორისეული ინტერპრეტაციებია წარმოდგენილი: I წიგნი: 1, 10; 2, 10; 2, 36; 2, 38; 2, 39; 2, 40; 3, 2; 3, 15; 3, 21. II—5, 22. III—2, 12. V—1, 9; 2, 6; 3, 6. VI—1, 1. VII—5, 5; 6, 1; 45(46). VIII—3, 19; 6, 5; 6, 9. IX—1, 13; 2, 40; 2, 42; 5, 15; 5, 22. X—3, 19; XI—2, 12; 2, 17; 2, 18; 2, 19; 4, 8; 5, 5; 13, 10; 14, 12; 14, 13; 14, 14. XII—3, 10; 3, 11; 3, 17; 3, 20; 4, 3; 8, 11. XIV—2, 13. XV—1, 57; 1, 69.

ფლავიუს არიანე (95—175) თავის „პერიპლუსში“ (Περὶ Πελοπόννησου Πόντου—„მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“), რომელიც ძვირფასი წყაროა შავი ზღვის სანაპიროთა და აღმოსავლეთ სანაპიროების გეოგრაფიისა და ისტორიის თვალსაზრისით, არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. არიანეს როგორც მისი მსჯელობიდან ჩანს, არგონავტების კოლხეთში ლაშქრობა ნამდვილ ფაქტად მიაჩნდა. არიანე

მოხსენიებს გეოგრაფიულ პუნქტთა იმ სახელწოდებებს, რომლებიც არგონავტების თქმულებას უკავშირდებიან: ციხე-სინავრე, აფსაროსმა, რომელსაც თანამედროვე სარფთან აიგივებენ, არიანეს მიხედვით, სახელწოდება აფსირტესგან მიიღო: „ამბობენ, რომ აღგილი აფსაროსი (Ἀψαρδος) ძველად აფსირტედ (Ἀψιρτις) იწოდებოდა. აქ აფსირტე მედეას მიერ იქნა მოკლული და კიდევ აჩვენებენ [აქ] აფსირტეს საფლავს. შემდეგ ეს სახელი დამახინჯებულ იქნა მეზობელი ბარბაროსების მიერ, როგორც სხვა მრავალი დამახინჯებული...“ (§ 6); „პოლემონიონიდან ეგრეთ წოდებულ იასონის კონცხამდე ას ოცდაათი [სტადიონია] (§ 16); „სალმიდესიდან ფრიგიამდე სამას ოცდაათი სტადიონია. აქედან კიანეს კუნძულამდე სამას ოცი. ეს ის კიანეებია, რომლებიც, პოეტთა თქმით, ძველად მოხეტიალენი იყვნენ და პირველად მათ შორის გაიარა „არგომ“, რომელმაც იასონი კოლხებთან მიიყვანა“ (§ 25); -ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ღმერთ-ქალ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით კი ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტროპოლისში. აქ უჩვენებენ „არგოს“ ლუზას. იგი რკინისაა და არა მგონია, რომ ძველი იყოს; თუმცა სიდიდით არ ჰგავს ახლანდელ ლუზებს და მოყვანილობითაც ერთგვარად განსხვავდება, მაინც მომეჩვენა, რომ ახალი დროისა უნდა იყოს. [აქვე] გვიჩვენეს რაღაც ქვის ძველი ნაჭრები, რომლებიც უფრო მეტად შეიძლება მივიჩნიოთ „არგოს“ ლუზის ნაშთებად. რაიმე სხვა ძეგლი, იასონის გარშემო არსებულ მითებში მოხსენიებული, აქ არ იყო“ (§ 9)<sup>59</sup>.

პავსანიოა (II საუკ. ახ. წ.). პავსანიას სახელით ჩვენამდე მოღწეულია ავტოფსიის საფუძველზე დაწერილი 10 წიგნის შემცველი თხზულება „ელადის აღწერილობა“<sup>60</sup>. ნაშრომს ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათი აქვს, მაგრამ ავტორისათვის მთავარი ამოცანა საბერძნეთის ხელოვნების ძეგლთა აღწერაა. ავტოფსიის პარალელურად პავსანიო იყენებდა წერილობით წყაროებს. მათ შორის ისეთებსაც, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. „ელადის აღწერილობაში“ წარმოდგენილია არგონავტთა თქმულების სხვადასხვა ვარიანტები და ავტორის შეხედულებები არგონავტების მითზე.

<sup>59</sup> შტრ. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო; თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეკელიძისა, თბ. 1961. გვ. გვ.: 35, 39, 50 და 61.

<sup>60</sup> Pausanii Graeciae descriptio, ed. Spiro. I—III. Lip. 1903.

აქვე ვეცნობით იმას, თუ როგორ აისახა ეს შიტი ძველ ბერძნულ ხელოვნებაში (ფერწერასა და სკულპტურაში). „ელადის აღწერილობაში“ დაცული ცნობები „ნავპაქტიური ეპოსის“, კინეთონის და ევმელოსის პოემის „კორინთიკას“ შესახებ, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ არგონავტთა მითის უძველესი ვერსიების შესწავლის თვალსაზრისით.

არგონავტთა თქმულებას „ელადის აღწერილობის“ შემდეგი ადგილები ეხება:

- I. წიგნი: 18,1; 24,2; 24,6; 43,1.
- II. წიგნი: 3,6—11; 21,1.
- III. წიგნი: 19,7—8; 24,7.
- V. წიგნი: 11,6; 17,9—11.
- VII. წიგნი: 4,4; 26,14.
- VIII. წიგნი: 11,2.
- IX. წიგნი: 34,7—8.

დიონისიოს ბიზანტიელი (II—III საუკ.). სვიდას მოწმობით დიონისიოს მიეკუთვნება გეოგრაფიული თხზულებას „ბოსფორის ანაპლუსი“ *Ἀναπλους Βοσπόρου*<sup>61</sup>, რომელშიაც უხვადაა გამოყენებული ისტორიული და მითოლოგიური მასალა. დიონისიოს ბიზანტიელი მრავალი გეოგრაფიული პუნქტის სახელს არგონავტების მითს უკავშირებს (§ § 49, 51, 87, 88, 92, 95, 96)<sup>62</sup>.

ქართველი ტომებისა და არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებული გეოგრაფიული პუნქტების შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება II—III საუკუნეთა მოლვაწის დიონისიოს პერიეგეტის გეოგრაფიული ხასიათის პოემაში „დასახლებული სამყაროს აღწერილობა“ — *Περίήγησις ὀικισμάτων*<sup>63</sup>. აქ მოხსენიებულია: აფსირტეს კუნძულები, რომლებიც დაასახლეს აიეტის ასულის მღვეარმა კოლხებმა (ტ. 488), კირკეს ველზე მიმდინარე ფაზისი (692), აიეტის საელოვანი ასულის მღვეას შთამომავალი მიდიელები (1020). ნათქვამია, რომ მიდია მღვეარეობს კოლხეთის მახლობლად და რომ ამ მხარეს, სახელი მისცა მღვეამ, როცა გაწბილებული დაბრუნდა ათენიდან, სადაც საწამლავე მოუწადა პანდიონის მემკვიდრეს (ტ. 1021 შმდგ).

<sup>61</sup> *Dionysii Byzantii Anapulus Bosphori una cum scholiis X saeculi*, edidit et illustravit R. Güngerich, B. 1927. GGM II. FHG, V, 188.

— <sup>62</sup> ВДН. 19.8 № 2, 233—248.

<sup>63</sup> GGM, II.

დიონისიოსი ძვირფას ცნობებს გვაწვდის კოლხეთისა და მის მეზობლად მდებარე მხარეთა ტომების შესახებ. ეს ტომებია: მეოტები, სავროპატები, სინდები, კიმერიელები, კერკეტები, ტორეტები, ტრაადიდან გადმოსული აქეელები, პელასგური წარმომავლობის ჰენიოხები და ძივები; ტინდარიდების მიწის მახლობლად პონტოს ყურეში მოსახლე კოლხები, რომლებიც ოდესღაც ეგვიპტიდან მოვიდნენ და ახლა კავკასიონთან არიან; კასპიის ზღვისა და ევქსინის პონტოს შუა მდებარე ყელზე მცხოვრება იბერები, რომლებიც აქ პირენიიდან ჩამოსასლდნენ, ჰირკანელები, კამარიტები, კასპიის ზღვის ჩრდ. დას. სანაპიროზე მოსახლე სკვითები, უნები, კასპიები, მეომარი ალბანები, კადუსიელები. კოლხებისა და ფაზისის დასავლეთით, ევქსინის პონტოს სანაპიროზე არიან: ბიდერები, ბეჭირები, მაკრონები, ფილირები, მოსინები, ცხვრით მდიდარი ტიბარენები, რკინის მწარმოებელი, მკედელი ხალიბები. დიონისიოს პერიეგეტის გეოგრაფიულ თხზულებას თან ახლავს სქოლიონები და ევსტათი თესალონიკელის განმარტებანი.

### 3. ბიზანტიური პერიოდი

არგონავტების თქმულებას კარგად იცნობდა ბიზანტიური ხანის ბერძნული მწერლობა, როგორც პოეზია, ისე პროზა.

IV—VI საუკუნეების ლიტერატურაში ჯერ კიდევ მძლავრია ანტიკური საფუძვლები. პოეზიაში ხშირია ელინისტურ პერიოდში დამკვიდრებული თემებისა და მოტივების გადამღერება. ბიზანტიელი პოეტები კვლავ ამუშავებდნენ ეპიკურად ანტიკურ მითებსა და თქმულებებს.

§ 1. პოეზია. ნონოს პანოპოლიტმა (IV—V სს.) ძველი ეპოსის მიზაძვით შეთხზა 48 სიმღერის შემცველი პოემა „დიონისიაკა“, რომლის შინაარსი არის ფანტასტიკური თქმულება დიონისე ღმერთის ლაშქრობისა ინდოეთში ვენახის კულტურის გასავრცელებლად. პოემაში ავტორი მოიხსენიებს ფრიქსეს, ვინც ვერძზე ამხედრებული მივიდა კოლხთა მიწაზე და აიეტის მრავალტახტოვან დას კირკეს (X, 99—101; XII, 331)<sup>1</sup>.

საგანგებოდაა აღსანიშნავი პოეტ მარიანოსის მოღვაწეობა. სვიდას ლექსიკონის ცნობით მარიანოსი იყო რომაელი სასამართლოს მოხელის შვილი. ადრევე გადასახლდა რომიდან და ცხოვრობდა პალესტინის ელევთეროპოლისში, სადაც თავი გამოიჩინა

<sup>1</sup> Nonni Panopolitani Dionysiacorum libri ed. A. Ludwich, I—II. Lips. 1909—1911.



მეტაფრასტული საქმიანობით ანასტასი .I დროს (491—518). მან მიზნად დაისახა, საზოგადოებაში გავერცყლებინა ელინისტური ხანის სახელოვან პოეტთა ნაწარმოებები. ამისათვის მარიანოსმა გამოიყენა ბიზანტიური ლექსწყობისათვის შესაფერი საზომი—ამბიკური ტრიმეტრი. ამ საზომით გადაანღერა მან თეოკრიტეს ნაწარმოებები, კალიმაქეს — „ჰეკალე“, ჰიმნები, „მიზეზები“ და ეპიგრამები; არატეს თხზულება და ნიკანდრეს „თერიაკა“ და მრავალი სხვა. მარიანოსმა გააკეთა აპოლონიოს როდოსელის პოემის „არგონავტიკის“ მეტაფრასი 5.608 ამბიკური ტრიმეტრით.

§ 2. პროზა. უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე კლიმენტი ალექსანდრიელი (II—III სს). თხზულებაში „ფარდაგნი“ მოიპოვება ცნობები არგონავტების მითსა და მის პერსონაჟებზე. ავტორი აქ არგონავტების ლაშქრობის დროის შესახებაც მსჯელობს (Stromata, I, 16, 21).

III—IV საუკუნეების თეოლოგოსი მეტოდოს პატარელი თხზულებაში „ნადიმი ანუ უმანკობის შესახებ“ გვამცნობს სხვათა აზრს იმაზე, რომ ზოდიაქოში მოთავსებული ვერძი სწორედ ისაა, რომელმაც ათამანტის ასული ჰელე და ვაგი ფრიქსე სკვითებთან გადაიყვანა (თ. XIV).

ევსევი კესარიელი (260—340) საისტორიო შრომაში „ქრონიკა“ არგონავტების კოლხეთში გამგზავრების დროს განსაზღვრავს; ესაა ასირიელებზე პანინოსის გამგებლობის დრო.

არგონავტების თქმულებას თავიანთ შრომებში ეხებებიან: რიტორიკის წარმომადგენლები—ლიბანიოსი (314—393) და თემისტიოსი (c. 317—382), ფილოსოფოსი—სოფისტი ევნაპი სარდელი (c. 345—420), საეკლესიო ისტორიკოსი ერმიოასოზომენე (V საუკ.).

ბიზანტიური საისტორიო პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი პროკოპი კესარიელი (c. 490—?) არგონავტთა ლაშქრობას კოლხეთში რეალურ ამბად მიიჩნევს, მოიხსენიებს თქმულების პერსონაჟებს: აიეტს, აფსირტეს, იასონს, მედეას. პროკოპის გადმოცემით, ლაზიკაში—ძველ კოლხეთში რეონის (=რიონის) სანაპიროსთან იყო აიეტის ციხე-ქალაქი ქუთაისი (De bello Persico II, 17; De bello Gothico VIII, 2; 14)<sup>2</sup>.

აგათია სქოლასტიკოსი (536—582) ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის თხზულებაში „იუსტინიანეს მეფობის შესახებ“. მოიხსენიებს იასონს, ხომალდ „არგოს“, აფსირტეს სახელისაგან სახელდებულ ქალაქს—აფსარუნტს და ლაპარაკობს

<sup>2</sup> „გეორგია“, ტ. II.

კრახთა სახელმწიფოს ძველი ძლიერების შესახებ (II, 18; III, 5, 9, 14)<sup>3</sup>.

აიეტის სამეფო მოხსენიებულია მენანდრე პროტიქტორის (V საუკ.) „ისტორიაში“ (ფრგ. 3)<sup>4</sup>.

სტეფანე ბიზანტიელის (VI საუკ.) „ეთნიკაში“ არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებით რამდენიმე საყურადღებო განმარტება მოიპოვება. ამ მარივ მნიშვნელოვანია „ეთნიკის“ არტიკლები: აია, ამარანტები, არესის კუნძული, აფსილები, აფსირტიდები, დიოსკურია, კკტა, ტომევისი, ფაზისი, ფლანონი, მაკისტოსი, ფრიქსა-პოლისი<sup>5</sup>.

იოანე მალალა (V—VI სს-ი). იოანე მალალა ანტიოქიელი ქრონოგრაფოსია. ჩვენამდე თითქმის სრულადაა მოღწეული მისი საისტორიო თხზულება „ქრონოგრაფია“ ანუ „ქრონიკა“, სადაც სხვათა შორის, გადმოცემულია ამბები ჯადოქარი კირკეს, კირკეს დის—კალიფოსა და ოდისევის შესახებ. იოანეს თანახმად კირკე და კალიფო ატლანტის ასულებია და ორ კუნძულს განაგებენ.

კირკე კუნძულ აიაიას მფლობელია და ჰელიოსის ქურუმი. იგი თავს ჰელიოსის ასულად აცხადებს და კუნძულზე მოსულ უცხოელთ მომწესხავი წამლებით შეზავებულ საკმელ-სასმელს აწვდის. კირკეს ოდისევისგან უჩნდება ძე, რომელიც მერე მამას კლავს (FGH, I, Chron. v. p. 117, 17—119, 23; შდრ. „ოდისეა“, X, 135 შმდგ).

იოანე მალალა „ქრონიკის“ ამ ადგილის წყაროდ ასახელებს ორ პირს: 1. სისიფე კოსელს და 2. კრეტელ დიქტისს, რომელთა შესახებ გარკვევით არაფერია ცნობილი. დიქტისის შესახებ ანტიკური ტრადიცია ლეგენდარულ ცნობებს გვაწვდის: იგი თითქოს ტროის ომში ახლდა „ილიადის“ გმირს, კრეტის მეფეს, დევკალიონის ძეს—იდომენეესს. დიქტისს ვითომ მისგან ნაბრძანები ჰქონდა დლიურებში აღეწერა ომის მსვლელობა. დიქტისს „დლიურები“ („ეფემერიდები“) შეუდგენია ფინიკიურ ენაზე; საწერ მასალად პალმის ფოთლები გამოუყენებია. ეს დლიურები აღმოუჩენიათ იმპერატორ ნერონის დროს. სხვა გადმოცემით „დლიურების“ ავტორობა მიეწერება ვინმე პრაქსისს თუ ევრაქსისს, ნერონის თანამედროვე მწერალს. IV საუკუნეში ეს „ტროის ომის დლიურები“ ლათინურ ენაზე უთარგმნია სეპტიმიუსს. თხზულება XV საუკუნეში დაკარგულა. გამორკვეულია, რომ დიქტისი მოგონილი პირია და რომ „ტროის ომის დლიურები“ იმთავითვე ლათინურ

<sup>3</sup> „გეოგრაფია“, ტ. III, გვ. 26, 50—83.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>5</sup> „გეოგრაფია“, ტ. III, 279—289.

ენაზე შეთხზა ლუციუს სეპტიმიუსმა<sup>6</sup>. რაც შეეხება სისიფე კოსელს, ტრადიცია მას მიაკუთვნებს თხზულებას სათაურით „ტროიკა“.

„ქრონიკაში“ მოთხრობილია აგრეთვე ბებრიკების მეფე ამიკოსთან არგონავტების შერკინების ამბავიც (იხ. აპ. როდოსელი, „არგონავტიკა“ II, 1—136)<sup>7</sup>.

იოანე მალალას „ქრონიკაში“ დაცული ცნობები საქართველოს შესახებ შესულია ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკაში“ (ტ. III, 269—270: ფრანგონის—პერანგას“ ოქროს მადნები. ესაა ცნობა კოლხეთში ოქროს საბადოების შესახებ. შდრ. II ტ. 25—28 და 35—36 პრაქოპი კესარიელთან). იოანე მალალას გადმოცემა აიიას დედოფალ კირკეზე „გეორგიკაში“ არ შესულა.

იოანე ანტიოქელი (VII ს). იოანე ანტიოქელის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტებში დაცული შენიშვნების საფუძველზე ირკვევა, რომ იოანეს სამწერლო მოღვაწეობის ხანა პერაკლე კეისრის დროს (610—641) განეკუთვნება. იოანე ანტიოქელის ნაშრომი „ისტორია“ ანუ „არქეოლოგია“ ძუნწი ფრაგმენტებითაა მოღწეული. საქართველოს შესახებ ცნობები ამ ნაშრომიდან შეტანილია ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკაში“ (IV, ნაკ. I, 1—4). ერთ-ერთ ფრაგმენტში, რომელიც აქ არ არის წარმოდგენილი, იოანე ანტიოქელი ხარაქს პერგამონელზე დაყრდნობით, რაციონალისტური თვალთახედვით განმარტავს მითს ოქროს საწმისზე, რომ ეს იყო ტყავებზე ნაწერი წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივიღოთ ოქრო ქიმიის (ბ:ძ χρυμειν) შემწეობით (FHG, IV, 548). გარდა ამისა იოანე ანტიოქელი, ისევე როგორც იოანე მალალა, გადმოგვცემს არგონავტების შებმის ამბავს ბებრიკთა მეფე ამიკოსთან (ფრგ. 15). არგონავტთა თქმულების ეს ეპიზოდი, ჩანს, ხშირად მოიხსენიებოდა ბიზანტიელ მწერალთა თხზულებებში. ამ ეპიზოდს გადმოგვცემენ: ისტორიკოსი გიორგი კედრენე<sup>8</sup>, ნიკიფორე კალისტე<sup>9</sup> და ანონიმური ავტორი<sup>10</sup>.

იგივე ეპიზოდი გამოუყენებია ექვთიმე მთაწმიდელს (955—1028), რომელიც არგონავტების თქმულებას ბიზანტიური წყაროებით იცნობდა. ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია პატრიარქ

<sup>6</sup> H. Dunger, Dictys—Septimius; 1878.

<sup>7</sup> Ioannis Malalae Chronographia, rec. Dindorf. Bonn. 1831. IV, p. 78<sub>1</sub>—79<sub>9</sub>.

<sup>8</sup> Historiarum compendium, ed. Bekker. Bonnæ, 1838. p. 210<sub>17</sub>—20

<sup>9</sup> Historia ecclesiastica, bib. VII, 50; Migne, Patrologia Graeca, t. 145, col. 1828 c—1829 ABC.

<sup>10</sup> Cramer, Anecd. Paris. II, 194 შმდგ.

გერმანეს (715—730) თხზულება „თხრობაჲ სასწაულთათჳს მთა-  
 ვარანგელოზისა მიქაელისათა“. თხზულება ქართულ თარგმანში  
 ინტერპოლირებულია. ექვთიმეს მასში, ჩვეულებისამებრ, შეუტანია  
 ახალი ადგილები, ბიბლიური და ისტორიული ხასიათის ინტერ-  
 პოლაციები. ექვთიმეს ინტერპოლაციებში ჩვენს ყურადღებას იპყ-  
 რობს ქალკიდონის მახლობლად მდებარე სოსთენის (სუსთენის)  
 ტაძრის წარმოშობის ამბავი, სადაც გადმოცემულია არგონავტების  
 თქმულების ერთი ეპიზოდი—არგონავტების შერკინება ბებრიკების  
 მეფე ამიკოსთან ბიზანტიისა და ქალკიდონის მიდამოებთან მიდ-  
 გომის დროს. ექვთიმე გადმოგვცემს: „ჟამთა მათ პირველთა, უწი-  
 ნარეს განკაცებისა ქრისტეს ღპრთისა ჩუენისა, ერი მრავალთაგან  
 ნათესავთა შეკრებილი შეითქუა ფრიადი და შეამზადნეს ნავები  
 და ტყუენვიდეს ქვეყანათა მრავალთა და იზარდებოდეს ნატყუე-  
 ნავისა მისგან. ეწოდა მათ სახელი არლონაფტტი, რომელი გად-  
 მოითარგმანების „უქმნი მენავენი“<sup>11</sup>, რამეთუ არას იქმოდეს  
 სხუასა საქმესა, არამედ ტყუენვიდეს, და მისგან იყო საზრდელი  
 მათი. ხოლო ერთსა ჟამსა მოიწინეს ადგილსა მას იწროსა კერ-  
 ძოთა ბიზანტიისა<sup>12</sup> და ქალკიდონისათა და შეადგინეს ნავები მათი  
 ანაპლოს<sup>13</sup> ტყუენვად ადგილთა მათ. ხოლო იყო მაშინ სოფელ-  
 ქალაქთა მათ მეფე ვინმე, გმირთა მსგავსი, სახელით ამოკი. ამან  
 ამოკმან შეიკრიბა ერი ძლიერი ბრძოლად არლონაფტთა მათ. იხი-  
 ლეს მათ ერი იგი ურიცხჳ და შეეშინდეს ძლიერებისაგან კაცისა  
 მის. სივლტოლად სიმრავლისაგან ქართაჲსა ვერ ეძლო. და ულო-  
 ნობასა დიდსა მიეცნეს. და შეკრბეს ღელესა ერთსა სერტყოვანსა  
 მალნარსა და იგლოვდეს წარწყმედასა თჳსსა. მაშინ იხილეს მათ  
 ხილვაჲ საშინელი, რამეთუ ძლიერებაჲ საზარელი გარდამოქდა  
 ზეცით სახითა კაცისაჲთა და იყო ბრწყინვალე და დიდებული. და  
 მწართა მისთა ზედა ფრთენი ელვარენი. და ჰრქუა ერსა მას გან-  
 წირულსა: ნუ გეშინინ გმირისა მისგან, არამედ შებმა უყავთ და  
 მე ძლევაჲ მოგცე თქუენ! ესე რაჲ იხილეს მათ, განძლიერდეს და  
 ხვალისა დღე, ზედამოუქდა რაჲ ამოკი იგი ერთთა დიდითა და  
 ჯელითა ამპარტაენითა, წინააღუდგეს არლონაფტნი და ერეოდეს  
 მას და მოკლეს იგი და ჰმადლობდეს ძალსა მას, რომელი იხილეს.  
 ამისთჳსცა ადგილსა მას, რომელსა იხილეს დიდებული იგი მდგო-

<sup>11</sup> ექვთიმეს შედგენილი სიტყვის პირველი ნაწილი ესმის როგორც „უქმი“—  
*ძეგრძ* (← *ძეგრძ*), ხოლო მეორე, როგორც — „მენავე“ — *მანავე*.

<sup>12</sup> იგულისხმება ბიზანტიონი, მერმინდელი კონსტანტინეპოლი. არგონავტების  
 ბიზანტიონთან მისვლის ამბავს გადმოგვცემს დიოდორე (თ. 49).

<sup>13</sup> ნავსადგური ბოსფორზე.

მარე, ალაშენეს ტაძარი დიდი და ქმნეს ხატი სახესა მას ზედა, ვითარცა იხილეს, და აღმმართეს ტაძარსა მას შინა, და უწოდეს ადგილსა მას და ტაძარსა სუსთენი, რომელ გადმოითარგმნების „ძალი ცხორებისაჲ“, რამეთუ მუნ მიეცა მათ ძალი და განერნეს სიკუდილისაგან და ცხონდეს“<sup>14</sup>.

სვიდა. სვიდას სახელით ჩვენამდე მოღწეულია X საუკუნეში შედგენილი ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონი, რომელშიაც ძველბერძნულ სიტყვათა განმარტებების გარდა მოიპოვება სტატიები ანტიკური ხანის მოღვაწეთა, გეოგრაფიულ პუნქტთა, თქმულებათა და მისთ. შესასებ. ამ ვრცელი ლექსიკონის ავტორის (თუ ავტორების) ვინაობა ცნობილი არ არის. ლექსიკონში დაცულია ძვირფასი ცნობები კოლხეთისა და არგონავტების თქმულების შესახებ (ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლექსიკონის შემდგომი არტიკლები: აია, აიაია, აიეტი, აკამფსისი, არგონავტები, არგუსა, საწმისი, ეექსინი, ელენე, თურასი, იბერები და იბერია, კაბირები, „ქარტა“, კასპიის მთები და კასპიის კარები, კირკეონი, კირკე, კოლხეთი, კორიბანტები, კვტაია, კვტაიონი, კვტი, კიტორისი, ლემნოსური ბოროტება, ლეონატე, მედეა, მისსიანე, მოსსინები, „გაიძვერა“, პეტრაჲა, პიტინტი, პომპეუსი, სკები, სუბარმახი, ტრაპეზუნტი, „ფასი“ და ფაზისი, ფასიანები, ხალიბები, მახლიები)<sup>15</sup>.

---

<sup>14</sup> კ. კეკელიძე, ვტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, 237—268.

IV საუკუნის მოღვაწე გრიგოლ ნაზიანზელი პონტოში მოსახლე ხალხს მიიჩნევს ძველ საკვირველებათა (ძველი კოლხეთის, არგონავტების ამბავთა) მუქკვიდრედ. XI საუკუნის ქართველი ფილოლოგის ეფრემ მცირე გრიგოლის ამ მოსაზრებას ასეთ კომენტარს ურთავს: „შეისწავე, რამეთუ მამა დიდისა ბასილისი პონტოელი იყო. ამისთვის მისთა ჩამავთა მომთხრობელნი თანა-შუატყუნა საკრველებითა ძუშლთა ამთ აღწერელთა, ვითარ-იგი იყუნეს ქსენოფონ და პოლივიოს და სხუანი მრავალნი; და კჳალად სიტყვსმოქმედთაცა (ე. ი. პოეტების, ა. უ.), ვითარ-იგი აპოლონიოსი არლონავსტიკონი (აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, ა. უ.) და სხუათა არამცირედთა, რანეთუ ამათნი აღწერანი და სიტყვს-მოქმედებანი აღსავეს არიან პონტოელსა საკრველებათაგან“. იხ. ე. ხინთიბიძე, ბასილ დიდის სადაურობისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, 1962, გვ. 144. ეფრემ მცირის კომენტარების შესახებ იხ. აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, შესავალი, გვ. 23—24.

<sup>15</sup> სვიდას ცნობათა დიდი ნაწილი შეტანილია „გეოგრაფიკაში“, ტ. IV, ნაკვ. II, 1952, 313—324.

ოქროს საწმისის განმარტებაში სვიდას ლექსიკონი ხარაქს პერგამონელისა და იოანე ანტიოქელის რაციონალისტურ პოზიციებს ემყარება.

ევდოკია. ევდოკია ანუ მაკრემბოლიტიხე XI საუკუნის მოღვაწეა. იგი იყო კონსტანტინე X დუკას (1059—1067) მეუღლე. კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ ცოლად გაჰყვა რომანოს IV დიოგენესს. 1071 წელს ევდოკია მონაზვნად აღიკვეცა და ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას. გადმოგვცემენ, რომ ევდოკიამ მონასტერში შეადგინა კომპილატორული ნაშრომი სათაურით *Ἰωυδαί—„იონია“ (Violarium)*, რაც ქართულად ნიშნავს „იების კრებულს“. შრომა მოღწეულია XV საუკუნის ხელნაწერით. იგი წარმოადგენს თავისებურ ისტორიულ-მითოლოგიურ ლექსიკონს. მისი შედგენის დროს ავტორს გამოუყენებია მრავალი წყარო, როგორც ანტიკური, ისე მომდევნო, ბიზანტიური ხანისა. ევდოკიას მიერ გამოყენებულ წყაროთა შორის იყო ისეთებიც, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ევდოკიას გამოუყენებია: ჰომეროსი, ჰესიოდე, ბერძენი ლირიკოსები, ლოგოგრაფოსები, მითოგრაფოსები და სხვ. არგონავტების მითს ევდოკიას ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა. მითის ცალკეული ეპიზოდების გადმოცემა ემყარება სხვადასხვა წყაროებს (ჰომეროსი, ჰესიოდე, ეპიმენიდე, კონონი, აპოლონიოს როდოსელი, დიონისიოს სკიტობრაქიონი, აპოლოდორე, აპოლონიოსის სქოლიონები და სხვ.). „იონიის“ წყაროთა დიდი ნაწილი მიკვლეულია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებული წყაროს მიკვლევა ჭირს. ასე, მაგალითად, ძნელია ვთქვათ, თუ რომელი წყაროდანაა ამოღებული ცნობა ფრიქსეს ვაეების ალბანთა ომში მონაწილეობის შესახებ, ან ცნობა ალბანებისა და მეგრელების იდენტურობის თაობაზე.

ევდოკიას ავტორობაში ექვი შეიტანა ჰ. ფლახმა და „იონიის“ შემდგენლად კონსტანტინე პალიოკაპოსი აღიარა<sup>18</sup>.

არგონავტების თქმულების მისალა „იონიაში“ ასეა განლაგებული: 28. ათამანტზე; 37. აიეტზე; 45. ალკიმედზე, 197. არგოსის შესახებ; 198. „არგოს“ შესახებ; 214. აფსირტესათვის; 342. ჰელესა და ფრიქსესათვის; 439. რამდენნი და ვინ იყვნენ გმირი არგონავტები, ვისგან და საიდან წარმოიშვნენ; 478 ა. იასონისათვის; 478 ბ. იასონის გენეალოგია; 537. კირკესათვის; 543. ვერძისათვის; 647. მედეასათვის; 954. კვლავ ფრიქსესათვის.

<sup>18</sup> H. Flach, Die Kaiserin Eudokia. Tübing, 1876. ტექსტი: Eudociae Augustae Violarum. Recensuit et emendavit fontium testimonia subscripsit Ioannes Flach. Lips. 1880.

თქმულების ცალკეული ადგილების განმარტებების დროს „იონის“ ავტორიც ევქემერის ტულ-რაციონალისტური პოზიციებიდან ამოდის.

იოსებ გენესიოსი, X საუკუნის ისტორიკოსი, შრომაში „მეთობანი“ გადმოგვცემს არგონავტების თქმულებიდან იმას, რომ არმენიელებმა ეს სახელი მიიღეს თესალიის ქალაქის—არმენიოსის მკვიდრ არმენოსისაგან, რომელმაც კოლხეთში იასონთან ერთად ილაშქრა („გეორგია“, IV, ნაკვ. 2, 308).

გიორგი კედრენე, XI საუკუნის ისტორიკოსი, „ისტორიულ მიმოხილვაში“ მოგვითხრობს არგონავტების ლაშქრობისა და არგონავტებთან ერთად ჰერაკლეს კოლხეთში ყოფნის ამბავს („გეორგია“, V, გვ. 11—12).

## II. ლათინური წყაროები

რომაული მწერლობის წარმომადგენელი არგონავტთა თქმულების ან მისი ცალკეული ეპიზოდების დამუშავებისა და გადმოცემის დროს ბერძნულ წყაროებს, უპირატესად ელინისტური პერიოდის წყაროებს ეყრდნობოდნენ. არგონავტების თქმულებას ეხებოდა რომაული ლიტერატურის ყველა დარგი—დრამაც, ეპოსიც, ლირიკაც და პროზაული მწერლობაც. რომაელი პოეტები და მწერლები ჩვეულებრივ იმეორებენ იმას, რაც ჩვენთვის არგონავტთა თქმულების ბერძნული ვერსიებიდანაა ცნობილი. ლათინურ გადმოცემებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ჩვენთვის საინტერესო თქმულებასთან დაკავშირებული ფაბულების დამამუშავებელი ის ძეგლები, რომელთა ბერძნული წყაროები დაკარგულან და ცნობილი აღარაა.

§ 1 დრამა. როგორც ცნობილია, რომაული მწერლობა პირველ ხანებში ბერძნული ლიტერატურული ძეგლების გადმოთარგმნით და გადმოკეთებით კმაყოფილდებოდა. განსაკუთრებით ითქმის ეს რომაულ დრამაზე (ტრაგედიასა და კომედიაზე). რომაული დრამა ყველაზე უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდა არგონავტთა თქმულებიდან მედეას ამბავს როგორც პათეტიკურ მასალას. მედეაზე არსებული თქმულების დამუშავების დროს რომაელი დრამატურგები ჩვეულებრივ მიმართავდნენ ევრიპიდეს ტრაგედიას—„მედეას“ და მის თარგმანსა და გადმოკეთებას აწარმოებდნენ.

კვინტუს ენიუსმა (Quintus Ennius, 239—169), დრამატურგმა და ეპიკოსმა პოეტმა, ევრიპიდეს რამდენიმე ტრაგედია გადმოაკეთა ლათინურ ენაზე. მათ შორის „მედეაც“. ჩვენამდე მოღწეულია ენიუსის „მედეას“ დასაწყისი ტაეპები, რომელთაც *ძიძა*

წარმოსთქვამს. ფრაგმენტი დაცულია ანონიმური ავტორის თხზულებაში (Rhet. ad Her. II, 24, 34; იხ. Scaenicae Romanorum poesis fragmenta; ed. O. Ribbeck. vol. I. Tragicorum fragmenta. Lips. 1897. Remains of Old Latin. Vol. I, London, 1935).

ბერძნულ ორიგინალზე დაყრდნობით ოვიდიუსმა "შეთხზატრაგედია „მედეა“, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა კვინტილიანემ. ამ ტრაგედიიდან მხოლოდ ორი ფრაგმენტიღაა შემონახული<sup>1</sup>. ტრაგედიები სათაურით „მედეა“ შეთხზული ჰქონდათ ახ. წ. I საუკუნის პოეტ-დრამატურგებს ლუკანუსს, კურიაციუს მატერნუსს, ბასუსს. ამათი ტრაგედიებიდან აღარაფერი მოღწეულა. ციცერონს თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში „ღმერთთა ბუნებისათვის“ (De natura deorum, II, 35, 89) დამოწმებული აქვს მოზრდილი ნაწყვეტი ტრაგედიისა „მედეა“, რომელიც მიეწერება ლუციუს აკციუსს (L. Accius s. Attius, 170—94), ნაწყვეტში, რომელიც 17 ტაეპს შეიცავს, მწყემსი აღწერს არგონავტების საოცარი ხომალდის მოახლოებას.

არგონავტთა თქმულების საფუძველზე ტრაგედია „პელიასის ასულები“ (Peliades) შეუთხზავს ბუნდოვანი ვინაობის პოეტს გრაკუსს (O. Ribbeck, o. c. გვ. 266), ხოლო კომედია „ლემნოსელი ქალები“ (Lemniae) დაუწერია fabula palliata-ს ერთ-ერთ წარმომადგენელს—სექსტუს ტურპილიუსს (II საუკ. ძვ. წ. იხ. Ribbeck, o. c. II, გვ. 85 შმდგ.).

არგონავტების თქმულების საფუძველზე აგებული რომაული დრამებიდან ჩვენამდე სრულადაა მოღწეული მხოლოდ ერთი ტრაგედია „მედეა“, რომელიც ეკუთვნის სტოიკური მორალის მქადაგებელ პოეტს, ორატორსა და საზოგადო მოღვაწეს ლუციუს სენეკას (Lucius Annaeus Seneca, დაახ. 1—65 წ.). სენეკას „მედეას“ საფუძველად უდევს ევრიპიდეს ტრაგედიის სიუჟეტი, მაგრამ სენეკას ნაწარმოების საერთო ტონი და სახეთა გააზრება სხვაგვარია. ავტორი როგორც ფილოსოფოს-მორალისტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ვნებათა ტყვეობაში მოქცეული მედეას ბოროტმოქმედების საშინელებას. მისი მიზანია ტრაგედიაში გაატაროს სტოელთა მორალი, რომელიც აღამიანს ვნებების დაოკებას უმოძღვრებს. მედეას მონოლოგებში, სადაც არგონავტთა თქმულების შინაარსია გადმოცემული, კოლხურ გარემოსთან დაკავშირებულ ამბებს ვეცნობით.

არგონავტთა თქმულების პერსონაჟები და გეოგრაფიული პუნქტები დამოწმებულია სენეკას სახელით დაცულ სხვა ტრაგედიებ-

<sup>1</sup> M. Schanz, Geschichte der römischen Litteratur. II. 1., München, 1911. გვ. 339.



შიც. მოხსენიებულია: თერმოდონტი, კავკასია, პრომეთე, მოძრავე კლდეები—სიმბლეგადები („გაშმაგებული პერკულესი“), კოლხეთის ფაზისი („ფედრა“), ფრიქსე, ჰელე, ოქროს საწმისი („ოიდიპოსი“), ექსინის პონტო, უღვთო ქალწული—მედეა, თესალიური ხომალდი („გამემნონი“) <sup>2</sup>.

§ 2. ეპოსი. რომაული ეპოსი არგონავტიკის თქმულების გადმოსაცემად ჩვეულებრივ აპოლონიოს როდოსელის პოემას ეყრდნობოდა. როგორც რომაელი მწერლების ცნობებიდან ჩანს (Quint. 10, 1, 87; Ovid. Amor. 1, 15, 21 და სხვ.), ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის სატირიკოსსა და ეპიკოს პოეტს—პუბლიუს ტერენციუს ვარონს (P. Terentius Varro Atacinus) ოთხ წიგნად გადმოუკეთებია აპოლონიოსის პოემა. ლათინური თარგმანის სათაური იყო Argonautae ან Argonautica. ჩვენამდე მოღწეულია ოციოდე ნაწყვეტი (იხ. Reste in Varron. Satur. Menipp. ed. Riese, გვ. 261).

აპოლონიოსის „არგონავტიკამ“ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა რომაული ნაციონალური ეპოსის უდიდესი წარმომადგენლის ვერგილიუსის (70—19 ძვ. წ.) შემოქმედებაზე. ვერგილიუსის „ენეიდაში“ არის მთელი რიგი ისეთი ადგილებისა, რომლებიც „არგონავტიკიდან“ გადაღებული ჩანს. იასონ-მედეას ტრფობის მოტივის მიხედვითაა გადმოცემული ენეასისა და დიდონას რომანი, რაზეც ჯერ კიდევ V საუკუნის რომაელმა გრამატიკოსმა მაკრობიუსმა მიუთითა (Macrob. Sat. 5, 17, 4) <sup>3</sup>. ვერგილიუსის „ბუკოლიკებში“ მოხსენიებულია ხომალდი „არგო“, მისი მესაქე ტიფისი და რჩეული ვაჟკაცები (II, 140); გადაკვრით ლაპარაკია მედეაზე, ვინც შვილები დახოცა (VIII, 49). „გეორგიკაში“ მოიხსენიება ხალიბები (I, 58), ცეცხლის მფრქვეველი ხარები (II, 140), ფაზისი (IV, 367). არგონავტთა თქმულებისა და კოლხური გარემოს თვალსაზრისით საყურადღებო ცნობები დაცულია ვერგილიუსის თხზულებათა ძველ კომენტარიებსა და სკოლიონებში <sup>4</sup>.

გერმანიკუსმა (15 ძვ. წ.—19 ახ. წ.) ლათინურ ენაზე თარგმნა ბერძენი პოეტის არატოსის პოემა „ფენომენა“, სადაც ლაპარაკია ოქროს ვერძის თანავარსკვლავედის შესახებ. გერმანი-

<sup>2</sup> Senecae Tragoediae ed. Reiper—Richter, Lips. 1921.

<sup>3</sup> M. Schanz. o. c. გვ. 75—77. H. de la Ville de Mirmont, Apollonios de Rhodes et Vergile, Paris, 1894.

<sup>4</sup> Servii. Commentarii. Rec G. Thilo et H. Hagen. Vol. I—III, Lips. 1881—87; M. Valerii Probi commentarius, Halle, 1848 Scholia Bernensia ad Vergili Bucolica atque Georgica ed. Herm. Hagen. Lips. 1867.

კუსის თარგმანის სქოლიონებში გადმოცემულია თქმულება ოქროს ვერძისა და ფრიქსესა და ჰელეს შესახებ<sup>5</sup>.

კოლხეთში დაკული ოქროს საწმისის შესახებ ცნობები მოიპოვება ჩვენამდე მოღწეულ, 5 წიგნის შემცველ ასტრონომიულ პოემაში—„ასტრონომიკა“, რომელიც მიეწერება ვინმე პოეტს—მანლიუსს<sup>6</sup>.

პოეტი მარკუს ანეუს ლუკანუსი (M. Annaeus Lucanus, 39—65), რომელმაც არგონავტების თქმულებას ტრაგედია „მედეა“ მიუძღვნა, პოემაში „ფარსალია“ მოიხსენიებს ფაზისს, ჰენიოხებს, ოქროს საწმისის მფლობელ კოლხებს (II, 585—586), აიეტის ვაჟის სახელით წოდებულ ილირიის მდინარეს—აბსირტოსს, იოლკოსს, პაგასეს ხმელეთიდან წყალში ჩაშვებულ, ზღვის პირველად გადასერავე ხომალდ „არგოს“ (III, 190—195; VI, 400—401), თესალიის კოლხ სტუმარ ქალს—მედეას (VI—441). ლუკანუსი მხატვრულ შედარებებში (in comparationibus) არგონავტთა თქმულების ამბებს იმოწმებს. აქ მოიხსენიებს „არგოს“, რომელიც ფაზისისაჲენ მიისწრაფოდა და კიანეს მოძრავ კლდეთ—სიმპლეგადებს დაუსხლტა (II, 715—719), ფაზისის ველზე დათესილ დრაკონის კბილებსა და მედეას გრძნეულებას წამლების დამზადებაში (IV, 552—556), დანაშაულის ჩადენის გამო შეძრწუნებულსა და მახვილის მპყრობელ ბარბაროს კოლხ ასულს (X, 464—467). საყურადღებოა პოემის ამ ადგილთა განმარტებანი სქოლიონთა სახით (scholia Bernensia, scholia montepessulana, scholia varia)<sup>7</sup>.

ვალერიუს ფლაკუსი (C. Valerius Flaccus Setinus Balbus). ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნის მეორე ნახევრის ეპიკოსი პოეტის—ვალერიუს ფლაკუსის სახელით ჩვენამდე მოღწეულია 8 წიგნის შემცველი პოემა „არგონავტიკა“ (Argonauticon libri octo). პოემა დასრულებული არაა. ფიქრობენ, რომ პოემის დასრულებაში პოეტს ხელი შეუშალა ნაადრევმა სიკვდილმა. თხრობა წყდება აფსირტესა და მედეას საქმროს მიერ კოლხეთიდან გამოქცეული იასონისა და მედეას დევის დასაწყისი ეპიზოდების გადმოცემით. ვალერიუს ფლაკუსმა გავრცელებულსა და მრავალგზის დამუშავებულ სიუჟეტს ახალი სული შთაბერა. არგონავტების მითის საფუძველზე პოეტმა დაგვისურათა რომის მიმდინარე პო-

<sup>5</sup> Germanici Caesaris Aratea cum scholiis ed. A. Breysig. Berol. 1867.

<sup>6</sup> M. Manili Astronomica ed. Jacob. B. 1846.

<sup>7</sup> Lucani de bello civili libri X ed. Hosius, 1913. რუსული თარგმანი—Марк Анней Лукан. Фарсалия... пер. Л. Е. Остроумова. М. Л. 1951.

ლიტიკური ცხოვრება, მისი ცალკეული მხარეები და მიზნად დაი-  
სახა რომის სახელმწიფოს განდიდება, რაც ოფიციალური მიმარ-  
თულების პოეტთა საერთო ტენდენცია იყო. ძველ არგონავტებს  
პოეტი აღარებს ფლავიუსებს, რომლებმაც შორეული ქვეყნები  
ერთმანეთს დაუკავშირეს (I, 245, 498). ვალერიუს ფლავუსის  
პოემა ემაჟურება ვესპასიანე იმპერატორის (70—79) ექსპედიციას  
ბრიტანიაში და მისწრაფებას იმპერიის საზღვრების გაფართოე-  
ბისაკენ.

ვალერიუსს თავისი „არგონავტიკისათვის“ მრავალი წყარო აქვს  
გამოყენებული. ძირითადი წყაროებია: პეროდორე, პისანდრე,  
აპოლონიოს როდოსელი და დიოდორე სიცილიელი<sup>8</sup>, მაგრამ პოე-  
მაში ბევრი რამ სრულიად განსხვავებულად, თავისებურადაა წარ-  
მოდგენილი. განსაკუთრებით ჩანს ეს V—VIII წიგნებში, სადაც  
ავტორი ჩვენთვის უცნობ წყაროებს ეყრდნობა<sup>9</sup>. ზეელიგერის აზ-  
რით, კოლაეთში დატრიალებული ამბები პოეტის ფანტაზიის ნა-  
ყოფია<sup>10</sup>. ეს მოსაზრება მთლიანად არაა გასაზიარებელი: ვალე-  
რიუსს უთუოდ ჰქონდა ხელთ ისეთი წყარო, რაც ჩვენამდე არ  
მოდწეულა.

პოემა იწყება ეპიკური შესავალით: „ვუმღერი ღმერთების ნა-  
შიერთა მიერ პირველად გადასერილ ზღვებსა და წინასწარმეტყ-  
ველურ ხომალდს, რომელმაც გაჰბედა წარმართულიყო სკვითიის  
ფაზისის ნაპირებისაკენ (Scythici Phasidis oras), ხოლო შემდეგ  
ცეცხლოვან ოლიმპოზე დაესვენა“ (I, 1—4). პელიასი ავალებს  
იასონს ოქროს საწმისისათვის გაემგზავროს მრისხანე აიეტთან  
(ferus Aetes), რომელიც განაგებს სკვითიასა და ცივ ფაზისს  
(Scythiam Phasimque rigentem qui colit). აღწერილია ლაშქრო-  
ბისათვის მხადები და გაძგზავრება. II წიგნში დაწერილებითაა  
გადმოცემული ლენოსელ ქალთა მიერ მამაკაცების დაიოცვის  
ამბავი და არგონავტების შეჩერება კუნძულზე (II, 82—427). აქვეა  
აღწერილი არგონავტებისა და კინიკოსელების ბრძოლა. პოეტი  
დეტალურად აგვიწერს თქმულების ცნობილ ეპიზოდებს: ამიკოს-  
თან შერკინებას (IV, 99—343), ფინესთან შეხვედრას და მოხუცის  
დახსნას ჰარპიებისაგან (IV, 344—636). ფინესის მისნობისა და  
„არგოს“ შემდგომი მარშრუტის გადმოცემის დროს პოეტი აღექ-  
სანდრიული ხანის მწიგნობართა მსგავსად ჩერდება მითოლოგიურ

<sup>8</sup> Stender, o. c. გვ. 53—54.

<sup>9</sup> O. Gruppe, Griechische Mythologie und Religionsgeschichte, I, 1906, 83. 542.

<sup>10</sup> LM. I, 518.

და გეოგრაფიულ დეტალებზე. აღწერილია: ჰონტო (IV, 711—732), ამაძონების მხარე, სადაც მიედიწინიან ჰალისი, ირისი და თერმოდონტი (V, 120—126), შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ტომები—ხალიბები, ტიბარენები, მოსინები (Mossyni), მაკრონები, ბიძერები, ფილირები; მოხსენიებულია კავკასია და პრომეთე, რომელსაც ჰერკულესი (Alcides) ათავისუფლებს; დასახელებულია არმენიის გასწვრივ მოსახლე ყოველი ჰიბერი (omnis Armeniae praetentus Hiber); გადმოცემულია, თუ როგორ მიაღწევენ არგონავტები სანატრელ კოლხებს (optatos Colchos) და ვით შენავდებიან დიდ ფაზისში (magnus Phasis); აღწერილია კოლხთა დიდებული ტაძარი და გადმოცემულია ლეგენდა სესოსტრისის ლაშქრობისა და კოლხთა ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ (V, 140—428). პოეტი აგვიწერს ჰელიოსის ძის—აიეტის სამეფო სასახლესა და ოჯახს. დასახელებულია აიეტის მცირეწლოვანი ვაჟი აფსირტე (Absyrtus), აიეტის სასიძო აღბანელი სტირუსი (Styrus), ფრიქსეს ვაჟები—არგოსი, მელასი, ფრონტისი, კიტისორე.

VI წიგნი იწყება მუზისადმი მიმართვით. აიეტის წინააღმდეგ ამხედრებულია მისი ძმა პერსე, რომელსაც შველიან მეოტიდის მრავალრიცხოვან ტომთა წინამძღოლები. აქვე არიან მრავალფეროვანი იბერიიდან (discolor Hiberia) მოსული რაზმები. აქვეა გმირი კოასტე, რომელიც კვთეული ასულის, გრძნეული მედეას ხილვასაა მოწყურებული (ტ. ტ. 33—342). აიეტი არგონავტებს ოქროს საწმისის გადაცემას ჰპირდება, თუ ისინი პერსეს წინააღმდეგ ლაშქრობაში დაეხმარებიან. იასონი და მისი მეგობრები აიეტს შველიან, მაგრამ ოქროს საწმისს ნებით მაინც ვერ მიიღებენ. აიეტი იასონს ახალ დავალებას აძლევს: საჭიროა ცეცხლის მფრკვეველი ხარების დაუღვლა, მარსის (არესის) ველის მოხვნა, დრაკონის კბილთა დათესვა და მიწიდან აღმოცენებული გოლიათების დახოცვა. იასონის სახეს პოეტი ტრადიციული მითისაგან განსხვავებულად გვიხატავს; იასონი წარმოგვიდგება როგორც აქტიური პიროვნება. იგი აიეტს გულწრფელად ეხმარება და მამაცურად იბრძვის. იასონი მზადაა აიეტის ყველა დავალება შეასრულოს. პოეტი მიზიდველად აგვისახავს მედეას ტრფობას იასონისადმი, ქალწულის სულიერ ტანჯვას, მის წინაგან ბრძოლას მოვალეობისა და სიყვარულის გრძნობებთან; იასონისა და მედეას შეხვედრას ტაძარში. დაწვრილებითაა აღწერილი მედეას გრძნეული ხელოვნება წამალთმკეთებლობის საქმეში (VII, 349—370). იასონი მედეას დახმარებით ხელთ იგდებს ოქროს საწმისს და არგონავტები სამშობლოში დაბრუნებას იწყებენ. არგონავტ ერგინეს

რჩევით ხომალდს ისტროსში შეაცურებენ (VII, 185—191). კუნძულ პევეკეზე ხდება იასონისა და მედეას დაქორწინება<sup>11</sup>.

ვალერიუს ფლაკუსის მიერ მოწოდებული ცნობები კავკასიისა და მისი მოსახლე ტომების შესახებ ძვირფასი წყაროა შავი ზღვისპირეთის ისტორიისათვის.

ვალერიუს ფლაკუსის თანამედროვე პოეტი სტაციუსი (P. Papinius Statius) არგონავტების თქმულებას ეხება პოემაში „თებაიდა“. ამ პოემის V წიგნში გადმოცემულია ლემნოსის ეპიზოდი. მოხსენიებულია: სკვითური ჯადოსნური წამლებით მკურნავი კოლხი ასული მედეა (scythicis medicata venenis Colchis—IV, 505—6), სკვითიისკენ გამგზავრებული არგონავტები (V, 346—7), ფაზისი (V, 457—8; XII, 182), დიანა, ვინც კოლხ ქალებს ველურ მცენარეთა ძებნაში ეხმარება (XI, 733—35) და სხ. ყურადღებას იპყრობს პოემის ამ ადგილთა სქოლიონები. ჰილასის ეპიზოდს ვხვდებით სტაციუსის ლექსთა კრებულში, რომელსაც პოეტმა „ტყეები“ უწოდა<sup>12</sup>.

კლავდიუს კლავდიანუსი (დაახ. 375—404) პოეტურ თხზულებაში In Rufinum მოიხსენიებს კავკასიაში არსებულ მცენარეებს, რომელთაც წამლებისათვის აგროვებდნენ მედეა და კირკე (Medea ferox et callida Circe)<sup>13</sup>.

დრაკონციუსი (Blossius Aemilius Dracontius), V საუკუნის მეორე ნახევრის კართაგენელი პოეტი, რომელიც ძირითადად ქრისტიანულ თემებს ამუშავებდა, ავტორია წარმართული მითოლოგიიდან მოზიდულ სიუჟეტებზე დაწერილი ეპიკური და ლირიკული თხზულებებისა. არგონავტების თქმულება უდევს საფუძვლად დრაკონციუსის ეპიკური ხასიათის ნაწარმოებს „მედეას“, რომელიც დაქტილური ჰეგზამეტრიითაა გამართული და 601 ტაეპს შეიცავს. იგი თავისებურ კონტამინაციას წარმოადგენს: ავტორს ერთმანეთისათვის დაუკავშირებია სხვადასხვა გადმოცემები. დრაკონციუსის „მედეაში“ გაერთიანებულია თქმულება მედეაზე და თქმულება დიანას (არტემიდეს) ქურუმში ქალის ტავრიდელი იფიგენიას შესახებ. კოლხეთიდან ლტოლვილი მედეა და იასონი, ტრადიციული თქმულებისაგან განსხვავებით, ჩადიან თებეში და არა კორინთში. იასონის სასიძმარო კრეონტი თებეს გამგებელია და არა კო-

<sup>11</sup> C. Valeri Flacci Argonauticon libri octo. ed. O. Kramer, Lips. 1913.

<sup>12</sup> Statii Papinii opera ed. Klotz: Silv. I. 1911; Theb. II. 2. (1908. სქოლიონები იხ. SC. II, 1. Mat. nuc., 221—225.

<sup>13</sup> Claudii Claudiani carmina; rec. Th. Birt. Berol. 1892.

რინთოსი. „მედეას“ შესავალში ავტორი გვამცნობს, რომ მისი მიზანია, გადმოგვცეს მედეაზე თქმულების ის ნაწილი, რომელსაც ტრაგიკოსები ამუშავებენ და სცენაზე წარმოადგენენ ხოლმე. პოეტს მხედველობაში აქვს იასონ მედეას ტრაგიკული რომანი. აქვე ნათქვამია, რომ იასონმა ზღვა გადმოიარა ოქროს საწმისისათვის, რომელიც დრაკონის დარაჯობის წყალობით დიდხანს ინახებოდა მდიდარ კოლხებთან (*dives apud Colchos*, 1—35). ნაპირზე გადმოსულ იასონს სკვითები შეიპყრობენ და ხელებს გაუკრავენ. იასონის მეგობრები შიშით ზარდაცემულნი ხომალდით უკან ბრუნდებიან. იასონის მფარველი ღმერთქალი იუნო (პერა) სახოვს ღმერთქალ ვენუსს (აფროდიტეს), კუპიდონის (ეროსის) მეშვეობით იასონი შეაყვაროს მედეას. ვენუსი კუპიდონს ავალებს სიყვარულის ისრით დასჭრას მედეა, რათა კოლხმა ქალწულმა უშველოს იასონს, რომელიც შებორკილი მიიყვანეს აიეტის სასახლეში (*ad anlam Aetis*). დიანას ქურუმი მედეა უკვე მზადაა მსივერპლად შესწიროს. ღმერთქალს იასონი, მაგრამ კუპიდონის ისრით დაკოდული ასული უცხოელს შეიყვარებს და მსხვერპლად აღარ შესწირავს. მედეა იასონს წინადადებას აძლევს, დაქორწინდნენ. იასონი თანახმაა და ბახუსის ხელშეწყობით საქორწინო ზეიმს გადაიხდინა (36—289). ღმერთქალი დიანა შეწუხებულია, რადგან ქურუმი ქალი დაქარგა და ტაძარი დაუცალიერდა. როცა აიეტი ამ ამბავს შეიტყობს, შემფოთდება, მაგრამ მერე ბახუსის შეგონებით ქალიშვილსა და სიმეს შეურიგდება. გადის ოთხი წელი. იასონსა და მედეას ორი შვილი შეეძინათ. იასონი მხოლოდ ამის შემდეგ ამცნობს მედეას სკვითიაში (კოლხეთში) ჩამოსვლის მიზანს. მედეა მიდის მარსის ტაძართან ჭალაკში, აძინებს დრაკონს, იტაცებს ოქროს საწმისს და მეუღლეს აბარებს. მერე ძმას ჰკლავს და იასონთან და შვილებთან ერთად კოლხეთიდან გარბის (290—365). იასონი და მედეა ჩადიან თებეში და ოქროს საწმისს თებეს მეფეს — კრეონტს მიართმევენ. კრეონტი გახარებულია და მზადაა იასონს მიათხოვოს მშვენიერი ასული გლავკე და საქორწინო ზეიმს აწავსება. გაშმაგებული მედეა საჭირო განწყობის შემდეგ ვედრებით მიმართავს ღამისეული ზეცის სამსახოვან ღმერთქალს — მთვარეს, რათა დაეხმაროს შურისძიებაში და ჰპირდება ხუთი სულისაგან შემდგარ მსხვერპლს. ასეთივე ვედრებით მიმართავს იგი პლუტონს (ჰადესს) და შურისძიების ღმერთქალებს — ფურიებს (ერინიებს). დგება ქორწინების დღე. კრეონტის სასახლეში იკრიბებიან სტუმრები. ხელს აწერენ საქორწინო ხელშეკრულებას. განრისხებული მედეა ჯადოსნურ გვირგვინს წნავს და დიდებულ პაპას — მზეს (ჰელიოსს).

ვედრება, ამ გვირგვინს ცეცხლი წაუქიდოს პატარძლის—გლავეკს თავზე. მედღა გვირგვინს კრეონტის ასულს მიაართმევს. პატარძალი მას თავზე შემოიდგამს და მყისვე ცეცხლის აღში გაეხვევა. ცეცხლი მოედება მთელ სასახლეს. გლავეკსთან ერთად ილუპნეიან იასონი და მეფე კრეონტი (366—526). ამის შემდეგ მედღა ნზის (ჰელიოსის), მთვარის, პლუტონის, პროზერპინას (პერსეფონეს) და ფურიების მოხმობით ჰკლავს საკუთარ ვაჟებს—მერმეროსსა და თერეტეს და ჯადოსნური ეტლით თებედან გაფრინდება. დასკვნით ნაწილში პოეტი მიმართავს უბედურების განმასახიერებელ ღვთაებებს განმორდნენ ადამიანებს და დაზოგონ ქალაქი თებე<sup>14</sup>.

დრაკონციუსის მიერ გადმოცემული ამბავი მედღაზე არსებულ ჩვენთვის ცნობილ ყველა თქმულებისაგან განსხვავდება. უნდა ვიფიქროთ, რომ დრაკონციუსს ხელთ ჰქონდა სათანადო წყარო. არის მოსაზრება, რომ პოეტი ეყრდნობოდა თებეში გავრცელებულ თაბულას<sup>15</sup>. იესენის აზრი, თითქოს დრაკონციუსი მხოლოდ საკუთარ ფანტაზიას ეყრდნობოდა და ამიტომ მის გადმოცემას მითოლოგიის თვალსაზრისით არაფითარი ფასი არა აქვსო, უმართებულო ჩანს<sup>16</sup>.

§ 3. ლირიკა. არგონავტების თქმულების კვალი რომაულ ლირიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება. უწინარეს ყოვლისა აქ უნდა დავიმოწმოთ პოეტი კატულუსი (G. Valerius Catullus, დაახ. 87—54 ძვ. წ.), რომელიც მოიხსენიებს არგონავტ ვაჟაკებს, ვინც აიეტის სამფლობელოში გაემგზავრნენ ოქროს საწმისისათვის (LXIV, 1—7); აქვეა მოხსენიებული პრომეთე (294—297); ხოლო ერთ ლექსში, რომელიც კალიმაქეს „ბერენიკეს ნაწნავის“ თარგმანი ჩანს, დასახელებულია რკინის მომპოვებელი ხალიბები (carm. LXVI, 48—50)<sup>17</sup>.

რომაული ლირიკის უდიდესი წარმომადგენელი ჰორაციუსი (Q. Horatius Flaccus, 65—8 ძვ. წ.) არგონავტების თქმულებას დეტალებში იცნობს და ხშირადც მინართავს მას ლირიკულ ლექსებში, „ეპოდებსა“ და „წერილებში“. მოხსენიებულია: „კოლხური საწამლავები“ (od. II, 13, 8; ep. 17, 35), „კოლხური ცეცხლი“ და „შხამიანი მცენარეებით მდიდარი იბერია და იოლკოსი“ (ep. 5, 21—24), „მედღას შხამები“ (იქვე, 62), კოლხები (od. II, 20, 17;

<sup>14</sup> Dracontii Carmina minora, plurima edita, ex codice Neopolitano edidit Fridericus Duhn. Lipsiae 1873.

<sup>15</sup> Stender, o. c. გვ. 25, იხ. აგრეთვე, Gruppe, o. c. 540.

<sup>16</sup> RE, II, 749.

<sup>17</sup> Catulli Veronensis liber; rec. Merill; Lips. 1923.

IV, 4, 62), არგონავტები, მედეა, ვინც იასონს ჯადოსნური მალამო წასცხო (ep. 3, 9—12; 16, 57—58). მედეა მოხსენიებულია „პოეტიკაში“ (De arte poetica; ep. II, 3, 123, 185). ჰორაციუსის თხზულებათა სქოლიონებში, რომელთა შედგენა პომპონიუს პორფირონსა და ჰელენიუს აკრონს მიეწერებათ, გადმოცემულია არგონავტთა თქმულების მოკლე შინაარსი და საყურადღებო განმარტებები<sup>18</sup>.

ალბიუს ტიბულუსი (Albius Tibullus c. 51—19 ძვ. წ.), ელეგიებში იმოწმებს ჰეკატეს, კირკესა და მედეას შხამიან მცენარეებს (I, 2, 51; II, 4, 55). კირკე არის ჰელიოსის ნაშიერი, რომელსაც ძალუძს მცენარეებითა და გალობით ძველი სახე უცვალოს ყველაფერს—vel herbis... vel cantu veteres mutare figuras (IV, 1, 61—63)<sup>19</sup>.

პროპერციუსი (Sextus Propertius c. 49—15 ძვ. წ.) მოიხსენიებს პაგასეს ნავსადგურიდან ფაზისისაკენ გამგზავრებულ „არგოს“ და გადმოგვცემს ჰილასის ეპიზოდს (I, 20). რამდენჯერმე ასახელებს მედეას, ვინც იასონს საწმისი მოატაცებინა და სამშობლო მიატოვა (III, 14, 32; IV, 10)<sup>20</sup>.

ოვიდიუს ნაზონი (Publius Ovidius Naso, 43 ძვ. წ.—18 ახ. წ.). ოვიდიუსის თხზულებებსა და ამათთან დართულ სქოლიონებში მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული კოლხური გარემოს შესახებ<sup>21</sup>. ოვიდიუსი ხშირად მიმართავს თქმულებებს არგონავტებსა და პრომეთეზე. კავკასიაზე არსებული თქმულებებით დაინტერესება, გარდა იმისა, რომ ოვიდიუსი ჩვეულებრივ მითოლოგიურ სიუჟეტებს ამუშავებდა, ალბათ იმითაც აიხსნება, რომ პოეტი ოქტავიანე ავგუსტუსის ბრძანებით შავი ზღვის სანაპიროზე იყო გადასახლებული (დუნაის—ძველი ისტროსის—შესართავთან მდებარე ქალაქ ტომოსში—ახლანდელი კონსტანცა).

კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე ოვიდიუსმა ჯერ კიდევ აღრევე დაწერილ სატრფიალო ელეგიების კრებულში მოიხსენია (Amores—„ტრფობანი“, II, 16, 40). პრომეთე მოხსენიებულია სატირულ თხზულებაში—„იბისშიც“ (Ibis, 491—2). ოვიდიუსის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა არგონავტების ამბავი. მან შემოქმედების პირველ პერიოდშივე შეთხზა ტრაგედია „მედეა“ (იხ. ზემოთ).

<sup>18</sup> Q. Horati Flacci Carmina. Rec. L. Mueller. Lips. 1904. სქოლიონები იხ. S C, том. II. Латинские писатели; л. 32—37.

<sup>19</sup> Albi Tibulli libri quattuor, rec. L. Mueller. Lips. 1907.

<sup>20</sup> Propertii elegiarum libri IV, ed. Hosius; Lips. 1932.

<sup>21</sup> ნ. კეკელაძე. ოვიდიუს ნაზონი საქართველოს შესახებ. თსუ „წიგნები“, ტ. 69.



არგონავტთა თქმულების ცალკე ეპიზოდები პოეტმა მხატვრულად დაამუშავა ეპიკური ხასიათის თხზულებებში—„ჰეროიდებსა“ და „მეტამორფოზებში“ და ელეგიათა კრებულებში („წერილები პონტოდან“, „სევდიანი ლექსები“).

„ჰეროიდებში“ (Heroides)—გმირი ქალების მიერ სატროფებისადმი მიწერილ მხატვრულ წერილებში—ორი წერილი არგონავტების თქმულების საფუძველზეა შეთხზული: VI—ჰიფსიპილე იასონს და XII—მედეა იასონს. ამ ჰეროიდების წყაროდ ოვიდიუსმა აპოლონიოსის „არგონავტიკა“ და ევრიპიდეს „მედეა“ გამოიყენა<sup>22</sup>.

არგონავტების თქმულების პერსონაჟები და ხონალდი „არგო“ მოიხსენიება სხვა ჰეროიდებშიც (XVII—ელენე პარისს, 229—239; XVIII—ლენდრე ჰეროს, 143—144, 157—158). კრებულში „სიციყვარულის ხელოვნება“ დამოწმებულია ვარონ ატაციუსზე დაყრდნობით თქმულება ფრიქსესა და ჰელენე (Ars amatoria, III, 335). ეგვეე თქმულება გადმოცემულია ოვიდიუსის რომაულ პოეტურ კალენდარში—„ფასტები“ (Fasti, III, 849—876).

„მეტამორფოზებში“, სადაც პოეტი პოეტური ფორმით ბერძნულ-რომაულ მითოლოგიას გადმოგვცემს, მოთხრობილია თქმულება არგონავტებზე. თხრობა იწყება VI წიგნის ფინალური ტაქებიდან: ღმერთმა ბორეასმა მოიტაცა ერებთევსის ასული ორითია, ჩაიყვანა კიკონების მხარეში, დაუქავშირდა და ტყუპი ფრთოსანი ვაჟები—კალაისი და ძეტე წარმოშვა. როცა ტყუპები დაეაჯკაცდნენ, შეუერთდნენ მინიებს (არგონავტებს) და მბრწყინავი მატყლით გასხივოსნებული საწმისისათვის პირველი ხომალდით გაემართნენ უცნობ ზღვაში—*vellera cum Minyis nitido radiantia villo* [per mare non notum prima petiere carina (VI, 682—721). VII წიგნში პოეტი მოკლედ გადმოგვცემს მინიების (არგონავტების) მგზავრობას, ფინევსთან მისვლას, ბორეასის ძეთა მიერ საბრალო მოხუცის დახსნას მტაცებელი გოგო-ჩიტებისაგან (პარპიები-საგან) და ფაზისში შეღწევას. შემდეგ ვრცლად და წარმტაც მხატვრულ ფერებშია გადმოცემული მედეას გამოიჯნურებისა და მისი სულიერი ტანჯვის ამბავი. კუპიდონის ისრით განგმირული ასული ებრძვის სამშობლოს წინაშე მოვალეობისა და იასონისადმი მგზნებარე სიყვარულის გრძნობებს. ბოლოს პელასგი გმირის ტრფობა სძლევს და მედეა იასონს ხედება პერსეს ასულის—ჰეკატეს ძველ საკურთხეველებთან (ad antiquas aras). ფიცის დადების

<sup>22</sup> M. Schanz. o. c. გვ. 284, 285, და 288: ოვიდიუსს ხელთ ჰქონდა აპოლონიოსის „არგონავტიკის“ ვარონ ატაციუსული თარგმანი.

შემდეგ იასონი მედეასაგან მიიღებს ჯადო-ბალახებს (*cantatas herbas*). ამის წყალობით იგი აიეტის დავალებებს (ცეცხლის მფრქვეველი ხარების შებმას ადამანტის გუთანში, დრაკონის კბილების დათესვას და ხნულებიდან აღმოცენებული გოლიათების დახოცვას) წარმატებით ასრულებს. მერე აძინებს ოქროს ხის (*arboris aureae*) მცველ დრაკონს, ეუფლება ოქროს (*auro heros Aesonius potitur*) და მედეასთან ერთად იოლკოსში გაიტაცებს. აქ მედეა თავისი გრძნეულებით ახალგაზრდობას უბრუნებს იასონის მამას და ჰლუპავს პელიასს. ეფიროში (კორინთოში) ჩასული იასონი უღალატებს მედეას. მედეა შურს იძიებს: დასწევას ახალ პატარძალს, ცეცხლში გაახვევს სამეფო სახლს, ჰკლავს საკუთარ შვილებს და ათენში გარბის. ფინალურ ნაწილში მოთხრობილია ათენიდან მედეას ლტოლვის ამბავი (VII, 1—424).

ხომალდი „არგო“ და მოძრავი კლდეები—სიმბლეგადები მოხსენიებულია „მეტამორფოზების“ XV წიგნში (337—39).

„სევდიან ლექსებში“ (*Tristia*) ოვიდიუსი მოიხსენიებს შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ტომებს (II, 195—197), „არგოს“ და ფაზისს (II, 439—440), მედეას მიერ გატაცებული ძმის—აფსირტეს მკვლელობას და გეოგრაფიული სახელის—Tomis წარმოშობას (III, 9); მოხსენიებულია სინტელი მეომარი (IV, 1, 21).

„წერილები პონტოდან“ (*Epistulae ex Ponto*). პოეტი აქაც ასახელებს ჰემონიიდან (თესალიიდან) კოლხეთის წყლებში შემოსულ ხომალდს (I, 3, 75), იასონს და პელიასს, ტიფისსა და აგენორიდს—ფინევსს (I, 4, 23—46; III, 1, 1). მოხსენიებულია: სიყვარულის ისრით განგმირული ფაზისელი ასული (*Phasias puella*), შავი ზღვის ჩრდ. აღმ. სანაპიროზე მოსახლე ტომები—ჰენიოხები, აქეელები; მდინარეები, რომლებიც პონტოს ერთვიან—ლკუსი, საგარისი, პენიუსი, ჰიპანისი, კალესი, ჰალისი, პართენიუსი, კუნაპსესი, ტურასი, თერმოდონტი, ფაზისი—რომელსაც ბერძენი გმირები ეწვიენენ და სხ. (IV, 10).<sup>23</sup>

არკონავტების თქმულების ცალკე მომენტებსა და პერსონაჟებს ხშირად იმოწმებენ რომაული ლირიკის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ მარციალი და იუვენალი.

<sup>23</sup> Ovidii Nasonis Carmina, ed. Ehwald, I, Lips. 1916 (*Amor. Heroid*): III, 1—1922—Ehwald—Lenz (*Ars amat*, *Epist. ex Ponto*, Ibis); III, 2, 1932 (*Fast.*); II, 1931—Merkol—Ehwald (*Met.*) სქოლიონებისათვის იხ. SC, II, 1: *Lat. nuc.* 105—108.

მარციალის (M. Valerius Martialis, c. 40—104 ახ. წ.) ეპიგრამებში მოიხსენიება: პირველი ხომალდი „არგო“, რომელმაც დასძლია სკვითიის ზღვა და კიანეს კლდეები, შედეგად, იასონი, ჰილასი და სხ. (V, 48, 5; VI, 68, 8; VII, 15, 2; 19, 1—2; 50, 8; IX, 25, 7; 45, 1—4; 65, 14; X, 4, 2; XII, 53, 1—5; XIII, 72<sup>24</sup>).

იუვენალი (Decimus Iunius Iuvenalis, c. 60—140 ახ. წ.) თავის სატირებში რამდენიმე ადგილას იმოწმებს არგონავტების თქმულების დეტალებს. პოეტი იასონს უწოდებს ვაჭარს (mercator Iason, VI, 153), მოიხსენიებს მოძრავ კლდეებს — სიმპლეგადებს, რომელთაც დაუსხლტა ხომალდი „არგო“<sup>25</sup>.

არგონავტების თქმულებას ლექსებში იყენებდა V საუკუნის საეკლესიო მოღვაწე და პოეტი სიდონიუსი (C. Sollius Apollinaris Modestus Sidonius, c. 430—480 წწ.). იგი მოიხსენიებს კოლხ ასულს, პელასგურ ხომალდს (Carm. Paneg. V, 132—136 in comparatione), კოლხს, ვინც მცენარეებს იცნობს (ტ. 260), მეტყველი ხომალდით ფაზისში შემოსულ მინიებს, პელასგი გმირის (იასონის) შენეწე ასულს (Paneg. VII, 65—75, Epith. XXIII, 272—276)<sup>26</sup>.

§ 4. პროზა. არგონავტების თქმულებას ეხებოდნენ რომაელი ისტორიკოსები, მითოგრაფოსები და პროზის სხვა დარგების წარმომადგენლები.

მარკუს ტერენციუს ვარონი (M. Terrentius Varro, 116 - 27 ძვ. წ.), რომელი „პოლიპისტორი“, ალექსანდრიული ტიპის მეცნიერი-ენციკლოპედისტი, ტრაქტატში „სოფლის მეურნეობის შესახებ“ (De re rustica ანუ Rerum rusticarum libri tres) ამბობს: „ძველმა პოეტებმა სიძვირის გამო გამოგვეცეს, რომ თვით შინაურ ცხოველებს ოქროს ტყავი ჰქონდათ, როგორც კოლხეთში აიეტთან, რომლის ვერძის საწმისისაყენ, ამბობენ, გაემზავრნენ სამეფო მოდგმის არგონავტები...“ (II, 1, 6)<sup>27</sup>.

რომაული მკვერმეტყველების მეთაური ციციერონი (Marcus Tullius Cicero, 106—43 ძვ. წ.) არგონავტების თქმულებას ხშირად იყენებდა ხოლმე თავის ორატორულ და ფილოსოფიურ თხზულებებში. ტრაქტატში „ორატორისათვის“ მოხსენიებულია ევქსინის

<sup>24</sup> Martialis epigrammaton libri ed. Heraeus, Lips. 1925.

<sup>25</sup> Iuvenalis satirarum libri V ed. Hermann, Lips. 1926. სკოლიონებისათვის იხ. SC, II, 1. Lat. nuc. გვ. 255—56.

<sup>26</sup> C. Sollius Apollinaris Sidonius. Rec. P. Mohr. Lips. 1895. იხ. SC, II, 1, გვ. 418—426.

<sup>27</sup> M. T. Varronis Rerum rusticarum libri tres ed. Keil, Lips. 1889.

პონტოში შესული არგონავტების ხომალდი (De oratore, I, 38, 174). სიტყვაში De imperio Cn. Pompei ანუ Pro lege Manilia მითრიდატეს გაქცევას პონტოს სამეფოდან ციცერონი ადარებს მედეას ლტოლვას და აქვე გადმოგვცემს მედეას მიერ ძმის მოკვლისა და მისი სხეულის ასო-ასოდ დანაკუწების ამბავს (IX, 22)<sup>28</sup>. ტრაქტატში „ღმერთთა ბუნებისათვის“ (De natura deorum) ასახელებს არგონავტების ხომალდს, ოკეანეს ასულ პერსეისისა და ჰელიოსის (მზის) ნაშიერებს—კირკესა და პასიფაეს, რომი პაპისაგან—მზისა და ოკეანისაგან, მამა აიეტისა და დედა ილიასაგან წარმოშობილ მედეას, აფსირტეს (ეგიალეუსს) (II, 35, 89). მზე მრავალია; „მეხუთეა ის [მზე], რომელმაც, ამბობენ, კოლხებს აიეტი და კირკე წარმოუშვა“ (III, 21, 54). აქ ციცერონი კვლავ გადმოგვცემს აფსირტეს მკვლელობის ამბავს (III, 26, 67)<sup>29</sup>.

ტიტუს ლივიუსის თანამედროვე ისტორიკოსს—პომპეიუს ტროგუსს (I საუკ. ახ. წ.), როგორც ეს მარკუს იუნიანუს იუსტინუსის გადმოცემაშია დაცული, არგონავტების თქმულების საინტერესო დეტალი აქვს მოთხრობილი: ისტრების ტომი (Histororum gens) იმ კოლხთაგან წარმოიშვა, რომლებიც აიეტის ბრძანებით არგონავტებს დაედევნენ. არგონავტების მდევარი კოლხები პონტოდან ისტროსში შენავდნენ, გადაკვეთეს მდინარე სავა, არგონავტებივით მხრებით გადაიტანეს ხომალდი მათთა უღელტეხილებზე და აღრიატიკის სანაპიროზე, აქვილიაში (აწ. Aglar ზემო იტალიაში) დასახლდნენ. ისტრებად კი იწოდნენ მდინარე ისტროსისაგან, რომელშიაც ზღვიდან შემონადნენ (XXXII, 3, 13)<sup>30</sup>.

ყველაზე ვრცლად არგონავტების თქმულების სათანადო ნაწილები გადმოცემული აქვს რომელ მითოგრაფოსს—ჰიგინუსს (Hyginus), რომელსაც განასხვავებენ ცნობილი ბიბლიოთეკარისა და ფილოლოგოსის გაიუს იულიუს ჰიგინუსისაგან<sup>31</sup>. უცნობი ჰიგინუსის ორი თხზულებაა მოღწეული: „ასტრონომიისათვის“ (De Astronomia) და მითოლოგიური კრებული (Fabulae). წიგნში „ასტრონომიისათვის“ ავტორი გვპირდება, რომ ოქროს საწმისის ამბებს სხვაგან გვიამბობს (2, 20). დაპირება შესრულებულია მითოლოგიურ კრებულში, რომელიც სამ ნაწილს შეიცავს: 1. გენეალოგიები, 2. მითები და 3. ინდექსები. გამოყენებულია ბერძნული წყა-

<sup>28</sup> ამ ადგილის განმარტება-სქოლიონი იხ. SC, II, 1. 10.

<sup>29</sup> De natura deorum, ed. Plasberg, Lips. 1933.

<sup>30</sup> Instini epitome historiarum Philippicarum Pompei Trogi post Rühl, ed. Seel Lips. 1935.

<sup>31</sup> M. Schanz, o. c. გვ. 525—526.

როები (აპოლონიოს როდოსელი, სქოლიასტები და სხ.). მოთხრობილია შემდეგი ამბები: III. ფრიქსე, XII. პელიასი, XV. ლემნოსელი ქალები, XXI. ფრიქსეს ვაჟები, XXII. აიეტი, XXIII. აფსირტე, XXVI. მედეა, CCXLV. აიეტი-ფრიქსე<sup>22</sup>.

პომპონიუს მელა (Pomponius Mela, I, საუკ. ახ. წ.) გეოგრაფიულ ნარკვევში De Chorographia მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის ქართველი ტომების შესახებ და არგონავტების თქმულებასაც იმოწმებს. ფაზისში, პომპონიუს მელას გადმოცემით, არის ფრიქსეს ტაძარი და ქალაქი—ძველი თქმულებით ცნობილი (I, 7, 106); ჰენიოხების ქვეყანაში კასტორმა და პოლუქსმა (პოლიდევეკემ), რომლებიც იასონთან ერთად ეწვივნენ პონტოსს, დაარსეს დიოსკორიასი (Dioscorias, I, 7, 111)<sup>23</sup>.

პლინიუს უფროსის (C. Plinius Secundus, 23—79) ენციკლოპედიურ შრომაში Historia naturalis დამოწმებულია არგონავტების თქმულების ცალკე მომენტები, პერსონაჟები. აქ ლაპარაკია ნაფთზე (naphtha), რომლითაც მედეამ თავისი მეტოქე დასწვა (II, 109); მოხსენიებულია: ხომალდი „არგო“ (III, 22), არგონავტების მდევარ კოლხთაგან დაარსებული კოლონია პოლა (Pietas Julia) ისტრიაში (III, 23), ოლკინიუმი ანუ კოლხინიუმი—დალნაციაში და ორიკუმი—ილირიის სანაპიროზე (III, 26). საყურადღებოა პლინიუსის მიხედვით ფაზისზე არსებული ქალაქის კირკეუმის (Circaeum), ეას (Aea) და კრეტის ქალაქის—კჯტეუმის (Cytaeum) სახელწოდებები (VI, 4 და IV, 20). პლინიუსის გადმოცემით კოლხეთში მეფობდა აიეტის შთამომავალი სავლაკე (Saulaces), რომელმაც მრავალი ოქრო და ვერცხლი მოიპოვა სვანთა ტომში (in Suanorum gente) და საერთოდ თავის ოქროს საწმილებით სახელგანთქმულ სამეფოში (velleribus aureis incluto regno, XXXIII, 52)<sup>24</sup>.

რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი (Publius Cornelius Tacitus, c. 55—117) „ანალებში“ (Annales) საყურადღებო ცნობას გვაწვდის: „[იბერები და ალბანები] ამბობენ, რომ თესალიელები—საგან არიან წარმოშობილნი მაშინ, როცა იასონი, მედეას წაყვანისა და მისგან შვილების დაჩენის შემდეგ, დაბრუნდა აიეტის დაცარიელებულ სასახლეში და უპატრონოდ დაშთენილ კოლებ-

<sup>22</sup> Hygini fabulae, ed. Schmidt; Lips. 1872 (ed. Terzaghi, 1934).

<sup>23</sup> Melae Pomponi De Chorographia libri III, ed. Frick, Lips. 1880.

<sup>24</sup> Caii Plinii Secundi Historiae Naturalis libri XXXVII. I—V. Lips. 1820.

თან. მართლაც, ბევრი რამაა [იქ] დამამოწმებელი მისი სახელისა და ფრიქსუს მისნობის თაობაზე; არაფერ არ სწირავს მსხვერპლად ვერძს, რადგან სწავთ, რომ ფრიქსე მოიყვანა [ვერომა], რომელიც ან ცხოველი იყო, ანდა—ხომალდის საპქაული — ნიშანი“ (VI, 34, 3-5)<sup>25</sup>.

ლუციუს ამპელიუსის (Lucius Ampelius, III, საუკ. ახ. წ) სახელით მოღწეულ ენციკლოპედიურ თხზულებაში — „სამახსოვრო წიგნი“ (Liber memorialis)<sup>26</sup> კოლხეთის ფაზისი მსოფლიოში ყველაზე უფრო ცნობილ მდინარეთა შორისაა მოხსენიებული (VI, 8), იქვე ნათქვამია, რომ ებირის არგოსში არის დიდი, ორმაგ სვეტებიანი ხიდი, რომლის აგებაც მედეას უბრძანებია. ხიდზე მოხატული იყო არგონავტების საქეები (VIII, 3). ამპელიუსი ამბობს, რომ იყო ხუთი მზე—ჰელიოსი (Soles); მეხუთე იყო კოლხუსის ძე, ვისგანაც წარმოიშვნენ: კირკე, მედეა, ფაეთონტი (IX, 3).

საყურადღებო ცნობებია დაცული პლინიუს უფროსის თხზულების მიხედვით შედგენილ კომპილიატორულ ნაშრომში „Polyhistor“ (Collectanea rerum memorabilium; rec. Th. Mommsen. Berol. 1895. იხ. Sc, II, 2, 273—286), რომელიც მიეწერება სოლინუსს (C. Iulius Solinus, III, საუკ. ახ. წ.). აქ გადმოცემულია გაიუს ცელიუსის სიტყვები, რომ „აიეტს ჰყავდა სამი ასული: ანგიტია, მედეა, კირკე... მედეა იასონის მიერ დაკრძალულ იქმნა ბუთროტუმში (ქალაქი ებირის სანაპიროზე, კერკირას პირდაპირ მდებარე; აკ. უ.), ხოლო მისი ძე მბრძანებლობდა მარსებზე“ (2, 28). სოლინუსი, ტაციტუსის მსგავსად, გადმოგვცემს, რომ ზღვის სანაპიროზე მოსახლე ალბანები (Albani) თავის თავს იასონის შთამომავლებად თვლიან (15, 1 (4)). კოლხთა ქალაქი დიოსკურია დააარსეს კასტორისა და პოლუქსის მეეტლეებმა—ამფიტუსმა და კერკიუსმა, რომელთაგან წარმოიშვა ჰენიოხების ტომი [15, 13 (17); შდრ. სტრაბონი, XI, 2, 12; პლინიუსი, VI, 15].

გრამატიკოსი ცენზორინუსი (Censorinus, III საუკ.) წიგნში De die natali არგონავტების თქმულებიდან იმომწმებს ამბავს იასონის მიერ კოლხეთში დათესილი დრაკონის კბილების შესახებ (IV, 12)<sup>27</sup>.

ამიანე მარცელინე (Ammianus Marcellinus), IV საუკუნის ანტიოქელი ბერძენი ისტორიკოსი, ავტორი იყო 31 წიგნის

<sup>25</sup> Taciti libri qui supersunt, ed. Halm—Andresen—Köstermann, I, Lips. 1934.

<sup>26</sup> SC, II, 1, Lat. n. 260—261.

<sup>27</sup> SC, II, 2, Lat. n. 287.

შემცველი რომის ისტორიისა (Res gestae). მოღწეულია XIV—XXXI წიგნები, რომლებშიაც მრავალი საყურადღებო ცნობა მოიპოვება საქართველოს შესახებ<sup>38</sup>. ამიანე მოიხსენიებს ოქროს საწყმისის მომტაცებელი არგონავტების მისიანს—აფრიკის სანაპიროზე ანაზდეულად დაღუპულ მობსუსს (= მოპსოსი) და მის საჩუბლო ქალაქს კილიკიაში მობსუსესტიას (XIV, 8, 3). ამიანეს შრომაში ნათქვამია, რომ სანაპირო ტომების—ბიზარების (= ბიძერები), საპირების, ტიბარენების, მოსინიკების, მაქრონებისა და ფილირების მახლობლად დაკრძალულნი არიან ანადონებთან ომში სასიკვდილოდ დაჭრილი სთენელოსი (ჰერაკლეს ამხანაგი), არგონავტების მისიანი იდმონი და „არგოს“ მესაქე ტიფისი (XXII, 8, 22); დიოსკურია (კოლხთა ქალაქი) დაარსებულია არგონავტთა ლაშქრობაში მონაწილე ზევსის ვაჟების, კასტორისა და პოლუქსის (= პოლიდეკე) მეეტლეების, სპარტელი ამფიტუსისა და კერკიუსის (თუ ტელიფუსის) მიერ, რომელთაგანაც წარმოიშვა ჰენიოხთა მოდგმა (XXII, 8, 24).

ლუციუს სეპტიმიუსს (Lucius Septimius, IV საუკ.), როგორც ეს იოანე მალალასთან აღვნიშნეთ, მიეწერება დაკარგული ბერძნული ორიგინალის მიხედვით დაწერილი „ტროის ომის დღიურების“ ავტორობა<sup>39</sup>. ამ თხზულებაში ენეასი ამბობს, რომ მედნა იოლკოსთა მხარეში კოლხებმა გადაიყვანეს (a Colchis in Joleorum fines transvecta, II, 26)<sup>40</sup>.

ჩვენამდე მოღწეულია თხზულება სათაურით „ტროის დამხობის ისტორია“—De excidio Troiae historia, რომელიც თითქოს წარმოგვიდგენდა ტროის ომის მონაწილის, ვინმე დარეს ფრიგიელის (Dares Phrygius) ბერძნული წიგნის თარგმანს. ელიანე ამბობს, ვითომც დარესის წიგნი ორიგინალში ენახოს (Ael. Var. hist. 11, 2). ლათინურ ენაზე გადმომკეთებელი თავს კორნელიუს ნებოტად ასაღებს. გამორკვეულია, რომ დარესის წიგნი სინამდვილეში არ არსებობდა და „ტროის დამხობის ისტორია“ ლათინურ ენაზე დაიწერა ბერძნული წყაროების მიხედვით შუა საუკუნეებში უცნობი ავტორის მიერ. ამ თხზულებაში მოკლედ გადმოცემულია არგონავტების თქმულება (I, II, XV და XVII თავები). ტრადიციული გადმოცემისაგან განსხვავებით აქ ლაპარაკია არგონავტების ფრიგიაში (ტროაში) ლაომედონტთან მისვლის შესახებ.

<sup>38</sup> ალ. გამყრელიძე და ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, ტ. I, თბ. 1961, 33-38, 75-165.

<sup>39</sup> M. Schanz, o. c. IV, 1, 77 შმდგ.

<sup>40</sup> Dictys Cretensis Ephemeridos belli Troiani libri VI, rec. F. Meister. Lips. 1872; SC, II, 2 Max. nnc. 388.

ჩვენი აზრით, ავტორი ეყრდნობოდა აპოლონიოსის „არგონავტიკას“. დიოდორე სიცილიელის ვერსიას და სხვა წყაროებს. აღსანიშნავია, რომ ამ თხზულებაში პელიასი თესალიის (იოლკოსის) გამგებელი კი არაა, არამედ პელოპონესის მეფეა<sup>41</sup>.

არგონავტების თქმულება ძველ წყაროებზე დაყრდნობით დაწერილებითაა გადმოცემული შუა საუკუნეებში შედგენილ კრებულში *Mythographi Vaticani*: I, 23—27, 49, 93, 133, 136, 188, 199; II, 86, 134—138, 140—142, 192, 199; III, 3, 10, 11<sup>42</sup>.

---

<sup>41</sup> Daretis Phrygii de excidio Troiae historia. Rec. Ferd. Meister. Lips. 1873. SC II, 2, Jar. nax. 443—4. D u n g e r, die Sage vom trojanischen Kriege in den Bearb. d. Mittel-alters. 1869.

<sup>42</sup> *Scriptores rerum mythicarum latini tres*, ed. Bode, Cellis, 1834.



პენასგები და კონსერვაციონიზმი

§ 1. საერთო მიმოხილვა. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაწყებულმა ძველი ბერძნული კულტურის საწყისთა საკითხების ინტენსიურმა კვლევა-ძიებამ, რომელიც დღემდე გრძელდება, წინა-ბერძნული მოსახლეობის პრობლემა წარმოშვა. ამ პრობლემის მრავალი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია, ბევრი რამ დაზუსტებას მოითხოვს და გადამწყვეტი სიტყვის თქმაც მომავლის საქმეა. ის, რაც ამ მხრივ გაკეთებულა, უპირატესად პიპოთეტურ დებულებებს ემყარება; მაგრამ ერთი რამ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მიერ დადგენილ ფაქტადაა მიჩნეული. სახელდობრ ის, რომ ბერძნები ეგეოსის ზღვის რაიონში მოსულ ხალხს წარმოადგენდნენ. ელინურ ტომებს, სანამ ისინი ისტორიულ ადგილსამყოფელზე დამკვიდრდებოდნენ, წინ უძღოდათ ხანგრძლივი მოგზაურობის პერიოდი ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთისაკენ. ბერძნული მოსახლეობა აქ შეიქმნა ინდოევროპელ ტომთა თანდათანობითი შემოჭრის შედეგად. ამ დროისათვის წინა აზიასა და სამხრეთ ევროპაში ძირგამდგარი იყო ის დიდი და მრავალსაუკუნოვანი კულტურა, რომელიც, ერთ მხრივ, ხეთურ-სუბარული, ხოლო, მეორე მხრივ, კრეტა-მიკენის ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, მედიტერანული (resp. ეგეოსის) კულტურის სახელითაა ცნობილი.

ელინთა ტომები რომ ეგეოსის ზღვის რაიონის ავტოხთონები არ ყოფილან, ამას თვით ბერძნული ტრადიციაც აღიარებს. ძველი ბერძენი მწერლები, პომეროსით მოკიდებული, ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ ამ რაიონის უძველესი მოსახლეობა არაელინური იყო, რომ ამ მოსახლეობას შეადგენდნენ აღმოსავლური წარმომავლობის ტომები: პელასგები, ლელეგები, დრიოპები და სხვა ეგრეთ წოდებული „ბარბაროსული“ (ე. ი. არაელინური) ტომები. ამ ტრადიციის მიხედვით, წინაბერძნული მოსახლეობის შემადგენელ ტომთა ძირითადი სამკვიდრებელი იყო: თესალია, პელოპონესი, კუნძული კრეტა სახელგანთქმული ქალაქით—ენოსოსით, ეგეოსის ზღვის კუნძულები, მცირე აზია. ამ მხარეთა შორეული წარსულის რემი-

ნისცენციებით დატვირთულია ძველი ბერძნული მითები, თქმულე-  
ბები, ეპოსი. ისტორიული ძეგლები. წინაბერძნულ და მის მეზობელ  
წინაიტალიურ მოსახლეობათა შემადგენელ ტომებში სიდიდით და  
მატერიალური და სულიერი კულტურის მაღალი დონით გამოირ-  
ჩეოდნენ პელასგურ-ტირენული ტომები: პელასგები და ეტ-  
რუსკები. ბერძნულ ტრადიციაში განსაკუთრებული ადგილი აქვთ  
მიჩენილი პელასგთა სამკვიდრებელ მხარეთაგან კრეტასა და თესა-  
ლიას. კუნძული კრეტა წინაბერძნული კულტურის უდიდესი ცენტ-  
რი აღმოჩნდა. პომეროსის მოწმობით, კრეტის უძველესი (არაელი-  
ნური) მოსახლეობა ეტეოკრეტელებისაგან შედგებოდა. „ეტეოკრე-  
ტელნი“ (Ἐτεοκρητες) ჰემმარიტ, ნამდილ, ძირეულ (ἐξεδε) კრე-  
ტელებს აღნიშნავს. „ოდისეაში“ კრეტა შემდეგნაირადაა აღწერილი:  
„კუნძული არის კრეტა ღვინისფერი ზღვის შუაგულში, მშვენიერი,  
ნაყოფიერი, ყოველი მხრით წყლით შემოსაზღვრული, ხალხმრავალი.  
[ტომები] ცხოვრობენ ოთხმოცდაათ დიდ ქალაქში. იქ სხვადასხვა  
ენა ისმის; იხილავ იქ აქაელებს, პირველტომური მოდგმის მეომარ  
კრეტელებს. იქ ბინადრობენ კილონიელები, თმახუქუქა დორიელები,  
პელასგთა ტომი, რომელიც ქალაქ კნოსოსში ცხოვრობს“<sup>1</sup>.

პომეროსის შემდეგდროინდელ მწერალთა (ჰეკატე მილეტელის,  
ჰელანიკე ლესბოსელის, ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, სტრაბონისა და  
სხვების) თხზულებებში მრავალგზის ვხვდებით მითითებებს იმის  
შესახებ, რომ უძველესი საბერძნეთის მკვიდრნი „ბარბაროსები“  
იყვნენ და არა ელინები. ბერძენ ლოგოგრაფოსთა უფროსი თაობის  
წარმომადგენელი, ჰეკატე მილეტელი (VI საუკ. ძვ. წელთაღ-  
რიცხვით), რომლის სახელითაც ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე  
ცნობა ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანების შესახებ, უძვე-  
ლესი საბერძნეთის აბორიგენულ მოსახლეობად „ბარბაროსებს“  
(პელასგებს) მიიჩნევს. ჰეკატეს ეს მითითება შემოგვინახა სტრაბონმა:

Ἐκκαταῖος μὲν οὖν ὁ Μελήσιος ჰეკატე მილეტელი პელოპონე-  
περὶ τῆς Πελοποννήσου φησὶν, სის შესახებ ამბობს, რომ ელი-  
δῶντι πρὸ τῶν Ἑλληνῶν ἄκρησιν ნებზე უწინ მასზე მოსახლეობდ-  
αὐτῶν βάρβαροι. ნენ ბარბაროსები.

თავის მხრივ სტრაბონი დასძენს:

σχεδὸν δὲ τι καὶ ἡ σύμψαφα მართლაც, მთელი ელადა ბარ-  
Ἑλλὰς κατοικία βαρβάρων ἡπείρῃς ბაროსთა სამკვიდრებელი იყო  
τὸ παλαιόν...<sup>2</sup> ძველად...

<sup>1</sup> „ოდისეა.“ XIX, 172—177.

<sup>2</sup> სტრაბონი, VII, 7, 1.

ლოგოგრაფოსი ჰელანიკე ლესბოსელი ანუ მიტილენელი (V საუკ. ძვ. წ.) თხზულებაში „ფორონიდი,“ რომელშიაც არგოსის ისტორია იყო გადმოცემული, საბერძნეთის მკვიდრ მოსახლეობად თვლიდა პელასგებს, რომლებიც ელინებმა აქედან გააძევეს. აელასგთა ნაწილი ტირსენიაში (resp. იტალიაში) გადაიხვეწა და ტირენების სახელი მიიღო:

‘Ελλάνικος δὲ ὁ Λέσβιος τοῦς  
 Τυρρηγούς φησι Πελασγούς πρώ-  
 τερὸν καλοῦμένους, ἐπειδὴ κατῶ-  
 κησαν ἐν Ἰταλίᾳ, παραλαβῆεν ἦν  
 νῦν ἔχουσι προσηγορίαν.

...ἐπὶ τούτου (sc. Νάνου) βρα-  
 σιλέωντος οἱ Πελασγοὶ ἢπ’ Ἐλ-  
 λήνων ἀνέστησαν, καὶ ἐπὶ Σπινθη-  
 ρι ποταμῷ ἐν τῷ Ἴονίῳ ἀκόπως τὰς  
 νῆας καταλιπόντες Κρότωνα πό-  
 λιν ἐν μεσογείῳ εἰλον, καὶ ἐν-  
 τεσθεν δρῶντες τὴν νῦν καλε-  
 ομένην Τυρρηνίην ἔκτισαν.<sup>3</sup>

ჰელანიკე ლესბოსელი ამბობს, რომ უწინ პელასგებად წოდებულმა ტირენებმა ის სახელი, რომელიც ახლა აქვთ, მიიღეს მას შემდეგ, რაც იტალიაში დასახლდნენ.

...[ნანას] მეფობის დროს ელინების მიერ პელასგები განდევნილ იქნენ; მაშინ მდინარე სპინეტთან, იონიის უბეში, მათ დატოვეს ხომალდები და აიღეს ქვეყნის შუაგულში ქალაქი კროტონი; მერე აქედან დაიძრნენ და დაასახლეს ახლა ეგრეთ წოდებული ტირსენია.

ჰეროდოტეს ჩვენებით პელასგები „ბარბაროსულ“ (არა-ელინურ ენაზე ლაპარაკობდნენ და თესალიასა და ჰელესპონტის შხარეებში ცხოვრობდნენ: „რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ პელასგები, არ შემოიძლია, დაბეჯითებით ვთქვა: ხოლო თუ შესაძლებელია მიხვედრა იმ პელასგების მიხედვით, რომლებიც ეხლაც არიან და ცხოვრობენ ტირსენის ზემოთ ქალაქ კრესტონში (? კროტონში) და რომლებიც ოდესღაც ემეზობლებოდნენ ეხლა დორიელებად წოდებულებს (მათ ეკუთვნოდათ ის მიწა, რომელიც ეხლა თესალიოტად იწოდება), [და თუ შეიძლება მიხედვით] იმ პელასგების მიხედვით, რომლებიც ჰელესპონტში ცხოვრობდნენ, პლაკიაა და სკილაკეში და რომლებიც ათენელებთან იჯენენ მკვიდროდ დაკავშირებული და ასევე სხვა პელასგური დასახლებული პუნქტების მიხედვით, რომლებმაც სახელები გამოიცვალეს,—თუ ამის მიხედვით შეიძლება მიხვედრა, მაშინ პელასგები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ ენაზე.“<sup>4</sup>

<sup>3</sup> F. Jacoby, FGH, I, 108, fr. 4. s. L. Pearson, Early Ionian Historians, Oxford, 1929.

<sup>4</sup> თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, 62.

ეგეოსის რაიონის ავტობიონებად ასახელებს პელასგებს ჰეროდოტე სხვა ადგილასაც<sup>5</sup>. ამასვე ადასტურებს ისტორიკოსი თუკიდიდე<sup>6</sup>. ამავე აზრისა არიან მოგვიანო ხანის ბერძენი და რომაელი მწერლები. გეოგრაფოსი სტრაბონი, როგორც ზემოთ დამოწმებული ცნობიდან ჩანს, უძველესი ხანებისათვის მთელ ელადას „ბარბაროსთა“ სამკვიდრებლად თვლიდა. სხვაგან სტრაბონი შენიშნავს:

οἱ δὲ Πελασγοὶ τῶν περὶ τὴν Ἀμφιλοχίαν ἐλάδος ἐπιπέλαγον ἔχοντες ἄλλοι δὲ ὄντας ἀνατολικῶν ἀρχαίων τῶν ἐλαδίων ἄριστοι λέγονται.<sup>7</sup>

„ბარბაროსებში“ (βάρβαροι) სტრაბონი გულისხმობს პელასგებს, დრიოპებს, ლელიეგებს, თრაკიელებს და სხვა წინაბერძნული მოსახლეობის ტომებს.

გეოგრაფიული ლექსიკონის ავტორს სტეფანე ბიზანტიელს „ეთნიკაში“ დამოწმებული ჰყავს ნიკოლოზ დამასკელი, რომლის დასაყრდენი, ცხადია, უძველესი გადმოცემები იქნებოდა. ნიკოლოზ დამასკელის მოწმობით, მერმინდელი ელადის სხვადასხვა მხარეთა აბორიგენები პელასგები იყვნენ:

Ἀρχαῖα ..... ἐκάλειτο δὲ Πελασγία, ἄς Νιχόλαος ε<sup>8</sup>.

Σκῆρος ἡγεῖται, περὶ ἧς Νιχόλαος ἐν ε<sup>9</sup> „Σκῆρον δὲ τὸ μὲν παλαιὸν ἦρουν Πελασγοὶ τε καὶ Κἄρες“.

არკადია იწოდებოდა პელასგიად, როგორც [ამბობს] ნიკოლოზი მეხუთე [წიგნში].

სკიროსი — კუნძული, რომლის შესახებაც ნიკოლოზი მეხუთე [წიგნში ამბობს]: „სკიროსზე ძველად მოსახლეობდნენ პელასგები და კარიელები.“

პელასგები ხშირად მოიხსენებიან, როგორც ძირეული მოსახლენი ატიკის, არგოლიდისა და არკადიისა (Herod., I, 57; 146; II, 171; IV, 145, 2; VI, 137, 1; Thuc., II, 17; Eur., fr., 228; Paus., VIII, 1, 4 და სხ.).

ცნობები პელასგებზე მრავალ წყაროშია დაცული. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე დავიმოწმეთ.

<sup>5</sup> ჰეროდოტე II, 56.

<sup>6</sup> თუკიდიდე I, 3, 1; IV, 109, 4.

<sup>7</sup> სტრაბონი VII.

<sup>8</sup> Steph. Byz. s. v.

<sup>9</sup> Steph. Byz. s. v.

ბერძენ ისტორიკოსთა, განსაკუთრებით ლოგოგრაფოსთა, თბუ-  
ლებები ჩვეულებრივ მითოლოგიურ-ლეგენდარული სამოსელითაა  
შებურვილი, მაგრამ მათში ხერხდება მეცნიერული თვალსაზრისით  
საყურადღებო რაციონალური მარცვლის დაქებნა. არქეოლოგიის  
მიერ გამოშვეურებული ნივთიერი კულტურის შესწავლის საფუძველ-  
ზე ძველმა ბერძულმა მითებმა და ლეგენდებმა თანდათანობით  
ხორცი შეისხეს და პირველხარისხიან ისტორიულ დოკუმენტებად  
გადაიქცნენ. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ და წინაბერძნული პო-  
ეზიის საკითხების დამუშავებამ გამოარკვეეს, რომ წინაბერძნული  
მოსახლეობა პელასგებისა და სხვა მონათესავე ტომების სახით უაღ-  
რესად მაღალი კულტურის შემოქმედი იყო. პელასგური მოდემის  
ხალხებმა უძველეს ხანებში წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე და  
სამხრეთ ევროპაში დიდი კულტურული ცენტრები შექმნეს. მცირე  
აზიისა და სამხრეთ ევროპის უძველესი კულტურის შემქმნელ მო-  
სახლეობას ინდოევროპელი ბერძნები მოველინენ როგორც დამარ-  
ბეველნი და დამპყრობნი.<sup>10</sup> განსაკუთრებით დამარბეველი იყო მომხ-  
დურთა ძალა პელოპონესისა და კრეტაზე დორიელთა გადმოსახლე-  
ბის დროს, რამაც პელასგების დიდი მიგრაცია გამოიწვია.<sup>11</sup> ელი-  
ნურმა ტომებმა აიძულეს ისინი აყრილიყვნენ აგრეთვე მერმინდელი  
ატიკიდან, ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან და მცირე აზიის სანაპი-  
რო ზოლის ზოგიერთი ნაწილიდან, სადაც იონიელები დასახლდნენ.<sup>12</sup>  
საკუთარ ენაზე მეტყველი პელასგების გარკვეული რაოდენობა ამ  
მხარეებში დარჩა მის შემდეგაც, რაც იქ ელინები დამკვიდრდნენ.  
განსაკუთრებით ძლიერი იყო პელასგთა კვალი, ბერძენ ავტორთა  
(ჰეკატეს, პელანიკეს, პეროდოტეს, თუკიდიდეს, დეიოქეს, სტრა-  
ბონისა და სხვათა) გადმოცემით. თესალიის ველზე ე. წ. პელას-  
გიკურ არგოსში (პელასგიოტისში): მაკედონიის სანაპიროზე—  
აკტეზე და კრესტონში; კუნძულებზე—სამოთრაკზე, იმბროსზე, ლემ-  
ნოსზე, ლესბოსსა და ქიოსზე; მც. აზიაში—ტროასა და პრო-  
პონტიდის სანაპიროზე, მიზიაში—კიზიკოსის ტერიტორიაზე მდებარე  
პლაკიასა და სკილაკეში, ლიდიაში და სხვაგანაც.<sup>13</sup> აღსანიშნა-  
ვია, რომ პელასგები ბერძენ ავტორთა გადმოცემებში მკიდროდ  
უკავშირდებიან ტირენებს ანუ ტირსენებს (ეტრუსკებს): თუკიდი-

<sup>10</sup> H. Hirt, Handbuch der griechischen Laut- und Formenlehre. Heidelberg, 1912, 24—28.

<sup>11</sup> Древняя Греция, АН СССР, М., 1956, 67.

<sup>12</sup> ი. ს. 68.

<sup>13</sup> E. Meyer, Die Pelasger in Attika und auf Lemnos. „Philologus“ 1889, 466 შმდგ. Д. ж. Томсон. Исследования по истории древнегреческого общества. Доисторический эгейский мир. М., 1958, 163—169.

დესთან, მაგალითად, პელასგები და ტირენები იდენტიფიცირებულია.<sup>14</sup>

ამ ბოლო ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში მკვეთრად წამოაყენეს დამაჯერებელი მოსაზრება, რომ პელასგურ-ტირენული სამყარო მკიდრო გენეტურ და ტერიტორიალურ კავშირში იყო ანატოლიის ჩრდილოეთ სანაპიროს სამყაროსთან, შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ტომებთან, კავკასიასთან. ეგეოსური (პელასგური) და კავკასიური სამყაროს მკიდრო ნათესაობის თავგამოდებული დამცველია თანამედროვე მეცნიერი ფ. შახერმეიერი.<sup>15</sup>

მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მიერ აღიარებულა, რომ ხმელთაშუა ზღვის კულტურა, ცნობილი ელინური კულტურის სახელით, წარმოცენებული არის წინაელინური—პელასგურ-ანატოლიური კულტურის ბაზაზე. ამ კულტურის მრავალი საკითხის გარკვევის საქმეში არქეოლოგიის, ისტორიასა და ენათმეცნიერებას მხარს უმაგრებს უძველესი პოეზიისა და მითოლოგიის სფეროში წარმოებული კვლევა-ძიება.

\* \* \*

რას წარმოადგენდა წინაბერძნული—პელასგური მოსახლეობა ენობრივი თვალსაზრისით?

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ენათმეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ბერძნული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში გვხვდება მრავალი ისეთი სიტყვა, რომელთა ახსნაც ბერძნული ენის ნიადაგზე და საერთოდ ინდოევროპულ გარემოში არ ხერხდება. დადასტურდა, რომ ძველი ბერძნული ენის შემადგენლობაში შემავალი ძირების ერთ მესამედზე მეტი არ იყო ინდოევროპული. გამოირკვა ისიც რომ ეგეოსის რაიონის ონომასტიკონის, განსაკუთრებით კი ტოპონიმიკის უდიდესი ნაწილი ბერძნული ენის ფაქტებით ვერ აიხსნებოდა. გზადაგზა, კვლევის პროცესში, თავი იჩინა ინდოევროპულ ნიადაგზე აუხსნელმა მოვლენებმა ძველი ბერძნული ენის ფონეტიკასა და მორფოლოგიურ-სინტაქსურ წვობაშიც. ენათმეცნიერებმა ძველი ბერძნული ენის ლექსიკაში წარმოდგენილი არაინდოევროპული წარმომავლობის ძირები წინაბერძნული მოსახლეობის—პელასგების ენიდან შეთვისებულად აღიარეს.

<sup>14</sup> Thuc., IV, 109, 4. იხ. აგრეთვე ჰელანიკის ხემათ დაწოწვებული ცნობა.

<sup>15</sup> Д. А. Томсон. о. с., 170—173. Fritz Schachermeyr—Die ältesten Kulturen Griechenlands, Stuttgart, 1955. თ. შიქელაძე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის. საქ. მეცნ. აკად. „მომბე“, II, 1960, გვ. 182.

ჯერ კიდევ მაშინ განმტკიცდა და თითქმის საყოველთაო აღიარება ჰპოვა თეორიამ წინაბერძნული (პელასგური) მოსახლეობის არაინდოევროპული ხასიათისა და ამ მოსახლეობის მკიდრო გენეტური კავშირის შესახებ მცირეაზიელ ტომებთან. ამ თეორიის მიხედვით, წინაბერძნული მოსახლეობის ენა, ის ენა, რომელზედაც, პეროდოტეს გადმოცემით, პელასგები ლაპარაკობდნენ, ახლო ნათესაობაში იმყოფებოდა მცირე აზიის ენებთან. მიღებულ იქნა დასკვნა: ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა ერთ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდა კულტურით, ენით და მკვეთრად განსხვავდებოდა, როგორც ინდოევროპელებისაგან, ისე სემიტებისაგან.

ეს თეორია საბოლოოდ სამი გამოჩენილი ენათმეცნიერის (პაული, კრეჩმერი, ფიცი) შრომებში ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ვენელი ენათმეცნიერის პაულ კრეჩმერის კლასიკური გამოკვლევა *Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache* („შესავალი ბერძნული ენის ისტორიაში“), რომელიც 1896 წელს გამოქვეყნდა. წამოყენებულ დებულებათა დასამტკიცებლად კრეჩმერისათვის ამოსავალი იყო მხოლოდ და მხოლოდ ენობრივი მასალა. კრეჩმერი ამბობდა: „თუ ჩვენ წინ ენობრივი გადმოცემა არ გვიძევს, თავის ქალები ვერ გვეტყვიან, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ოდესღაც მათი მატარებლები.“<sup>16</sup> კრეჩმერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მცირე აზიის ოდინდელი მოსახლეობა, ფრიგიელების გამოკლებით, არც ინდოევროპული იყო და არც სემიტური; რომ ეს იყო მოსახლეობა *sui generis*.<sup>17</sup>

ხმელთაშუა ზღვის რაიონისა და წინა აზიის უძველეს ენათა შესახებ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ენები ენათა ერთ არაინდოევროპულ ოჯახს შეადგენდნენ.

ამ მოსაზრებას შემდგომი კვლევის საფუძველზე მხარს უჭერს ბევრი თანამედროვე მეცნიერი. ტომსონი შენიშნავს: „...некюгда Эгейский бассейн, по-видимому, представлял собой одну однородную в лингвистическом отношении область, являющуюся продолжением Анатолии.“<sup>18</sup> ბერძნული ენის სამტომიანი მეც-

<sup>16</sup> P. Kretschmer, *Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache*; Göttingen, 1896, 181: Wo nicht... eine sprachliche Überlieferung vorliegt, können uns die Schädel nicht sagen, welche Sprache ihre Träger einst gesprochen haben.

<sup>17</sup> o. c., 292.

<sup>18</sup> Д. Ж. Томсон, o. c., 173. F. Schachermeyr, o. c. ეგეოსურ (პელასგურ) ენას ეტრუსკულთან ერთად კავკასიურ ენებთან მონათესავე აგლუტინაციურ ენად მიიჩნევს.

ნიერული გრამატიკის ავტორი ედ. შვიცერი ამბობს: „ცხადია რომ ყველა ეს ენა (წინაბერძნული და მც. აზიის წარწერების ენები, ა. უ.) არც ბერძნულია და, როგორც ჩანს, არც ინდოევროპული ან „ინდოევროპული.“ ედ. შვიცერს მხედველობაში აქვს შემდეგი ენები: პელასგური, ლიკიური, ლიდური, კარიული, შუმერული, ელამური... აგრეთვე ბასკური და ეტრუსკული.<sup>19</sup> არქეოლოგიურმა და სენათმეცნიერო კვლევა-ძიებამ ამ კონცეფციაში ზოგიერთი კორექტივი შეიტანა. წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის რაიონის უძველეს ენებში გამოიყო ზოგი ინდოევროპული ენა. ჩეხმა მეცნიერმა ბ. პროხნიმ გამოარკვია, რომ ხეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ენა, სახელდობრ, ნესიტური ინდოევროპული იყო.<sup>20</sup> ინდოევროპულად მიიჩნია ზოგიერთმა მკვლევარმა მცირეაზიული წარმომავლობის ეტრუსკულიც, მაგრამ დამაჯერებელი დასაბუთების გარეშე.<sup>21</sup> პ. კრეტშმერმაც ნაწილობრივ უკან დაიხია და წინაბერძნულ მოსახლეობაში ორი ფენა გამოჰყო: მცირეაზიული ფენა არაინდოევროპული წარმოშობისა და პროტოინდოევროპული ფენა.<sup>22</sup>

წინა აზიის, აღმოსავლეთ და დასავლეთ მცირე აზიის ძველ ენებს. იმ ტომთა ენებს, რომლებმაც უძველესი ცივილიზაციის კერა შექმნეს ძველი აღმოსავლეთისა და სამხრეთ ევროპის უდიდეს ტერიტორიებზე, ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებს უკავშირებენ. ძველი ცივილიზაციის ენები „არც ინდოევროპულია, არც სემიტური და არც ალათაური. როგორც შორეოლოგიური წყობა, ისე კულტურული-ისტორიული კონტექსტი წინა აზიის ძველი ენებისა და იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიული ერთიანობის შესახებ ლაპარაკობს“ (ხაზგასმა ავტორისა, ა. უ.)<sup>23</sup>.

<sup>19</sup> Eduard Schwyzer, Griechische Grammatik; I Band, München, 1939, თ. E. 2: Sicher ist, dass alle diese Sprachen nicht griechisch sind, wahrscheinlich auch nicht indogermanisch oder, indogermanoid'. შდრ.: J. Wackernagel, Die griechische Sprache წიგნში: Die Kultur der Gegenwart, Teil I, Abt. VIII. იბ. აგრეთვე, E. Schachermeyer, Die ältesten Kulturen Griechenlands, Stuttgart, 1955.

<sup>20</sup> ეს აღმოჩენა შემდეგ დაზუსტდა გერმანელი მეცნიერების ფორერისა და ზომერის, ფრანგი მკვლევარის დელაპორტის და ამერიკელი Sturtevant-ის (Hittite Glossary, Philadelphia, 1936) შრომებში.

<sup>21</sup> V. L. Georgiev, Die sprachliche Zugehörigkeit der Etrusker, Sofia, 1943. აქ წამოყენებულ დებულებათა საფუძვლიანი კრიტიკა წარმოდგენილია რ. მიმინოშვილის საკანდიდატო შრომაში—„ბერძნული პოეზიის საწყისები“, 1955 (საწერ. მანქ. გადაბეჭდილი, გვ. 233—296).

<sup>22</sup> P. Kretschmer, Die Vorgriechischen Sprach- und Volksschichten; „Glotta“, XXVIII (1940), გვ. 231—278.

<sup>23</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 378.



წინა—და მცირე აზიის ძველი ცივილიზაციის ენების წარმოშობისა და განვითარების საკითხის რკვევამ დღის წესრიგში დააყენა იბერიულ-კავკასიური თეორია: იბერიულ-კავკასიური ენები ნარჩენია ენათა დიდი ოჯახისა, რომელიც მცირე აზიასა და ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზს მოიცავდა. საკითხი იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა გენეტური კავშირისა ძველი ცივილიზაციის შემქმნელ ტომებთან სამეცნიერო ლიტერატურაში დადებითად წყდება, როგორც კულტურულ-ისტორიულ, ისე წმინდა ლინგვისტურ ფონზე. როცა საკითხი ძველი ბერძნული ენის ლექსიკური შემადგენლობის შესწავლას ეხება, როცა გასარკვევია ამ ლექსიკის ინდოევროპულ გარემოში აუხსნელი მრავალი ძირი, საჭირო და აუცილებელი ხდება წინაბერძნული მოსახლეობის—ძველი ცივილიზაციის შემქმნელი მოსახლეობის ენებთან ოდესღაც მკიდრო ურთიერთობაში მყოფი იბერიულ-კავკასიური ენების ფაქტობრივ მონაცემთა გათვალისწინება.

იბერიულ-კავკასიური და ძველი ცივილიზაციის ენების გენეტური ურთიერთობისა და ძველ ბერძნულ ენასთან ამ ენების მიმართების საკითხთა ერთობლიობა რთულ პრობლემას წარმოადგენს.

ანტუან მეიეს აზრით, ყველაზე უფრო საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად მცირე აზიის ძველი ენებისა და კავკასიური ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ძველი ბერძნული ენის ლექსიკაში ახსნათ ის, რის ახსნაც ინდოევროპულ ენათა გარემოში შეუძლებელი ჩანს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ნათესაობის დადგენა კავკასიური ენების შიგნით, კერძოდ, ქართველურ (*langues caucasique du Sud*) და ჩრდილო-კავკასიურ ენათა შორის.<sup>24</sup>

ვ. გეორგიევი სამართლიანად ამბობს: „Следует окончательно уточнить вопрос о родстве северных и южных (картвельских) кавказских языков: существуют ли действительно родственные отношения между ними и, если существуют, то какова степень родства (более близкое или более отдаленное)? Далее следует изучить основательно древние переднеазиатские языки (хаттский, хурритский и т. д.), с учетом их возможного родства с кавказскими языками. Это важные задачи, стоящие перед кавказоведами. Их разрешение поможет в деле выяснения проблем генезиса эгейско-малоазийских и переднеазиатских племен и народов.“<sup>25</sup>

<sup>24</sup> A. Meillet, *Aperçu d'une Histoire de la langue Grecque*, Paris, 1936.

<sup>25</sup> В. Георгиев, *Вопросы родства средиземноморских языков*; „Вопросы языковедения“, 4, М., 1954, стр. 61.

მცირე აზიის ძველი ენების შესახებ ედ. შეიცერმა ასეთი აზრი გამოთქვა: „საკითხი ისმის, იყვნენ თუ არა ერთმანეთთან ნათესაურ-კავშირში დასახელებული (იგულისხმება: ლიკიური, ლიდიური, კარიული, პისიდიური ენები, ა. უ.) და მცირე აზიის სხვა ენები (აშკარად ინდოგერმანული ხეთურისა და ფრიგიულის გამოკლებით); ზოგიერთი ენა უდავოდ იყო ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში და ეს ენები ქმნიდნენ განსაკუთრებულ ენობრივ ჯგუფს, ეგრეთწოდებულ მცირეაზიულ ანუ ეგეოსურ-მცირეაზიულ ჯგუფს, რომელსაც, როგორც ჩანს, ურთიერთობა ჰქონდა, ერთი მხრივ, სამხრეთ-კავკასიურ, ხოლო მეორე მხრივ, ეტრუსკულ ენებთან.“<sup>26</sup>

\* \* \*

ბერძნული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში შეთვისებული არაინდოევროპული წარმომავლობის სიტყვების კვლევის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეგეოსური სუბსტრატის მოქმედებას. ინდოევროპული წარმოშობის ბერძენმა ხალხმა, როცა იგი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოვიდა, თან მოიტანა საკუთარი ენა, რომელსაც ჰქონდა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. მერე მოხდა თანდათანობით ამ ენის დახვეწა, შემდგომი განვითარება. ბერძენმა ხალხმა შეითვისა წინაბერძნული მოსახლეობის დიდი კულტურა და საკუთარი ენის ლექსიკური შემადგენლობა არაინდოევროპული წარმომავლობის სიტყვათა მარაგით გაიმდიდრა. სიტყვათა სესხება და ამ გზით ამა თუ იმ ენის ლექსიკური შემადგენლობის გაზრდა ბუნებრივი პროცესია და ისტორიული კონტაქტის შედეგი. ნასესხები მასალა დროთა განმავლობაში ისე შეისისხლხორცა ბერძნული ენის ლექსიკურ-გრამატიკულმა სისტემამ, რომ ამ მასალის წარმომავლობის გარკვევა გაძნელებულია. ბერძნულმა ენამ ნასესხებები თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით გარდაქმნა. ამ კანონთა მოქმედება განსაკუთრებით საგრძნობია მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებებში. ნასესხები სიტყვები ჩვეულებრივ შემოსილნი არიან ბერძნული მორფოლოგიური ელემენტებით და ძირებს შენიღბულადლა წარმოვიდგენენ. ნასესხებ სიტყვათა უმრავლეობა პელასგების ენიდან

<sup>26</sup> Eduard Schwyzer, o. c. გვ. 59: Fraglich ist auch, ob die genannten und andere kleinasiatische Sprachen (mit Ausnahme der sicher indogermanischen, des Hethitischen und Phrygischen) alle untereinander verwandt waren; einige waren es sicher und bildeten einen besondern Sprachstamm, den sog. kleinasiatischen oder ägäisch—kleinasiatischen, der vielleicht zum Südkaukasischen auf der einen, zum etruskischen auf der andern Seite Beziehungen hat.

უნდა იყოს შეთვისებული. ამ ენის გადმონაშთები შემონახულია ბერძნულ ტომონიმიკასა და ლექსიკაში (-ნიხ-, -ნიძ-, -(s)ს-, -ტი- სუფიქსთა შემცველი გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები, ტომთა, ლითონთა, ღვთაებათა და სხვა სახელები). ბერძნული ენის ფრანგი ეტიმოლოგისტი ბუაზაკი შენიშნავს: „ელინები სხვადასხვა მხარეებში ხეტილობდნენ, სანამ ეგეოსისა და იონიის ზღვების სანაპიროებს მიაღწევდნენ; და აქ მათ უნდა განედევნათ ან თავის თავისთვის დაემსგავსებინათ სულ სხვა ხალხები, რომლებიც არც ერთ ინდოევროპულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ; ისინი (ელინები, ა. უ.) ბალკანეთის ნახ. კუნძულის სამხრეთ ნაწილში ცენტრალური ევროპის ფლორისა და ფაუნისაგან განსხვავებულ ფლორასა და ფაუნას წააწყდნენ. და, როგორც ჩანს, აქ ნახულ ცხოველებს და მცენარეებს, შემთხვევათა უმრავლესობაში, ოდნავ შეცვლილი სახით, ის სახელები დაუტოვეს, რაც მათ (ელინებს, ა. უ.) წინამორბედებმა უანდერძეს.“<sup>27</sup>

შმიდ-შტელინის აზრით, ბერძნებს ეგეოსურ-მცირეაზიული ენიდან შეუთვისებიათ საკულტო სიტყვები, საამშენებლო ტერმინები, ტანსაცმლის, სახელმწიფო მმართველობის, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სხვა მისთანათა აღმნიშვნელი სახელები<sup>28</sup>.

ეგეოსური (resp. პელასგური) სუბსტრატი იგრძნობა ძველ ელინთა არა მარტო ენაში, არამედ მათ მატერიალურ და სულიერ კულტურაშიც. წინაელინური—პელასგური მოსახლეობის ენისა და მატერიალური კულტურის შესწავლასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ეგეოსის რაიონის უძველესი მოსახლეობის იმ სულიერი განძის აღმოჩენის საქმეს, რომელიც ინდოევროპულ-ელინური სამოსელით შებურვილ პოეზიასა და მითოლოგიაშია დაფარული. ბერძნული ეპოსის პოეტიკური ფაქტების რიგი ცხადყოფს, რომ ელინთა ლიტერატურული ზიარება პელასგების კულტურულ მონაპოვართა საფუძველზე მოხდა<sup>29</sup>. თანდათანობით ირკვევა, რომ მთავარი ბერძნული

<sup>27</sup> Émile Boisacq, Dictionnaire étymologique de la Langue Grecque; 40, Heidelberg, 1950, წინასიტყვაობა: Hellènes—Ils ont traversé d'autres contrées avant d'atteindre aux rivages de la mer Égée et de la mer Ionienne, et ici même il sont dû déloger ou s'assimiler d'autres populations, qui ne parlaient aucun idiome indo-européen; ils ont notamment rencontré dans le sud de la presqu'île balkanique une faune et une flore différentes de la flore et de la faune de l'Europe centrale, et, dans la majorité des cas, ils ont probablement, en les modifiant à peine, conservé aux animaux et aux plantes qu'ils découvraient les noms que leur avaient octroyés leurs prédécesseurs.

<sup>28</sup> Schmid-Stählin, Geschichte der griechischen Literatur, I Teil, 3 Band, 1929.

<sup>29</sup> სიმ. გაუხიიშვილი, ი. ც. 35.

თქმულებები თესალიელი გმირის აქილევის რისხვაზე, ოდისევსზე, ჰეტესტოზე, პრომეთესა და თესალიელ არგონავტებზე, რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს ელინური ხელოვნების განვითარების საქმეში, პელასგური წარმომავლობის თქმულებებია. ბერძნული ეპოსის საღეჟსო საზომი—დაქტილური ჰექსამეტრი დამყარებული ქართული ლექსის, სიტყვის, ქორეოგრაფიისა და სიმღერის აბსოლუტურად დაქტილურ რიტმზე პელასგური წარმომავლობისა აღმოჩნდა<sup>30</sup>.

\* \* \*

პელასგთა ეთნოგენეზისის საკითხი ამ ბოლო ხანებში მწვავედ დაისვა. თუ აქამდე მკვლევართა უმრავლესობისათვის გარკვეულად იყო მიჩნეული წინაბერძნული მოსახლეობის არაინდოევროპული წარმომავლობა, ახლა ზოგიერთი ავტორი ამაში დაეკვდა და ცდილობს, დაამტკიცოს ეგეოსური კულტურისა და ენების ინდოევროპული ბუნება, პელასგების ინდოევროპულობა, უარყოს პელასგების კავშირი კავკასიურ ელემენტთან<sup>31</sup>. მაგალითად, ვ. გეორგიევი უგულებელყოფს კვლევის კომპლექსურ მეთოდს, გვერდს უვლის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, ენათმეცნიერების მონაპოვართ და წინაბერძნული ენების ბუნდოვან მონაცემებზე დაყრდნობით საეპოსო დასკვნებს აკეთებს<sup>32</sup>, პელასგებს წმინდა ინდოევროპულ ტომად, ბერძნების უშუალო წინაპრებად მიიჩნევს. ვლ. გეორგიევისა და სხვა მეცნიერთა სკეფისი პელასგთა არაინდოევროპულ ბუნებასა და მათ გენეტურ კავშირში მცირეაზიულ-კავკასიურ ტომებთან გააძლიერა კრეტის ხაზოვანი B დამწერლობის ვენტრისისა და ჩედვიკისეულმა ამოშიფრვამ<sup>32</sup>. როგორც ცნობილია, კრეტაზე ჯერ არტურ ვენსმა, ხოლო შემდეგ სხვებმა აღმოაჩინეს კრეტა-მიკენის ეპოქის ფიქალებზე შესრულებული, როგორც ვარაუდობენ, სამეურნეო ჩანაწერები. ესაა ეგრეთ წოდებული მინოსური დამწერლობა სამი სახისა: ხატოვანი (პიეროგლიფური), A და B ტიპის ხაზოვანი. ვენტრი-

<sup>30</sup> П. А. Берадзе, Грузинские истоки греческого дактилического гексаметра (Автореферат, дисс. пред. на соиск. уч. степени доктора филологических наук), Тбилиси, 1949.

<sup>31</sup> В. И. Георгиев, Вопросы родства средиземноморских языков; [сб. Вопросы языковедения, 4, М., 1954]; მისივე, Проблема возникновения индоевропейских языков [იქვე, 1, М., 1956].

<sup>32</sup> ეს შენიშნა ვ. გეორგიევს ა. ტიუმენევმა, იხ. А. Тюменев, К вопросу об этногенезе греческого народа [ВДИ, 1953, IV, გვ. 64]. გეორგიევის თეორიას მცადრ თეორიად აღიარებს შახერმეირიცი (ი. ც.).

<sup>33</sup> M. Ventris and J. Chadwick, Evidence for Greek dialect in the Mycenaean archives (Journal of Hellenic Studies, 73, 1953, გვ. 83-84-103) და სხვა წრომები.

სისა და ჩედვიკის ამოშიფრვით B ხაზოვანი დამწერლობა წარმოგვიდგენს ბერძნული ენის კვიპროსულ-არკადიული დიალექტის უძველეს ფორმას. ხატოვანი და A ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშები ჯერ კიდევ ამოუკითხავია. B ხაზოვანი დამწერლობაც რომ სიბოლოოდ და დამაჯერებლად არაა ამოშიფრული, ამაზე შეტყვევებს ეს ფაქტები: 1) ერთი სიტყვა 600-მდე სხვადასხვა ვარიანტით შეიძლება წავიკითხოთ; 2) ვლ. გეორგიევის მიერ ამოკითხულ მასალაში არც ერთი გაბმული კონტექსტი არა გვაქვს; 3) საკუთარი სახელების ამოშიფრვა პრობლემად რჩება, 4) კნოსოსში აღმოჩენილი B ხაზოვანი დამწერლობის დიდი ნაწილი (1/3) ბერძნული არ არის. ეს ფაქტები დადგენილია კრეტა-მიკენის ეპოქის საბჭოთა მკვლევარის ს. ლურის მიერ. მოგვაქვს ლურის ზოგიერთი დასკვნა:

„... всякую расшифровку собственных имен (ხაზი ავტორისაა, ა. უ.) надо считать проблематичной, поскольку эти имена не связаны с контекстом надписей и их значение в целом ряде случаев останется навсегда гадательным. На расшифровку личных имен (я не говорю о расшифровке названий селений, тождественных с исторически засвидетельствованными селениями Крита или Пилосской области!) часто надо (особенно принимая во внимание, что значительная часть имен может оказаться догреческого, неиндоевропейского происхождения) смотреть как на занятную игру, а не как на научную работу.“<sup>34</sup>

„Связный контекст его (ე. ი. ვ. გეორგიევს, ა. უ.) не интересует: он до сих пор не предложил ни одного убедительного связного контекста, его толкования отдельных слов при включении их в контекст сплошь и рядом не дают никакого смысла“...<sup>35</sup>

„Как бы то ни было, значительная часть табличек письма В, особенно кносских, не читается по-гречески. Особенно трудно чтение больших кносских табличек со списками собственных имен... больше трети всего числа кносских табличек письма В не содержит ни одного греческого слова.“<sup>36</sup>

კნოსოსის არქეოლოგიური გათხრების ინციატორი არტურ ევანსი იმთავითვე ამბობდა, რომ მინოსური დამწერლობის სამივე სახე

<sup>34</sup> С. Я. Лурье, Язык и культура микенской Греции; М.—Л., 1957, 9.

<sup>35</sup> С. Я. Лурье, о. с. 83. 10.

<sup>36</sup> იქვე.

(ხატოვანი, A და B ხაზოვანი) კრეტის უძველესი მკვიდრების მიერ არის შექმნილი და ამ დამწერლობის ენა არაა ინდოევროპული და, მაშასადამე, ბერძნულიო.<sup>27</sup> ამავე აზრისაა ს. ლურიცი: „Надо думать, что изобретатели древнейшей формы этого письма не были ни греками, ни индоевропейцами.“<sup>28</sup>

ვენტრისისა და ჩედვიკის გაშიფრვამ ის დაამტკიცა, რომ წინა-ელენური მოსახლეობის ხანა უფრო ადრინდელ საუკუნეებშია საგულვებელი: პელასგების ეთნოგენეზისის საკითხი ინდოევროპულობის სასარგებლოდ არ გადაჭრილა!<sup>30</sup>

\* \* \*

წინაბერძნული მოსახლეობის—პელასგების ეთნოგენეზისის საკითხის კვლევის დროს არსებითი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მითებიდან, თქმულებებიდან მომდინარე და ბერძნულ წყაროებში დატულ ცნობებს პელასგების გენეტური კავშირის შესახებ იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომებთან, ქართველურ—კოლხურ ტომებთან. ძველ ბერძნებს შემონახული ჰქონდათ შოგონებები თავისი ქვეყნის უძველეს ხანებზე, ამ ქვეყნის ოდინდელ მოსახლეობაზე და ეს შოგონებები მათ მიერ გადმოცემულ მითებსა და თქმულებებშია სწორედ დატული. მარქსიზმის კლასიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მითებსა და თქმულებებს. მათი აზრით, მითოლოგიას კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია საისტორიო მეცნიერებისათვის. მარქსმა გააცამტვერა მითოლოგიის ის იდეალისტური განმარტება, რომელიც ემყარებოდა დებულებას, თითქოს პირველყოფილი შემეცნება არ ასახავდა ობიექტურ სინამდვილეს (ასე, მაგალითად, ფრანგ სოციოლოგს ლ. ბრიულს მითოლოგიური პროცესის წარმოქმნა გამოპყავდა „ველურთა წინალოგიკური აზროვნების თეორიიდან“). ბერძნულ მითებში, მარქსის აზრით, წარსული სინამდვილის მარცვლები მოიპოვება. მითებში, რომლებიც განუვითარებელ—პრიმიტიულ საზოგადოებრივ საფეხურზე აღმოცენდნენ, ხალხის ისტორიული

<sup>27</sup> A. Evans, Scripta Minoa. Oxford, 1909: The Palace of Minos, v. IV. 2. London, 1935: Критское линейное письмо ВДМ, 1939, № 3, гл. 27.

<sup>28</sup> С. И. Лурье, о. с. гл. 6.

<sup>29</sup> არც ეტრუსკულს და არც მინოსურ წარწერებს არ თვლის ინდოევროპულად Ernst Sittig-ი. იხ. მისი რეცენზია ვ. გეორგიევის წიგნზე—Пронзлемы мнвоиского языка, 1953—Deutsche Litteratur-Zeitung, 1956, 4 გვ: 246—250. „მინოსურ წარწერებს“ წინაბერძნული—აზიანდოევროპული მოსახლეობის დამწერლობის ნიმუშებად მიიჩნევს ისტორიცი; იხ. В. А. Истрия, Развитие письма, Москва, 1961, гл. 159—163.

გამოცდილებაა ასახული. აქ წარმოსახვა, ფანტაზია რეალური ცოდნის საწყისებთანაა გადახლართული. „ყოველი მითოლოგია, — ამბობს მარქსი შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის,“ — ძლევს, ამორჩილებს და აყალიბებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით;... ბერძნული მითოლოგია ესაა ბუნება და თვით საზოგადოებრივი ფორმები უკვე ვადამუშავებულნი... ხალხური ფანტაზიის მიერ.“<sup>40</sup> ყოველი მითი განსაზღვრული სოციალ-ისტორიული კომპლექსია. წარმოსახვაში ანუ მითოლოგიაში განცდილი — წინაისტორიული ეპოქაა. შრომაში „ბეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“ მარქსი პირდაპირ ამბობს: „ძველი ხალხები განიცდიდნენ თავიანთ წინაისტორიულ ეპოქას წარმოდგენაში, მითოლოგიაში.“<sup>41</sup>

მითოლოგიის მარქსისეული განსაზღვრა სახელმძღვანელო დებულებაა. მითებსა და თქმულებებში ჭეშმარიტებაა აღმოსაჩენი და დისადგენი. იყო დრო, როცა ტროცა და ტროის ომიც წმინდა წყლის ზღაპრად მიაჩნდათ, მაგრამ ტროის ისტორიულობა სრულიად დადასტურდა. პელასგთა საკითხის კვლევის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მითებს და თქმულებებს, რომლებიც ა. ლოსემა მეტად მარჯვე ტერმინის — „თესალიური მითოლოგიის“ ტერმინის ქვეშ გააერთიანა.<sup>42</sup> აქ შედის თქმულება არგონავტებზე, რომელიც მრავალი დროის ლეგენდარული ფენებიტაა შემოგარსული და რომლის ძირითად ბირთვში ჭეშმარიტების მარცვლები დაიძებნება. სწორი ისტორიული-ლიტერატურული მიდგომა ამ ჭეშმარიტების მარცვალთა დაძებნის საშუალებას მოგვცემს არგონავტების თქმულების იმ ვადმოცემებში, რომლებიც ხშირად ფრაგმენტული და შემთხვევითი ხასიათისაა.

ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან, რომლებიც, თავის მხრივ, უძველეს ვადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ხშირად ვხვდებით არაპირდაპირ მითითებებს და ზოგჯერ პირდაპირ მინიშნებასაც პელასგებისა და კავკასიური, კოლხური ტომების იდენტურობის შესახებ. პელასგი თესალიელები, მცირეაზიელი ტროელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი პელასგი სინტიები ანუ სინტები, ფეაკების ტომი და სხვებიც კოლხთა მონათესავე ტომებადაა მოჩნეული.

ძველ ბერძნულ ეპოსში, როგორც ჩანს, არგონავტთა თქმულების უძველესი კორინთული ვერსია იყო ვადმოცემული. დატული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ამ ვერსიაში ასახული იყო

<sup>40</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XII, ч. I, 203.

<sup>41</sup> იქვე, т. I, 404.

<sup>42</sup> Проф. А. Ф. Лосев, Античная мифология. М., 1957, 594.

კოლხური წარმომავლობის ტომთა მკიდრო კავშირი პელასგურ-სამყაროსთან და ამ ტომთა განსახლების უძველესი სურათი. კიკლიკურ პოემაში „ექალიის აღება“ მედია კორინთოსთან მკიდროდ დაკავშირებული სახეა; კორინთო ანუ ეფირე კი პელასგების ოდინდელი სამკვიდრებელია. ამას ადასტურებს კორინთოს სახელში დაცული -πτε- სუფიქსიც (Κορι-νθ-ος). შემთხვევითი როდია, რომ ევმელოსი, სიმონიდე და შემდეგ სხვა ავტორებიც კორინთოს პელასგთა ლეთაების—ჰელიოსის ძის—კოლხთა გამგებლის აიეტის უძველეს სამფლობელოდ ასახელებენ. ლიკოფრონის ცნობით აიეტი კორინთოსა და აიას (კოლხეთის) გამგებელია. მედია კორინთოში ჩადის როგორც მამის სამშობლოში და ერთხანს კიდევაც განაგებს მას პელასგ იასონთან ერთად, სანამ ელინები შვილებს არ დაუხოცავენ და აქედან არ გააძევენ (ევმელოსი, ევრიპიდეს „მედეას“ სქოლიასტი, პავსანია და სხ.). კორინთო-ეფირე რომ აიეტის წინახვედრი მხარე იყო, ჰომეროსის პოემიდანაც ჩანს. „ოდისეაში“ მოხსენიებულია ეფირეს (კორინთოს) პატრონი ილოსი მერმე-როსის ძე, რომელთანაც ოდისეესი სტუმრად იყო და სთხოვდა ისრის წვერებზე წასასმელ „მამაცთ შემმუსვრელ შხამს“ („ოდისეა“, I, 259—263).

აქ მოხსენიებული ილოსი მედეას შვილიშვილად უნდა ვიგუღვოთ. გადმოცემათა თანახმად შერმეროსი მედეას ერთ-ერთ ვაჟს ერქვა. ჰომეროსთან რომ ნამდვილად მედეას შთამომავლობა იგუღლისხმება, ამას მხარს უჭერს შემდეგი გარემოება. ილოსი გრძნულ წამალთა მკეთებელია, ე. ი. იმ ხელობის მიმდევარია, რომლითაც სახელგანთქმული იყო მედია. აქედან ისიც კარგად ჩანს, რომ ჰომეროსის დროინდელ თქმულებაში მედეას შვილების დაღუპვის ამბავი არ არსებობდა.

კოლხთა ტომების უძველესი და ვრცელი განსახლების გამოძახილად მიგვაჩნია აიეტის დის (ზოგიერთი ცნობით—აიეტის ასულის) კირკეს აღიარება მრავალი ტახტის მფლობელად (Κίρκη βασίλισσα: ნონოს პანოპოლეტი, XIII, 331). ჰესიოდეს „თეოგონიაში“ კოლხი ასული კირკე, რომელსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არგონავტთა თქმულებასა და ჰომეროსის ეპოსში, პელასგური მოღვმის ტირსენელების ანუ ეტრუსკების ნათესავედაა გამოცხადებული: „პიპერიონიდი ჰელიოსის ასული კირკე სიყვარულით დაუკავშირდა მედგარ ოდისევს და ოქრო-აფროდიტეს შემწეობით შეა აგრიოსი, უძრახველი და ძლიერი ლატანოსი და ტელეგონეც. ესენი ფრიად შორს, წმინდა კუნძულთა სიღრმეში მზრახნებლობდნენ სახელმოხვეჭილ ტირსენელებზე“ (ტ. ტ. 1011—1016). „ქალთა კატალოგის“ ავტორის ცნობით კირკე ტირსენიის ზღვის.



მბრძანებელია (ფრ. 86). პლუტარქეს გადმოცემით პელასგური წარმომავლობის ტირენები (ეტრუსკები) ჯერ თესალიაში მოსახლეობდნენ, მერე ლიდიაში გადასახლდნენ, ლიდიიდან კი იტალიაში გადავიდნენ. პლუტარქე ჩვენთვის უცნობ, უძველეს წყაროებზე დაყრდნობით გვიმოწმებს ამას და რომის დაარსების შესახებ ამბობს, რომ ძველი ცნობებით ეს ქალაქი დაფუძნებულია საბერძნეთიდან ლტოლვილი პელასგების ან კოლხთა წინამძღოლის აიეტის დის კირკეს ვაჟის—რომანოსის მიერ („რომულუსი,“ თ. 1; 2).<sup>43</sup> რომანოსი ოდისევისა და კირკეს ძეა („რომულუსი,“ თ. 2.). როგორც ჩანს, კირკე და ოდისევსი შემთხვევით არაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ცნობები, რომლებზედაც ჩვენ გავემხილეთ პირველად ყურადღება, კიდევ უფრო ამაგრებს ამ ბოლო ხანებში წარმოებული კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს: ოდისევსი პელასგური მოსახლეობის პანთეონს ეკუთვნოდა: ჰომეროსის ეპოსში იგი წინაელნური ტრადიციის ნაშთია (ჩვენი აზრით, ისევე როგორც არგონავტთა თქმულების გარკვეული ნაწილები). გამოთქმულია მოსაზრება პრომეთესა და ოდისევსის იგივეობის შესახებ:<sup>44</sup> პრომეთე თავის მხრივ ქართველთა წინაპარი ტომების ელინიზებული ამირანია.

აიეტის მიერ კორინთოს მიტოვება, შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსახლება, ოდისევის, კირკესა და მედეას გარშემო შეთხზული ამბები და კოლხთა მრავალი კვალი ეგეოსის ზღვის რაიონსა და ეტრურიაში უნდა ასახავდეს წინაელნური მოსახლეობისა და ინდოევროპული ელემენტის ჰიდილს მერმინდელი ელადისა და იტალიის ტერიტორიებზე. აქ განცდილ ამბავთა რეალური ისტორიული შინაარსი მითოლოგიურად არის გაშუქებული.

<sup>43</sup> აქენინის ნახ. კუნძულის გეოგრაფიულ სახელთა დიდი ნაწილი ეტრუსკული წარმომავლობის სახელბუდაა მიჩნეული. ასეთი სახელია *Roma*; ასეთივეა მდინარის სახელი *Tiberis*, რომელსაც ჯერ კიდევ ვარონი აღნიშნავდა როგორც *Tuscus annis* და ამბობდა. ამას ლათინური ეტიმოლოგია არა აქვს: *— nihil scimus* latinum (*De lingua latina*, V, 29). ცნობილი რომანისტი მ. ვ. სერგაიევი სკი ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგს ამბობს: „Язык Этрусков, сохранившийся в известном количестве надписей, до сих пор не расшифрованных окончательно, но многим данным принадлежал к той же группе средиземноморских языков, что иберийский в Испании, хеттский в Греции и язык Канкая“—Проф. М. В. Сергиевский. Введение в романское языковедение. Москва, 1952, გვ. 39.

<sup>44</sup> K. Kérényi, *Prometheus*. Zürich, 1946. ი. გ. შენგელია. ოდისევის *Epitheta constantia* „ილიადაში“ ოდისევისა და პრომეთეს იგივეობის საკითხთან დაკავშირებით. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიკის ინსტიტუტის „შრომები,“ ტ. 2. 1955; 237—248.

პელასგების ენთოგენეზისის საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ ინტერესს იწვევს უპირატესად ლათინურ წყაროებში დაცული ცნობები კავკასიელი ალბანებისა და იბერების გენეტური ერთიანობის შესახებ. როვორც ცნობილია, ალბანთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხი ჯერხნობით გადაწყვეტილი არ არის. ქვემოთ დამოწმებულ ცნობებს აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, ცხადია, არსებით მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ, მაგრამ გვერდსაც ვერ ავუვლით. შევნიშნავთ, რომ ამ ცნობებზე დღემდე არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული. არ არის ეს ცნობები დამოწმებული ტრევერის ცნობილ შრომაშიც.<sup>46</sup>

კოლხები, იბერები და ალბანები ბერძენ და რომაელ ავტორებთან ჩვეულებრივ ერთად მოიხსენიებიან (ტაციტუსი, ავრელიუს ვიქტორი და სხვები). ტაციტუსის გადმოცემით, იბერები და ალბანები ამტკიცებენ, რომ ისინი თესალიელებისაგან, ე. ი. პელასგებისაგან წარმოიშვნენ იასონისა და მედეას კოლხეთში დაბრუნების შემდეგ (ferunt se Thessalis ortos: Annales, VI, 34). სოლინუსი ამბობს, რომ ზღვის სანაპიროზე მოსახლე ალბანები თავიანთ თავს თესალიელი იასონის შთამომავლად თვლიან (Collectanea, 15, 1).

ბიზანტიური ხანის მწერალი ქალი ევდოკია (მაკრემბოლიტისე), რომელსაც თავისი მითოლოგიური კრებულისათვის საფუძვლად მრავალი ძველი წყარო დაუდევს, გვაწვდის საყურადღებო ცნობას ალბანებისა და მეგრელების იდენტურობის შესახებ: „ფრიქსეს შვილები დაიხოცნენ ალბანთა ომში ისე, რომ შობდნენ არ დაუტოვებიათ. ალბანები ახლანდელი მინკრელებია“ (Violarium 478 b.). ორგინალის Μίχαρελλი: „მეგრელებს“ აღნიშნავს.

§ 2. შენიშვნები. დიონისიოს პერიეგეტის (I—II საუკ. ჩვ. წ.) თხზულებაში „დასახლებული სამყაროს აღწერილობა“ — Περιήγησις τῆς οἰκουμένης ქენიოხები ძიგებთან (ჯიქებთან) ერთად პირდაპირ პელასგური წარმომავლობის ტომადაა გამოცხადებული:

<p>680. Σαυρομάτας δ' ἐπέχουσιν ἐπασσύτεροι γεγαῶτες Σινδοί, Κιμμέριοι τε καὶ οἱ πέ- λας Εὐξείνιοι Κερκῆτιοι Ἰορέται τε καὶ, ἀλκί- εντες Ἀχαιοί, τοὺς ποτ' ἂ πὸ Ξάνθοιο καὶ Ἰδαίου Σιμόεντος</p>	<p>სავრომატების შემდეგ მიჯრით არიან სინდები, კიმერიელები და ევქსინის [პონტოს] მახლობლად [მოსახლე] კერკეტები, ტორეტები და ძლიერი აქეელები, რომლე- ბიც, [ტროის] ბრძოლის შემდეგ გამოჰყენენ რა მეფეს — არეტეს ძეს, სამხრეთისა და დასავლეთის</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<sup>46</sup> Б. В. Тревер, Очерки по истории и культуре кавказской Албании. Москва-Ленинград, 1959.

πνοιαι νοσφισσαντο νότοις τε καὶ  
 ζεφύροις,  
 685. ἐσπομένους μετὰ δῆριον Ἄρη-  
 τιδῶν βασιλῆς.  
 Τοῖς δ' ἐπι ναιετάουσιν, δμοσρ:ογ  
 αλων ἔχοντες  
 Ἡίοχοι Ζύγιοι τε Πελασγίδος ἔργο-  
 νοί ατῆς<sup>46</sup>

ქარებმა ოდესღაც [აქ] გადმოხვე-  
 წეს ქსანთესა და იდეს სიმოენ-  
 ტის [ნაპირებიდან]. ამათ შემდეგ  
 ცხოვრობენ მომიჯნავე მიწის  
 მპყრობელი, პელასგური ქვეყნის  
 ნაშიერი ჰენიოხები და ძიგები.

IV საუკუნის (ჩვ. წ.) რომაელი პოეტი ავიენუსი, რომელმაც  
 დიონისიოსის თხზულება ლათინურ ენაზე გადააკეთა, იმეორებს;  
 რომ ჰენიოხები და ძიგები პონტოს სანაპიროზე პელასგთა სამეფო-  
 დან მოვიდნენ.<sup>47</sup> ანტიკური გადმოცემებით ჰენიოხები ლაკედემო-  
 ნელი პელასგებია. მათი ეთნარქოსები, რომელთა სახელების სხვა-  
 დასხვა ვარიანტებს გვაწვდიან ძველი ავტორები (სტრაბონის მიხედ-  
 ვით მათ ერქვათ რეკასი და ამფისტრატე), შავი ზღვის სანაპიროზე  
 მოჰყენენ არგონავტ ტინდარიდებს (დიოსკურებს) და დააფუძნეს  
 დიოსკურია.<sup>48</sup>

აღიარებულია, რომ ჰენიოხების ტომი ქართველური იყო და  
მეგრულ-ლაზურ შტოს განეკუთვნებოდა.<sup>49</sup>

§ 3. მაკრონები. ამავე რიგისაა ქვემოთ განხილული, ბერძნულ  
 წყაროში დაცული ცნობა კოლხური ტომის მაკრონების შესახებ.  
 ეს ცნობა ჩანს, უძველეს გადმოცემებს ეყრდნობა და კოლხური  
 მოღვმის მაკრონებს პელასგებად აღიარებს.

<sup>46</sup> GGM, II, 146.

<sup>47</sup> SC, II, 2, 358.

<sup>48</sup> Strabo, XI, 2, 12; P. Trogus (Iustinus), 42, 3, 3; Plin. Nat. hist., VI, 4 [15—16]; Solinus, 15, 13 (17); Lucanus, Pharsalia, III, 269—270; Ammian. Marc., XXII, 8, 24.

<sup>49</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 401; ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. „ზრომები“, III, 1959, გვ. 8, 20 და სხ.; პ. ინგოროვეა, გიორგი მერჩულე, 1954, 122, 124 და სხ.; მ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები): მას. საქ. და კავ. ისტ., ნაკვ. 32, გვ. 13—21; მისივე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. სახ. მეცნ. განყების მოამბე, № 2, 1960, გვ. 145—162; ნ. ხოშტარია, ციხისძირი, 1962, გვ. 36 და სხ.; ალ. გამყრელიძე, აშინანე მარცელინე: „გეორგია“, I, 1961, გვ. 89. აკ. შრუშაძე, ჰენიოხების შესახებ, თსუ „ზრომები“, 96, 1963, გვ. 243—248.

მაკრონების შესახებ საყოფადღებო ეთნიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობები მოიპოვება ანტიკური ხანის მწერალთა თხზულებებში. ეს ცნობები საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ მაკრონთა ტომის განსახლების, სხვა კოლხურ ტომებთან მისი ურთიერთობის, შეიარაღების, მეურნეობის, ზნე-ჩვეულებებისა და მისთანათა შესახებ. ბერძნული წყაროების მიხედვით, მაკრონები ქართველ ტომთა დასავლურ გავრთიანებაში შემავალი ერთ-ერთი კოლხური ტომია. მაკრონები (Μάκρωνες) სხვანაირად მაკროკეტალები (Μακροκέταλοι) ანუ „გრძელთავიანების“ სახელით მოიხსენიებიან. ერთ შემთხვევაში (სტრაბონთან) დადასტურებულია მათ სახელად მაკროპოგონები (Μακροπώγωνες) ანუ „გძელწვერიანები.“

ჩვენგან ყურადღება მიიპყრობილ ცნობაში მაკრონების უფრო ძველი სახელი უნდა იყოს დაცული—ეს სახელია მაკრილები ანუ მაკრელები (Μακρίες).

მაკრონების ანუ მაკროკეტალების პირველი მოხსენიება ჯერ კიდევ ჰესიოდეს მახლობელ ეპოქაში გვხვდება და არა ჰეკატე მილეტელთან, როგორც დღემდე ფიქრობდნენ.<sup>50</sup> ეს კოლხური ტომი მოუხსენებია ჰესიოდეს სკოლის პოეტს პოემაში „ქალთა კატალოგი“ (VIII—VII ს.ს.)<sup>51</sup>. ჩვენთვის საინტერესო მითითება შემოხახულა ჰარპოკრატონისა და სვიდას ლექსიკონებში:

Harpor. Suid.: Μακροκέφαλοι Ἀντιφών ἐν τῷ Περὶ ὁμοιοῦσας. ἔθνος ἐστὶν οὕτω καλοῦμενον, οὗ καὶ Ἡσίοδος μέμνηται ἐν Ἰωναίων Καταλόγῳ. Παλαίφατος δ' ἐν τῷ Τρωϊκῶν ἐν τῇ Διῖνῃ φησὶν ὑπεράνω Κόλχων οἰκεῖν τοὺς Μακροκέφαλους<sup>52</sup>.

მაკროკეტალები, [მოიხსენიებს] ანტიფონტი წიგნში „თანხმობისათვის.“ ტომია ასე წოდებული, რომელსაც ჰესიოდეც იხსენიებს „ქალთა კატალოგის“ მესამე წიგნში. პალეფატე „ტროიკის“ მეშვიდე წიგნში ამბობს, რომ მაკროკეტალები ცხოვრობენ ლიბიაში, კოლხებს ზემოთ.

მაკრონების სამკვიდრებლად დასახელებული ლიბია პონტოს სანახებშია საძიებელი (შდრ. Pollux, II, 43: Μακροκέφαλος, ἄς τὸ περὶ Διῖνῃ ἔθνος). აქაური მკვიდრებია, გადმოცემით, კოლხთა მეზობელი ტომი ლიბისტინებისა (Διφαστῖνοι: Diophantus ἐν Πονταίοις; სტეფანე ბიზანტიელი s. v. იხ. „გეოგრაფია“, III, 281, Lycophr. Al., 1312: ἰασόνι εἰς Κύνταυν τὴν Διβυσταίην μολών).

<sup>50</sup> К сенофонт, Анабасис, перевод, статья и примечания М. И. Максимова; М. Л., 1951, гл. 275, ст. 35.

<sup>51</sup> პოემის ავტორის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძ. ლიტ. ისტ., I, 120, 123—124.

<sup>52</sup> F. Jacoby, FGH, I, 267.

წყაროებში მოხსენიებული ლიბია (ლიბისტიკე), ჩვენი აზრით, უნდა დაუკავშირდეს ჰომეროსთან დამოწმებულ ალიბეს ('Αλιβή—„ილიადა“, II, 856—857)—ჰალიძონების (ხალიძების) საცხოვრისს და არა აფრიკის ლიბიას, როგორც ფ. იაკობი ფიქრობს<sup>53</sup>.

ჰესიოდეს შემდეგდროინდელ ავტორებთან (უფროს ლოგოგრაფოსებთან, მომდევნო ხანის ისტორიკოსებთან, რომელთა მწერლებთან) მაკრონების ხსენება უკვე ხშირია. რამდენიმე ცნობას მოვიტანთ. ფსევდო-სკილაქსი „პერიპლუსში“ მაკრონთა საცხოვრებელ ტერიტორიას ტრაპეზუნტის რაიონით განსაზღვრავდა: „მაკროკეფალები; ბეჭირების შემდეგ მაკროკეფალების ტომია, ნავსადგური ფსორონი და ელინური ქალაქი ტრაპეზუნტი“; „მაკროკეფალების შემდეგ მოსინიკების ტომია და ნავსადგური ძეფირიოსი, ელინური ქალაქი ქოირადესი, არესის კუნძული. ესენი [მოსინიკები] მთებში ცხოვრობენ.“

ფსევდო-სკილაქსის მიხედვით მაკროკეფალების მეზობელი ტომებია: ბეჭირები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები<sup>54</sup>.

ჰეროდოტე მაკრონებს საკუთრივ კოლხების მეზობლად თვლის. მაკრონების მახლობლად ბინადრობენ მოსინები, ტიბარენები და მოსინიკები. ყველა ეს ტომი, ჰეროდოტეს გადმოცემით, სპარსეთის მეცხრამეტე საგამგებლო ოლქში (სასატრაპოში) შედიოდა<sup>55</sup>.

შედარებით უფრო დაწვრილებითი ცნობები მაკრონთა შესახებ დატულია ქსენოფონტის „ანაბასისში.“ ქსენოფონტის მიხედვით, მაკრონები ცხოვრობდნენ საკუთრივ კოლხების სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტრაპეზუნტიდან 3 გადასავალისა და 10 ფარსანგის მანძილზე, დაახლოებით აწინდელი გიუმშიხანეს რაიონში<sup>56</sup>.

აპოლონიოს როდოსელთან მაკრონების საცხოვრებელი ადგილი იგივეა; რაც ფსევდო-სკილაქსთან: „კუნძულის გადაღმა პირდაპირ ხმელეთზე ცხოვრობენ ფილირები; ფილირთა ზემოთ მაკრონები არიან, შემდეგ კი—ბეჭირების მრავალრიცხოვანი ტომი; ამათ მიყოლებით საპირები ცხოვრობენ, ხოლო ამათ შემდეგ მომიჯნავედ არიან ბიძერები, რომელთა ზემოთაც უკვე თვით მეომარი კოლხები მოსახლეობენ...“ („არგონავტიკა“, II, 392 შმდგ.).

კუნძული ფილირეს შემდეგ არგონავტებმა „ჩაუტურეს მაკრონებს, ბეჭირების უსაზღვრო მიწას, ამაყ საპირებს და ამათ შემდეგ

<sup>53</sup> FGH, I, 524.

<sup>54</sup> GGM, I, 63—64.

<sup>55</sup> ჰეროდოტე, III, 94.

<sup>56</sup> Xenophontis Anabasis, IV, 8, 1—8; V, 5, 18; VII, 3, 25.

ბიძერებს. საამო ქარის შემწეობით სწრაფად და განუწყვეტლივ მიიწვედნენ წინ. და აი, უკვე გამოჩნდა პონტოს უკიდურესი ყურე და კავკასიის მთების მალალი მწვერვალებიც აღიმართნენ“ („არგონავტიკა“, II, 1242 შმდგ.).

სტრაბონის ცნობით მაკრონები მერმინდელი სანნებია: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ქალღები და სანნები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს; [აქავეა] მცირე არმენია; ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აპაეტები, უწინდელი კერკიტები.“<sup>57</sup> მაკრონებთან გაიგივებული მაკროპოგონები, სტრაბონისავე ცნობით, აქეელების, ძიგების, ჰენიოხებისა და კერკეტების მეზობლები ყოფილან: „[სინდიკეს] შემდეგ არიან აქეელები, ძიგები, ჰენიოხები, კერკეტებიც და მაკროპოგონებიც.“<sup>58</sup>

სტრაბონის ხანაში, როგორც ვხედავთ, მაკრონების სახელი „სანნები“ ყოფილა. ამას ადასტურებს სტეფანე ბიზანტიელიც „ეთნიკაში“:

Μάκρωνες, οἱ νῦν Σάννοι.  
Στραβῶν δαδεδάτη, καὶ Ἐκαταίος  
'Ασία καὶ Ἀπολλώνιος δευτέρω.

მაკრონები, რომლებიც ახლანდელი სანნებია. [იხსენიებენ]: სტრაბონი მეთორმეტე წიგნში, ჰეკატე „აზიაში“ და აპოლონიოსი მეორე წიგნში.<sup>59</sup>

მაკრონების — სანნების (ზანების) შესატყვისი სატომო სახელია Τζანი (ან: Τჯანი). ეს ფორმა გვხვდება VI საუკუნის ბიზანტიელ მწერალთან პროკოპი კესარიელთან.<sup>60</sup> ტჯ კომპლექსით ბერძნულისათვის უცხო აფრიკატი ჭარის გადმოცემული: ბერძნული Τჯანი ქართულ „ჯანებს“ შეესატყვისება. ვესტათი თესალონიკელი დიონისეს განმარტებაში აღნიშნავს:

765. ... οἱ Μάκρωνες ἔθνος Ποντικόν, Βεχέρων νοτιώτερον. τούτους νῦν Σάννους φασμέν, ἰδιωτικώτερον δὲ Τζάνους... καὶ τῆν χῆραν δὲ τῶν Σάννων Τζανιατῆν λέγουσιν οἱ τῆν φράσιν ἰδιωτεροῦτες.<sup>61</sup>

მაკრონები, პონტოელი ტომი, ბეკირების სამხრეთით. ახლა მათ ვუწოდებთ სანნებს, უფრო მდაბიურად კი — ჯანებს (Τჯანის) ... სანნების ქვეყანასაც ჯანიკეს (Τჯანიაქ) ეძახიან ისინი, ვინც მდაბიურ გამოთქმას ხმარობს.

<sup>57</sup> სტრაბონი, „გეოგრაფია“, XII, 3, 18.

<sup>58</sup> იქვე, XI, 2, 1.

<sup>59</sup> ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, III, გვ. 281.

<sup>60</sup> იქვე, II.

<sup>61</sup> GGM, II, 349.

ჩვენ მიერ მოზიდული ცნობები მაკრონთა ტომის განლაგების გვიანდელ სურათს ასახავს. ამ სურათით დასავლურ-ქართული წარმოშობის, მეგრულ-ქანური ტომების კერად ევქსინის პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარეები მოჩანს. მაგრამ ერთ ბერძნულ წყაროში, აპოლონიოს როდოსელის პოემის სქოლიონებში, დაცულია ცნობა, რომელიც მაკრონთა ტომის განსახლების ოდინდელ ვითარებას წარმოგვიდგენს. იგი მნიშვნელოვანია, როგორც პელასგთა ეთნოგენეზისის, ისე ქართველი ტომების უძველესი ისტორიის თვალსაზრისით. ეს ცნობა, სხვა მონაცემებთან ერთად, მამტიციტებელი მასალაა იმ დებულებისა, რომ ქართველთა წინაპარი ტომებისა და ქართული კულტურის ფესვები ღრმად იყო გადგმული შორეულ საუკუნეებში და სივრცეებში. ირკვევა, რომ ქართული წარმომავლობის ტომები ძველისძველ ხანებში ბევრად უფრო დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი, ვიდრე ეს ისტორიისათვის შედარებით ადვილად ხელმისაწვდომ ეპოქებში ჩანს. ეს ცნობა, რომლის მიხედვითაც მაკრონები პელასგები ყოფილან და ეგეოსის ზღვის რაიონში უცხოვრიათ, პელასგთა ინდოევროპული წარმომავლობის ერთ-ერთი უარყოფელი ფაქტთაგანია.

\* \* \*

აპოლონიოს როდოსელის პოემის „არგონავტიკის“ I სიმღერაში არგონავტების კოლხეთისაკენ ლაშქრობის მარშრუტია ძირითადად გადმოცემული. მთავარი ეპიზოდებია: არგონავტები ლემნოსზე, არგონავტები კიზიკოსზე და ჰილასის ეპიზოდი.

პროპონტიდში (= მარმარილოს ზღვა) შენაგებულ არგონავტები მცირე ხნის ცურვის შემდეგ შეჩერდებიან „მთავორიან ნახევარკუნძულზე“ მდინარე ესებეს მარჯვენა მხარეს, პელესპონტის მცირე ფრიგიის საზღვართან. „არგონავტიკის“ ავტორი ამ გეოგრაფიულ პუნქტს კონკრეტულად არ ასახელებს, მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, უნდა ვიგულისხმოთ არქტონესოსი ქალაქ კიზიკოსით (Κίζικος)<sup>62</sup>. აქ ცხოვრობდნენ პელასგური მოდგმის დოლიონები, რომელთაც განავებდა ენეოსის ძე კიზიკოსი. ამ კიზიკოსმა კოლხეთს მიმავალი თესალიელი არგონავტები სიხარულით მიიღო, გაუმასაინძლდა და სურსათითაც მოამარაგა. როცა ზურჯპარმა დაბერა, არგონავტებმა ბაგირები ახსნეს და ხომალდი ზღვაში შეაცურეს. ღამით ამინდი წახდა. ამოვარდა საშინელი ქარიშხალი. ზღვის ბოზოქარმა ტალღებმა ხომალდი უკან დააბრუნა. არგონავტები კვლავ სტუმართმოყვარე

<sup>62</sup> აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 216, ზენ. 115.

დოლიონების მიწაზე გადავიდნენ, მაგრამ უკუხნეთ ღამეში ვერ მიხვდნენ, თუ სად იმყოფებოდნენ, დოლიონებმაც ვერ იცნეს მეგობრები და იფიქრეს მაკრიისელ ვაეკაცთა პელასგური ლაშქარი მოგვადგაო (*Μακρίων εἰσαντο Πελασγικὸν ἄρεα κέλσαι*). დოლიონებმა იარაღი აისხეს და ბნელ ღამეში არგონავტებს ეკვეთნენ. ამთაც ხელი გამოიღეს და დოლიონები დაამარცხეს. იასონმა დოლიონების ქაბუკ მეფეს—კიზიკოსს სიცოცხლე მოუსწრაფა. დილით ორივე მხარე მიხედა, თუ რა საშინელი და გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს. კიზიკოსის მეუღლემ—კლიტემ თავი ჩამოიხრჩო. ათემის ავტორი შენიშნავს: „დღესაც, როცა აქაური იონიელები კიზიკოსის მოსაგონებლად წმიდა ზეთს ზედაშედ დააქცევენ, საზოგადო წისქვილში ხორბალს ფქვავენ, და სამსხვერპლო კვერებს აცხობენ.“ მძიმე ცოდვისაგან განწმენდის მიზნით არგონავტები არქტონესოსის მთაზე—დინდიმონზე (აწინდელი მურად-დალი) ავლენ და შვირეაზიელ ღვთაებას „დიდ დედას“ რეა-კიბელეს მსხვერპლს შესწირავენ<sup>63</sup>.

როდოსელი პოეტის ამ გადმოცემაში მეტად საყურადღებოა ზემოთ მოტანილი სიტყვები—მაკრიისელ ვაეკაცთა პელასგური ლაშქარი (*Μακρίων Πελασγικὸν ἄρεα*). საყურადღებოდ მიუჩნევია ეს სიტყვები „არგონავტიკის“ სქოლიასტს და ამის გარეშემო, ცხადია, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, საკმაოდ ვრცელი განმარტებაც დაუწერია. აი ეს განმარტებაც. მოგვაქვს სქოლიონების Merkel—Keil-ის გამოცემით<sup>64</sup>:

Schol. Apoll. Rhod. I, 1024:

Μακρίων εἰσαντο Πελασγικὸν ἄρεα κέλσαι | τῶν καλουμένων Μακρίωνων, οἱ εἰσιν ἄποικοι Εὐβοέων, [ἀπ’ οὗ καὶ Μάκρωνες ἐκλήθησαν. καὶ Μάκρης γὰρ ἡ Εὐβοία ἐκαλεῖτο. Πελασγικὸν δὲ εἶπεν οὗτὸ τὸ πλησιόχωρον εἶναι τῇ Εὐβοίᾳ τῇ Πελοποννήσῳ, ἢ πρότερον ἐκαλεῖτο Πελασγία]. ἦσαν δὲ ἀστυγέτονες τῶν Δολιόνων οἱ Μάκρωνες. οἱ δὲ ἕθους Βεχέριων. φασὶ τὸς Μάκριας, οἷτι-

იფიქრეს, მაკრიისელთა პელასგური ლაშქარი მოგვადგაო] ეგრეთ წოდებული მაკრონების, რომლებიც გადმოსახლებულნი არიან ევბეელთაგან, [საიდანაც მაკრონები ეწოდათ. საქმე ისაა, რომ ევბეას მაკრიისიც ერქვა. პელასგური კი იმიტომ თქვა (პოეტმა) რომ ევბეა მეზობელი მხარეა პელოპონესისა, რომელიც უწინ პელასგიად იწოდებოდა].

<sup>63</sup> აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 57, შუდ. შტრ., კონფონი, 1, (368), XLI.

<sup>64</sup> Scholia in Apollonii Argonautica ex recensione Henrici Keilii, ed. R. Merkel, Lipsiae, 1854. ობ. Die Überlieferung der Scholien zu Apollonios von Rhodos, von Dr. Carl Wendel, Berlin, 1932.



νες ἀεὶ πολέμοισι τοῖς Κυζικηνοῖς. ἦσαν δὲ τὰ πολεμικὰ ἔργα ἡσυχῆ-  
 τες, ὡς ἱστοροῦσι Φιλοστράτους τε  
 καὶ Νυμφόδωρος οἱ τὰ περὶ τῶν  
 βίων αὐτῶν γεγραφότες. Διονύσιος  
 δὲ ὁ Χαλκιδεὺς εἰρησθαι φησιν  
 αὐτοὺς Μάκρωνας, ἐπειδὴ Εὐβοέων  
 εἰσὶν ἄποικοι. ἄλλοι δὲ Μάκρωνας  
 αὐτοὺς φασὶ λέγεσθαι διὰ τὸ πλε-  
 ονας εἶναι παρ' αὐτοῖς μακροκεφά-  
 λους, ὥσπερ παρὰ τοῖς Πέρσαις  
 γρυπτοῦς. μέμνηται δὲ τούτων  
 Ἡρόδοτος ἐν δευτέρᾳ. Πελασγικὸν  
 δὲ ἄρεα εἶπεν τὸν τῶν Μακριέων,  
 ἐπεὶ Εὐβοίων εἰσὶν ἄποικοι. ἥ δὲ  
 Εὐβοία πλησίον Πελοποννήσου  
 κεῖται, ἥτις τὸ παλαιὸν Πελασγίς  
 ἔκαλεῖτο. Μακριέων ἄποικοι Δολί-  
 οσιν οὗτοι καὶ πολέμοιοι.

მაკრონები დოლიონების მეზობ-  
 ლები იყვნენ. ზოგიერთები მაკ-  
 რისელებს უწოდებენ ბეკირების  
 ტომს, რომლებიც მუდამ ეომე-  
 ბიან კიზიკოსელებს. ისინი გამო-  
 წვრთნილნი იყვნენ საომარ საქ-  
 მეებში, როგორც მოგვითხრობენ  
 ფილოსტეფანე და ნიმფოდორე—  
 მათი ცხოვრების აღმწერელნი.  
 დიონისიოს ქალკიდელი ამბობს,  
 რომ მათ ეწოდათ მაკრონები, ვი-  
 ნაიდან ევბეელთაგან არიან გად-  
 მოსახლებულნიო. ზოგიერთები კი  
 ამბობენ, რომ ისინი იწოდებიან  
 მაკრონებად იმის გამო, რომ მათ-  
 ში ბევრზე ბევრია გრძელთავი-  
 ანი (მაკროკეფალოს), როგორც  
 სპარსებში არწივის ცხვირიანები.  
 იხსენიებს მათ ჰეროდოტე მეორე  
 წიგნში<sup>65</sup>. მაკრისელების ლაშქა-  
 რი პელასგურად მოიხსენია [პო-  
 ეტმა], ვინაიდან ისინი [მაკრისე-  
 ლები] ევბეელთაგან არიან გადმო-  
 სახლებულნი. ევბეა კი მდებარე-  
 ობს მახლობლად პელოპონესისა,  
 რომელსაც ძველად პელასგისი  
 ერქვა. მაკრისელთაგან ესენი  
 დოლიონების მოსაზღვრენი არ-  
 იან და მტრები.

„არგონავტიკის“ II სიმღერის 392-ე ტაეპის განმარტებაშიც  
 სქოლიასტი შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე მაკრონებზე ამბობს:

Μάκρωνες εἶμιος Σχυθῶν,  
 ἄποικον τῶν Εὐβοιέων. ἥ γὰρ  
 Εὐβοία καὶ Μάκρης ἔκαλεῖτο διὰ  
 τὴν θῆσιν.

მაკრონები სკვითური ტო-  
 მია ევბეელთაგან წამოსული; ევ-  
 ბეას ხომ მდებარეობის გამო  
 მაკრისი ერქვა<sup>66</sup>.

<sup>65</sup> ჰეროდოტე, II, 104.

<sup>66</sup> აბ. როდოსელის „არგონავტიკაში“ მოხსენიებულია მაკრისელთა (მაკრონთა)  
 მთები—Μακροῖδες οὐρακῆ, რომელთაც არგონავტები დინდიმონიდან (ახლანდელ-

ეს განმარტება დაწერილია ბერძენი კომპილატორის მიერ. ის არ არის დამოუკიდებელი ავტორი, მაგრამ განმარტებების წერის დროს დიდ ერუდიციას ამტკიცებს. იგრძნობა რომ მას ხელთ ჰქონდა მრავალი ძველთაძველი წყარო. სქოლიასტის განმარტებებში ბერძენი ძვირფასი ფრაგმენტი მოიპოვება იმ თხზულებებისა, რომლებიც დროთა განმავლობაში დაიკარგნენ. სქოლიასტს გამოყენებული აქვს შრომები ბერძენი ეპიკოსების, ლირიკოსების, ტრაგიკოსების, ლოგოგრაფოსების, ისტორიკოსების, გრამატიკოსებისა და მითოლოგების. ხშირადაა დამოწმებული ჰომეროსი და ჰესიოდე, პინდარე, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, ჰეკატე მილეტელი და ჰელანიკე ლესბოსელი, პეროდორე მითოლოგი, პეროდოტე, თუკიდიდე, ქსენოფონტი, დიონისიოსი, ფილოსტეფანე, ნიმფოდორე და სხვები.

სქოლიასტი რომ მაკრონთა შესახებ წყაროებს ზუსტად იცნობს, ეს ჩანს, მაგალითად, იქედან, რომ მიუთითებს პეროდოტეს II წიგნს, სადაც, მართლაც, მაკრონებზეა საუბარი. კარგად იცნობს სქოლიასტი III საუკუნის (ძვ. წ.) ეთნოგრაფოსების, ნიმფოდორესა და ფილოსტეფანეს, შრომებს. სქოლიასტის განმარტებებში ნიმფოდორე და ფილოსტეფანე კოლხური ტომების ზნე-ჩვეულებათა აღმწერელ ავტორებად გვევლინებიან. ანტიკური ტრადიცია ასახელებს ორ ნიმფოდორეს—ნიმფოდორე სირაკუზელსა და ნიმფოდორე ამფიპოლისელს. ზუზემილს შესაძლებლად მიაჩნია მათი ერთ პიროვნებად დაყვანა და მისი აღიარება აპოლონიოს როდოსელის უფროს თანამედროვედ<sup>67</sup>. ნიმფოდორეს კოლხური ტომების ზნე-ჩვეულებები აღწერილი ჰქონია ჩვენამდე მოუღწეველ თხზულებაში „ჩვეულებები“, რომლის გაშლილი სათაური იყო „უცხოურ ზნე-ჩვეულებათა შესახებ“ (Περὶ νόμων καὶ ἑθνεῶν τῶν ἄλλοθεν ἰσθμίου καὶ ἰσθμίου). ფილოსტეფანეს მიეწერება ავტორობა თხზულებისა „აზიაში არსებულ ქალაქთა შესახებ“ (Περὶ τῶν ἐν Ἀσίᾳ πόλεων). კოლხური ტომების ცხოვრება ფილოსტეფანეს, ჩანს, აქ ჰქონია აღწერილი. რაც შეეხება დიონისიოსს ქალკიდელს, იგი ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის მოღვაწეა. მას შეუთხზავს შრომა „ქალაქთა დაფუძნებების შესახებ“.

ლი მურად-დალი) გასტქერიან (I, 1112). ფსევდო-ორფეუსის „არგონავტიკის“ მიხედვით, მაკრონები ბითონიის ხალხის—მარიანდონების მფობლებია: *Μάκρονας Μακροσθονίσου ἑμοσιδαι* (ტ. 747). აქვე შევნიშნავთ, რომ ორფიკული „არგონავტიკის“ ტ. 747 *Μάκρονας* ერთ ვარიანტში შენაცვლებულია ფორმით *Μακρολέδες* — „მაკროლები.“

<sup>67</sup> Franz Susemihl, *Geschichte der griechischen Litteratur in der Alexandrinerzeit*, I, Leipzig, 1891, გვ. 475.

სქოლიასტის მიერ პირველწყაროების უხვი გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ მის ცნობებში მოიპოვება ის რაციონალური მარცვალი, რომელიც ნდობის ღირსია.

ზემოთ მოტანილი განმარტებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

1. მაკრონები იგივე მაკრისელები ანუ მაკრელები არიან (*Μακρίων... τῶν καλουμένων Μακράνων*).

2. მაკრონები—მაკრისელები პელასგური ტომია (*Πελασγικὸν ἄρα ἄργοναεττικὸν* ავტორის მიხედვით), რომელსაც უძველეს ხანებში პელოპონესის ანუ პელასგისის მახლობლად მდებარე კუნძულ ეგებზე უცხოვრია (*ἢ δὲ Ἐββοία πλησίον Πελοποννήσου κείται, ἥτις τὸ παλαιὸν Πελασγίς ἔκαλεῖτο*);

3. მაკრონთა ოდინდელ სამკვიდრებელ ეგებას ერქვა მაკრისი (*Μάκρις γὰρ ἢ Ἐββοία ἔκαλεῖτο*);

4. ეგების ძველი სახელისაგან—მაკრისისაგან შეერქვა სახელი მაკრონების ტომს (*ἀπ' οὗ καὶ Μάκρωνες ἐκλήθησαν*);

5. ეგებიდან მაკრონები მცირე აზიაში გადმოიხზნულან. აქ მათი მეზობლები ყოფილან მონათესავე, მაგრამ მტრულად განწყობილი, პელასგური წარმომავლობის დოლიონები (*ἦσαν δὲ ἀστυχεῖτονες τῶν Δολιόνων οἱ Μάκρωνες*).

აპოლონიოს როდოსელის ხანაში (III საუკ. ძვ. წ.), როგორც ეს არგონავტების მარშრუტიდან ჩანს, მაკრონების ადგილ-სამყლფელი ტრაპეზუნტის სანახებით განისაზღვრება. ეს მითითება ემთხვევა ანტიკური ხანის სხვა ავტორთა ცნობებს კოლხური ტომების განსახლების შესახებ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაგრამ ეს, როგორც ზემოთ ითქვა, გვიანდელი მდგომარეობაა. სქოლიასტის განმარტება მაკრონების განსახლების უძველესი ვითარების ამსახველ კონკრეტულ სურათს გვაწვდის. იგი საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ მაკრონები, ისევე—როგორც ქართველთა სხვა წინაპარი ტომები, უძველეს ხანებში მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებზე კი არ ცხოვრობდნენ, არამედ შორს—დასავლეთითაც, ეგეოსის ზღვის რაიონში და მკიდრო გენეტური კავშირი ჰქონდათ ამ რაიონის ავტოხთონ პელასგებთან.

კოლხური ტომის—პელასგი მაკრონების დაკავშირება კუნძულ ეგებასთან (მაკრისთან) სრულიადაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ამას ადასტურებს ანტიკურ წყაროთა ჩვენებები შორეულ საუკუნეებში ქართველურ ტომთა დიდ სივრცეებზე განსახლების შესახებ. ჰეროდოტეს ცნობილ გადმოცემაში, რომ კოლხებს ოდესღაც ეგვიპტეში უცხოვრიათ, ქემშარტების რაღაც მარცვალი უთუოდ მოიპოვება<sup>66</sup>; მით უმეტეს, რომ ამ გადმოცემას მხარს უჭერს ანტიკური

<sup>66</sup> ჰეროდოტე, II, 104.

ხანის მრავალი ავტორი და მათ შორის ისეთი სანდოც, როგორც სტრაბონი<sup>69</sup>. ცხადია, აქ უნდა გამოირიცხოს კოლხთა და ეგვიპტელთა იდენტიფიკაცია, რაც ჰეროდოტეს საერთო ეგვიპტოფილური კონცეფციით უნდა აიხსნას<sup>70</sup>.

სინამდვილის რალაც ნაწილს უნდა შეიცავდეს ძველი ავტორების მტკიცება პირენეს ნახევარკუნძულის იბერებისა და ქართველი იბერების ნათესაობის შესახებ. სტრაბონი ამბობს, რომ „დასავლეთის იბერთა ნაწილი გადასახლდა პონტოსა და კოლხეთის ზემოთ მდებარე ადგილებში (რომლებიც, აპოლოდორეს მტკიცების თანახმად, არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით), ეგვიპტელთა ნაწილი ეთიოპიასა და კოლხებში [გადასახლდა], ენეტების ნაწილი კი პათლაგონიიდან აღრიასისკენ.“<sup>71</sup> დიონისიოს პერიეგეტის ჩვენებით, კასპიისა და შავი ზღვის ყელზე მოსახლე იბერები, რომელთაც სასტიკი ბრძოლა აქვთ პირკანელებთან, პირენედან მოვიდნენ ოდესღაც აღმოსავლეთში: οἱ ποτε Περσῶν τε ἔπ' ἀντιολεῖν ἀφ' ἑσθραῖον ἢ ἀνθρακίου Ἰρκαχίου τε ἀπαχθῆα θῆρην ἔχοντες (ტ.ტ. 698, 699)<sup>72</sup>. ავიენ უსის ცნობით, იბერები პირენეს სანაპიროებიდან არიან გამოძევებულნი (ტ.883)<sup>73</sup>. ამასვე ამბობს ბიზანტიელი მოღვაწე სოკრატე სქოლასტიკოსი (დაახ. 380—440) „საეკლესიო ისტორიაში“: „იბერები ცხოვრობენ ეგქსინის პონტოსთან, ხოლო იმ იბერთაგან არიან გამოსულები, რომლებიც ისპანიაში არიან“.<sup>74</sup>

პირენეს იბერების ქართველ იბერებთან ნათესაობის შესახებ აზრი ძველ ქართველ მოღვაწეთა შორისაც იყო გავრცელებული. ექვთიმე მთაწმინდელს პირენეს ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობა დასახელებული ჰყავს, როგორც „კელტქართველნი დასავლისანი“.<sup>75</sup> ეს აზრი გატარებულია გიორგი მთაწმინდელის თხზულებაშიაც.<sup>76</sup> პირენეს უძველესი მოსახლეობის მემკვიდრეებად აღიარებული არიან ბასკები, რომელთა ენის დაკავშირებასაც იბერიულ-კავკასიურ ენებთან მეცნიერთა დიდი ნაწილი დადებითად ეკიდება.<sup>77</sup>

<sup>69</sup> სტრაბონი, I, 3, 21. სტრაბონი აქ ეყრდნობა აპოლოდორეს.

<sup>70</sup> თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 36.

<sup>71</sup> სტრაბონი, I, 3, 21.

<sup>72</sup> GGM, II, 146.

<sup>73</sup> SC, II, 2, 359.

<sup>74</sup> „გეორგიკა“, I, გვ. 230.

<sup>75</sup> გივი შოტლანია, მებურღნი, თბ. 1956, გვ. 23.

<sup>76</sup> გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი დე ფთაჟესი. თბ., 1946, თ. 33, § 5 1—2, გვ. 23—24.

<sup>77</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 362, 380; იხ. აგრეთვე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 006.

მადნეულების დამუშავებით სახელგანთქმული ქართველური ტომის—ხალიბების შესახებ ანტიკურ წყაროებში ხშირია მითითებები იმ გარემოებაზე, რომ ამ ტომს შორეულ ხანებში ვრცელი ტერიტორია ეჭირა<sup>78</sup>. ხალიბებთან დაკავშირებულ ცნობათა შორის ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ხალიბთა ერთ-ერთი უძველესი საცხოვრისი, ისე როგორც მაკრონებისა, კუნძული ეგებია ანუ მაკრისი იყო. ამ ცნობით ხალიბებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ლტოლვილ პელასგებად ჩანან.

ვერგილიუსის „გეორგიკების“ I, 58-ე ტაეპის განმარტებაში ნათქვამია:

Chalybes, gens in Ponto,  
inventrix ferri, dicti a Chalybio  
Euboeiae vico, quod hinc coloni  
fuerunt<sup>79</sup>.

ხალიბები—ტომი პონტოში, რომელმაც რკინა აღმოაჩინა; სახელი ეწოდათ ხალიბიუმიდან, ეგების სოფლიდან, რადგან აქედან გადასახლდნენ.

ეს განმარტება შეტანილია „Scholia Bernensia“-ში და შანციის აზრით, ეკუთვნის იუნიუს ფილარგირიუსს, რომელსაც ხელთ შრავალი ძველი წყარო ჰქონდა<sup>80</sup>.

ხალიბებიც მაკრონებთან ერთად ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებაში შემავალი ტომი იყო. აპოლონიოს როდოსელის, მისი სქოლიასტის და ანტიკური ხანის სხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი სურათი კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა დასავლურ-ქართული წარმომავლობის (resp. მეგრულ-ქანური) ტომების ოდინდელი სამკვადრებელი ვრცელი ტერიტორიის თანდათანობითი დაეწროება.

ამგვარად, ბერძნული (ინდოევროპული) ტომების სამხრეთ ევროპაში ჩამოსახლების პერიოდში პელასგი მაკრისელები—მაკრონები, სხვა პელასგური ტომების მსგავსად, ეგეოსის ზღვის რაიონიდან აყრილან და აღმოსავლეთით, ჯერ პროპონტიდის (მარმარილოს ზღვის), შემდეგ კი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გადმოიხზნულან და აქ ძველთაგანვე დამკვიდრებული ნათესავი ტომების მეზობლად დაბინავებულან.

<sup>78</sup> გ. გოხალიშვილი, *ზიტირიდატე პონტოელი*; თბ., 1962, გვ. 72—73.

<sup>79</sup> SC, II, 1, 27.

<sup>80</sup> M. Schanz, *Geschichte der römischen litteratur*; II, I; München, 1911, 128.

ახლა საჭიროა განვიხილოთ დასავლურ-ქართული სატომო სახელის „მაკრონი“ წარმომავლობის საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ „მაკრონი“ (სა-ნი-ი || ზან-ი) მეგრელთა სატომო სახელი იყო<sup>81</sup>.

სადაურობის აღმნიშვნელი სახელი მ-ე-გ-რ-ე-ლ-ი ძველი ქართული ენის ნორმების შესაბამისად ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელწოდების ფუძიდან ე-გ-რ-ქართ. ე-გ-რ-ის-ი<sup>82</sup>, სომხ. *სეგრე* — ეგერქ (შდრ. ეგვბტე — მეგვბტელი, აწყვერი — მაწყვერელი, ატენი — მატანელი, აჰარა — მაჰარელი, რუისი — მროველი, არგვეთი — მარგველი და მისთ.). ამავე ფუძიდან სხვა გახმოვანებით (ე — ა) და ცნობილი მეტათეზისით (გ-რ → რ-გ) ნაწარმოებია მ-ა-რ-გ-ა-ლ-ი<sup>83</sup>, რაც „ქართული მეგრელის — მ-ე-გ-რ-ელ — კანონზომიერი ზანური ვარიანტია ქართულისა და ზანურის დიფერენცია-ციამდე არსებული მასალისა, და არა საკუთარი მორფოლოგიური საშუალებით თვით მეგრულში აგებული ფუძე (მ — პრეფიქსიანი ტიპისა).“<sup>84</sup> მ-ა-რ-გ-ა-ლ-ში მეტათეზისი მეორეული მოვლენაა<sup>85</sup>. უნდა ყოფილიყო \*მ-ა-გ-რ-ალ —<sup>86</sup>, რასაც ადასტურებს: ქართ. ჭან. მ-ე-გ-რ-ელ — ← \*მ-ა-გ-რ-ელ —, აფხაზ. ა-გ-რ-ჟა, ძვ. სომხური ურედუქციო ეგერ-აცი (*სეგრავი*) და ბერძნულის ჩვენებები. კლავდიოს პტოლემეაიოსის (II საუკ. ახ. წ.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (Γεωγραφικη ἡφήγησις) დამოწმებულია Μάρμαλοι: „მარალები,“ სადაც -γρ- კომპლექსი პალეოგრაფიული შეცდომით აიხსნება. უნდა გვეჭონოდა Μάρμαλοι „მაგრალები.“ -გრ- კომპლექსს ადასტურებს ეგრისის ბერძნული გადმოცემა კლავდიოს პტოლემეაიოსთან: Ἐκρεταίη — „ეკრიტიკე“:

κατέχουσι δὲ τὰ μὲν ἐπὶ θάλα- კოლხეთის ზღვისპირა ნაწილ-  
άσσην ἤδη Κολχίδης Ἀἰῶσι, τὰ δὲ ში მდებარე ადგილები უკავიათ

<sup>81</sup> ი. ჯანაშია, ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 29; ს. ჯანა-  
შია, თუბალთბალი, ტიბარენი, იბერი; „ზრომები,“ III, 1956, გვ. 6.

<sup>82</sup> ფიჭრაძენ, რომ ე-გ-რ-ის-ი მოქმედობას ფორშიდან \*ე-გ-რ-ის-ი-  
ე-გ-ერ-ის-ი რედუქციით. აქ ე (ვარიანტით ა) სა — ფორმანტის ბადალია (შდრ.  
სა-მცხ-ე). იხ. პ. ინგოროვსკა, გიორგი მერჩულე. 1954, გვ. 138.

<sup>83</sup> შდრ. გვარი მორგოშია (ამაზე მიგვითითა პროფ. გ. როგავამ).

<sup>84</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ  
ენებში, თბილისი, 1942, გვ. 190.

<sup>85</sup> ს. ელენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა. I. მარცვლის  
აგებულების პრობლემა, თბილისი, 1960, გვ. 44.

<sup>86</sup> ს. ჯანაშია, ი. ც. გვ. 6.

ὑπερλειμενα Μάγραλοι και οι κατα λαზებს, ზემოთ მდებარე ადგი-  
 τήν Ἐκριτικὴν χώραν<sup>87</sup>. ლები კი—მანრალებს და ეკრი-  
 ტიკის ქვეყნის მცხოვრებთ.

Ἐκριτικὴ ეგრიის-ის ბერძნული შესატყვისია და არა დამახინ-  
 ჯებული გადმოცემა, როგორც ამას ფიქრობდნენ<sup>88</sup>. Ἐκριτικὴ იგი-  
 ვეა, რაც \*Ἐγριτικὴ; σ—τ-ს მონაცვლეობა ჩვეულებრივი ფონეტი-  
 კური მოვლენა ძველ ბერძნულ ენაში. ἢ Ἐκριτικὴ (←\*Ἐγριτικὴ)  
 χάρα „ეგრიის-ის (ეგრიის-ულ) ქვეყანას“ აღნიშნავს. -ი- სადაურო-  
 ბის, ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსია. თუ მას გამოვყოფთ, და-  
 გვრჩება Ἐκριτ←\*Ἐκρισ—, სადაც χ ρ კომპლექსის მონაცვლეა  
 (γρ→κρ—ცნობილი გადასვლა ბერძნულში: \*Ἐκρισ←\*Ἐγρισ-)<sup>89</sup>.

გეოგრაფიული სახელწოდების ფუძე ა—თავკიდური ხმოვნით  
 და ქართულ-ზანური სადაურობის აღმნიშვნელი მ—პრეფიქსის დაც-  
 ვით შემონახულია მეგრელთა ადრინდელ ბერძნულ სატომო სახელ-  
 ში Μάκρ-ავ-ეს (მხ. რიცხვი Μάκρ-ავ, ავ-ოც), სადაც—οι სადაურო-  
 ბ.ს სუფიქსია<sup>90</sup> (შდრ. Δολλαν, ავ-ოც, Κίλ-οვ-ეს, Καν-οვ-ეს, Λάκ-  
 ავ,—ავოც, Μακρ-ών,—ბვ-ოც და სხ.).

სატომო სახელის Μάκρ-ავ-ეს უძველესი ვარიანტია Μακρῖες←  
 Μακρῖες, მხ. რიცხვ. \*Μακρῖες, რაც ქართულ-ზანური \*მ-აგრ-  
 ალ-ი-ს შესატყვისია და გაფორმებულია ბერძნული მორფოლოგიუ-  
 რი ინვენტარით. იგი მომდინარეობს სახელისაგან Μάκρῖς—მაკრ-  
 ის-ი. ფორმაში Μακρῖες (კონტრაქციით→Μακρῖες)—ეს ჯგუფი  
 ასე დაიშლება: ε—ეს, სადაც ε -ეს სუფიქსის ნაშთია, -ეს კი მრავ-  
 ლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის მაწარმოებელი ნიშანი.  
 რაც შეეხება ი-ს, იგი გეოგრაფიული პუნქტის სახელის—Μάκρῖς  
 მაწარმოებელი სუფიქსის -იσ ნაშთი უნდა იყოს. ქართ. ზან, გ-ს  
 შესატყვისად რომ x გვაქვს, ეს დაბრკოლებას არ ქმნის (შდრ.  
 Ἐκριτικὴ, სადაც Ἐκρι- ეგრ—ფუძის შესატყვისია).

<sup>87</sup> Ptol. IX, 5; შდრ. ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეიოსი, „გეოგ-  
 რაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ: მასალები საქართ.  
 და კავკ. ისტ., ნაკვ. 32, გვ. 45, გვ. 57. რიგ ხელნაწერებში (A, B, C, E. F cod.  
 Paris და Codex Urbinas Graecus 82) წარმოდგენილია ზედარი ფორმა—  
 Ἐκριτικῆ.

<sup>88</sup> ს. ჯანაშია, ო. ც. გვ. 189.

<sup>89</sup> ს. ჯანაშია „ეკრეტ“-ს (აჯობებდა პალეოგრაფიულად სწორი ოკ-  
 რიტ“) უკავშირებს ზუგდიდის რაიონში დაცულ ვ რ გ ე ტ ა-ს (←ეგრეტა, მეგრუ-  
 ლისათვის დამახასიათებელი მეტათეზისით) ანაკლიის მახლობლად, აღმოსავლუ-  
 თით. იხ. ს. ჯანაშია, ო. ც. გვ. 189.

<sup>90</sup> K. Brugmann, Griech. Grammatik, München, 1911, 211.

მაკრონთა უძველესი სამოსახლო კუნძულის Μάκρῳ სახელში ადგილის მაწარმოებელი იგივე -*μα*- სუფიქსი გვაქვს, რაც ფორმაში ეგრ-ი-ს-ი, რომლის უძველესი ვარიანტი შეიძლება \**α-გრ-ის-ი* იყო.

ეგეოსის რაიონისა და მცირე აზიის ტოპონიმიაში ძველად გავრცელებული კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი -*s(s)*—(*tt*), ისევე როგორც სუფიქსი -*ntē*, არაინდოევროპული წარმომავლობის სუფიქსადაა აღიარებული (პოტი, კიპერტი, ფიკი, კრეჩმერი, ბუგე. ტრომბეტი; განსაკუთრებით მკვეთრადაა ეს მოსაზრება გამოთქმული Snodgrass-ისა და მერე Ernst Sittig-ის მიერ). მას პელასგურ სუფიქსად მიიჩნევენ და იბერიულ-კავკასიური ენების ადგილის მაწარმოებელ სუფიქსს (ქართ. -ის-ი, ზან. -იშ-ი: ქუთაის-ი, კუმ-ის-ი, ჯიხა-იშ-ი და მისთ.) უკავშირებენ (შდრ. ბერძნული სახელები პუნქტებისა; \**Ἀχρῖσ(σ)χ*, *Κηφῖσ(σ)ς*, \**Ἰλισ(σ)ς*, *Τελευθῖσ(σ)ς*, \**Ἀλιαχρῖσ(σ)ς*, \**Ἀργῖσ(σ)α* და სხ.). ეგევე სუფიქსია დაცული ქუთაისის ბერძნულ გადმოცემაში *Κυταῖνῆς* (აპოლონიოს როდოსელი, ლიკოფრონი, ეესტათი თესალონიკელი, სტეფანე ბიზანტიელი, სვიდა...)<sup>91</sup>

ეთნოგენეტიკური საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი წყაროა ტომთა სახელები, ტოპონიმია, ამ სახელთა ენობრივი მიკუთვნება და გავრცელების არე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ მხრივ ქართული სატომო სახელის *მ-არგ-ალ-ის* (*←\*მ-ა-გრ-ალ: Μάκρ-αγ-εξ*, *Μάκρ-ι-εῖς*) ფუძე. ეს პელასგური ფუძე დაცულია ბერძნულად მიჩნეულ, მაგრამ ბერძნული ენის ნიადაგზე მცდარად ახსნილ მრავალ სახელში, როგორც პირთა, ისე გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებშიც. ამ ფუძიდანაა ნაწარმოები ხომალდის სახელი \**Ἀργῶ*—„არგო“, რომლის ეტიმოლოგია თანამედროვე ლექსიკონებშიც კი გულუბრყვილოდ ემყარება ბერძნულ ზედსართავ სახელს *ἄργος*—„სწრაფი“<sup>92</sup> ამავე ფუძეზეა აგებული „არგოს“ მეზღვაურთა სახელი \**Ἀργοναυτᾶν*—„არგონავტები“<sup>93</sup> ს. ჯიქია დამაჯერებელი ვარაუდით უკავშირებს *არგ-ფუძეს* კოლხური ტო-

<sup>91</sup> ყურადღებას იპყრობს კრეტის ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშებში დადასტურებული სახელი კრეტის გეოგრაფიული პუნქტისა: *Kutatijo, Kutasijo, Kutatijx* ვარიანტებით; იხ. *C. M. Лурье, о. с. გვ. 205*. ეს სახელი პელასგური წარმომავლობისა ჩანს; კრეტა ხომ პელასგთა სამკვიდრებელი იყო. „კრეტასთან ქართულ ტომებს მრავალი ძაფი აკავშირებს“: ს. ჯანაშია, ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის; „შრომები“, III, 193.

<sup>92</sup> როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ექვთიმე ათონელი, ეტყობა ბერძნულ წყაროზე დაყრდნობით, ამ სიტყვას განმარტავდა როგორც „უქმს“ (*ძეგრძ←ძეგრძ*): აქედან „არგონავტები“—„უქმი მენავენი“.

<sup>93</sup> არგონავტების სხვა სახელია „არისტონავტები“—*Ἀριστοναυτᾶν* (პანკსანი, VII, 26, 14), რაც ბერძნულად იხსნება და „საუკეთესო მეზღვაურთ“ აღნიშნავს.



მების სამკვიდრებელი ადგილის სახელს (ე - გ რ - ის - ი || \*ა - გ რ - ის - ი მეტათეზისით — \*არგ - ი შ - ი — \*არგ - ის ქვეყანა“).

პელასგური წარმომავლობის ფუძე არგ - || ა გ რ - დატულია ეგეოსის რაიონის ტოპონიმიაში. ამ ფუძის შემცველი სახელებით მოიხსენიება სწორედ პელასგთა ოდინდელი სამკვიდრებელი ადგილები: 'Αχαΐαζν "Αργος — ქაიის არგოსი — პელონესი, Πελαγιάζν "Αργος — თესალია — და სხ. ჰომეროსთან არგოსი ზოგჯერ მთელ ელადასაც კი ეწოდება<sup>84</sup>. მეტად საყურადღებოა არა მარტო ფუძით, არამედ პელასგური სუფიქსითვე წარმოებული, ჰომეროსთან მოხსენიებული თესალიის ქალაქის სახელი "Αργεσσα — არგის - სა<sup>85</sup>. სტეფანე ბიზანტიელი ამ ქალაქს უწოდებს არგურას — "Αργυρα და შენიშნავს: „არგურა თესალიის ქალაქია; უწინ ერქვა არგისსა...“<sup>86</sup> სვიდას ცნობით მაკრონებისა და ხალიბების ოდინდელი სამკვიდრებელი ყვების ერთ-ერთ ქალაქს ეწოდებოდა არგუსა — "Αργεσσα<sup>87</sup>.

იმავე ფუძის შემცველია საკუთარი სახელი არგოსი — "Αργος. ამ სახელის მატარებლებია: აიეტის შვილიშვილი (ფრიქსესა და ქალკიოპეს ძე), ხომალდის მშენებელი — თესალიელი არგონავტი, ზეესისა და ნიობეს ვაჟი და სხ. ამ სახელის ბადალია ჰესიოდესთან მოხსენიებული აგრიოსი — "Αγριος. ასე უწოდებს პოეტი კირკესა და ოდისევესის ვაჟს<sup>88</sup>.

მაკრონ-ხალიბთა ოდინდელ საცხოვრისს — კუნძულ ეგებას (ახლანდელი ნეგროპონტი, ევია, ეგრიბოსი) რომ უძველეს ხანებში მაკრიოსი ერქვა, სქოლიასტის გარდა, ამას სხვა მრავალი ავტორიც გვიმოწმებს (ფეოროსი, კალიმაქე, სტრაბონი, დიონისიოსი, არისტიდე, პლინიუს უფროსი, ევსტათი თესალონიკელი და სხ.). პლინიუსი გადმოგვცემს:

Eufoea... antea vocitata est ეგებეა... უწინ ერქვა ხალკო-  
Chalcodotis, aut Macris, ut Di- დოტისი ანუ მაკრიოსი, რო-  
onysius et Ephorus tradunt; ut გორც დიონისიოსი და ფეოროსი.

<sup>84</sup> „ილიადა,“ XII, 70; XIV, 70. იხ. Eusth. ad II. B, 738.

<sup>85</sup> „ილიადა,“ II, 738. •

<sup>86</sup> Steph. Byz., s. v.

<sup>87</sup> სვიდა, s. v.

<sup>88</sup> „თეოგონია,“ ტ. 1013. სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულია კითხვა იმის შესახებ, რომ „არგონავტიკის“ არგოსი ეგებ იყოს ლეონტი მროველის ეპონიმის ეგროსის (ეგროსმა მისცა სახელი ეგრიოსს) ექვივალენტი. იხ. თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 182. ჩვენ მიერ მოზიდული მასალის საფუძველზე ეს კითხვა, ჩანს, დადებითად უნდა გადაწყდეს. შესაძლებელია, არგოსი პელასგურ-კოლხური სამყაროს თნარაქ-ეპონიმად ვიგულოთ.

Aristides, Macra; ut Callidemus, Chalcis; aere ibi primum reperi-  
to; ut Menaechmus, Abantias;  
ut poetae vulgo, Asopis<sup>99</sup>.

გადმოგვეცემენ; როგორც არის-  
ტიდე—მაკრა; როგორც კალი-  
დემუსი—ხალკისი; აქ აღმოჩნდა  
პირველად ბრინჯაო. როგორც  
მენეხმუსი [ამბობს], აბანტიასი  
[ერქვა], როგორც პოეტები ჩვე-  
ულებრივ—ასოპისი.

§ 4. ფეაკები. ბერძნულ გადმოცემებში არსებული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ კოლხურ გარემოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ჰომეროსთან სქერიად წოდებული კუნძულის (დრეპანე, კერკირა—კორკირა, კორფუ) მკვიდრ. პელასგური წარმომავლობის ფეაკებს (Φαίακες).<sup>100</sup>

ჰომეროსის „ოდისეასა“ და არგონავტების თქმულებაში ფეაკების საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების დონე უაღრესად მაღალ საფეხურზეა წარმოდგენილი. ფეაკთა ბასილევსის—ალკინოეს სასახლის კარის აღწერილობა ბევრ რამეში ემთხვევა აიეთის სასახლის აღწერილობას. ხომალდთმკეთებლობითა და მეზღვაურობით სახელგანთქმული ფეაკები მეტად სიმპათიურად არიან განწყობილნი კოლხების მიმართ. ლტოლვილ კოლხებსა და აიეტის ასულ მედეას ისინი თავშესაფარს აძლევენ და მოწიწებით ექცევიან. შემთხვევით ვერ ჩავთვლით იმ გარემობას, რომ იასონისა და მედეას ქორწინება სწორედ ფეაკების მხარეში ხდება. „ნავპატიური ეპოსის“ მიხედვით, იოლკოსიდან ლტოლვილი იასონი და მედეა ფეაკებთან დასახლდებიან (ფრგ. 10). ლიკოფრონის „ალექსანდრას“ ცეცესეულ განმარტებაში ნათქვამია, რომ კოლხეთიდან დაძრული დრაკონი ოქროს საწმისს ფეაკების ქვეყანაში ეძებს (630-ე ტაბ. განმარტ.). ფეაკების კუნძულს, რომელსაც ჰომეროსი სქერიას (Σχερῖη) უწოდებს, უფრო ადრე მაკრისი ერქვა, ე. ი. იმ სახელს ატარებდა, რომელსაც მაკრონებისა და ხალიბების საზოგადოება ევბეა.<sup>101</sup>

<sup>99</sup> Plin., Nat. hist., IV, 21. ვებების ერთ-ერთ სახელში—ხალკოლოტისი და ქალაქის—Χαλκίς სახელში, შესაძლოა, იგივე უფუძ გვეპოვნდეს, რაც ვებეაზე ძველად მოსახლე ხალიბთა სახელში.

<sup>100</sup> ფეაკების არაინდოევროპული წარმომავლობის შესახებ აზრი გამოთქმული აქვს Anton Mayer-ს: Die Sprache alten Illyrior. Bd. I. Einleitung. Wörterbuch der illyrischen Sprachreste. Wien, 1957. ფეაკთა პელასგურ წარმომავლობასთან დაკავშირებით საყურადღებო დასკვნები წარმოადგინა თავის მოხსენებაში სტ. რ. ვარდუხიანი: „ოსუ სტუდენტთა სამეც. კონფერენცია; XXIII“ თეზისები; 1961; გვ. 156.

<sup>101</sup> ამავე სახელით მოიხსენიება ზოგჯერ კუნძული ქიოსიც.

აპოლონიოს როდოსელთან მაკრისი ნიმფის სახელიცაა. ყრმა დიონისე—ღმერთის ძიძა მაკრისი ღმერთქალ ჰერას ოდესლაც ევბეიდან გამოუძევებია. ნიმფა მაკრისი ფეაკების კუნძულზე წმინდა მღვიმეში დასახლებულა. იგი მოხსენიებულია იასონისა და მედეას შეუღლებასთან დაკავშირებით: „[არგონავტებმა] თასებში წვისისამებრ ზედაზე შეურიეს ნეტარი ღმერთებისათვის და სამსხვერპლო საქონელიც წვისისამებრ მოიყვანეს. იმ ღამესვე მოუშაღეს ქალწულს საქორწინო სარეცელი წმინდა გამოქვაბულში, სადაც ოდესლაც ცხოვრობდა კეთილშობილი არისტაიოსის ასული მაკრისი. არისტაიოსმა აღმოაჩინა ფუტკართა საქმე და მრავალნაამადგარი ზეთის ხის ზეთი. მაკრისმა აბანტიდურ ევბეაზე<sup>102</sup> პირველად შეიფარა თავის კალთაში ზევსის ნისეელი ძე [დიონისე] და თაფლით მოუსველა გაფიცხებული ბაგე, როცა იგი ჰერმესმა ცეცხლიდან ამოიტაცა. ეს ჰერამ იხილა. განრისხდა მაკრისზე და კუნძულიდან გააძევა. მაკრისი შორს—ფეაკების წმინდა გამოქვაბულში დასახლდა და იქაურ მცხოვრებთ ენითუთქმელი სიმღედრე უბოძა... ის [გამოქვაბული] ჯერ კიდევ ახლაც მედეას წმინდა გამოქვაბულად იწოდება“.<sup>103</sup>

ცოტა უფრო ზემოთ ნიმფა მაკრისი ღმერთქალ დეოს (დემეტრეს) საყვარელ ღვთაებადაა აღიარებული: „დეო ოდესლაც ამ მიწაზე ცხოვრობდა. მას უყვარდა მაკრისი და ტიტანებს [ნამგლით] მწიფე თავთავის მომკა ასწავლა. აი აქედან იწოდა დრეპანედ [„ნამგლად“] ფეაკების წმინდა ძიძა.“<sup>104</sup> ხოლო თვითონ ფეაკები ურანოსის მოდგმისა არიან“.<sup>105</sup>

როგორც ჩანს, ნიმფა მაკრისი პელასგური ღვთაება იყო, რომელსაც თავყანს სცემდნენ მაკრისელები. არ შეიძლება, შემთხვევითად ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ ზევსის ბანაკის ღვთაება—ჰერა ნიმფა მაკრისს (პელასგურ ღვთაებას) ევბეიდან აძევებს ისევე, როგორც პელასგი მაკრონები გამოაძევენ მოსულმა ელინებმა. როგორც ცნობილია, მოსულ ინდოევროპელთა ბრძოლა წინაბერძნულ მოსახლეობასთან ბერძნულ მითებში ღმერთების ბანაკთა შორის ბრძოლაშია ასახული. ზევსი და მისი ბანაკის ღვთაებები ახალი

<sup>102</sup> აბანტები ევბეის უძველესი პელასგური მოსახლეობის ერთ-ერთი სახელია („ოდისეა“, II, 586). ჰეროდოტეს ცნობით, აბანტები ევბეიდან იონიასა და მც. აზიაში გადასახლდნენ (I, 146). პაპუს აბანტები წინაელინურ თრაკიელებად მიაჩნია: Pape's wörterbuch der griech. Eigennamen. B., 1894. s. v.

<sup>103</sup> აპ. როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 187.

<sup>104</sup> ე. ი. კუნძული მაკრისი—სქერია.

<sup>105</sup> აპ. როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 183.

ღმერთებია, რომლებიც უპირისპირდებიან ძველ ღმერთებს (პრომეთეს, ჰემესტოს, მაკრიოს).<sup>108</sup>

ასევე ვერ ჩავთვლით შემთხვევითად იმას, რომ ნიმფა მაკრისმა თავი ფეაკების კუნძულს შეაფარა. ამ კუნძულსაც უძველეს ხანებში, როგორც აღინიშნა, მაკრისი ერქვა და პელასგთა სამკვიდრებელს წარმოადგენდა. მის ღვთაებებად ზევსის მოწინააღმდეგე ტიტანები იყვნენ, რომელთაც ღმერთქალმა დემეტრემ პურის მომკა ასწავლა. აქედანაც კარგად ჩანს, რომ ნიმფა მაკრისი ტიტანების (პრომეთეს) ბანაკის ღვთაება იყო.

\* \* \*

ძველ ბერძნებს სატომო და გეოგრაფიული პუნქტების სახელები—Μάκρωςჯ და Μάκρις—„მაკრონები“, „მაკრისი“ დაუკავშირებიათ სიტყვასთან „გრძელი“—μακρὸς. ამ გააზრების საფუძველზეა წარმოქმნილი მაკრონების ისეთი სახელები, როგორიცაა—მაკროკეფალები—„გრძელთავიანები“ (ἡ μακρὰ κεφαλή) და მაკროპოგონებიც—„გრძელწვერიანები“ (ὁ μακρὸς πύγυς). კუნძულ ევბეას ამ გააზრების მიხედვით მაკრისი იმიტომ ეწოდება, რომ გრძელი კუნძულია (ἡ μακρὰ νῆσος). ევბეა, მართლაც, გრძელი და დიდი კუნძულია, მაგრამ სხვა პუნქტები (ქიოსი, სქერია...), რომელთაც იგივე სახელი მაკრისი ერქვათ სრულიადაც არ არიან გრძელნი და დიდნი!

§ 5. დოლიონები. როგორც ზემოთ დავინახეთ, მაკრონებს უცხოვრიათ პროპონტიდაშიც (კიზიკოსის სანახებში) პელასგური ტომის დოლიონების (Δολιόνες) მეზობლად. დოლიონებს მოიხსენიებენ: ჰეკატე მილეტელი, პეროდორე, დეიოქე, ეფოროსი, აპოლონიოს როდოსელი და მისი სქოლიასტი, სტრაბონი, სტეფანე ბიზანტიელი. ფსევდო-ორფევის „არგონავტიკაში“ მათი სახელია დოლიები—Δολιῆς (ტ. 504). აბ. როდოსელის ცნობით დოლიონები მოსახლეობდნენ მც. აზიის მდინარეების ესპესა და რინდაკის შუა მდებარე მხარეში („არგონავტიკა“ I, 952—1022).

დოლიონების პელასგურ წარმომავლობას და მათ გენეტურ კავშირს ქართველურ—კოლხურ ტომებთან ადასტურებს რიგი ფაქტებისა:

I. დოლიონების წინამძღოლის კიზიკოსის მამა არგონავტთა თქმულების მიხედვით იყო აპოლონიისა და სტილბეს ძე თესალბ-

<sup>108</sup> შეად. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, 83. 298—299.

ელი ენეოსი; კიზიკოსის დედა ენეტე თრაკიის მეფის ეგსორეს ასულია. თესალია და თრაკია ბერძნული ტრადიციით პელასგთა ოდინდელი სამკვიდრებელია. ბიზანტიური ხანის მოღვაწე გიორგი სინგლოზი (VIII—IX საუკ.) თავის „ქრონიკაში“ იაფეტის მოდგმის ჩამოთვლის დროს აღნიშნავს, რომ თესალიელთა წინაპარი იყო თობელი:

ε'. Θωβέλ. ἐξ οὗ Θεσσαλοί.

თობელი, რომლისგანაც არიან თესალიელები.<sup>107</sup>

ამასვე გადმოგვცემს Liber generationis:

Thobel, unde Etthalienses

თობელი, საიდანაც არიან ეტთალიელები<sup>108</sup>

აქ Etthalienses ნაცვლად უნდა იყოს Thessalienses.

თობელი ანუ ტაბალები ქართველთა წინაპარ ტომადაა მიჩნეული.<sup>109</sup> თობელის ტომის შესახებ ძველი. ფრაგმენტულად შემონახული „ქრონიკა“ გადმოგვცემს:

ἐκ δὲ τῶν Θωβέλ Θιβήλοισι, οἱ  
νῦν Ἰβήρες

თობელისაგანა თობელები, ახლანდელი იბერები.<sup>110</sup>

თეოდორიტეს განმარტებაში ნათქვამია: „თობელ ეწოდებათ იბერებს, ხოლო მოსობ—კაპადოკიელებს“.<sup>111</sup>

იოსებ ფლავიოსი გადმოგვცემს: „თობელმა დაათუძნა თობელეზი, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ“.<sup>112</sup>

2. მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ის, რომ ეგსორეს ძე აკამანტი (ენეტეს ძმა) ტროელთა მხარეზეა და ბერძენთა წინააღმდეგ იბრძვის; კიზიკოსის მეუღლის კლიტეს მამა მეროპი მცირე აზიის ქალაქის პიტეიას (ლამფსაკის) მეფეა. მისი ორი ვაჟი, ადრესტე და ამფიოსი, ასევე ტროელების რიგებში იბრძვიან.<sup>113</sup> ბერძნული ტრადიციით ტროადელებსა და კოლხებს სთვლიდა ერთი ორიენტაციის ხალხებად, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ბერძნებს. ტროის ომში ტროელთა მხარეზე მებრძოლებს შორის ჩვენ

<sup>107</sup> „გეორგიკა.“ IV. 1. თბ., 1941. გვ. 61.

<sup>108</sup> „გეორგიკა.“ I, თბ., 1961. გვ. 12.

<sup>109</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. I, 1951, გვ. 3 და შდგ.

<sup>110</sup> „გეორგიკა.“ IV. 1. გვ. 7. იხ. Chr. Paschale, ed. Dindorfius, II, 237.

<sup>111</sup> „გეორგიკა.“ I, გვ. 222.

<sup>112</sup> „გეორგიკა.“ I, გვ. 271.

<sup>113</sup> „ილიადა“, II, 830; 844.

ისეთ ტომებს ვხვდებით, რომელთა ნათესაობა კოლხურ ტომებთან საეჭვო არ უნდა იყოს.<sup>114</sup>

3. მცირეაზიელი ღვთაება „დიდი დედა“—ტეა-კიბელე დოლიონებისა და მაკრონების საერთო სათაყვანო ღვთაებაა.

4. ეფროსი დოლიონებს თესალიიდან ლტოლვილ პელასგებად თვლის. აპ. როდოსელის სქოლიასტი გადმოგვცემს: „ეფროსი ამბობს, რომ დოლიონები, რაკი პელასგები იყვნენ და მტრობდნენ თესალიისა და მაგნესიის მცხოვრებთ, ვინაიდან მათ მიერ იქმნენ გამოძევებულნი, თავს დაესხნენ [არგონავტებს]“.<sup>115</sup>

I საუკუნის ისტორიკოსი და გრამატიკოსი კლნონიცი თავის „მოთხრობებში“, რომლის ფრაგმენტებზე ჩვენამდე ფოტიოსის წყალობით მოაღწია, პირდაპირ ამბობს, რომ დოლიონები პელასგები იყვნენ და თესალიიდან ელინებმა გამოაძევეს. ეს გადმოცემულია 41-ე თხრობაში, სადაც კონონი პელასგიდების შესახებ გვიამბობს: „კიზიკოსს მოსახლეებად პელასგები ჰყავდა. აპოლონის ძემ—კიზიკოსმა, რომელიც თესალიაში მცხოვრებ პელასგებზე მეფობდა და ეოლიელების მიერ პელასგებთან ერთად გამოძევებულ იქნა, აზიის ნახევარკუნძულზე დააფუძნა ქალაქი და მისცა მას სახელი... საწმისზე მიმავალი იასონის ლაშქარი „არგოთი“ კიზიკოსს მიაღდა. როცა პელასგებმა [დოლიონებმა] თესალიური ხომალდი შენიშნეს, გამოძევების რისხვის გამო „არგოს“ ღამით ბრძოლა დაუწყეს“.<sup>116</sup>

სხვა წყაროებიდანაც ჩანს, რომ დოლიონები პელასგები იყვნენ და მათ ოდინდელ სამკვიდრებელს თესალია წარმოადგენდა. მოსულმა ინდოევროპელმა ელინებმა პელასგი დოლიონები თესალიიდან განდევნეს და მათ ძველ სამკვიდრებელს დაეპატრონენ. თესალიიდან აყრილმა დოლიონებმაც, მაკრონთა ტომის მსგავსად, მცირე აზიაში—კოლხურ გარემოში დაიდეს ბინა.

\* \*

მიმოხილული ცნობები პელასგურ-კოლხური ტომების განსახლების უძველესი ვითარების ამსახველი სურათებია. ეს ცნობები, რომელთაც წინაეღინური მოსახლეობის პრობლემის მკვლევარისათვის გვერდუაღუღელი დოკუმენტების მნიშვნელობა აქვთ, საშუა-

<sup>114</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ისტორიის I, 2—3 თავი და ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგი“: უნივერსიტეტის „შრომები“, XXXIV a—b, 1948. იხ. აგრეთვე—თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია“, გვ. 19.

<sup>115</sup> F. Iacoby, FGH, II, 58; იხ. ტექსტებში ეფროსი, ფრგ. 61 (104).

<sup>116</sup> F. Iacoby, FGr. H I, 205. იხ. ტექსტებში კონონი, 1 (368).

ლებას იძლევა, დავასკვნათ, რომ ზემოხსენებული კოლხური ტომები, სხვა პელასგურ ტომებთან ერთად, დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი. ისტორიულ ხანაში კი ამ ტერიტორიის თანდათანობითი დაეწროება მოხდა.

ასეთია რეალური ვითარება კოლხური ტომების პელასგური წარმომავლობისა და მათი უძველესი საცხოვრისის საკითხთან დაკავშირებით. სრულიად უსაფუძვლო ჩანს ლატიშვილისეული Scythica — Caucasicა-ს რუსული ტექსტის კომენტატორის შენიშვნა: „Кавказские Макроны... оказываются переселенцами с острова Эabei лишь благодаря сходству наименований (Макроны — Макрида, одно из названий острова Эбси в древности).“<sup>117</sup>

✱ § 6. ცნობა კოლხური დამწერლობის შესახებ. ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი ერთ-ერთი ურთულესი საკითხთაგანია. ამ დამწერლობის შექმნის თარიღის დადგენა და ქართული ანბანის წარმომავლობა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო და კვლავაც ინტენსიური კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს. ფეხმოკიდებული იყო ჰიპოთეზა, თითქოს ქართული ანბანი ჩვენს წელთაღრიცხვის V საუკუნეში შექმნილიყოს.<sup>1</sup> „თავდაპირველად ქართველები—ადინშნავდა კ. კეკელიძე—თავიანთ საჭიროებას იკმაყოფილებდნენ უმთავრესად არამეული და ბერძნული დამწერლობის საშუალებით. მეოთხე საუკუნის გასულს თუ მეხუთის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ქრისტიანობა, ეს უაღრესად მწიგნობრული რელიგია, დაიბადა საჭიროება ნაციონალური ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისა.“<sup>2</sup> როგორც არ უნდა იყოს, ლიტერატურულ ძეგლებზე დამყარებული ქართული მწერლობის მეცნიერული ისტორია მხოლოდ მეხუთე საუკუნის, დამდეგიდან შეგვიძლია დავიწყოთ“ (ხაზი აკტორისაა. ა.უ.)<sup>2</sup>. ამ ჰიპოთეზას, რომლის ერთადერთი დასაყრდენი V საუკუნეზე აღრიხნული ქართული წერილობითი ძეგლების ჯერხნობით აღმოუჩენლობაა, ზოგიერთი მკვლევარი მხარს უჭერს: საეჭვოდ მიაჩნიათ ქართული დამწერლობის არსებო-

<sup>117</sup> ВДИ; 1947, 3 (21), გვ. 287, შენ. 3.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ანბანის შექმნის თარიღს 412—429 წლებით განსაზღვრავდა: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I<sup>1</sup>, 1923, გვ. 31.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I—ძველი მწერლობა. 1960, გვ. 37.

ბა ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეზე აღრიხდელ ხანებში.<sup>3</sup> ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებელი ივ. ჯავახიშვილი ასეთ ვარაუდს მცდარად მიიჩნევდა და სამართლიანად ამბობდა: „V—VI სს-ზე უწინარესი დროის ქართული დამწერლობის ძეგლების ჯერ-ხნოაით აღმოუჩენლობა ქართული ანბანის სიძველის უცილობლად დამარღვეველ საბუთად ვერ გამოდგება.“<sup>4</sup>

სულ მცირე ხნის წინათ ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშად ბოლნისის წარწერები ითვლებოდა. 1953 წელს პალესტინის უღაბნოს ქართული მონასტრის ნანგრევებში (ბეთლემის ახლოს) აღმოაჩინეს სამი წარწერა, რომელთაგან პირველი VI საუკუნეს განეკუთვნება: მეორე და მესამე კი ბოლნისის წარწერებზე უფრო ახალი აღმოჩნდა. პალესტინის (ბირ ელ-კუთთის) წარწერები, როგორც წერეთელმა გამოარკვია, პალეოგრაფიული თვალსაზრისით დიდ არქაულობას ამჟღავნებს და ამტკიცებს, რომ ქართულ ენაზე წერის ტრადიცია გაცილებით უფრო ადრე არსებობდა: „ამაზე მიუთითებს ორთოგრაფიული და ენობრივი ნორმებიც, რომლებიც წარწერათა ტექსტში უკვე დადგენილი და ჩამოყალიბებული ჩანს.“<sup>5</sup> ბირ ელ-კუთთის წარწერების ენობრივი მასალა, ბოლნისის სიონის, მცხეთის ჯვრის მონასტრისა და სხვა ძველი წარწერების ენობრივ მასალასთან ერთად, იმაზე მეტყველებს, რომ ახ. წელთაღრიცხვის V საუკუნეში სალიტერატურო-სამწერლობო ქართული ენა მტკიცედაა ჩამოყალიბებული და განვითარების ხანგრძლივზე ხანგრძლივი გზა აქვს გავლილი. ქართული ანბანის სიძველე დადასტურა ჯერ კიდევ მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა არამეული დამწერლობის ნიმუშმა და ქართული დამწერლობის ნათესაობის დადგენამ არმაზის არამეულთან.<sup>6</sup>

შორეულ წარსულში ქართული დამწერლობის არსებობის ვარაუდს რეალურ ნიადაგზე აყენებს ზემოხსენებულ წარწერებში წარმოდგენილი წერის კულტურის უაღრესად მაღალი დონე: სრულყოფილი სახის მრგოლოვანი — ასომთავრული დამწერლობის ყოველი ნიშანი არსებობისა და განვითარების დიდი ხნის ტრადიციას ამჟღავნებს. ქართული დამწერლობის სიძველეზე მიუთითებს ისეთი ოღინდელი ტერმინებიც, როგორიცაა — „წერა.“ „წერტილი.“ ეს

<sup>3</sup> G. Deeters, Das Alter der georgischen Schrift. Oriens Christianus, B. 39. Wiesbaden, 1955. ივ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან; 1960, გვ. 51.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია; 1949, გვ. 236.

<sup>5</sup> გ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39 შედგ., გვ. 47.

<sup>6</sup> Г. Цорбетели, Архазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита. Эпиграфика Востока, II, Ленинград, 1948, 90—101; III, 1949, 59—71.



ტერმინები „იმ ხანისაა, როცა წერა რეალურად იყო რაიმე მაგარ მასალაზე (ქვაზე, თიხის დაფაზე, ლითონზე) ამოჭრის, ამოკვეთის პროცესი.“<sup>7</sup> ასევე უძველესი ჩანს ტერმინები „კითხვა, „ასო“.<sup>8</sup>

ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში დატული ცნობები და უკანასკნელ ხანებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებულ არქეოლოგიურ ძიებათა შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლები ქართველთა წინაპარი ტომების მალალ კულტურულ-შემოქმედებით დონეზე მეტყველებენ. წარმოდგენელი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ქართველთა წინაპარ ტომებს, რომლებიც ძვ. წ. III ათასეულში უაღრესად დაწინაურებულნი იყვნენ მეტალურგიაში, დამწერლობა არ ჰქონოდათ. მართებული მოსაზრება აქვს წამოყენებული შ. ამირანაშვილს: „ენეოლითური და ბრინჯაოს კულტურის განვითარების მალალი მხატვრული დონე უთუოდ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას დამწერლობა უნდა ჰქონოდა.“<sup>9</sup>

სოფ. ოზნში (თრიალეთი) აღმოჩნდა ფიალა სიმბოლური ნიშნებით, რომელთაც ბ. კუფტინი პიქტოგრაფულ დამწერლობას უკავშირებს და პროტო-ელამურ ნიშნებს ამსგავსებს; გ. გობეჯიშვილის აზრით კი, ეს ნიშნები ქართველთა უძველესი ტომის ტაბალების (resp. ტიბარენების, იბერების) მიერ შექმნილი ხატოვანი დამწერლობა უნდა იყოს.<sup>10</sup>

1960 წელს არქეოლოგმა—ტ. ჩუბინიშვილმა ენეოლითური ხანის ნასოფლარის გათხრის დროს ჯავახეთში ე. წ. „ამირანის გორაზე“ აღმოაჩინა თიხის ჭურჭელი, რომლის ყურის ქვეშ ამოკაწვრის წესით გაკეთებულია ათი სხვადასხვა ნიშანი, რომლებიც ერთ მწკრივად სარტყელივით უვლიან გარს ჭურჭელს. ეს ნიშნები არქეოლოგიური კომპლექსის მიხედვით ზუსტად თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით.<sup>11</sup> შ. ამირანაშვილის აზრით, ყველა ნიშანი პიქტოგრაფიული ხასიათისაა და ადრეული ხანის ნამდვილი დამ-

<sup>7</sup> ს. ჯანაშია. ხელების ისტორიისა და ენის საკითხისათვის, „წიგნები“, ტ. III. 1959, გვ. 192.

<sup>8</sup> პ. ბერაძე, რა საბჭოთა გვაქვს, ვიგულისხმობთ ქართული ლიტერატურის ანტიკური პერიოდის არსებობა: „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, № 45, 2, XI.

<sup>9</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები. გაზ. „კომუნისტი.“ 1961, № 273, 2 XII.

<sup>10</sup> Б. А. Буфтин. Археологические раскопки 1947 г., Тб., 1948, 32—33. გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში; თბ., 1952, 45.

<sup>11</sup> ტარიელ ჩუბინიშვილი, ამირანის გორა—მასალები მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ისტორიისათვის, თბ., 1963, გვ. 37, 89, 90.

წერლობის ნიმუშს წარმოადგენს.<sup>13</sup> არქაული ხანის ქართულ დამწერლობას განაკუთვნებენ აგრეთვე იმ ნიშნებს, რომლებიც ამოკაწრულია დმანისის რაიონში ყორღანული სამარხის გათხრის დროს აღმოჩენილ ქვებზე (გათხრა ჩატარდა 1961 წელს). ბ. კუფტინისა და შ. ამირანაშვილის აზრით, დაბლაგომის ქვევრ-სამარხებში აღმოჩენილი ნიშნები, რომლებიც ძვ. წ. VI—III საუკუნეებით თარიღდება, ანბანურ დამწერლობად უნდა მივიჩნიოთ.<sup>14</sup>

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში—„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ დაცულია ცნობა ქართული ანბანის შექმნის დროისა და ამ ანბანის შემომღები პიროვნების შესახებ. ლეონტი მროველის გადმოცემით, ქართული ანბანი შექმნილია ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ქართლის სამეფო დინასტიის ფუძემდებლის, დიდი სამეფოს ხელისუფლის, ლეგენდარულ პიროვნებად ქცეული ფარნავაზის მიერ: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.“<sup>15</sup> ლეონტი მროველის ამ გადმოცემაში საყურადღებო ის არის, რომ ძველი ქართული ტრადიცია ქართული დამწერლობის შემოღებას ქრისტიანობის გავრცელებაზე დიდი ხნით ადრე გულისხმობდა. ეს უბრალო ვარაუდი როდი იყო: ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია უთუოდ ეყრდნობოდა ფაქტიურ მასალას. ეს მასალა, ადრინდელი ქართული წერილობითი ძეგლების სახით, როგორც ფიქრობენ, სხვადასხვა რიგის მრავალმა ფაქტორმა გაანადგურა. უმთავრესი წილი ამ საქმეში, ჩანს, დაიდო ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც დაუნდობლად სპობდა წარმართული კულტურის ნაშთებს.

ივ. ჯავახიშვილი იმ აზრისა იყო, რომ ქართულ დამწერლობას სათავეები შორეულ წარსულში აქვს და რომ იგი შეიქმნა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველთა წინაპარი ტომები გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიებზე იყვნენ განსახლებულნი: „სამუდამოდ უკუგდებულნი უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V საუკუნეში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი

<sup>13</sup> შ. ამირანაშვილი, დასახ. წერ.

<sup>14</sup> შ. ამირანაშვილი, დასახ. წერ.; Б. А. Куптин, Материалы к археологии Копхиды, II Тб., 1950, დვ. 78—82.

<sup>15</sup> „ქართლის ცხოვრება“ — ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მცერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 26.

დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ, <sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილის ამ სწორ დებულებაში ერთგვარი კორექტივი შეიძლება შეიტანოს მედიტერანული კულტურის საწყისთა კვლევა-ძიების დღევანდელმა დონემ. სრულიადაც არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქართველთა წინაპარტომებში არსებული უძველესი დამწერლობის ნიმუშები საბერძნეთის ტერიტორიაზეც აღმოჩნდეს. ძველ ბერძნულ წყაროებში, განსაკუთრებით კოლხეთთან დაკავშირებული არგონავტების თქმულების გადმოცემებში, როგორც ითქვა, დაცულია მრავალი ძვირფასი ცნობა წინაელნიური მოსახლეობის — ბელასგების და მცირეაზიულ-კავკასიური — ქართველთა წინაპარი ტომების მკიდრო გენეტიკური კავშირის თაობაზე. ამ ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ მერმინდელი ელადის სხვადასხვა ადგილებში მოსახლე და წინაბერძნული ე. წ. კრეტა-მიკენის ადრეული კულტურის შემქმნელ ბელასგებში ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანების წარმომადგენელი კოლხური ტომებიც იყვნენ.

ბერძენ ავტორებს კოლხები მდიდარი კულტურული წარსულის მქონე ხალხად შიანდათ. საგულისხმოა ამ მხრივ აგათია სქოლასტიკოსის სიტყვები: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამჟამინ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ... მე არ მეგულება სხვა ტომი ესოდენ სახელგანთქმული და მორკმული, როგორც სიმდიდრის სიუხვით და ქვეშევრდომთა სიმრავლით, ისე მიწა-წყლის სიკეთით, მოსავლიანობის სიჭარბით და ზნე-ჩვეულებათა სიმწყობრით და დახვეწილობით.“ <sup>16</sup> აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბერძენ ისტორიკოსებს თავიანთ ზოგად ისტორიულ თეორიებში არ შეეძლოთ სრულად წარმოედგინათ საკუთარი ნაციონალური ისტორია იმდროინდელ ცხოვრებაში კოლხთა როლისა და ადგილის გაუთვალისწინებლად. ძნელია, ვიფიქროთ, მდიდარი კულტურული წარსულის მქონე და ანგარიშგასაწეე ხალხად მიეჩნიათ კოლხები ბერძნებს მათში უძველესი დამწერლობის არსებობის გარეშე.

კოლხური (resp. ქართული) დამწერლობის თაობაზე ბერძნულ წყაროებში ორი სახის ცნობა მოიპოვება. ერთია ელინისტური ხანის ანონიმური ავტორისა და ახ. წ. II საუკუნის ისტორიკოსისა

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 236. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ქართული ანბანი ფინიკიური ალფაბეტიდან წარმოიშვა არაუგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა (დასახ. ნაშრ.—passim).

<sup>16</sup> აგათია, იუსტინიანეს მეფობისათვის; „გეორგია“, III, 50—51.

და ფილოსოფოსის ხარაქს პერგამონელის ცნობები; მეორე სახისაა და უფრო ადრინდელი ცნობა კვრებზე.

XII საუკუნის კომპილატორ-ინტერპრეტატორი ევსტათი თესალონიკელი დიონისიოს პერიეგეტის თხზულების 689-ე ტაეპის განმარტებისას გადმოგვცემს შემდეგს: „ხარაქსი ამბობს, რომ ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე (μυμύρρυαυ) აღნუსხული ხერხი ოქრო-დამწერლობისა (μύθιμιθ χρυσοϋραφιας), რომლის გამოცო, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო.“<sup>17</sup> ხარაქს პერგამონელი, შესაძლებელია, ამ გადმოცემაში ემყარებოდა მითოგრაფიული ტრაქტატის—„დაუჯერებელთათვის“ (παρ: άπιστων) ანონიმურ ავტორს, რომელიც, თავის მხრივ, ძვ. წელთაღრიცხვის IV—III საუკუნეების ევპემერისტის—პალეფატეს ანალოგიური სახელწოდების თხზულებას ეყრდნობოდა. ანონიმური ავტორი ტრაქტატის ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება „ოქროს საწმისისათვის“ (Περ: τιν χρυσιν μύθιν) ამბობს: „კოლხეთში დაცული [ტყავი] ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური მონაქორია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით (δύ χημείας). თანამედროვეებმა შესაფერისად უწოდეს მას ოქროსი, მისგან გამომდინარე მოქმედების გამო.“<sup>18</sup> ოქროს საწმისის ანალოგიურ განმარტებას იმეორებს ახ. წ. VII საუკუნის ისტორიკოსი, „მსოფლიო ქრონიკის“ ავტორი იოანე ანტიოქელი: „იასონმა და მისმა მხლებლებმა, პონტოს ზღვით კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ეგრეთ წოდებული ოქროს საწმისი. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ წიგნი [იყო] ტყავებზე ნაწერი, შემცველი იმისა, დუ ვით უხდა გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით (δύ χημείας).“<sup>19</sup> იოანე ანტიოქელის განმარტება გამეორებულია სვიდას სახელით ცნობილ X ს-ის ლექსიკონში სიტყვის ქვეშ საწმისი (ἀργα): „ოქროს ბეწვიანი საწმისი, რომელიც იასონმა და არგონავტებმა მოიპოვეს, როდესაც პონტოს ზღვით კოლხეთში მივიდნენ; [მოიპოვეს] მედეაც, მეფე აიეტის ქალიშვილი. ეს ისე კი არ იყო, როგორც პოეტურად არის გადმოცემული, არამედ ეს იყო ტყავებზე დაწერილი

<sup>17</sup> F. Jacoby, FGr. Hist., II, 482—493; F Hist. Gr. III. 636—645;—Eust. ad Dion. Per. 689.

<sup>18</sup> Mythographi Graeci; III, 2: Palaephatus, *Ἰστοι Ἀπίστων*; edidit N. Festa, Teubn., Lipsiae, 1902—Excerpta vaticana (vulgo Anonymus De incredilibus).

<sup>19</sup> FHG IV, 545; „გეორგია“, IV, 2, გვ. 316—317.

წიგნი, შემცველი იმისა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ქიმიის საშუალებით (მან ოქროსა) ოქრო. ჩანს, მაშინდელი ხალხი ამ ტყავს უწოდებდა ოქროსას მისგან მიღებული შედეგის გამო. 20

ოქროს საწმისის ასეთი განმარტება ემყარება ივ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოს-ათეისტის ევჰემეროსის პრინციპს. როგორც აღნიშნული გვაქვს, ევჰემეროსი და მისი მიმდევრები (ევჰემერისტები: პალეფატე, დიონისიოს სკიტობრაქიონი, დიოდორე სიცილიელი, მნასეა, ხარაქს პერგამონელი და სხვები) ცდილობდნენ, ყოველი მითის, თქმულებისა და ლეგენდის ალეგორიულ-ისტორიული განმარტება მოეცათ, ქენზარტების მარცვლები დაეძებნათ. ყოველგვარ თქმულებას წინ საქმე უძღვის, — ამბობს პალეფატე მითოგრაფიული ნაშრომის წიგნის „დაუჯერებელთათვის“ შესავალში.

აქ დამოწმებულ განმარტებებში საყურადღებო ის არის, რომ ბერძენთა წარმოდგენით კოლხებს დამწერლობა ძველთაგანვე ჰქონიათ. პ. ინგოროყვა ხარაქსის განმარტებას ანტიკურ ხანაში ქართული დამწერლობის მაუწყებელ ცნობად მიიჩნევს. ეს სწორია, მაგრამ დასაზუსტებელია დასკვნა: „ხარაქსის დროს, როგორც ირკვევა, კოლხეთში გავრცელებული იყო ოქრო-დამწერლობა“ (ხრისოგრაფია), ანუ ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა. 21 ხარაქსის ცნობაში მისი თანამედროვე დამწერლობის შესახებ კი არაა ლაპარაკი, არამედ კოლხთა უძველეს დამწერლობაზეა საუბარი.

\* \* \*

ცნობა ეგრეთ წოდებულ კვრებზე დაკულია აპოლონიოს როდოსელის ზემოთ მიმოხილულ „არგონავტიკაში.“ აპოლონიოს როდოსელის მიერ მოწოდებულ ცნობათა კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გადმოცემა კვრებზე. იგი პირველი ცნობაა ძველ ქართველ ტომებში (კოლხეთში) არსებული დამწერლობის შესახებ.

„არგონავტიკის“ IV წიგნში ფრიქსესა და აიეტის ასულის ქალკიოპეს უფროსი ვაჟი არგოსი კოლხეთიდან ელადისაკენ მიმავალ არგონავტებს მოუთხრობს აიას (კოლხეთის) დაარსების ამ-

20 Suidae Lexicon ed. Ada Adler, I—IV, Lips., 1928—1936.

21 პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. „მნათობი“, 1939 წ. № 1, გვ. 169.

ბავს<sup>22</sup> და დასძენს, რომ კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვრბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ — *ὅς τῆ τοι γράψανς<sup>23</sup> πατῆραν ἐμῆν εἰρήσονται | ἀνρπίαζ, ὁς ἐνι παθῶαι ἔθῃς ἀχι πατῆρα<sup>24</sup> ἔχουσιν | ἄγρης τε τρᾶφερῆς τε πᾶσι<sup>25</sup> ἐπισημαίνουσιν* (IV, 279—281).

აპოლონიოს როდოსელი ანტიკური ხანის იმ ავტორთა რიგს ეკუთვნის, რომელთა მიერ მოწოდებული ცნობებიც ნდობის ღირსნი არიან. ცხადია, ზოგი რამ კრიტიკული თვალთაა აღსაქმელი, მაგრამ აპოლონიოსის გადმოცემებში კოლხთა ცხოვრების ძირითადად უტყუარ, რეალურ განოხატვასთან გვაქვს საქმე. აპოლონიოსის ცნობა კვრბებზე ანტიკური ხანის ქართველ ტომებში არსებული მაღალი კულტურის მაუწყებელია: კოლხებს ჰქონიათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები („მამათგან ნაწერი“) სამანძილო კვრბების სახით. აპოლონიოსის მიხედვით, კვრბებს კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ და კოლხები მათ პრაქტიკული მიზნით იყენებდნენ—მოგზაურთათვის კვრბებზე აღნიშნავდნენ წყლისა და ხმელეთის გზებისა და საზღვრების მდებარეობას. ამ ცნობას მხარს უჭერს ის ცნობილი ფაქტი, რომ კოლხეთზე ძველთაგანვე გადიოდა დიდი სავაჭრო გზა, რომელიც კეთილმოწყობილი იყო.

აპოლონიოსის ცნობა კვრბებზე პირველად დაიმოწმა ისტორიკოსმა ალ. ჭყონიამ კარლ რიტტერის წიგნიდან (*История земледелия*): „კურბების ფირფიტებია და ნასახია ლანდქარტებისა.“ აქვეა მოტანილი ცნობილი გეოგრაფის კ. რიტტერის სიტყვები კოლხთა გეოგრაფიული აზროვნების თაობაზე: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის.“<sup>24</sup>

<sup>22</sup> აპოლონიოსი აქ იმეორებს ჰეროდოტეს ცნობილ ვეგვიპტოფილურ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც კოლხთა წარმოშობა უკავშირდება ვეგვიპტის მეფის სესოსტრისის (სესონქოსისის) ლეგენდარულ ლაშქრობას: სესოსტრისმა ილაშქრა აზიაში, დაიპყრა ტურები, სკვითები და მდინარე თაზისთან დატოვა ლაშქრის ნაწილი. საიდანაც კოლხები წარმოიშვნენ (ჰეროდოტე, II, 103—104; აგათი, აუსტინიანეს მეფობის შესახებ, II, 18; „გეოგრაფია“, III, 27—28).

<sup>23</sup> *γγραψας*—acc. pl.—*ἄγρης*, *πῆς* = „ნაკაწრი“; ვარიანტში არის *γγραψας*—ზედს. სახ. *γγραψας*.

<sup>24</sup> ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე. ტფილისი, 1896, გვ. 124—125.

რიტერის ზემოხსენებული წიგნიდან აქვს დამოწმებული ცნობა კვრებზე მ, ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ა ც. იგი ცდილობს, სიტყვა „კვრების“ ქართულ ნიადაგზე ახსნას: „ვინ იცის, ამ „კვრის“ ნაშთი იყოს აწინდელი „კარი“ (კარები = კარები), რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა სიმტკიცეს, სიმაგრეს, შექერას და მაშასადამე სჯულდებისა. მასვე ვადარებ „კერპს“, რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო კერასათვის სჯულმდებელი სალოცავი ღმერთი.“<sup>25</sup> „კვრებისა“ და „კარის“ ეტიმოლოგიური დაკავშირება, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ სემანტიკური კავშირი, მართლაც, შეიძლება იყოს, თუ კვრებს, როგორც ეს ქვემოთ დამოწმებულ ზოგ წყაროშია ნაჩვენები, ქვის დაფებსა ან თიხის ფირფიტებზე ნაწერ მრავალკარედ ძეგლებად წარმოვიდგენდით.<sup>26</sup>

ცნობას კვრებზე კოლხეთში არსებული დამწერლობის მაუწყებლად მიიჩნევს მაქს. ბერძნიშვილი.<sup>27</sup>

აბ. როდოსელის „არგონავტიკის“ ქართულ ენაზე გამოცემის შემდეგ კვრების თაობაზე კვლავ გამოითქვა ზოგიერთი მოსაზრება. გ. მელიქიშვილის აზრით, აპოლონიოს როდოსელის ცნობაში უნდა დავინახოთ მოწმობა იმისა, რომ ძველ კოლხეთში დამწერლობა არსებობდა; ჩანაწერები კვრების სახით უნდა მივაკუთვნოთ ძველი კოლხეთის სამეფოს, რომელიც ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა თანამედროვე იყო „...в этом сообщении Аполлония Родосского вполне можно усмотреть свидетельство о наличии письменности в древней Колхиде. Ко времени поэта (III в. до Н. Э.), поскольку можно судить по его словам, эти записи рассматривались в качестве произведений „отцов“, т. е. предков. Если можно верить этому сообщению, эти записи скорее всего нужно рассматривать как принадлежащие к древнеколхидскому царству—современнику древневосточных государств.“<sup>28</sup>

კვრების თაობაზე საყურადღებო დასკვნებია წარმოდგენილი ვლ. სიჭინავას ნაშრომში.<sup>29</sup> მართებულია დასკვნა, რომ ქა-

<sup>25</sup> მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა. წიგ. I. თბ., 1900. გვ. 37 შმდგ.

<sup>26</sup> ტერმინის—„კარი“ შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დაწოწმ. ნაშრ., გვ. 30.

<sup>27</sup> მაქს. ბერძნიშვილი, ქალაქ ფახისის ისტორიისათვის (საკანდიდატო შრომა, მანქ. გადაწ., თბ., 1940, გვ. 84—85).

<sup>28</sup> Г. А. Меликшидзе, К истории древней Грузии. Тб., 1959, 215.

<sup>29</sup> ვლ. სიჭინავა, ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან (კოლხური „კვრების“ ადგილისათვის ქართული დამწერლობის ისტორიაში). ბათუმის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1953, გვ. გვ. 81—101.

რთველ ტომთა წინაპრებს თავიანთი წარმართული სარწმუნოების გამოსახატავად ჰქონდათ საერთო ტერმინოლოგია, რომელიც საერთო ქართული დამწერლობის ნიშნებისა და წარმართული ლიტერატურის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ვლ. სიკინავა გვაწვდის გონებამახვილურ დაკვირვებას და ცდილობს, ინდოევროპულ გარემოში ამოუცნობი სიტყვა ჯაპჟი-ი ქართველურ ენათა (ზანურის) ნიადაგზე ახსნას. მისი აზრით, ამ სიტყვის ბერძნულ გადმოცემაში დატულია ეტრატის ძველი კოლხური (ზანური) სახელწოდება კირიბი — „კრავი“ → კირიბიში — „კრავის [ტყავი]“. ამგვარად, კვრბები ეტრატებია (კირიბიში), სადაც ზოგჯერ შეიძლება კარტოგრაფიული მასალებიც იყო ჩაწერილი. არგონავტების თქმულების ოქროს საწმისის იგივე კირიბი — კირიბიშია, რომელზედაც ოქროს მოპოვებისა და დამუშავების რთული ქართული — კოლხური ტექნოლოგიური პროცესი იყო აღნუსხული. თავისი აზრის გასამტკიცებლად ვლ. სიკინავას დამოწმებული აქვს ის საგულისხმო ფაქტი, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში ხშირად „ცხერისა“ და „წივნის“ აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვები იხმარება.

ვლ. სიკინავას მოსაზრებას ძირითად დაბრკოლებას უქმნის ის გარემოება, რომ კვრბებზე არსებული ყველა წყარო კვრბებს მაგარ ნივთიერებაზე (ქვის და ხის დაფებზე ან თიხის ფირფიტებზე) შესრულებულ წარწერებად წარმოგვიდგენს და არა ეტრატებზე არსებულ ჩანაწერებად. როგორც ცნობილია, ეტრატი (პერგამენტი) შედარებით გვიანდელი ხანის საწერი მასალა იყო, კვრბების წარმოშობა კი საფარაუდოა იმ ხანებში, როდესაც ასეთ მასალად მაგარ ნივთიერებას იყენებდნენ. ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობამ და სიტყვათა ნაწილობრივი ფონეტიკურ-სემანტიკური დამთხვევის საფუძველზე დაყრდნობამ ეტიმოლოგიური შეცდომა გამოიწვია. დაუსაბუთებელი და მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელია ვლ. სიკინავას ეტიმოლოგიური ძიებები, თითქოს ზანური კირიბის ფუძიდან წარმოდგებოდეს დამწერლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა ტერმინებიც (მაგ., ბერძ. „ქარტა“ და მისთ.).

ეტიმოლოგია სიტყვისა Kpპჟი ბერძნულ წყაროებში დატულე ცნობების საფუძველზე უნდა გაირკვეს. აქვე შევნიშნავთ, რომ ბერძენ ავტორებს შეთანხმებული წარმოდგენა კვრბების რაობის შესახებ არა აქვთ და ამ სიტყვის წარმომავლობის თაობაზეც სხვადასხვა მოსაზრებას გვთავაზობენ.

აპოლონიოს როდოსელის წყარო კოლხეთში კვრბების სახით დამწერლობის არსებობის შესახებ ჯერხნობით ცნობილი არ არის, მაგრამ, უეჭველია, „არგონავტიკის“ ავტორი რომელიღაც ძველის-



ძველ ტრადიციას ეყრდნობოდა. აპოლონიოსის ცნობა რომ ნდობას იმსახურებს, ეს კვრებებზე არსებული სხვა წყაროებიდანაც ჩანს.

სიტყვა „კვრბის“ არის communis generis; მხ. რიცხვში (ჩ ან ბ ან კ, ჯ, ზ, იონ. ნათ. სივ) დამოწმებულია ბერძენ გრამატიკოსებთან (მაგ.: არისტენეტე, 1,17—*ἀρβίς ἔταριχῶν ἁαχῶν*; ჰესიხოსი, 8. v.) და ერთ შემთხვევაში არისტოფანესთან („ლორუბლები,“ 447). ჩვეულებრივ გვხვდება მრ. რიცხვში—*αἱ* ან *οἱ* ან *αἰ* ან *οἰ* ან *αἰ* ან *οἰ*—იონიური ფორმით *Κῆρβιδες*—„კვრბები“ (ამ ფორმითაა ეს სიტყვა წარმოდგენილი აპ. როდოსელთან—*acc. pl. ἀρβίδεις*).

კვრბების თაობაზე ჩვენ ხელთ არსებულ ცნობებში ქრონოლოგიურად პირველი ხსენება კვრბებისა ჩანს ატიკური კომედიის უძველეს წარმომადგენელთან კრატინესთან (გარდაიკვალა 423—421 წლებს შუა), რომელსაც იმოწმებს პლუტარქე და მოაყავს მისი სიტყვები:

„სოლონს და დრაკონს გეფიცები, თუმცა მათ კვრბებს (οἱσι τὰς ἀρβίδεις) დღეს ქერის მარცვლის მოხალისთვის იყენებს ხალხი“ („სოლონი,“ 25).

აქედან ჩანს, რომ კვრბები, კრატინეს გაგებით, ქვის ან თიხის ფირფიტებია, დაფებია, რომლებზედაც დრაკონისა და სოლონის კანონები იყო აღნუსხული. კრატინეს დროს ეს კანონები უგულვებელყოფილია და მათი შემცველი ფირფიტებით მარცვალს ახმობენ.

ანტიკური სამოსამართლო რიტორიკის დიდი წარმომადგენელი ორატორი ლისია (დაახ. 459—380) კვრბებს სასულიერო წარწერების შემცველ ძეგლებად მიიჩნევს: *ἦναι δὲ τὰς ἀρβίδεις ἄστυγῶν* (30, 17) — „მსხვერპლშეწირვები კვრბებისა და სვეტების თანახმად.“ აქ კვრბები ცხადად არის გამოიჯნული სვეტებისაგან და შეიძლება, ფირფიტებად იყოს მიჩნეული.

კომედოგრაფოსი არისტოფანე „ფრინველებში“ მოიხსენიებს კანონის აღმნუსხველ „კვრბებს ყარყატთა“—*Κῆρβιδες πᾶσαρχῶν* (Av. 1354).

ფილოსოფოსი პლატონი ლაპარაკობს „რომელიღაც კვრბებსა და სვეტებზე აღმნუსხველთა“ შესახებ—*γράψαυτες δὲ ἀρβίδεις τῆς ἀστυγῆς* (Polit. 298 d.). კვრბები და სვეტები აქაც გამოიჯნულია ერთმანეთისაგან. საყურადღებოა ისიც, რომ პლატონს კვრბები გაურკვეველ საგნად მიაჩნია (*Κῆρβεις τῆς ἀστυγῆς*).

პლუტარქე სოლონის ბიოგრაფიაში გვაცნობს ე. წ. „აქსონებს“ ანუ ოთხწახნაგა ჩარჩოებში ჩასმულ და მბრუნავ ლერძზე დამაგრებულ ხის დაფებს, რომლებზედაც სოლონის კანონები ეწერა. „ამ დაფების მცირეოდენმა ნაშთმა ჩვენ დრომდეც მოაღწია

და პრიტანეიონში ინახებოდა, — ამბობს პლუტარქე. მისი სიტყვით, სოლონის „აქსონებს“ არისტოტელე უწოდებს „კვრებს“ (სოლონი, 25). მართლაც, „ათენელთა პოლიტიის“ VII თავში არისტოტელე გადმოგვცემს, რომ სოლონის „ქანონები ჩამოწერეს კვრებზე და გამოაქიდეს სამეფო სტოაში...“<sup>30</sup>

პლუტარქესთან დაცულია ფრიალ საგულისხმო გადმოცემა კვრების შესახებ: „Ἐγὼ δὲ φασὶν ἔδωκεν, ἐν οἷς ἑκάς κχι μῦθους περὶ χόουται, χσρῖεις, ἄξιους δὲ τὸς ἄλλους ὑπομάσθαι— „ზოგიერთები ამბობენ, რომ კვრები ეწოდებოდათ იმ [დაფებს], რომლებიც ღვთისმსახურებასა და მსხვერალშეწირვებთან დაკავშირებულ წესებს შეიცავენ, სხვებს კი აქსონები ერქვათ.“<sup>31</sup>

ძვ. წ. IV საუკუნის ისტორიკოსის თეოპომპე ქიოსელის დაკარგული თხზულების — „ღვთისმოშიშობისათვის“ ფრაგმენტში კვრების ასეთი განმარტებაა მოცემული: 1) „კვრები [ეწოდებოდათ] იმისაგან, რომ ზეალმართულნი გვირგვინდებიან (χαιορῦμασθαι), ანდა კორიბანტებისაგან, ვინაიდან [კვრები] ამათი აღმოჩენაა, როგორც ამბობს თეოპომპე [თხზულებაში] „ღვთის მოშიშობისათვის;“ 2) „კვრები სპილენძისა იყო და არა რამე ხისაგანი. ისინი გამოიგონეს კორიბანტებმა, საიდანაც კვრები შეერქვათ, როგორც დაწერა თეოპომპე [წიგნში] „ღვთისმოშიშობისათვის,“ ანდა იმიტომ ეწოდებოდათ ასე, რომ ზეალმართულნი მწვერვალზე გვირგვინდებიან (χαιορῦμασται).“<sup>32</sup>

ბიზანტიელი კომპილატორი ფოტიოსი თავის „ლექსიკონში“ თეოფრასტეს საყურადღებო განმარტებას გადმოგვცემს: „კვრები... ითქმის სიმაღლეზე დაგვირგვინებულობისაგან, ან, როგორც აპოლოდორე ამბობს, მტკიცედ დგომის გამო (αετσεχερῖσθαι); თეოფრასტეს მიხედვით კი— კრეტელი კორიბანტებისაგან, ვინაიდან ისინი [კვრები], ასე ვთქვათ, კორიბანტულ წმიდა წარწერათა ასლებია.“<sup>33</sup> ფოტიოსის მიერ დამოწმებული თეოფრასტე უნდა იყოს პერიპატეტიკოსი თეოფრასტე ლესბოსის ქალაქ ერესო-

<sup>30</sup> არისტოტელე; ათენელთა სახელმწიფო წყობილება. თარგ. ს. ყაუხჩი-შვილისა. ქუთაისი, 1935, გვ. 10.

<sup>31</sup> Plutarchi vitae parallelae ed. Lindskog—Ziegler, I, 2; Lips., 1914. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები. თარგ. აკ. შრეშაძისა. თბ., 1957, გვ. 57, 301.

<sup>32</sup> F. Jacoby, Die Fragmente d. gr. Hist. II B (Berlin, 1927), 528—617; აგრეთვე FHG I, 278; IV, 643 შგდ.

<sup>33</sup> Photii Lexicon rec. Naber I—II Lugd. 1864.

დან (დაახ. 372—287), რომელიც ბოტანიკის ფუძემდებლად ითვ-  
ლება.<sup>34</sup>

კვრების შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება ელინის-  
ტური აპოლოდორე მითოგრაფოსის, ისტორიკოსისა და კომენ-  
ტატორის აპოლოდორე ათენელის (ძვ. წ. II საუკუნე)  
თავის დროზე 24 წიგნის შემცველი ტრაქტატის—„ღმერთებისა-  
თვის“ (Περὶ θεῶν) ფრაგმენტებში. ფრაგმენტები დაცულია სხვა-  
დასხვა ავტორებთან. ეს ავტორებია: ჰარპოკრატონი, სვიდა, ზე-  
მოთ მოხსენიებული ფოტიოსი, არისტოფანეს სკოლიასტი.

ფრაგმენტი XX, 24 (ჰარპოკრატონით): „კვრებ-  
ბი. აპოლოდორე თხზულებაში „ღმერთებისათვის“ ამბობს, რომ  
კვრები შეიცავდნენ ნაწერ კანონებს. ისინი წარმოადგენდნენ  
სწორად აღმართულ ქვებს, რომელთაც დგომის გამო სტე-  
ლებს, ხოლო სიმაღლისაკენ წარმართულობისაგან, რაკილა გვირ-  
გვინდებოდნენ (αεθροψῶσθαι) კვრებს ეძახდნენ. აი ისე, რო-  
გორც თავზე დადგმულ ტიარას ეძახიან „კვრასიას“ (απαρᾶσις).  
[ესაა] კანონი ქვევიდან (ἐκ ἄνωθεν ὑμέων)... აქსონები და კვრები,  
რომ ბუსტროფედონით (πίσσω-ροφῶν) იყო ნაწერი ამას ამბობს  
ეფეორიონი აპოლოდორესთან.“<sup>35</sup> აქ დამოწმებული ეფეორიონი  
ძვ. წ. II საუკუნის მწერალია.

ფრაგმენტი XX, 25 (Schol. Aristoph. ad Nub. 449):  
„აპოლოდორე ამბობს, რომ ყველა საზოგადო საბუთსა და კანონებს  
კვრბისი ერქვა; რომ ძველები ქვებს აღმართავდნენ ხოლმე და  
ზედ გადაწყვეტილებებს წერდნენ. ამ [ქვებს] დგომის გამო—სტე-  
ლებს, ხოლო სიმაღლისკენ წარმართულობისაგან კვრბებს უწო-  
დებდნენ. შემდეგ ხანებში იგივე სახელი უწოდეს საგანგებოდ გა-  
თეთრებულ ხის ბოქებს, რომლებზედაც წერდნენ. ამგვარად კვრბი-  
სი წმიდა წარწერათა შემცველი ბოქია.“<sup>36</sup>

ფრაგმენტი XX, 26 (სვიდა): 1) კვრბები: აპოლო-  
დორე ამბობს, რომ კვრბები შეიცავდნენ ნაწერ კანონებს და ზე-  
ამართულ ქვებს წარმოადგენდნენ (ἐνθα δὲ λῆθησ; ῥημῶσ; ἐνωᾶσ;);  
ასე რომ დგომის გამო სტელები ეწოდათ, ზეაღმართულობისა და  
წვეტში დავირგვინების მიზეზით კი—კვრბები... როგორცაა  
თავზე დადგმული ტიარა (απαρᾶσις). 2) კვრბები [ეწოდათ]

<sup>34</sup> თეოფრასტეს მოღწეული თხზულებების გამოცემა ეკუთვნის Didot-ს, Par., 1866.

<sup>35</sup> C. Mullerus, F Hist. Gr. I. დამატება: Apollodori Bibliotheca et deperditarum fragmenta, 432.

<sup>36</sup> o. c.

სიმაღლეზე წაგრძელებული წვერის დაგვირგვინებისაგან, ან კო-  
რიბანტებისაგან, რადგან აპოლოდორეც ამბობს, რომ [კვრბე-  
ბი] ამათი აღმოჩენა არისო.“<sup>37</sup>

პლატონის თხზულებათა ლექსიკონის შემდგენელი, ახ. წ. III  
საუკუნის კომენტატორი ტიმეოსი ვადმოგვცემს, რომ კვრბი-  
სი „სამწახნაგოვანი პირამიდული სვეტია“—*στέγη τριγώνος πυρα-  
μειδής*.<sup>38</sup>

აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი „არგონავტიკის“ IV წიგ-  
ნის 280-ე ტაეპის განმარტებაში ამბობს, რომ კვრბები წარწერათა  
შემცველი წვერწაწვეტებული (αορσφειδ) სვეტებია. (στέλαι).

არისტოფანე ბიზანტიონელის (დაახ. 257—180), პლატონის სქო-  
ლიასტის (ad Politic. 298) და ზოგიერთი სხვა ავტორის ცნობით  
კვრბები ხისაგან იყო ნაკეთები.<sup>39</sup>

სვიდას ლექსიკონის განმარტებით კვრბები სამწახნაგოვანი  
დაფებია (τριγώνος πύλαξ) ქვისაგან აღმართულ სვეტებზე მიკრული.  
ამ დაფებზე სასულიერო და საერო კანონები იწერებოდა.<sup>40</sup>

სქოლასტიკოსისა და პოეტის კომეტას ცნობით კვრბები არის  
„ძველისძველი ფირფიტები“—*ἀμφοτέραι ἀρσφειδ γρηραλαί*,  
რომლებზედაც პომეროსის პოემებიც იყო ნაწერი (Anth. 5; XV, 36).

კვრბები მოხსენიებულია ძეგლობის ანდაზების კრებულ-  
შიც: *ἀρσφειδ αααω* (4,77—*ἐπὶ τῶν σφῆρα ποιηρῶσφείων*)<sup>41</sup>

კვრბის სიტყვის ეტიმოლოგია აქ დამოწმებულ ცნობებში  
ნაირგვარადაა მოცემული. ბერძენ ავტორებს, ჩანს, მთლად ნათელი  
წარმოდგენა კვრბებზე არ ჰქონდათ. ამის მიზეზი, უნდა ვივარაუ-  
დოთ (და ეს ვარაუდი თვითონ ბერძენთა ვადმოცემებს ემყარება),  
ის იყო, რომ კვრბები ბერძნული სამყაროსათვის უცხო წარმომავ-  
ლობის, წინაეღინური მოსახლეობის—პელასგების წიაღში წარმო-  
შობილ ძველისძველ ძეგლებს წარმოადგენდნენ. დროთა განმავლო-  
ბაში უცხო წარმომავლობის კვრბები ბერძნულ „აქსონებს“, სვე-  
ტებზე წარწერილ კანონებს გაუთანაბრეს. რაკილა ნაწერ კანონთა  
შემცველი, ქვისაგან აღმართული სვეტები (სტელები) სიმაღლეში  
ვიწროვდებოდნენ და წვერით გვირგვინდებოდნენ, „კვრბის“ სიტყვა

<sup>37</sup> o. c.

<sup>38</sup> Tim. lex. Plat. Koch-ის გამოც. 1833.

<sup>39</sup> Anecd. g. ed. Cramer; I, 221; II, 455; Anecd. g. ed. Bekker; I, 274.

<sup>40</sup> Suidae Lexicon ed. Ada Adler, I—IV, Lips., 1928—1936; s. v.

<sup>41</sup> Corpus paroemlographorum graecorum ed. Leutsch—Schneidewin;

დაუკავშირეს ბერძნულ Κορσφῆ-ს („წვერი,“ „კენწერი“): Κορσφῆ ἢ ἢ κορσφῆ → ხაძაჩი → ხაძაჩი (თეოპომპე; აპოლოდორე, აპ. როდოსელის სქოლიასტი, ფოტიოსი); აქედანვე წარმოდგა ხაძაჩი: „ტი- არა“ (აპოლოდორე).

აპოლოდორე წარმოგვიდგენს სხვაგვარ ეტიმოლოგიასაც, თითქოს სიტყვა „კვრბის“ მომდინარეობდეს ზმნისაგან  $\chi\alpha\tau\alpha\chi\epsilon\iota\mu\sigma\theta\alpha\iota$  — „მტკიცედ დგომა“. ჰესიხიოსი ამ სიტყვას უკავშირებს  $\sigma\chi\alpha\rho\acute{\alpha}\varsigma$  ←  $\sigma\chi\alpha\rho\acute{\alpha}\varsigma$ -ს „მაგარი“.<sup>42</sup> **კოფი-კაჭი**

ბერძნული „აქსონებისა“ და კვრბების უმართებულო იდენტიფიკაციას იზიარებს S. W. H. D. A კვრბებისადმი მძღვნილ სტატიაში: „კვრბები აქსონების ასლები იყო“ —  $K\acute{\alpha}\rho\acute{\alpha}\varsigma$ ;  $K\acute{o}\pi\iota\epsilon\upsilon\sigma$  der  $A\chi\alpha\iota\acute{o}\nu\epsilon\varsigma$   $g\epsilon\omega\upsilon\sigma\epsilon\upsilon$   $\epsilon\iota\sigma\iota$ . აღსანიშნავია, რომ ამ სტატიაში არაა დამოწმებული აპოლონიოს როდოსელის ცნობა კოლხურ კვრბებზე<sup>43</sup>.

კვრბები ღერძზე დამაგრებულ; ნაწერ კანონთა შემცველ დაფებიან მოძრავ სვეტებად (ე. ი. „აქსონებად“) მიაჩნია ეტიმოლოგისტ პრელვიცსაც. მისი ეტიმოლოგიაც ამას ემყარება:  $K\acute{\alpha}\rho\acute{\alpha}\varsigma$  ← \* $q\alpha\rho\acute{\alpha}\varsigma$  — შდრ.  $V\eta\rho$  —  $p\eta$  ←  $q\eta$  — გი „ვატრიალებ“ → ხაძაჩი „სამაჯური“.<sup>44</sup>

ბერძენი ავტორების დამოწმებულ ცნობათა კომპლექსში უაღრესად საკურადლებოდ და რეალური სინამდვილის შემცველ ცნობად მიგვაჩნია ის, რომ კვრბები ძველი ისტორიული ფორმები იყო (ქვის, თიხის ან სპილენძისა: კრატინე, ლისია, თეოპომპე, პლუტარქე, კომეტა), რომლებიც საკრალური ხასიათის ჩანაწერებს შეიცავდნენ (ლისია, თეოფრასტე, პლუტარქე) და ის, რომ კვრბების აღმოჩენა მიეწერებათ კორიბანტებს (თეოპომპე, თეოფრასტე, აპოლოდორე; სვიდა).

ბუსტროფედონით შესრულებული კვრბები (ეგფორიონი) თავდაპირველად, ვფიქრობთ, მხოლოდ სასულიერო, საკრალური ხასიათის წარწერებს შეიცავდა (ლისია, არისტოფანეს სქოლიასტი, თეოფრასტე, პლუტარქე, სვიდა). უფრო გვიან „კვრბისი“ ეწოდა ყველა საზოგადო საბუთსა და კანონს (კრატინე, არისტოფანე, არისტოტელე, აპოლოდორე, პლუტარქე, სვიდა). შედარებით გვიან უნდა მიეღოთ კოლხურ კვრბებს კარტოგრაფიული მნიშვნელობაც (აპოლონიოს როდოსელი და მისი სქოლიასტი).

<sup>42</sup> Hesychii Alexandrini Lexicon rec. Schmidt, I—V, Ienae 1858—1863.

<sup>43</sup> RE XXIII, 1, 1924. გვ. 135.

<sup>44</sup> W. Prelwitz, Etymologisches Wörterbuch der griechischen Sprache. Gütt., 1892, 169.

თავდაპირველი—საკრალური მნიშვნელობის მიხედვით ყველაზე უფრო დამაჯერებელია „კვრბის“ სიტყვის დაკავშირება „კორკბანტებთან“ (თეოსომპე, თეოფრასტე, აპოლოდორე, სვიდა). აქ სრული ფონეტიკური და სემანტიკური დამთხვევაა:  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$  ( $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ ) ←  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$  ←  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ - $\epsilon\zeta$ . ასეთი ეტიმოლოგია მართებულადაა მიჩნეული.<sup>45</sup>

სახელი  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ — $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$  ტები, რაც უშუალოდ უკავშირდება სიტყვას  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ , ფორმით  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ : (მრ. რიცხვ. მიც.) დამოწმებული ყოფილა სოფოკლეს დაკარგულ ტრაგედიაში (ცნობა შემოგვიწინაბა პლუტარქემ—*Amat.* 16). „ეტიმოლოგიკონ მაგნუმ“-ის მიხედვითაც  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$  =  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ , რაც ← ზმნისაგან  $\chi\rho\rho\alpha\iota$  (=  $\chi\rho\rho\alpha\iota$ ) „გმალავ,“ „გფარავ.“ ეს ეტიმოლოგია, ჩანს, ემყარებოდა კორიბანტთა მისტერების ფარულ ხასიათს.<sup>46</sup>

$\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ —ფუძიდან ნაწარმოებია გეოგრაფიულ პუნქტთა უძველესი სახელები:  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ —ქალაქი კრეტაზე, რომლის დაარსებაც კორიბანტებს მიეწერება,—მერმინდელი *Hierapytna* ან *Pytna* (*Strab.* IX, 3, 19; X, 472);  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$  ქალაქი როდოსზე (*Diod. Sic.* V, 57);  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ —ქალაქი კარიაში (*Steph. Byz.* s. v.).

! გასარკვევია საკითხი, ვინ იყვნენ კორიბანტები? თუ მათ კავშირი აქვთ კოლხურ სამყაროსთან, მაშინ აპოლონიოსის ცნობას კვრბების ქართული — კოლხური წარმომავლობის შესახებ კიდევ უფრო მეტი დამაჯერებელი ძალა ექნება.

ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ავტონომიური ტომებისა და წინაელნიურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების მატრიარქალური ღვთაების კვბელეს ქურუმები იყვნენ. დიოდორე სიცილიელის ცნობით კორიბანტების მამამთავარი კორიბანტი—კირბანტი ( $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ — $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ ) კვბელესა და იასიონის ძეა (*Diod.* V, 49, 2).

—ელნიურ ხანაში პელასგური—მცირეაზიული ღვთაების—„დიდი დედის“ (*Μεγάλη θεά*—*Magna mater deorum*)—კვბელეს ( $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ ,  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ —იონ.  $\chi\rho\rho\alpha\iota\varsigma$ ) კულტი შეერწყა ურანოსისა და გეას ასულის რეას კულტს. ეს უნდა მომხდარიყო კუნძულ კრეტაზე, სადაც საერთოდ ცნობილია აღმოსავლურ-მცირეაზიული და ელინიური კულტების შერევა. აქ რეა-კვბელე ზევსის დედად იქნა აღიარებული,

<sup>45</sup> Wilamowitz-Moellendorff, *Aristoteles und Athen* I, 45.7. Boisacq, *Dictionnaire étymologique de la langue Grecque*, Heid. 1950, 415.

<sup>46</sup> *Etymologicon Magnum*. ed. Syllburgii—Schaeferi, Lips., 1816.

ხოლო მისი ქურუმები—ქურეტები (კრეტელი დაქტილები, იდე-  
ლი დაქტილები) კორიბანტებს გაუთანაბრეს. სვიდას ვადმო-  
ცემით „კორიბანტები იგივეა, რაც ქურეტები. ესენი ზევისს გამ-  
დელნი და მცველები იყვნენ. ერთნი ამბობენ, ისინი ათნი იყვნენო,  
მეორენი ამტკიცებენ—ცხრანიო.“

კვბელეს განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ კოლხური ტომები,  
რომელთაც ფაზისის შესართავში ამ ღმერთქალის ქანდაკებაც ედ-  
ვათ. არიან ე ვადმოგვცემს: „ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ  
აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანისი (ἡ φασιανή θεός).  
გარეგნობით ის ჰგავს რქას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგ-  
რეთვე მისი სავარძლის წინ წვანან ღომები და თვით ის ზის რო-  
გორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტროონში.“<sup>47</sup>

კვბელესადმი შეწირული წმიდა ხე იყო მუხა (აპოლოდორე,  
აპ. როდოსელის სქოლიასტი და სხ.), რომელიც საქართველოში  
დიდხანს წარმოადგენდა თაყვანისცემის საგანს. იგ. ჯავახიშვილი  
„კვბელეს“ ერთგვარი სიფრთხილით უკავშირებს ქართველ ტომთა  
ძველისძველ ღვთაებას „კოპალას“ ანუ „კოპალეს“, რომლის  
მსგავსადაც „კვბელეც ხან დედამიწის ღვთაებად ითვლებოდა, ხან  
ბუნების ღვთაებად, ხან შვილიერების და ნაყოფიერების ღვთაებად,  
ხან ადგილისა და გორა-მთის დედად. აღსანიშნავია, რომ რუსებ-  
საც „კუპალო“, რომლის დღესასწაულიც 24 ივნისს ივანობის დღეს  
იციოდნენ, ხალხურ სიმღერებში ქალადაც და აგრეთვე ვაჟადაც  
ჰყავთ წარმოდგენილი.“<sup>48</sup> ქართულ თქმულებებში „კოპალა“ ანუ  
„კოპალე“ მამრობითი სქესის ღვთაებად ითვლება, მაგრამ მის და-  
კავშირებას „კვბელესთან“ ეს დიდ დაბრკოლებას არ უქმნის; რელი-  
გიურ კულტა ისტორიაში საკმაოდ ხშირად შემთხვევები ღვთაე-  
ბის სქესის შეცვლისა. თავდაპირველად „კოპალა“ მატრიარქალური,  
დედრობითი სქესის ღვთაება უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი მამრობითი  
სქესის ღვთაებად წარმოიდგინეს და „ხმელთ მოურავ კვირიას“  
გაუთანაბრეს.

კვბელეს წარმომავლობის თვალსაზრისით ყურადღებას იპ-  
ყრობს აგრეთვე მთის კავკასიურ ენებში არსებული დედის სახე-  
ლი ებელ (ხუნდ. ანწუხურ-ქარული).<sup>49</sup>

<sup>47</sup> ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეკელიძისა. თბ., 1961, გვ. 39.

<sup>48</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 98—99.

<sup>49</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიისა და ნახლოვანი აღმოს-  
ავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950, გვ. 123.

ბერძნულ გადმოცემებში დაცულია ცნობა არა მარტო კვბელეს, არამედ მისი ქურუმების—კორიბანტების აღმოსავლური—კოლხური წარმომავლობის შესახებაც. ანტიკური ეპოქის დიდი და სანდო გეოგრაფოსი სტრაბონი, ეყრდნობა რა ძველ წყაროებს, გადმოგვცემს, რომ კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის—კვბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან რკინის მეტალურგიის, მჭედლობის მფარველ ლემნოსელ კაბირებს: „... ტიტანებმა რეას [resp. კვბელეს] გადასცეს შეიარაღებული მცველები—კორიბანტები, რომლებიც [კრეტაზე] ბაქტრიიანიდან არიან წამოსულნიო, ზოგიერთები კი ამბობენ, კოლხთაგანნი (ἐκ Κόλχων) არიანო“... (X, 3, 19).

როგორც აღრინდელი, ისე გვიანდელი ხანის ბერძნულ წყაროებში კორიბანტები ჩვეულებრივ იდენტიფიცირებულია კაბირებთან.<sup>50</sup> კაბირთა კულტის საკითხი უძველესი მითოლოგიის ურთულესი პრობლემათაგანია. კორიბანტულ-კაბირული კულტის შესახებ ანტიკური ეპოქის წყაროები მეტისმეტად ძუნწ ცნობებს გვაწვდიან: ამის მიზეზი ამ კულტის უაღრესად მისტიკური ფორმა იყო. კაბირთა მითის გენეტიკური ანალიზი, კორიბანტულ-კაბირული კულტის რაობის გარკვევა ჯერ კიდევ მომავალი კვლევა-ძიების საქმედ რჩება.<sup>51</sup> ერთი რამ, რაც დაგვას არ უნდა იწვევდეს, ისაა, რომ კაბირები არაელნიური, აღმოსავლური—პელასგური წარმომავლობის ღვთაება-ქურუმებია. მეტალურგიის მფარველი კაბირების კულტი ძლიერი იყო პელასგების სამკვიდრებელ კუნძულებზე: ლემნოსზე, სამოთრასა და იმბროსზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ კაბირული კულტი კორიბანტული კულტის განვითარება იყო ახალი, პატრიარქალური ურთიერთობის პირობებში, როდესაც ლითონის დამუშავება ცეცხლს დაუკავშირდა. მატრიარქალური კვბელეს კორიბანტები, მეტალურგიის მფარველი ღმერთის—ჰეფესტოს ნელკვეით ღვთაებებად გარდაიქცნენ. მეტად საყურადღებო ფაქტია ის, რომ ჰეფესტოს წრის ღვთაება-მჭედლებისათვის ლითონის დასამუშავებლად ცეცხლის

<sup>50</sup> გვიანანტიკური ხანის ავტორთაგან აქ დაგვასახელებდით კლიმენტი ალექსანდრიელს, არნობიუსს. ფირპიკუს მატერნუსს. რომლებთანაც კორიბანტები და კაბირები იდენტიფიცირებულია.

<sup>51</sup> Н. И. Новосадский, Культ Кавириов в дровиной Греции, Варшава. 1891. კაბირების მითის შესწავლის ცდა შედარებით—ტიპოლოგიური გზით წარმოდგენილია ი. შენგელიას ნაშრომში—„ეტრუსკული მითი კაბირი CHA(L)UCHASU-ს შესახებ და მისი მორფოლოგიური პარალელები ამირანის ქართულ თქმულებაში“. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიკის შრომები, ტ. IV, 1961, გვ. 177—220.



მომტანი პრომეთე—ამირანი ერთ-ერთ კაბირადაა აღიარებული (Paus. IX, 25).

კორიბანტ-კაბირების შვიდრო კავშირს კოლხურ სამყაროსთან ამტკიცებს ცნობილი პრიორიტეტი, რომელიც მეტალურგიაში ქართველთა წინაპარ ტომებს მიეკუთვნება.<sup>52</sup>

მომავალმა კვლევა-ძიებამ უნდა გამოარკვიოს, თუ რა საგნობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ პელასგური ენიდან ბერძნულში შეთვისებული სიტყვების—*Káp̄xavεs*; და *Kz̄xε:paiv* ფუძეებს (*εγρη-*, *εαβειρ-*). ზოგიერთი მკვლევარი მათ ინდოევროპული წარმომავლობის ფუძეებად მიიჩნევს. ი. ვაკერნაგელი *Kz̄xε:paiv*-ს უკავშირებს ძველი ინდური ღმერთის *Kúbera*-ს სახელს.<sup>53</sup> არის მოსაზრება, რომ ეს სიტყვა სემიტური წარმომავლობისაა.

ჰეროდოტეს მოწმობით, სამოთრაკელებმა კაბირების სახელიცა და მისტერიებიც პელასგებისაგან მიიღეს (II, 51). ამასვე ამბობს დიონისე ღალიკარნასელიც (I, 23). ჰესიხიოსის ლექსიკონში *Kz̄xε:paiv* ← *Kz̄xε:paiv* დაკავშირებულია სიტყვასთან *Kz̄xε:paiv* „ფუძის ანგელოზი“ (შდრ. ქართ. კობალა).

ქარსტის აზრით, *Kz̄xε:paiv* ← *Kaber̄ti*, რაც = ქართ. ღმერთი, სვან. ღერბეთ.<sup>54</sup>

პ. კრეჩმერს დასაშვებად ვიჩნია, *Kz̄xε:paiv*-ის დაკავშირება ქალღების ღვთაების *Quera*-ს სახელთან.<sup>55</sup> გ. მელიქიშვილი ურარტული პანთეონის „კუერას“ (*Quera*), რომელიც ნაყოფიერების იდეას განასახიერებდა, უკავშირებს ქართველ ტომთა წარმართულ ღვთაებას—*კვირია*ს (განაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაება, „ხმელთ მოურავი“)<sup>56</sup>. შესაძლებელია, *კვირია* მომდინარეობდეს ურედუქციო ფორმიდან \**კავირია* და აქედან იყოს წარმომდგარი სახელები *Quera* და *Kz̄xε:paiv*.

<sup>52</sup> იბ. აკ. ურუშაძე, კოლხეთისა და კუნძულ ლუნოსის ურთიერთობისათვის. თსუ შრომები. ტ. 37, 1949, გვ. 241—249.

<sup>53</sup> KZ, XLI, 314.

<sup>54</sup> Karst, Grundsteine zu einer Mittelländisch—Asianischen Urgeschichte, 1923, გვ. 3, 132; Hemborg, Die Kabiren, Uppsala, 1950. იბ. ი. შენგელია, დასახ. ნაშრ. გვ. 177.

<sup>55</sup> P. Kretschmer, Weiteres zur Urgeschichte der Inder. Zeit. f. vergl. Sprachwissen., 55 B, 1928.

<sup>56</sup> Г. А. Меликшвили, Урартские клинообразные надписи, М. 1960, გვ. 437. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1951, გვ. 62 შმდგ.

საყურადღებოა, რომ მცირე აზიის ტოპონიმიაში გვხვდება ისეთი სახელები, როგორიცაა Kibyra, Kabernos, Kebrena, Kabeira [Kabeira იყო ქალაქი პონტოში, სადაც ძველად ქართველი ტომები ბინადრობდნენ; აქ იყო მთვარის სალოცავი ტაძარი (Strabo, XII, 3, 30, 31)]. ამ სახელებს ბრინჯაოს ძველ სუმერულ სახელს „Kabar“-ს უკავშირებენ.<sup>57</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კორიბანტები—კაბირები კურეტების, კრეტელი ანუ იდელი დაქტილების სახელითაც მოიხსენიებიან („*Ἰδη—ტყით შემოსილი მთაგრეხილი მცირე აზიაში—მიზიასა და ფრიგიასში და კრეტაზე*). ანტიკური ხანის წყაროთა მიხედვით, იდელი დაქტილები—*Ἰδαίῳ Δάκτυλοι*. არიან კრეტელი ან ფრიგიელი დემონები, ბარბაროსები (იხ. მაგ., კლიმენტი ალექსანდრიელი, Strom. I, 16, § 75: *Φέργες δὲ ἦσαν καὶ ἰάριβροι οἱ Ἰδαίῳ δάκτυλοι*), რომელთაც მიეწერებათ რკინის აღმოჩენისა და დამუშავების ხელოვნება. კლიმენტი ალექსანდრიელი უძველეს წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს, რომ კვბელეს ქურუმები—იდელი დაქტილები (ე. ი. კორიბანტები—კაბირები) იყვნენ პირველი ბრძენი ქურუმები, რომელთაც აღმოაჩინეს მუსიკის რიტმი და შექმნეს მაგიური ძალის მქონე ეფესური დამწერლობა (τὰ Ἐφέσια γράμματα).

დაქტილთა რიცხვი ბერძნულ წყაროებში სამიდან ასამდე მერყეობს. ჩვეულებრივ მოიხსენიებენ სამ დაქტილს. ესენია: კელმისი (Κέλμας ← *κηλέα* „ვადნობ“), დამნამენესი (Δαμναμηνές ← *δᾶμνημα* „ვძლევ“), აქმონი („*Ἄκμων* ← *ἄκμων* „გრდემლი“). კლიმენტი ალექსანდრიელი იმოწმებს ჰესიოდეს სკოლიდან გამოსულ ეპიკურ თხზულებას „იდელ დაქტილთათვის“ (Περὶ τῶν Ἰδαίων Δακτύλων) და ამბობს, რომ დელასმა—ერთ-ერთმა დაქტილმა ბრინჯაოს შედნობა აღმოაჩინა.<sup>58</sup>

ცნობილია, რომ წერის ხელოვნებას უძველეს ხანებში ქურუმთა კოლეგიები მეთაურობდნენ (შდრ. მაგ., რომაული Commentarii pontificales). ამიტომ დასაშვებია, რომ კოლხური (resp. ქართული)

<sup>57</sup> M. G. Dossin, Les Căbir à Lemnos. La nouvelle Clio, 1951, გვ. 199—202. ი. შენგელია, დასახ. ნაშრ. გვ. 177.

<sup>58</sup> *Τινὲς δὲ μυσικῶν τῶν Ἰδαίων καλουμένων Δακτύλων σοφοὺς τινὰς πρῶτους γενέσθαι λέγουσιν, εἰς οὗς ἢ εἰ τῶν Ἐφεσίων λεγουμένων γραμμάτων καὶ ἢ τῶν κατὰ μυσικὴν εἰρησὶς ῥυθμῶν ἀναφέρεται. δι' ἣν αἰτίαν οἱ παρὰ τοῖς μουσικοῖς δάκτυλοι τὴν προσγορίαν εἰλήφασιν. Φέργες δὲ ἦσαν καὶ ἰάριβροι οἱ Ἰδαῖοι Δάκτυλοι... Κέλμας. τὸ αὐτὸ καὶ Δαμναμηνές οἱ τῶν Ἰδαίων Δάκτυλοι πρῶτοι οὐδὲν εἶδον ἐν Κύπρῳ, Δέλας δὲ ἄλλος Ἰδαῖος εἶρε χαλκῶν κρᾶσιν ὡς δὲ Ἡσίωδος—Σκύθης (Clem. Alex. o. o.).*

დამწერლობაც, კვრებების სახით, ქურუმთა (კორიბანტ-კაბირების, დაქტილების) წრეში გაჩენილიყო. შეიძლება, ეს დამწერლობა მცირე აზიაში შეიქმნა და შემდეგ გადაინერგა კრეტაზე; შეიძლება, პირუქუ ვითარებაც ვივარაუდოთ.

კორიბანტულ-კაბირული დამწერლობა, ჩანს, ის პელასგური დამწერლობა იყო, რომლის შესახებაც ცნობა დაცულია დიოდორე სიცილიელის „ისტორიულ ბიბლიოთეკაში“. დიოდორე გადმოგვცემს ჰომეროსის წინადროინდელი პოეტების სახელებს (თამირისი, ორფეესი, პრონაპიდე, თიმოიტე). დიოდორეს თქმით ამ პოეტთა მასწავლებელი იყო ლინოსი, რომელმაც პელასგური ასოებით აღწერა ლინოსი—ბახუსის საქმენი და სხვა მითები; ამ დამწერლობით (Πελασγικὴ γράμμασι) თხზავდნენ სიმღერებს მისი მოწაფეები; ძველი ენითა და დამწერლობით შექმნა ლინოსმა ფრიგიულად წოდებული პოეზიაც (συγγραμμάτων ἑνὸς Φρυγίαν θυμολογίᾳ καὶ ποιησιν). დიოდორესეული ცნობები ლინოსზე ემთხვევა ცნობებს კორიბანტ-კაბირების ანუ დაქტილების შესახებ (Diod. Sic. III, 67). ფრიად საყურადღებო გადმოცემაა დაცული ძენობიოსთან. აქ ნათქვამია, რომ კადმოსმა, ვინც ელინებს ფინიკიურ ანბანზე დაყრდნობით დამწერლობა შეუქმნა, მოკლა ლინოსი, რადგან ლინოსს პელასგური დამწერლობის დამკვიდრება სურდა (Zenob., Prov. (cent.) 4, 45). ამ გადმოცემაში ლეგენდარულადაა ასახული ბერძნული დამწერლობის მიერ პელასგური დამწერლობის გამოძევების ფაქტი.

კადმოსის დამწერლობაზე უძველეს პელასგურ დამწერლობას, ტაციტუსის გამოსცემის კომენტარების მიხედვით, იყენებდნენ ეტრუსკები: ... Etrusci ante habuere litteras Pelasgicas, quae sunt Cadmeis antiquiores (Drak. ad Liv. I, 34).<sup>69</sup>

აბ. როდოსელისა და სხვა ბერძენ ავტორთა ცნობები კვრებებზე უტყუარი ცნობებია და კოლხურ ტომებში უძველეს ხანებიდანვე არსებულ დამწერლობაზე მეტყველებენ. ამიტომ ვერ გავიზიარებთ В.И.-ს კომენტატორის შენიშვნას, თითქოს: „Замиси от-пос“ (—კოლხებში დაცული—მამათაგან ნაწერი კვრებში, ა. უ.) которые надо представлять себе в виде перилла или схематической карты, навеяны преданиями не столько о колхах, сколько о египтянах“.<sup>69</sup>

<sup>69</sup> Б. Кекелмаци, ჰომეროსის წინადროინდელი პოეზიის საკითხისათვის: 1. დიოდორე სიცილიელი პელასგური დამწერლობის შესახებ. თსუ შრომები, ტ. 63, 1956, 277—286.

<sup>69</sup> В.И., 1947, № 3, გვ. 285, შენ. 6.

✓ კვრების სახით არსებული კორიბანტული—კოლხური დამწერლობა, სრულიად შესაძლებელია, ის დამწერლობა იყო, რომელიც „მინოსური დამწერლობის“ სახელითაა ცნობილი და რომელიც კრეტის გაუშიფრავ ფირფიტებზეა დაცული. ამ ვარაუდს, ზემოთ მომხილულ ცნობათა გარდა, მხარს უჭერს მრავალი ფაქტი.

დვ. წელთაღრიცხვის III ათასეულში, როცა კრეტის წარწერები შეიქმნა, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელააშუა ზღვის მრავალი სხვა პუნქტი წინაეილინური—პელასგური მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს ე. წ. „მინოსურ მოსახლეობაში“ კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ. ქართველ ტომებს, რომელთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან თითქმის ყველა დარგშია გამომჟღავნებული, მრავალი ძაფი აკავშირებს უქველესი კულტურის ისეთ კერასთან, როგორც კუნძული კრეტა იყო<sup>61</sup> (პელასგურ-კოლხურ სამყაროს მჭიდროდ უკავშირებს კრეტას თქმულება კოლხთა და კორინთელთა გამგებელ აიეტზეც: კრეტის ლეგენდარული მეფის მინოსის მეუღლე პასიფაე ჰელიოსის ასულია; იგი აიეტისა და კირკეს დაი, მედეას მამიდა და არიადნეს დედა).

ჯერ კიდევ კრეტის წარწერათა აღმომჩენი არტურ ევანსი „მინოსური დამწერლობის“ ყველა სახეს (იეროგლიფურ A და B-ს, ხაზოვან A და B-ს) კრეტის უძველესი მკვიდრების შექმნილად მიიჩნევდა და ამ დამწერლობის ენას არაბერძნულად, მეტიც—არიანდოევროპულად აღიარებდა.

იმ მკვლევრებმა, რომლებმაც A ხაზოვანი წარწერების გაშიფვრის წინაპირობად მიიჩნიეს ის, რომ კრეტის უძველესი კულტურის შემქმნელი ინდოევროპელი ბერძნები იყვნენ, მარცხი განიცადეს. ასეთი მარცხი მოუვიდათ ჩუბ მეკნიერს ბ. პროზნის და ბულგარელ ვლ. გეორგიევს, რომლებიც უმართებულო კომპარატივისტულ მეთოდს ეყრდნობოდნენ.<sup>62</sup>

კრეტის B ხაზოვანი დამწერლობის გამშიფრავი ვენტრისი და ჩედვიკი მართებულად აღნიშნავენ, რომ „მინოსური დამწერლობის“ ნიშნები შექმნილია სულ სხვა ენისათვის და რაკი ეს ნიშნები

<sup>61</sup> ს. ჯანა შია, დასახ. ნაშრ. გვ. 193.

<sup>62</sup> В. Grozny, Kretas und Vorgriechenlands Inschriften. „Archiv Orientalni“, XIV, Praha, 1943; XV, 1946. В. Георгиев, Происхождение алфавита. „Вопросы языкознания“, 1952, № 6; მისივე, Словарь критско-микенских надписей. София, 1955; მისივე, Проблемы мийского языка. София, 1953; მისივე, Вопросы родства средиземноморских языков. „Вопросы языкознания“, 1954, № 4. პროზნისა და გეორგიევს მიერ კრეტის წარწერათა მცდარი გაშიფვრის კრიტიკა იხ. С. Лурье, Язык и культура микенской Греции, М. Д. 1957: Предисловие; В. А. Истрики, Развитие письма. М. 1961, გვ. 159, შპ დგ.; E. Sittig, DLZ, 1956, 4, გვ. 246—250.

ამ ენისაგან ფონეტიკურად განსხვავებულმა ბერძნულმა გამოიყენა, ისინი მისთვის ნაკლულოვანი აღმოჩნდნენო.

„მინოსური დამწერლობის“ შემქმნელი წინაბერძნული მოსახლეობის ენისათვის, როგორც კრეტის ნიშნებიდან ჩანს, დამახასიათებელი იყო კანონი ღია მარცელისა (თანხ. + ხმ. ან ხმ. + ხმ.) ამიტომ ეს დამწერლობა ვერ გადმოსცემდა ბერძნული ენის მარცვლებს ბოლო თანხმოვნით და თანხმოვანთა კომპლექსს ხმოვნითურთ,

საბჭოთა მეკლევრები—ლურიე და ისტრინი ხაზგასპით აღნიშნავენ, რომ წერის კრეტული სისტემა ნაკლულოვანია ბერძნული-სათვის სწორედ იმის გამო, რომ კრეტის წარწერების ენა არაა ბერძნული, ინდოევროპული: „Критское иероглифическое письмо так же как линейное письмо А, по-видимому, применялось для передачи неизвестного, но вероятно, неиндоевропейского языка догреческого („минойского“) населения Крита. Лишь при переходе к линейному письму В оно начало широко использоваться для передачи греческого языка ахейских завоевателей Крита и критских колоний.“

Предположение, что критское письмо первоначально предназначалось для какого-то негреческого и даже неиндоевропейского языка, подтверждается фонетическим анализом слоговых знаков этого письма. Любая система письма, если только она не механически заимствована одним народом у другого, если она возникает для воспроизведения данного языка, всегда более или менее точно отражает его особенности. Между тем знаки критского письма воспроизводили фонетику греческого языка крайне несовершенно<sup>63</sup>.

კრეტის იეროგლიფური დამწერლობისა და A ხაზოვანი დამწერლობის საბოლოო გაშიფრვას აბრკოლებს ამ დამწერლობით შესრულებული წარწერების ენის უცოდინარობა. ფ. შახერმეიროვი ფიქრობს, რომ B ხაზოვანის ენა არავითარ შემთხვევაში არ არის A ხაზოვანი წარწერების ენის იდენტური. მისი აზრით, კრეტის უძველესი წარწერების ენა, რომელსაც იგი ეგეოსურს უწოდებს, ეკუთვნოდა კაჟკასიურ ენებს, რომელთა გავრცელების არეც გაცილებით უფრო დიდი იყო ვიდრე ამჟამადაა.<sup>64</sup>

ევროპელ-მეკლევართა ერთი ნაწილის ძრომებში (ვან ვინდუკენსის, გეორგიევისა და სხ.) წარმოდგენილი მოსაზრება „მინოსური წარწერების“ ნიშანთა და წინაეღინური მოსახლეობის—

<sup>63</sup> В. А. Истрин, *დასახ. ნაშრ.* გვ. 159.

<sup>64</sup> Fritz Schachermayer, *ო. ს. გვ.* 252, 255.

პელასგების ინდოევროპული წარმომავლობის შესახებ დამაჯერებელი არაა.<sup>65</sup> პელასგურისა და იბერიულ-კავკასიური ენების გენეტური სიახლოვის თვალსაზრისით სოლიდური მოსაზრებები აქვს წარმოდგენილი პ. ბერაძეს. მისი აზრით, ძველბერძნულ ენაში, კერძოდ, ჰომეროსის დიალექტში შეინიშნება ზოგიერთი ექსპრესია, რაც პელასგურიდან შეთვისებული ჩანს. ასეთია, მაგალითად, ინდოევროპულისათვის არანაშანდობლივი თვისება საზღვრულის მეწინავეობა (πῶμαχος—„ფეხმარდი“ და მისთ.)<sup>66</sup>

ზემოთქმულის საფუძველზე, სავარაუდო დასკვნის სახით, უნდა აღენიშნოთ, რომ „მინოსური დამწერლობის“ მომავალ კვლევა-ძიებაში პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთის—იბერიულ-კავკასიური ენების ჩართვამ შეიძლება საქმე წარმატებით დააგვირგვინოს.



---

<sup>65</sup> A. J. Van Windekens, *Le pélasgique*, Louvain, 1952; მისივე, *Etudes pélasgique*, Louvain, 1960; Fr. Lochnor-Hüttenbach, *Die Pelasger*, Wien, 1960; Vladimir Georgiev, *La Toponymie ancienne de la peninsule Balkanique et la these Mediterranee*. Sofia, 1961.

<sup>66</sup> პ. ბერაძე, სუბსტანტივის ადექტივიზაცია ჰომეროსის პოემაში. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VII სამეცნიერო სესიის თეზისები, 1963, გვ. 10—11.

# ნ ა ნ ი ლ ი მ ა რ ა ჯ

## ე ლ ი ნ ე ჯ ა ნ ი ხ ა ნ ა

### ე კ მ ს ი

#### ჰ ო მ ე რ ო ს ი

(IX საუკ. ძვ. წ.)

ტექსტები .და ქართული თარგმანი შემდეგი გამოცემებით დაეამზადეთ:

1. Homeri Ilias, edidit G nilielmus Dindorf. Editio quinta correctior quam curavit C. Hentze. Bibliotheca Teubueriana. Lipsiae, 1899—1900.

2. Homer, Iliad., ed. Monro; Odyssey, ed. Allen. Oxford classical Texts. 1901—1910. 5 ტომად.

3. Scholia Graeca in Homeri Odysseam ex codicibus aucta et emendata edidit Gul. Dindorfius. Oxonii 1855. 2 ტომად.

4. Eustathii Archiepiscopi Thessalonicensis commentarii ad Homeri Iliadem ad fidem exempli Romani editi. I—IV, Lipsiae 1827—1830.

5. Eustathii archiepiscopi Thessalonicensis commentarii ad Homeri Odysseam. I—II, Lipsiae, 1825—1826.

„ილიადა“

I, 590 — 594

(ჰეფესტო, ღმერთი მკვლელობისა, მიმართავს დედას—ღმერთ-  
ქალ ჰერას)

„Hδη γάρ με καὶ ἄλλοι  
ἀλεξέμενοι μεμαῶτα

ἔψη ποδῶς τεταγῶν ἀπὸ βῆλος  
μεισισιοιο.

„უწინ, როდესაც [შენი] დაც-  
ვა მოვიწადინე, [ზეესმა] ფეხში  
ხელი მომავლო და ღვთაებრივი  
ზღურბლიდან გადმომაგლო.

πᾶν δ' ἤμαρ φερόμεν, ἀμα δ'  
 ἤελίφ καταδύντι  
 κάππεσον ἐν Λήμνω, δλίγος δ'  
 ἔτι θυμὸς ἐνήεν·  
 ἔνθα με Σίντιες ἀνδρες ἀφαρ  
 κομίσαντο πεσόντα.“

მთელ დღეს მივექანებოდი და  
 ოდეს მზე ჩაეშვა, სულზე მიმდ-  
 ვარი დავეცი ლემნოსზე. იქ ვაქ-  
 ცაღმა სინტიებმა მყის შემითა-  
 რეს ქვედამხობილი“. <sup>1</sup>

## II, 711 — 715

Οἱ δὲ Φεράς ἐνέμοντο παρὰ  
 Βοιβητῖδα λίμνην,  
 Βοίβην καὶ Γλαφύρας καὶ  
 ἔϋκτιμένην Ἰαωλκῶν,  
 τῶν ἤρχ' Ἀδμήτωιο φίλος πάντ'  
 ἔνδεκα νηῶν,  
 Εὐμηλος, τὸν ὄπ' Ἀδμήτῳ τέκε  
 δια γυναικῶν  
 Ἄλκηστis, Πελίαιο θυγατρῶν  
 εἶδος ἀρίστη.

ესენი ბინადრობდნენ ფერეს,  
 ბებეს ტბის გარშემო მხარეს, ბე-  
 ბეს, გლაფირსა და კარგად ნა-  
 გებ ოილკოსს. მათ თერთმეტ ხო-  
 მალდს მოუძღოდა აღმეტეს ვაჟი  
 ევმელოსი, რომელიც აღმეტესა-  
 გან შვა ქალთა შორის ღვთაებ-  
 რიგმა აღკესტიდამ, პელიასის ას-  
 ულებში უმშვენიერესმა. <sup>2</sup>

## II, 851—857

Παφλαγόνων δ' ἡγεῖτο Πυλαί-  
 μένεος λάσιον κήρ  
 ἐξ Ἐνετῶν, θῆεν ἡμιόνων γέ-  
 νος ἀγροτεράων.  
 οἱ ἄ Κύτῳρον ἔχον καὶ Σή-  
 σαμον ἀμφενέμοντο  
 ἀμφί τε Παρθένιον ποταμὸν  
 κλυτὰ θῶματ' ἔβαιον.  
 Κρῳμνάν τ' Ἀλιζαλὸν τε καὶ  
 ἴψηλους Ἐρυσίνους.  
 αὐτὰρ Ἀλιζῶνων Ὀδῖος καὶ  
 Ἐπίστροφος ἦρχον  
 τηλόθεν ἐξ Ἀλύβης, θῆεν  
 ἀργύρου ἔσσι γενέθλη.

პაფლაგონიელებს მეთაურობ-  
 და მამაცი ბილემენე ენეტებიდან,  
 საიდანაც ველური ჯორების მო-  
 ღვამა. [პაფლაგონიელებს] ეკა-  
 ვათ კიტროსი, ბინადრობდნენ  
 სესამოსს და პართენიოსის მდი-  
 ნარის პირას ნაგებ მშვენიერ სახ-  
 ლებში ცხოვრობდნენ; [იქავათ]  
 კრომნა, ევიალოსი და ერთი-  
 ნის მაღალი კლდენი.

ხოლო ჰალიძონებს მოუძღოდ-  
 ნენ ოდიოსი და ეპისტროფოსი  
 შორეული აღიბედან, სადაც არის  
 ვერცხლის სამშობლო. <sup>3</sup>

## V, 38 — 39

...Πρῶτος δὲ ἀναξ ἄνδρων  
 Ἄγαμέμνων

პირველად ვაქვაცთ მეუფე აგა-  
 მემნონმა ეტლიდან ჩამოაგდო ჰა-



ἀρχὸν Ἀλιζῶνων, Ὀδῖον μέγαν  
ἔκβαλε δῖφρου·

ლიძონების წინამძღოლო დიდი  
ოღონოსი.

VII, 467 — 475

νῆες ἐκ Αἰθίοποι παραστάσαν  
οἶνον ἀγούσαι

πολλαί, τὰς προέηκεν Ἰησονί-  
δης Ἐύνηος,

τόν ῥ' ἔτεχ' Ἰψιπύλη ὑπ'  
